ნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება
Besarion Jorbenadze Society

# საენათმეცნიერო ძ ი ე ბ ა ნ ი

# XXXVIII

# Linguistic P a p e r s

თბილისი 2015 Tbilisi

UDC(უაკ)81(051.2)
ს – 157

**„საენათმეცნიერო ძიებანის“**
XXXVIII წიგნი თემატურად მრავალფეროვანია. იგი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის და, საერთოდ, ენის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

„**Linguistic Papers**“ volume 36 contains thematically diverse works. It is meant for linguists and in general, all persons interested in language issues.

სარედაქციო კოლეგია:

მ. ბერიძე, კ. გაბუნია, **გ. გოგოლაშვილი** (მთავარი რედაქტორი), **ნ. დარასელია** (ინგლისური ნაწილის რედაქტორი), **ც. კვანტალიანი** (სწავლული მდივანი), მ. კიკონიშვილი, რ. ლანდია, **ნ. ლოლაძე** (მთ. რედაქტორის მოადგილე), თ. ლომთაძე, ნ. ჩუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე

EDITORIAL BOARD:

M. Beridze, K. Gabunia, **G. Gogolashvili** (editor-in-chief), **N. Daraselia** (editor of the English part), **Ts. Kvantaliani** (scientific secretary), M. Kikonishvili, R. Landia, **N. Loladze** (deputy editor-in-chief), T. Lomtadze, Chumburidze, N. Jorbenadze

ISSN 1987-6653

ციური ახვლედიანი, გიორგი ჟუჟარაძე

# სიტყვათა სემანტიკური დერივაცია თანამედროვე ფრანგულ და ინგლისურ ენებში

ენაში მუდამ ჩნდება სიტყვათა ახალი მნიშვნელობები. როგორც ცნობილია, ცნება „დერივაცია“, როგორც სიტყვაწარმოების ერთ-ერთი საშუალება, ვრცელდება ისეთ სფეროზეც, როგორიცაა სემანტიკა; კერძოდ, იგი გამოიყენება მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის ახალ მნიშვნელობათა გაჩენის პროცესის დასახასიათებლად (სემანტიკური დერივაცია). **სემანტიკური დერივაცია** წარმოადგენს ლექსიკური დერივაციის კერძო შემთხვევას. იგი, სიტყვაწარმოებისაგან განსხვავებით, არ მოითხოვს ფორმალურ მაჩვენებლებს.

ამ შემთხვევაში, ჩვენ განვიხილავთ სემანტიკურ დერივაციას როგორც ნეოლოგიზმთა წარმოების ერთ-ერთ ხერხს.

სემანტიკური დერივაცია იძლევა საშუალებას, რომ შეიქმნას ახალი სიტყვები, უფრო ზუსტად — ახალი მნიშვნელობები, უკვე ნაცნობი სიტყვების დახმარებით და არა ნასესხობებით ან ახალი სიტყვებისა და სიტყვაფორმების შექმნით. სემანტიკური ნეოლოგიზმები — ასე უწოდებენ სიტყვებს, რომლებმაც ახალი მნიშვნელობა შეიძინეს: une icône (symbole graphique affiché sur l’écran), la Toile (réseau Internet, le Web), une économie parallèle (qui existe, s’exerce en même temps qu’autre chose, mais en dehors d’un cadre légal ou officiel).

ფრანგ ლინგვისტთა უმრავლესობა **სემანტიკურ ნეოლოგიზმებს** ცალკე კატეგორიად გამოყოფს. ლ. ჟილბერის აზრით, **სემანტიკური ნეოლოგია** არის მნიშვნელობის ნებისმიერი ცვლა, რომელიც ხდება ლექსემის სამ აღსანიშნ ასპექტთაგან ერთ-ერთში, აღმნიშვნელის რაიმე ცვლილების გარეშე (მისი ფორმის ცვლის) და გამოყოფს სემანტიკური ნეოლოგიის სამ ფორმას: 1. ერთი ლექსემის კუთვნილ სემათა ჯგუფის ცვლა მეტაფორის, მეტონიმიის, შედარებისა და ა. შ. გზით; 2. კონვერსია (მოდელი «belle > les belles» იწვევს სემანტიკურ ცვლილებას, ანუ უფრო მეტს, ვიდრე ერთი გრამატიკული კატეგო-

რიიდან მეორეში გადასვლაა); 3. სემანტიკური ნეოლოგიის სოციოლოგიური ფორმა: სიტყვების გადანაცვლება ხმარების ერთი სფეროდან მეორეში (გილბერტი, გვ. 21-23). სალიტერატურო ენის ახალი სიტყვების შესწავლისას გასათვალისწინებელია, რომ მისი (სალიტერატურო ენის) შემადგენლობის ცვლა და განახლება დაკავშირებულია სიტყვების გადაადგილებასთან ხმარების ერთი სფეროდან მეორეში. ამით ვლინდება მუდმივი ურთიერთკავშირი სალიტერატურო ენასა და დიალექტებს, სასაუბრო მეტყველებას, პროფესიონალურ ენებსა და ა. შ. შორის. ამიტომაც სალიტერატურო ენაში ჩნდება მისთვის ახალი, მაგრამ მის სხვა სფეროებში უკვე ცნობილი სიტყვები, რომელთაც **შეფარდებით ნეოლოგიზმებს** უწოდებენ; ასეთ ნოვაციათა სხვა მახასიათებელი კრიტერიუმების გათვალისწინებით, მათ **შიდა ნასესხობებსაც** უწოდებენ, ასევე — **სტილისტიკურ ნეოლოგიზმებსაც.** შიდა ნასესხობათა ნიმუშად, ფრანგულ ენაში, ითვლება არგოტიზმები, რომლებიც იწარმოებიან ბგერათა და მარცვალთა გადანაცვლების გზით და ეწოდებათ „ვერლანი“. მრავალი მათგანი ფართოდაა გავრცელებული და ასახულია ლექსიკონებშიც: meuf (femme), ouf (fou), chelou (louche), méfu (fumer).

მრავალი ლინგვისტი ასახელებს კონვერსიას სიტყვამაწარმოებელ ხერხად. კონვერსია არის სიტყვაწარმოების მორფოლოგიურ-სინტაქსური საშუალება, რომლის დახმარებით სიტყვა გადადის ერთი მეტყველების ნაწილიდან მეორეში, იცვლის რა მორფოლოგიური პარადიგმის სინტაქსურ ფუნქციას. მიუხედავად იმისა, რომ კონვერსიის დროს არ ხდება გარეგანი, მატერიალური ცვლილებები სიტყვის მორფოლოგიურ სტრუქტურაში, მაინც ნაწარმოები სიტყვის მეტყველების ნაწილის შეცვლის ფაქტი არ იძლევა საშუალებას, რომ კონვერსია მიეკუთვნოს სემანტიკურ პროცესებს. სიტყვაწარმოებითი ხერხების განსხვავება სემანტიკურებისაგან მდგომარეობს იმაში, რომ სემანტიკური ხერხების გამოყენებისას არ ხდება არავითარი ცვლილება სიტყვის მორფოლოგიურ აგებულებაში. თუმც, კონვერსიულ წარმონაქმნთა სემანტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ ზოგიერთი ერთეული ნაწარმოებია სემანტიკური პროცესების მონაწილეობით, ანუ ასეთ შემთხვევებში სემანტიკური ევოლუციის მოდელები (მეტაფორა, მეტონიმია, აზრის შევიწროება) გამოიყენება სიტყვამაწარმოებელ სა-

შუალებებთან ერთად. მაგალითად: gratter („ფხაჭნა, კაწვრა“) > la grate („გიტარა“). კონვერსივთა განსაზღვრული რაოდენობა წარმოქმნილია მეტონიმიის მონაწილეობით: une grolle („ყელიანი ფეხსაცმელი“) > groller („პანღური“).

ზემონათქვამის გათვალისწინებითა და ფრანგი ლინგვისტების ჟ. პრუვოსა და ჟ.-ფ. საბლეროლის (პრუვო, საბლეროლი) თვალსაზრისით, მართლზომიერია გამოიყოს ნეოლოგიზმთა სინტაქტიკურ-სემანტიკური ჯგუფები, რომლებიც შეიცავს: 1. ფუნქციის ცვლას (კონვერსია და სინტაქსურ/ლექსიკური შეთავსება, შეწყობა); 2. მნიშვნელობის გადააზრება (მეტაფორა, მეტონიმია და სხვა სტილისტიკური საშუალებები).

ზოგიერთი ლინგვისტი სემანტიკურ ნეოლოგიზმებს მიაკუთვნებს სხვადასხვა სახის ნასესხობებსაც, მაგ., club, schort, flanelle, pull-over, cellophane, star, catch და სხვ., მაგრამ ლინგვისტთა უმრავლესობა, ამ ჯგუფის ჩარჩოებში, განიხილავს მხოლოდ ე. წ. „შიდა ნასესხობებს“. თუმც, ნასესხობებს ეხება საქმე მაშინაც, როდესაც განიხილება ისეთი სიტყვების სემანტიკური ევოლუცია, რომლებიც ენაში შემოვიდნენ ათეული ან რამდენიმე ათეული წლის წინათ ერთი მნიშვნელობით, თანამედროვე ეტაპზე კი მიიღეს ახალი მნიშვნელობა. მაგალითად, ინგლისური სიტყვა icon, მნიშვნელობით „ნიშანი, სიმბოლო“ (Signe qui ressemble à ce qu'il désigne, à son référent (didact.), შევიდა ფრანგულ ენაში 1970 წელს; 20 წლის შემდეგ ამ სიტყვამ მიიღო ახალი მნიშვნელობა «იარლიყი» (une icône: symbole graphique affiché sur un écran d'ordinateur, qui représente et permet d'activer une fonction du logiciel (inform.). ახალი მნიშვნელობით ეს არსებითი სახელი, ოფიციალური რეკომენდაციების მიხედვით, იხმარება როგორც მდედრობითი სქესის სახელი (რობერი, 2009). ამგვარად, ნეოლოგიზმთა სინტაქტიკურ-სემანტიკურ ჯგუფებში შეიძლება შიდა ნასესხობების შეტანაც.

სიტყვათა სემანტიკური ევოლუცია საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობს; ზოგი სიტყვა ხმარებიდან გამოდის, ზოგი კი შედის ენაში, ახალი მნიშვნელობით. მაგალითად, სიტყვა casserole (f), რომელიც თანამედროვე ენაში იხმარება მნიშვნელობით «affaire compromettante ». პოლიტიკაზე საუბრისას, იყენებენ: il a une casserole / il n'a

pas de casserole. ეს სიტყვა, ეტიმოლოგიურად, მომდინარეობს ძველ-ფრანგული casse, poêle-დან და თანამედროვე ეტაპზე აქვს შემდეგი მნიშვნელობები (ლარუსი, 2009):

1. Ustensile de cuisine cylindrique à fond plat et à manche qui sert à cuire des aliments. Belgique. *Casserole à pression : autocuiseur.* Familier. *Passer à la casserole : être tué ; subir une épreuve pénible.*

2. Familier. Son, voix, instrument de musique discordants, peu mélodieux. *Chanter comme une casserole.*

3. Familier. Evénement, action dont les conséquences négatives nuisent à la réputation de quelqu'un.

*Traîner une casserole.*

ლექსიკონში (ლარუსი, 2009) მოცემულია კიდევ ერთი მნიშვნელობა:

4. Astron. *La Grande Casserole: la Grande Ourse. Constellation de la Casserole.*

ინგლისურ ენაში სიტყვათა სემანტიკური ცვლილებები, ამ უკანასკნელის განვითარების ეტაპების მიხედვით, ასევე უხვი მრავალფეროვნებით აღინიშნება, რაც ნათლად წარმოჩინდება ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში:

Old English *fæger* 'fit, suitable', Modern English-ში *fair*-ის ფორმით შემოვიდა და 'pleasant, enjoyable' აღნიშნავდა. მოგვიანებით კი 'beautiful'-ს და 'pleasant in conduct'-ს, რომლისაგანაც ზემოაღნიშნული ლექსიკური ერთეულის მეორე მნიშვნელობა მომდინარეობს: 'just, impartial'. სიტყვის პირველი მნიშვნელობა 'of light complexion'-ის შინაარსით მოიაზრებოდა, ხოლო სიტყვის მესამე ახალი მნიშვნელობა კი 'pleasant'-იდან განვითარდა, რომელიც საშუალოს, გამორჩეულის შინაარსით 'average-ს, mediocre'-ს აღნიშნავდა: e.g. *He only got a fair result in his exam.*

*Gentle* საშუალო ინგლისურში 'born of a good-family, with a higher social standing' მნიშვნელობებითაა ნასესხები.. მოგვიანებით აქედან განვითარდა 'courteous' და 'kind, mild in manners' შინაარსები, რამეთუ სწორედ ეს თვისებები მიიჩნეოდა საზოგადოების მაღალი ფენების მახასიათებელ თვისებებად (ჰაგოსი, ჯეფრი, 2000).

*Lewd* (ძველი ინგლისური *læwede*) თავდაპირველად 'non-ecclesiastical, lay'-ს ნიშნავდა, მოგვიანებით იგი 'uneducated, unlearned' მნიშ-

ვნელობით მოიაზრებოდა, რომლისაგანაც შემდეგ ‘vulgar, lower-class’ და through ‘bad-mannered, ignorant’, to ‘sexually insinuating’ მნიშვნელობები განვითარდა.

*Sophisticated* ‘unnatural, contaminated’ აღნიშნავდა, მაგრამ ახლა ეს უკანასკნელი ‘urbane, discriminating’ შინაარსით გამოიყენება. სიტყვა *sophistry* (ძველფრანგული შესატყვისი *sophistrie*) კვლავ თავდაპირველი ‘specious, fallacious reasoning’ მნიშვნელობით გამოიყენება. (სტოკუელი, მინკოვა, 2001).

*Artificial* თავდაპირველად ‘man-made, artful, skillfully constructed’, compare *artifice* ‘man-made construction’ ნიშნავდა, მაგრამ ‘natural’-თან შედარების შედეგად, მან ერთგვარად უარყოფითი შინაარსი შეიძინა, რამეთუ ყველაფერი, რაც ბუნებრივია, დადებითად მიიჩნევა (everything which is natural is regarded positively). (ჰარლი, ჰაიდი, 2003).

*Nice* (ლათინური *nescius* ‘not knowing') მე-13 საუკუნიდან ფიქსირდება ‘foolish’-ის მნიშვნელობით, შემდგომში კი ამ სიტყვამ ‘coy, shy’-ის მნიშვნელობები შეიძინა, ხოლო მე-16 საუკუნისათვის კი მასში ‘fastidious, dainty, subtle’ შინაარსები რეალიზდება, საიდანც მე-18 საუკუნისათვის უკვე ‘agreeable, delightful’ მნიშვნელობები განვითარდა.

*Silly* (ძველინგლისური *sēlig* ‘happy, fortuitous') მე-15 საუკუნისათვის ‘deserving of pity’ მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო შემდეგ ‘ignorant, feeble-minded’ და მოგვიანებით ‘foolish’ მნიშვნელობები შეიძინა.

*Fast* (ძვ. ინგლ. *fæste* ‘firm') მოგვიანებით ‘quick’-ის მნიშვნელობას იძენს. მისი თავდაპირველი შინაარსი ჯერ კიდევ ჩანს სიტყვაში: *steadfast* ‘firm in position’ (ტროგოტი, კლოსი, დეშერი, 2002.)

ფუნქციის შეცვლა და სახელდობრ, კონვერსია და ლექსიკურ/სინტაქსური შეთავსება, უნდა განვიხილოთ როგორც ენის სინტაქტიკურ-სემანტიკური ევოლუცია, რადგან აუცილებელია გავითვალისწინოთ არა მხოლოდ გრამატიკული და სინტაქსური ცვლილებები, არამედ სიტყვათა მნიშვნელობის შეცვლაც.

თანამედროვე ინგლისურში მრავლად შეინიშნება ისეთი სემანტიკური ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ისეთი ლექსიკური ერთეულებისაგან შედგება, როგორებიცაა: expansions, restrictions, amelio-

rations and deteriorations. ყურადღებას იქცევს სიტყვა: ‘*sanction’*-ის, მართლაც რომ ახლებური და ერთობ უცნაური შინაარსით წარმოქმნა-განვითარება. ამ უკანასკნელმა ორი, ერთიმეორისადმი საპირისპირო მნიშვნელობა შეიძინა. ერთ შემთხვევაში იგი აღნიშნავს: ‘to allow something’ (ნების დართვას რაიმეზე) *They sanctioned the proposal*, ხოლო მეორე შემთხვევაში — აკრძალვას გულისხმობს: *Britain imposed sanctions on the country*. ამ დროს ეს ლექსიკური ერთეული ნომინალური (სახელის) ფორმითაა წარმოდგენილი.

(მალკიელი, იაკობი 1993).

ამჟამად, ფრანგულ და ინგლისურ სასაუბრო ენებში დიდი რაოდენობის კონვერსივები გვხვდება. რეკლამის გავლენითა და გამონათქვამის გამარტივებისათვის გამოიყენება ზედსართავი სახელი ზმნიზედის ნაცვლად. ეს ტენდენცია, რომელიც არაკორექტულია გრამატიკული თვალსაზრისით, ფართოდაა გავრცელებული თანამედროვე სალაპარაკო ენაში: — Ça s’ouvre facile. (facilement); — Il faut vivre jeune. (à la manière des jeunes). ეს ფორმები აგებულია ერთი მოდელის მიხედვით: sentir bon, voler bas, chanter faux, coûter cher, parler fort, voir clair (ლარგერი, მიმრანი, გვ. 173).

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ უმეტეს შემთხვევაში, სასაუბრო ენის ნეოლოგიური კონსტრუქციები საერთო-სალიტერატურო ენაში შედის პრესის, ტელევიზიის, რეკლამის საშუალებით: ისინი ასახავენ მოდის მიმართულებას ენაში.

სიტყვათა ახალი ლექსიკურ/სინტაქსური შეთავსება შეიძლება განვიხილოთ შეთავსებადი ნეოლოგიის ჩარჩოებში, რომლის არსიც მდგომარეობს სინტაქსური კონსტრუქციის ცვლილებაში. შეთავსებადი ნეოლოგიზმების საკითხი ფრანგული და ინგლისური ნეოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე მეტად სადისკუსიო საკითხად მიიჩნევა.

როგორ განვიხილოთ ირიბი კონსტრუქციები ზმნებისა se rappeler de, pallier à; გარდამავალი კონსტრუქცია ზმნებისა pâmer, ironiser; აბსოლუტური კონსტრუქციები ზმნებისა, რომელთაც გააჩნიათ დამატებები il craint, je calme?

«ფრანგულ განმარტებით ლექსიკონში» («Vocabulaire expliqué du français» ლარგერ, მიმრანი), სათაურით „მნიშვნელობის ასხლეტა“,

გვხვდება ზმნათა აბსოლუტური კონსტრუქციების ნიმუშები, რომელთაც ჩვეულებრივ, ახლავთ დამატება: — *Il assure, le nouveau prof! (il est très intelligent, il se montre à la hauteur de sa tâche).* და პირიქით: — *Il craint (il n'est pas du tout compétent). — Ça craint! (c'est très désagréable, fâcheux).* შენიშვნაში, ავტორები ყურადღებას აქცევენ კონსტრუქციის ცვლილებას: ჩვეულებრივ, ზმნები

*assurer* და *craindre* იხმარება პირდაპირი დამატებით (ლარგენი, მიმრანი, გვ. 172). მსგავსმა კონსტრუქციებმა თავიანთი ადგილი ჰპოვეს ენაში, დაფიქსირებულნი არიან ლექსიკონებში და უნდა შეისწავლებოდნენ, უპირველეს ყოვლისა, სემანტიკური თვალსაზრისით. თუმც, ზმნათა ირიბი კონსტრუქციები *se rappeler de quelque chose, pallier à* ითვლებიან არასწორებად: *«On pallie généralement au manque de matériel par des hommes»* (Camus). *«Je prétends qu'en écrivant je me rappelle de toi, je ne commets un crime que si l'on postule que le langage s'est pétrifié il y a un siècle ou deux» (J. Laurent*) – (Le Petit Robert 2009). კონსტრუქცია se rappeler de ფრანგი გრამატიკოსების მიერ მცდარად მიიჩნევა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი იხმარება ადამიანის აღმნიშვნელ პირის ნაცვალსახელ-დამატებებთან: *«Tu te rappelles de moi?»* (რობერი, 2009).

ამგვარად, შევეცადეთ შეგვესწავლა ფრანგულ და ინგლისურ ენებში ბოლო ათწლეულებში შემოსულ ნეოლოგიზმთა სინტაქტიკურ-სემანტიკური ევოლუცია, რომელიც თანდათან პოულობს ასახვას ფრანგულ და ინგლისურ ლექსიკოგრაფიაში.

ლიტერატურა

**გილბერტი, 1973** — Gilbert L. Théorie du néologisme. Cahiers de l'Association internationale des études françaises. Volume 25, N° 1. 1973.

**ლანგერი, მიმრანი, 2004** —Larger N., Mimran R. Vocabulaire expliqué du français. CLEInternational. 2004.

**საბლეიროლესი, 1996** — Sablayrolles J.F. Néologismes et nouveauté. Cahier de lexicologie. Volume LX, 1996.

**რობერი, 2009** — Le nouveau Petit Robert, 2009.

**ლარუსი, 2009** — Le Petit Larousse, 2009.

**ტროგოტი, კლოსი, რიჩარდი, დეშერი, 2002** — Traugott, Elizabeth Closs and Richard B. Dasher 2002. *Regularity in Semantic Change.* Cambridge: University Press.

**სტოკუელი, მინკოვა, 2001** — Stockwell, Robert and Donka Minkova 2001. English words, history and structure. Cambridge: University Press.

**ჰაგისი, ჯეფრი, 2000** — Hughes, Geoffrey 2000. A history of English words. Oxford: Blackwell.

**ჰარლი, ჰაიდი, 2003** — Harley, Heidi 2003. English words. A linguistic introduction. Oxford: Blackwell.

**მალკიელი, იაკობ, 1993** — Malkiel, Yakov 1993. Etymology. Cambridge: University Press.

**TSIURI AKHVLEDIANI, GEORGE KUPARADZE**

## Semantic Word Derivation in Current French and English

Summary

Semantic derivation is considered to be a special way of lexical derivation, one of the means of creating new words, more precisely, new meanings with the help of the already existing word-forms, i.e. no borrowings or other means of word formation are required. The process in question is termed semantic neology. Semantic neology is of three types: 1.The change of a group of semas belonging to a particular lexeme via metaphor, metonymy or simile; 2. Conversion; 3. The so-called sociological form of semantic neology: shift of words from one field of usage to another.

The present paper is an attempt to study syntactic-semantic evolution of newly coined neologisms that for the last decade have entered French and English and are gradually finding their way in French and English lexicography.

მერი გიორგაძე, მანანა რუსიეშვილი

# კალამბურის კიდევ ერთი სახეობის თაობაზე

შეიძლება ვილაპარაკოთ ტერმინის „სიტყვათა თამაში“ ვიწრო და ფართო გაგებაზე. პირველ შემთხვევაში სიტყვათა თამაში ტოლფასია ცნებისა „კალამბური“ (დელაბასტიტა, 1996; გოტლიბი, 2005; რედფერნი, 1985). ამ ფენომენის ფართო თვალსაზრისით განხილვა კი გულისხმობს მის ფარგლებში, კალამბურის გარდა, მრავალი ჟანრობრივად მსგავსი ქვესახეობის გამოყოფას.

თავად ტერმინი კალამბური, როგორც ცნობილია, ფრანგული სიტყვიდან (calembour) მომდინარეობს, ნიშნავს სიტყვათა თამაშს, ხუმრობანარევ ან სარკასტულ ორაზროვან გამოთქმას და ემყარება სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვებისა და გამოთქმების ბგერითი მსგავსების კომიკურ, კონტექსტურ ინტერპრეტაციას. მაგალითად, ომონიმურ კალამბურში ამგვარი ეფექტი ომონიმურ სიტყვათა თამაშის ხარჯზე მიიღწევა:

**(1)** “Being in politics is just like playing golf: you are trapped in one bad lie after another”.

(პოლიტიკოსობა გოლფის თამაშს ჰგავს: ერთ არასწორ დარტყმას / ტყუილს მეორე მოსდევს).

როგორც ჩანს, გარდა ვერბალური ფორმით გადმოცემული კალამბურისა, შეიძლება ვისაუბროთ ვიზუალურ ან ვერბალურ-ვიზუალურ კალამბურზეც.

ამ სტატიის ძირითადი მიზანი სწორედ ამ ტიპის კალამბურის თვისებების შესწავლა და ანალიზია.

ცნობილია, რომ ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა ხერხით შეიძლება გამოიხატოს. მაგალითად, მეტაფორის აქტუალიზაციის რამდენიმე გზა არსებობს. გარდა ტრადიციული, ვერბალური ფორმისა, მეტაფორა შეიძლება გამოიხატოს ვიზუალური კოდითაც. ამგვარი აქტუალიზაციის დროს ვიზუალური მეტაფორა ინარჩუნებს

ვერბალური მეტაფორის ძირითად მახასიათებლებს, თუმცა მისი აღქმა, ვერბალიზაციის ნაცვლად, ხდება ვიზუალიზაციის მეშვეობით (ფორსვილი, 2006; რუსიეშვილი და დოლიძე, 2011; 2014). მსგავსად ვიზუალური მეტაფორისა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვიზუალური კალამბური არის კალამბურის ისეთი სახეობა, როდესაც ფოტო, ნახატი ან გრაფიკული გამოსახულება მოცემულია დამოუკიდებლად (ტექსტის გარეშე), ან ტექსტთან, სიტყვასთან ან ფრაზასთან ერთად, რაც გამოსახულების ან სიტყვებისა და გამოსახულების „შეერთებით" ქმნის სიტყვათა თამაშის ეფექტს; სიტუაციას კი, კონტექსტის კვალდაკვალ, ანიჭებს იუმორისტულ ან სარკასტულ ელფერს.

კვლევამ გვაჩვენა, რომ შეიძლება ვისაუბროთ ორი ტიპის ვიზუალურ კალამბურზე: საკუთრივ ვიზუალურ და ვერბალურ-ვიზუალურ კალამბურზე. პირველ შემთხვევაში სიტყვათა თამაშის ეფექტი მიიღწევა გარკვეული კონცეპტის ვიზუალურად გამოხატული გამოსახულებების თამაშის საშუალებით. ამის საილუსტრაციოდ, ქვემოთ (სურ. 1) ნაჩვენებია ერთი სიტყვის შინაარსის ვიზუალური გადააზრება:

**სურ. 1**



ფოტოზე მოცემული გამოსახულების საშუალებით ცხადი ხდება, რომ გამოსახულება ასახავს ინგლისურ სიტყვას **eggplant (ბადრიჯანი).** მინიშნება ეფუძნება ამ შედგენილი სიტყვის კომპონენტების ვიზუალიზაციას **(egg + plant: კვერცხი და მცენარე).** ცხადია, ვიზუალური კალამბური ვერ ინარჩუნებს ეფექტს სხვა ენაში და, ამგვარად, ვერბალური კალამბურის მსგავსად, შეიძლება მივიჩნიოთ სპეციფიკურ ლინგვისტურ-კულტურულ კატეგორიად.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვიზუალურ კალამბურში აქტუალიზებული სიტყვა, ვერბალურ დონეზე შეიძლება არც იყოს „ტრადიციული" კალამბური, მაგრამ მაინც ხასიათდებოდეს კალამბურის ეფექტით, ანუ ახდენდეს სიტყვის შემადგენელი კომპონენტების ვიზუალურ „კალამბურიზაციას".

ცხადია, რომ ვიზუალური კალამბური ახლოს დგას რებუსთან, თუმცა მათ შორის ძირითადი განსხვავებაა ის, რომ რებუსის დეკოდირება, გარდა გამოსახულებისა, მოითხოვს ასოების გამოყენებასაც, ხოლო ვიზუალური კალამბურის დეკოდირების წყარო მხოლოდ გამოსახულებაა.

ვიზუალური კალამბურისაგან განსხვავებით, ვერბალურ-ვიზუალური კალამბურის აღქმა ეფუძნება არა მხოლოდ ვიზუალურად, არამედ ვერბალურად გამოხატულ მინიშნებასაც, რომელიც აზუსტებს კალამბურის მნიშვნელობას. როგორც ვიზუალური, ისე ვერბალურ-ვიზუალური კალამბურის დეკოდირების სისწორის ხარისხი, ვერბალური კალამბურის მსგავსად, დამოკიდებულია აღმქმელი სუბიექტის მზაობის ხარისხზე.

**სურ. 2**



აქ (სურ. 2) ვერბალურ-ვიზუალური კალამბურის ეფექტი ეყრდნობა ერთი მხრივ, ფონეტიკურ მსგავსებას სიტყვების **do not (არა)** და **donut (კვერი, დონატი)**, ხოლო მეორე მხრივ, სიტყვებისა **leaf (ფოთოლი)** და **leave (დატოვება)**. აღქმის გასაიოლებლად, ვერბალურ კალამბურს ახლავს გამოსახულებაც.

**სურ. 3**




მსგავს ეფექტზეა დაფუძნებული სურათი 3, რომელიც თვალნათლივ გვიჩვენებს სიტყვების **meat (ხორცი)** და **meet (შეხვედრა)** ფონეტიკურ თამაშს. ასევე, ადვილად გასაგებია მასში მოცემული **catchup** ომოფონიური ფრაზის **catch up** მნიშვნელობაც.

**სურ. 4**



ამ (სურ. 4) მაგალითში მოცემული შედგენილი სიტყვის **veget-rails** ინტერპრეტაცია შეიძლება როგორც ვეგეტარიანელთა კვალი/ბილიკი ან ვეგეტარიანელთა მატარებელი **(Vegetrain)**. სურათზე ნათლად ჩანს სხვადასხვა ბოსტნეულის ჰორიზონტალური განლაგება, რაც, შესაძლოა, ქმნიდეს როგორც ბოსტნეულის კვალის, ისე მატარებლის ფორმას. ეს მაგალითი საინტერესოა იმითაც, რომ აქ კალამბურის სახალისო ეფექტი იქმნება თითოეული ბოსტნეულის სახელწოდების ომოფონური გადააზრების საშუალებით. **turnip - turn up, bean-been, pea-pee, lettuce -let us, carrot -care for.**

**სურ. 5**




ეს ვერბალურ-ვიზუალური კალამბური **(sleeping pill)** შეიძლება ორმაგი ინტერპრეტაციით შეგვხვდეს: როგორც საძილე საშუალება და როგორც მძინარე აბი. ვიზუალური გამოხატულება ამ შემთხვევაში სწორედ მეორე ინტერპრეტაციას ეყრდნობა.




**სურ. 6**

მოცემული ვერბალურ-ვიზუალური კალამბურის შემთხვევაში (სურ. 6) სახალისო ეფექტი მიიღწევა პოლისემანტური ფრაზული ზმნის **(Crack someone up)** მნიშვნელობების თამაშით. კერძოდ, ეს ფრაზული ზმნა ნიშნავს რაიმეს გატეხას, დაზიანებას და გამხიარულებასაც. ამ კონკრეტულ მაგალითში ამოტივტივდება მისი ორი მნიშვნელობა: **გატეხა** და **გამხიარულება.** აქაც, ვიზუალური გამოსახულება ხელს უწყობს ფრაზული ზმნის სწორ კონტექსტურ დეკოდირებას.

ცხადია, რომ, ერთი მხრივ, ვერბალური და, მეორე მხრივ, ვიზუალური და ვერბალურ-ვიზუალური კალამბური საერთო ნიშნებით ხასიათდება: ორივე ტიპის ერთეული ეფუძნება მნიშვნელობების თამაშს. კერძოდ, ვერბალური კალამბურის შემთხვევაში თამაში ეფუძნება ვერბალურ კონტექსტზე დამყარებულ სიტყვის მნიშვნელობებს. ხოლო ვერბალურ-ვიზუალური კალამბურის შემთხვევაში თამაში დამყარებულია ომოფონიაზე (სურ. 2, 3, 4 ), ფრაზის სტრუქტურულ გაფორმების ორაზროვნებაზე (სურ, 5) ან პოლისემიაზე (სურ. 6). საკუთრივ ვიზუალური კალამბური ეყრდნობა სიტყვის კომპონენტების ვიზუალურ კალამბურიზაციას (სურ 1). ყველა განხილულ შემთხვევაში გამოსახულება ასრულებს კონტექსტის როლს და განაპირობებს კალამბურის სწორ დეკოდირებას.

ლიტერატურა

**დელაბასტიტა, 1996** — (Delabastita, D: Wordplay and Translation: Introduction. In The Translator. Studies in Intercultural Communication. Volume 2, Number 2; special issue. Manchester: St. Jerome Publishing).

**გიორგაძე და რუსიეშვილი, 2013** — გიორგაძე მ., რუსიეშვილი მ. მონდეგრინი როგორც სიტყვათა თამაშის ერთი სახე, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება, საენათმეცნიერო ძიებანი, XXXV.

**გოტლიბი, 2005** — (Gottlieb, Henrik: “You Got the Picture?” On the Polysemiotics of Subtitling Wordplay. In Gottlieb, Henrik: Screen Translation. Eight Studies in Subtitling, Dubbing and Voice-over. Copenhagen).

**რედფერნი, 1985** — (Redfern, W. Puns. Oxford: Blackwell).

**რუსიეშვილი, დოლიძე 2011** — (Rusieshvili, Manana and Dolidze, Rusudan. ‘Towards the transposition of the monomdal metaphor into the multimodal metaphor’ (on the example of ‘Once Upon in America’) In: Linguisticsapplied, v.5.1)

**რუსიეშვილი, დოლიძე 2012** — (Rusieshvili, Manana and Dolidze, Rusudan. Multimodal metaphors in films and fiction ( Using the example of the literary text, script and film version of ‘the Godfather’. In : International Journal for Academic Disciplines, 2012, V O5, N25 pp. 303-310;)

**ფორსვილი, 2006** — (Charles Forceville. „Non-verbal and multimodal metaphor in a cognitivist framework: Agendas for research.“ In: Gitte Kristiansen, Michel Achard, René Dirven and Francisco Ruiz de Mendoza Ibàñez (eds.), Cognitive Linguistics: Current Applications and Future Perspectives, 379-402.Berlin/New York: Mouton de Gruyter).

**MARY GIORGADZE, MANANA RUSIESHVILI**

## Towards One More Type of Pun

Summary

The paper proposes a new type of pun: a visual (pictorial) one and suggests there are two subtypes - pictorial and verbal-pictorial. In addition, the characteristic features of each subtype are identified and compared to those of verbally expressed puns. It is also suggested that in the case of pictorial puns the role of the context is played by the image, whereas in the case of verbal - pictorial puns, by the text and image combined.

ნინო დარასელია

# წყლის ხატები დიკენსის ნაწარმოებებში

წინამდებარე ნაშრომი განიხილავს წყლის ხატთა ფუნქციებს, კოგნიტიურ და სტილისტურ დატვირთვას ჩარლზ დიკენსის რომანებში: „სიძველეთა ფარდული“ „ოლივერ ტვისტი“, „დეივიდ კოპერფილდი“, „პატარა დორიტი“, „დიდი იმედები“, „მძიმე დროება“, „ჩვენი საერთო მეგობარი“, „ორი ქალაქის ამბავი“. ემპირიული მასალა გაანალიზებულია დისკურსის ანალიზის (ბრაუნი და იული, 1983), სტილისტიკისა (ლიიჩი, 2007; ტულანი, 1988, 2008) და კოგნიტიური ლინგვისტიკის თვალსაზრისით (კოვეჩესი, 2008; ლეიკოფი, 1993; ლეიკოფი და ჯონსონი, 1980; სტოკუელი, 2005).

დიკენსის ნაწარმოებების კითხვისას უმალ გეუფლება გრძნობა, რომ წყლის სტიქია ავტორს განსაკუთრებით იზიდავს: წყალი დიკენსისეული პეიზაჟის მნიშვნელოვანი შტრიხია, ხშირად საკვანძო დატვირთვის მქონე; ავტორი წყლის მახასიათებლებს ოსტატურად იყენებს პერსონაჟთა და სხვადასხვა ობიექტთა დახასიათებისას; დაბოლოს, დიკენსთან წყალი კონცეპტუალური მეტაფორების საწყისს სფეროს (source domain) წარმოადგენს — წყლის ხატების მეშვეობით ისეთი აბსტრაქტული ცნებების კონცეპტუალიზაცია ხდება, როგორებიცაა სიკვდილი, სიცოცხლე, დრო, უკვდავება და ა.შ. (დარასელია, 2014)

ჰანს ბიდერმანის თანახმად, წყლის სიმბოლიკა უაღრესად ამბივალენტურია: ერთი მხრივ, წყალი ასოცირდება სიცოცხლესა და ნაყოფიერებასთან, სიწმინდესა და ღვთიურ კურთხევასთან, ნათლისღებასთან; მეორე მხრივ, კი ის განადგურების, სიკვდილისა და საიქიო ცხოვრების სიმბოლოსაც წარმოადგენს (ბიდერმანი, 1992: 373). კვლავ ჰ. ბიდერმანის თანახმად, ფსიქოანალიზის თეორიის თვალსაზრისით, წყალი არაცნობიერის სიმბოლოა (ბიდერმანი, 1992: 131); ძალიან ძნელია განსაზღვრო ცალკეული ხელოვანის შემოქმედებაში

ამა თუ იმ განმეორებადი მოტივისა თუ ხატის გენეზისი — არაცნობიერში დალექილი რომელი ან როგორი ცხოვრებისეული გამოცდილების ანარეკლს წარმოადგენს იგი. აღნიშნულ კავშირზე ჩვენ მხოლოდ ვარაუდების დონეზე შეგვიძლია მსჯელობა. შესაბამისად, შეკითხვაზე, თუ რამ განაპირობა წყლის ხატებისადმი დიკენსის ასეთი ინტერესი, შეიძლება შემდეგნაირად ვუპასუხოთ:

უპირველეს ყოვლისა, ბრიტანეთის ადგილმდებარეობამ — ზღვებითა და ოკეანით გარშემორტყმული კუნძულების მცხოვრებელთა ერთადერთი კავშირი დანარჩენ სამყაროსთან წყალზე გადის; დიკენსი ბრიტანეთის მნიშვნელოვან საპორტო ქალაქში, პორტსმუთში, დაიბადა, მამამისი ფლოტის საგადასახადო სამსახურის მოხელე იყო; თავის პერსონაჟთა დიდი ნაწილის მსგავსად, ცხოვრების უმეტესი ნაწილი ლონდონში, მდინარე ტემზას სიახლოვეს გაატარა; სწორედ ტემზა შეიძლება მივიჩნიოთ დიკენსის შთაგონების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ, წყალუხვი მდინარე, რომელიც ფართო დელტით ჩაედინება ზღვაში (ჩრდილოეთის ზღვაში) და უერთდება უსასრულობას... თუმცა ეს ყოველივე მხოლოდ ვარაუდია.

**წყლის ხატთა სიმბოლიკა დიკენსისეულ პეიზაჟში.** ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ წყლის ხატი დიკენსისეული პეიზაჟის არა უმნიშვნელო, რეალისტური შტრიხია, არამედ არსებითი ფუნქციური და კოგნიტიური დატვირთვის მატარებელი ერთეულია; დიკენსის სიტყვების პერიფრაზს თუ მოვიშველიებთ, შეიძლება ითქვას, რომ ცალკეული წყლის ხატი კამერტონივით ქმნის, ასახელებს იმ ტონალობას, რომელიც ბევრად განსაზღვრავს მთლიანად ნაწარმოების ნარატივში გაბატონებულ განწყობას (Cf დიკენსი 1988: 29). აღნიშნული სიტყვები დიკენსის ერთ-ერთი რომანიდან, „მძიმე დროებიდან“ არის; ვიქტორიანული ეპოქის ფიქტიური ინდუსტრიული ქალაქის, კოუკტაუნის, ურბანისტული პეიზაჟის აღწერას დიკენსი იმ ძირითად ტონალობას (key-note) უწოდებს, რომელიც ავტორმა მთელ ნარატივში უნდა შეინარჩუნოს:

**Let us strike the key-note, Coketown, before pursuing our tune.**

It was a town of red brick, or of brick that would have been red if the smoke and ashes had allowed it; but as matters stood, it was a town of unnatural red and black like the painted face of a savage. It was a town of machi-

nery and tall chimneys, out of which interminable serpents of smoke trailed themselves for ever and ever, and never got uncoiled. **It had a black canal in it, and a river that ran purple with ill-smelling dye,** and vast piles of building full of windows where there was a rattling and a trembling all day long, and where the piston of the steam-engine worked monotonously up and down, like the head of an elephant in a state of melancholy madness. It contained several large streets all very like one another, and many small streets still more like one another, inhabited by people equally like one another, who all went in and out at the same hours, with the same sound upon the same pavements, to do the same work, and to whom every day was the same as yesterday and to-morrow, and every year the counterpart of the last and the next.

***Hard Times p.29***

Down upon **the river that was black and thick with dye**, some Coketown boys who were at large – a rare sight there – rowed a crazy boat, which made a spumous track upon the water as it jogged along, **while every dip of an oar stirred up vile smells**

***Hard Times, p.120***

The whelp went home, and went to bed. If he had had any sense of what he had done that night, and had been less of a whelp and more of a brother, he might have turned short on the road, might have gone down **to the ill-smelling river that was dyed black**, **might have gone to bed in it for good and all, and have curtained his head for ever with its filthy waters**.

***Hard Times* p.145**

შავი არხი და საღებავისაგან შესქელებული, იასამნისფრად შეღებილი, მყრალი მდინარე კვამლისა და ჭვარტლისგან ჩაშავებული პატარა ინდუსტრიული ქალაქის სიმბოლოდ აღიქმება.

როგორც ცნობილია, „მძიმე დროება“ წარმოადგენს სატირას უტილიტარიზმზე, უტილიტარულ საზოგადოებაზე, რომელიც მოხმარებაზე, გამორჩენასა და სარგებელზეა ორიენტირებული, ბუნება და ბუნებრიობა, ადამიანისათვის ჩვეული ემოციები და სენტიმენტები კი უგულებელყოფილია. ყოველი და ყოველივე სამყაროში ციფრებითა და ზუსტი გამოთვლებით იზომება და ფასდება; თავად კოუკტაუნი ნაწარმოებში დახასიათებულია, როგორც „ფაქტებისადმი ერთგული“ (sacred to facts) ქალაქი, „ფაქტთა ტრიუმფი“ (triumph of facts). ნარატივში ხშირად განმეორებადი შავი, აყროლებული მდინარის ხატი აღიქმება, როგორც მეტაფორა ცხოვრების იმ წესისა, იმ წუმპისა

(ditch), რომელშიც ნაწარმოების გმირები იმყოფებიან; მათ შორისაა თვით მისტერ ბაუნდერბიც, ე. წ. „თვითშემოქმედი“ პიროვნება (a self-made man), „წუმპიდან მწვერვალისკენ თავად რომ გაიკვლია გზა“;

‘I passed the day **in a ditch, and the night in a pigsty**. That’s the way I spent my tenth birthday. Not that a ditch was new to me., for **I was born in a ditch**.’ (*Hard Times , p.21)*

თუმცა, როგორც ნაწარმოებიდან ირკვევა ეს მწვერვალი მოჩვენებითია, მხოლოდ მისი ილუზიის ნაყოფია.

გარდა ზემოხსენებული მდინარის შთამბეჭდავი ხატისა, აღნიშნულ ნაწარმოებში წარმოდგენილ პეიზაჟებში ჭარბობს უარყოფითი კონოტაციის მატარებელი წყლის ხატები: ditch (წუმპე), moor (ჭაობნარი), mud (ტლაპო):

Stone Lodge was situated on **a moor** within a mile or two of a great town – called Coketown in the present faithful guide-book.

***Hard Times p13***

In boastful proof of his promptitude and activity, as a remarkable man, and a commercial wonder more admirable than Venus, who, had risen out of the **mud** instead of the sea…

***Hard Times p211***

საყურადღებოა, რომ „მძიმე დროების“ სტრუქტურა სახარებისეულ შეგონებას ეფუძნება: პავლე მოციქულის სიტყვები გალატელთა (6) მიმართ ქმნის ნაწარმოების სიუჟეტური ხაზის კოგნიტიურ საფუძველს:

7. ნუ მოტყუვდებით, ღმერთი არ შეურაცხყოფს, ვინაიდან, რასაც დათესავს კაცი, იმას მოიმკის.

8. ვინც თავის ხორცისთვის თესავს. ხორცისგან მოიმკის ხრწნილებას, ხოლო ვინც სულისთვის თესავს, სულისგან მოიმკის მარადიულ სიცოცხლეს.

9. სიკეთის კეთება ნუ მოგვეწყინება, რადგან თავის დროზე მოვიმკით, თუ არ მოვდუნდებით.

ზემომოყვანილი პასაჟი აისახება ნაწარმოების სამნაწილიანი სტრუქტურის სახელწოდებებში: ნაწილი პირველი „თესვა“ (Sowing), ნაწილი მეორე „მკა“ (Reaping), ნაწილი მესამე ,მომკილის ბეღელში დაბინავება“ (Garnering). ვინაიდან რომანის გმირები „ხორცისთვის თესდნენ და არა სულისთვის, მათ მოიმკეს „ხრწნილება“, ამის დას-

ტურია სწორედ წუმპის, ჭაობნარისა და ხრწნადი, წაბილწული მდინარის ხატები, რომლებიც მთლიანი ნარატივის ფონზე სიმბოლურ დატვირთვას იძენენ, და ამძაფრებენ სარკაზმს უტილიტარიზმზე, აქცევენ „მძიმე დროებას“ დისტოპიურ/ანტიუტოპიურ რომანად.

აღნიშნულ რომანში მრავალ ბიბლიურ ალუზიას შორის ყურადღებას იპყრობს წყალთან ასოცირებული ალუზიები, მაგალითად, ალუზია მათესა (8:26) და მარკოზის (4:39) სახარებებზე, კერძოდ, ქრისტეს მიერ ქარისა და ზღვის დადუმების ეპიზოდზე:

It was not the touch he needed most at such a moment - **the touch that could calm the wild waters of his soul, as the uplifted hand of the sublimest love and patience could abate the raging of the sea …**

***Hard Times p86***

Slackbridge, the orator, looked about him with a withering smile; and, **holding out his right hand at arm's length (as the manner of all Slackbridges is), to still the thundering sea, waited until there was a profound silence.**

***HHard Times p148***

ზემომოყვანილ პირველ მაგალითში რომანის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირის, სტივენ ბლეკპულის, სულიერი მდგომარეობა შედარებულია აბობოქრებულ წყლებს, რომელთა დაშოშმინებისთვის მისთვის ძვირფასი ადამიანის ხელის შეხებაა საკმარისი; ამ უკანასკნელის ძალა კი შედარებულია ქრისტეს (ანუ  როგორც ის რომანშია სახელდებული „უსაზღვრო სიყვარულისა და მოთმინების“) ზემოაწეული ხელის ძალას, რომელმაც აბობოქრებული ზღვა დაადუმა.

მეორე მაგალითშიც  სახარებისეულ ალუზიას ვხვდებით, თუმცა დიკენსის დამოკიდებულება აქ განსხვავებულია: მუშათა თავყრილობაზე გამოსვლისას მუშათა პროფესიული გაერთიანების ლიდერი, სლეკბრიჯი, მარჯვენა ხელის ზემოთ აწევით ცდილობს დააშოშმინოს „მოგუგუნე ზღვა“ (ზღვა აქ ხალხის მასის მეტაფორაა). მკვეთრი კონტრასტი ზეაწეულ, ამაღლებულ სულიერებით გაჯერებულ სახარებისეულ ტექსტსა და მიწიერ, მომხმარებლურ, სულიერებას მოკლებულ, ძალადობრივ თემატიკას შორის სარკასტულ ჟღერადობას სძენს აღნიშნულ მონაკვეთს.

ასევე რელიგიური არქიტექტონიკის მქონე „პატარა დორიტის“ საწყისი პასაჟები  წარმოგვიდგენენ რომანის ძირითად მოტივს — კონტრასტს ზეციურ და მიწიერ ფასეულობებს შორის, სულიერ თა-

ვისუფლებასა და სხვადასხვა ტიპის მიწიერი ტყვეობის ფორმებს შორის, და ყოველივე ეს მარინისტული პეიზაჟის მეშვეობით ხორციელდება — მკაფიო სადემარკაციო ზოლი ნავსაყუდელის შავ, ბინძურ წყალსა და მშვენიერ ლურჯ ზღვას შორის, თითქოსდა, ზემომოყვანილი კონტრასტის ანარეკლია.

There was no wind to make a ripple on the foul water within the harbour, or on the beautiful sea without. The line of demarcation between the two colours, black and blue, showed the point which the pure sea would not pass; but it lay as quiet as the abominable pool, with which it never mixed.

***Little Dorrit, Book the First:Poverty, Chapter 1 Sun and Shadow***

აღნიშნულ რომანში დიკენსი ადამიანებს, მათ შორის საკუთარ თავსაც, მოუსვენარ მოგზაურებს, მოხეტიალეებს, ცხოვრების პილიგრიმებს უწოდებს, აღნიშნული გამონათქვამით ავტორი, თითქოსდა, ახდენს ინიციაციის არქეტიპის აქტუალიზაციას:

And thus ever by day and night, under the sun and under the stars, climbing the dusty hills and toiling along the weary plains, journeying by land and journeying by sea, coming and going so strangely, to meet and to act and react on one another, **move all we restless travellers through the pilgrimage of life.**

***Little Dorrit, Book the First:Poverty, Chapter 2 Fellow Travellers***

რომანის დასასრულს სრულდება მთავარი მოქმედი პირების ცხოვრებისეული პილიგრიმობა, ინიციაციის რთული გზა, და ეს სულიერი განწმენდა კვლავ პეიზაჟში აისახება, განსაკუთრებით კი პეიზაჟის მარინისტულ მონაკვეთში — განსხვავებით რომანის გამხსნელი პასაჟისა, რომელშიც კონტრასტი ბნელსა და ნათელს შორის მკაფიოდ აისახება ზღვის კამკამა ლურჯ და ჩაშავებულ მონაკვეთებს შორის, დამაბოლოვებელი მარინისტული პეიზაჟი მზის სხივებში მოელვარე ზღვას აღგვიწერს:

On a healthy autumn day, the Marshalsea prisoner, weak but otherwise restored, sat listening to a voice that read to him. On a healthy autumn day; when the golden fields had been reaped and ploughed again, when the summer fruits had ripened and waned, when the green perspectives of hops had been laid low by the busy pickers, when the apples clustering in the orchards were russet, and the berries of the mountain ash were crimson among the yellowing foliage. Already in the woods, glimpses of the hardy winter that was coming were to be caught through unaccustomed openings among the boughs

where the prospect shone defined and clear, free from the bloom of the drowsy summer weather, which had rested on it as the bloom lies on the plum. **So, from the seashore the ocean was no longer to be seen lying asleep in the heat, but its thousand sparkling eyes were open, and its whole breadth was in joyful animation, from the cool sand on the beach to the little sails on the horizon, drifting away like autumn-tinted leaves that had drifted from the trees.**

***Little Dorrit, Book the Second: Riches, Chapter 34, Gone***

სიმბოლური ღირებულებისაა „დიდი იმედების“ საწყის მონაკვეთში წარმოდგენილი პეიზაჟი — ველური ქარების საბუდრად ქცეული ზღვისა და ტყვიისფერი მდინარის მიმდებარე ნისლიანი ჭაობნარი სოფლის სასაფლაოთი; აღნიშნულ პეიზაჟს მისტიკური ჟღერადობა შემოაქვს რომანში, რაც სიუჟეტის დრამატულ ხაზს ეხმიანება:

**Ours was the marsh country, down by the river, within, as the river wound, twenty miles of the sea**. My first most vivid and broad impression of the identity of things, seems to me to have been gained on a memorable raw afternoon towards evening. At such a time I found out for certain, that this bleak place overgrown with nettles was the churchyard; and that Philip Pirrip, late of this parish, and also Georgiana wife of the above, were dead and buried; and that Alexander, Bartholomew, Abraham, Tobias, and Roger, infant children of the aforesaid, were also dead and buried; and that the dark flat wilderness beyond the churchyard, intersected with dykes and mounds and gates, with scattered cattle feeding on it, was the marshes; and that **the low leaden line beyond was the river; and that the distant savage lair from which the wind was rushing, was the sea;** and that the small bundle of shivers growing afraid of it all and beginning to cry, was Pip.

***Great Expectations, Chapter 1***

**წყლის ხატთა ტრანსფორმაციები.** დიკენსთან ცალკეული რომანის მსვლელობისას წყლის რეპრეზენტაციები სხვადასხვა ტიპის მეტამორფოზას განიცდიან; წყლის ხატი, როგორც პეიზაჟის დომინანტური ერთეული, ცალკეული სცენის, თავის ან მთლიანად რომანის ფონის შემქმნელი, თანდათანობით, მეტაფორიზაციის, კერძოდ, პერსონიფიკაციის გზით ფიგურად შეიძლება იქცეს; როგორც უკვე აღინიშნა ჩემს ერთ-ერთ წინარე ნაშრომში (დარასელია, 2014), თავის ქმნილებებში დიკენსი არა მზა მეტაფორებს გვთავაზობს, არამედ მეტაფორის ქმნადობის რთულ პროცესს წარმოგვიდგენს. ამის შესანიშნავი მაგალითია „ორი ქალაქის ამბავი“, რომელიც 1789-1804 წლების საფრანგეთის რევოლუციის მოვლენებს ასახავს...

ქვემომომოყვანილი დიაგრამა აჩვენებს აღნიშნულ რომანში გამოყენებულ წყლის ხატებს, მათი გამოყენების სიხშირეს, მნიშვნელობასა და ფუნქციას/ებს. სიუჟეტის განვითარებასთან ერთად განსაკუთრებულ დატვირთვას შადრევნისა და ზღვის რეპრეზენტაციები იძენენ; რომანის მსვლელობისას ერთმანეთისაგან იზოლირებული ინდივიდები (ცალკეული ინდივიდის სული კი დიკენსისთვის ამოუცნობი, წყლით დაფარული საგანძურია) ერთიანდებიან შადრევნებთან მოჩურჩულე უკმაყოფილო ადამიანთა ჯგუფებად; სიუჟეტური ხაზის განვითარებასთან ერთად სწორედ შადრევანი იქცევა უკმაყოფილო ინდივიდთა ჯგუფების მეტაფორად (აღნიშნულ შემთხვევაში მეტაფორა მეტონიმური ჩანაცვლების შედეგად მიიღება: ნაწილი, შადრევანი, ჩაენაცვლება მთელს — შადრევანთან მოჩურჩულე გაბოროტებულ ინდივიდთა ჯგუფს). უკმაყოფილო ინდივიდთა ჯგუფები კი თანდათანობით მეამბოხე ხალხის მასად, გამანადგურებელ ზღვად, ოკეანედ, წყალდიდობად, წარღვნად წოდებულ ბრბოდ ტრანსფორმირდება. წყლის ხატების ასეთი ოსტატური გამოყენებით დიკენსი შლის ზღვარს ფიგურასა და ფონს შორის და მათი შერწყმის საფუძველზე წარმოქმნის ახალ ფიგურებს: შადრევნად სახელდებულ უკმაყოფილო ინდივიდთა ჯგუფს ზღვად და ა.შ წოდებულ ხალხთა მასას (დარასელია 2014).

| Term/ ტერმინი | Frequency სიხშირე | Literal პირდაპირი | Simile სიმილე | Quantifier რაოდენობრივი მსაზღვრელი | Metaphor მეტაფორა |
|---|---|---|---|---|---|
| Channel/სრუტე | 2 | 2 | | | |
| deluge/წარღვნა | 2 | | | | 2 |
| ditch/წუმპე | 3 | 3 | | | |
| flood/წყალდიდობა | 1 | | | | |
| fountain/შადრევანი | 42 | 40 | | | 2 |
| kennel/არხი | 1 | 1 | | | |
| ocean/ოკეანე | 6 | 2 | | | 4 |
| pool/გუბე | 1 | 1 | | | |
| puddle/გუბურა | 1 | 1 | | | |
| river/მდინარე | 9 | 9 | | | |
| sea/ზღვა | 28 | 8 | 4 | 3 | 13 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| spring/წყარო | 1 | | | | 1 |
| water/წყალი | 19 | 10 | 3 | | 6 |
| waters/წყლები | 3 | | 1 | | 2 |
| waterfall/ჩანჩქერი | 1 | | 1 | | |
| waterfall/ჩანჩქერი | 1 | | 1 | | |
| watersport/წყლის ქარბობალა | 1 | | | | 1 |
| well/ჭა | 3 | 1 | | 2 | |
| whirlpool/მორევი | 1 | | 1 | | |

როგორც დიკენსის ერთ-ერთი ბიოგრაფი, პიტერ ეკროიდი აღნიშნავს: „ლონდონმა შექმნა დიკენსი, ისევე როგორც დიკენსმა შექმნა ლონდონი“ (ეკროიდი, 1987). ლონდონი კი წარმოუდგენელია მდინარე ტემზის გარეშე. როგორც აღინიშნა, იგი დიკენსის შთაგონების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა; დიკენსის პერსონაჟთა მნიშვნელოვანი ნაწილი დიდი მდინარის სანაპიროების მახლობლად ცხოვრობს, მუშაობს და კვდება. რომანებში ტემზა განსხვავებულ ელფერსა და დატვირთვას იძენს:

(ა) ზოგიერთი პერსონაჟისთვის იგი არსებობის წყაროა: ჯესი „gaffer“ ჰექსამი „ჩვენი საერთო მეგობრიდან“ ტემზაში დამხრჩვალთა გვამებს ძარცვავს და ამით ცხოვრობს;

(ბ) „ჩვენ საერთო მეგობარში“ ტემზა განწმენდის, ნათლისღებისა და აღდგომის სიმბოლოებად წარმოგვიდგება: ტემზაში დახრჩობას გადარჩენილი რომანის მთავარი მოქმედი პირი, ჯონ ჰარმონი და ასევე, იუჯინ ვრეიბერნი განსხვავებულ პიროვნებებად იქცევიან;

ასევე იცვლება ტემზის წყალს „ნაზიარები“ პიპი „დიდი იმედებიდან“ — იგი აცნობიერებს თავის ეგოიზმსა და ქედმაღლობას მეგვიჩისა და ჯოს მიმართ;

(გ) „დიდ იმედებში“ აბელ მეგვიჩისთვის ტემზა ძველი ცხოვრებიდან თავის დაღწევისა და ახალი ცხოვრების დაწყების გზაა.

ტემზა ლონდონის დამანაწევრებელიც არის და ასევე, მასზე გადებული მრავალი ხიდის მეშვეობით, გამაერთიანებელიც. თუმცა ზოგიერთი პერსონაჟისთვის ქალაქის ერთი ნაწილიდან მეორეში დამაკავშირებელი ხიდით გადასვლა ფსიქოლოგიურად რთულია: ლონდონის ცალკეული უბანი გარკვეულ სოციალურ ფენასთან ასოცირდება, ხიდზე ფიზიკურად გადაადგილება სოციალურ და ფსიქოლოგიურ

ბარიერებს ვერ ანეიტრალებს. ასეთი სიმბოლური დატვირთვა აქვს ლონდონის ხიდს „ოლივერ ტვისტში“: მისტერ ბრაუნლოუსა და როუზ მეილის შეთავაზებისდა მიუხედავად, ნენსი უარს ამბობს გადაკვეთოს მათთან ერთად ხიდი, ახალი ცხოვრება დაიწყოს, გაწყვიტოს კავშირი ფეიგინისა და ბილ საიკსის ბნელ სამყაროსთან.

**წყალთან ასოცირებული კონცეპტუალური მეტაფორები დიკენსთან.** თავის რომანებში, კერძოდ, შესწავლილ რომანთა უმეტესობაში იმპლიციტურად, თუ ექსპლიციტურად, დიკენსი ახდენს წყალთან ასოცირებული კონცეპტუალური მეტაფორების აქტუალიზაციას: **ცხოვრება — გამდინარე წყალია; ცხოვრება — მდინარეა; დრო — გამდინარე წყალია/ მდინარეა; უკვდავება — ზღვაა/ ოკეანეა; სიკვდილი/ საიქიო ცხოვრება— ზღვაა.**

მაგალითად, სამი კონცეპტუალური მეტაფორის — **დრო გამდინარე წყალია, დრო მდინარეა, ცხოვრება მდინარეა —** თანადროულ აქტუალიზაციას ვხვდებით ,„დეივიდ კოპერფილდის“ ერთ-ერთ მონაკვეთში: დეივიდ კოპერფილდისთვის წარსული, ბავშვობის მიმქრალი მოგონებები მცენარეული საფარით დაბურული, დამშრალი მდინარის კალაპოტია, თავის წარმოსახვაში დეივიდი ცდილობს იპოვოს გარკვეული ნაკვალევი დამშრალ კალაპოტში, რათა აღადგინოს წყლის დინების მიმართულება — ანუ, იგი ცდილობს აღადგინოს ბავშვობის მოგონებები, თუმცა მხოლოდ გარკვეულ მკაფიო შთაბეჭდილებათა ვიზუალიზაციას ახერხებს:

My school days! The silent gliding on of my existence – the unseen, unfelt progress of my life – from childhood up to youth! **Let me think, as I look back upon that flowing water, now a dry channel overgrown with leaves, whether there are any marks along its course by which I can remember how it ran.**

***David Copperfield, Chapter XVIII, A Retrospect***

ინტერესს იწვევს პატარა პოლის ავადმყოფობისა და სიკვდილის ამსახველი თავი (XVI) — „რას ამბობენ გამუდმებით ტალღები“ — რომანიდან „დომბი და ვაჟიშვილი“; დასუსტებული, საწოლს მიჯაჭვული პატარა პოლი გამუდმებით ფიქრობს ქალაქში გამდინარე შეუჩერებელ, დაუმორჩილებელ, სწრაფ მდინარეზე (იგულისხმება ტემზა), რომელიც მის ნავს ზღვისკენ, ოკეანისკენ მიაქანებს; როგორც ცნობილია, ანტიკურ მითოლოგიასა და ასევე, ქრისტიანულ იკონოგრაფიაში ნავით გადაადგილება ადამიანის ცხოვრებისეული მოგზაუ-

რობის სიმბოლოა. როგორც უკვე აღინიშნა, დიკენსთან ზღვა და ოკეანე უკვდავების, უსასრულობისა და საიქიო ცხოვრების მეტაფორაა. თავის წარმოსახვაში პოლი ცდილობს თავისი პატარა ხელებით შეაჩეროს მდინარის სწრაფი დინება, თუმცა ამაოდ:

His fancy had a strange tendency to wander to the river, which he knew was flowing through the great city; and now he thought how black it was, and how deep it would look, reflecting the hosts of stars and more than all, how steadily it rolled away to meet the sea.

His only trouble was, the swift and rapid river. He felt forced, sometimes, to try to stop it to stem it with his childish hands or choke its way with sand and when he saw it coming on, resistless, he cried out!

'How fast the river runs, between its green banks and the rushes, 'Floy! But it's very near the sea. I hear the waves! They always said so!'

Presently he told her the motion of the boat upon the stream was lulling him to rest. How green the banks were now, how bright the flowers growing on them, and how tall the rushes! Now the boat was out at sea, but gliding smoothly on. And now there was a shore before him. Who stood on the bank!

The golden ripple on the wall came back again, and nothing else stirred in the room. The old, old fashion! The fashion that came in with our first garments, and will last unchanged until our race has run its course, and the wide firmament is rolled up like a scroll. The old, old fashion Death!

Oh thank god, all who see it, for that older fashion yet, of Immortality! And look upon us, angels of young children, with regards not quite estranged, when the swift river bears us to the ocean!

**დამხრჩვალი ინდივიდის ხატი.** დიკენსთან წყალი, ერთი მხრივ, სიცოცხლის წარმომქმნელი ელემენტია, ხოლო, მეორე მხრივ, სიცოცხლის გამანადგურებელი სტიქია; დიკენსის რომანებში ერთ-ერთ განმეორებად ხატს დამხრჩვალი ინდივიდის ხატი წარმოადგენს; აღნიშნულ ხატს ავტორი ხშირად მიმართავს მხატვრული შედარებისას:

…the gaoler was so unwholesomely bloated, both in face and person, as to look like a man who had been drowned and filled with water.

*A Tale of Two Cities, p.269*

All this was seen in a moment, as the vision of a drowning man, or of any human creature at any very great pass, could see a world if it were there.

*A Tale of Two Cities, p. 275*

დამხრჩვალი ინდივიდისადმი ინტერესი ვლინდება მწერლის პუბლიცისტურ ნაწარმოებში „არაკომერციული მგზავრი“, რომელშიც აღწერილია დიკენსის ხშირი ვიზიტები პარიზის მორგში დამხრჩვალთა ნახვის მიზნით. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ინტერესი, ერთი მხრივ, შეიძლება აიხსნას დიკენსის ეპოქაში დამხრჩვალთა მაღალი სტატისტიკით, ხოლო, მეორე მხრივ, თავად ავტორის უჩვეულო დამოკიდებულებით აღნიშნული საკითხისადმი. თავად დიკენსს ძალიან უყვარდა ლონდონის (განსაკუთრებით, ღამის ლონდონის) ქუჩებში ხეტიალი, ტემზის სანაპიროზე გასეირნება, წყლისპირას ჩაფიქრება, და ალბათ, „ძველმანების ფარდულის“ მთხრობელის მსგავსად იმის გაფიქრება, რომ „წყალში დახრჩობა თავის მოკვლის ყველაზე ადვილი და სწრაფი საშუალებაა“:

Night is generally my time for walking. In the summer I often leave home early in the morning, and roam about fields and lanes all day, or even escape for days or weeks together; but, saving in the country, I seldom go out until after dark, though, Heaven be thanked, I love its light and feel the cheerfulness it sheds upon the earth, as much as any creature living.

I have fallen insensibly into this habit, both because it favours my infirmity and because it affords me greater opportunity of speculating on the characters and occupations of those who fill the streets. The glare and hurry of broad noon are not adapted to idle pursuits like mine; a glimpse of passing faces caught by the light of a street-lamp or a shop window is often better for my purpose than their full revelation in the daylight; and, if I must add the truth, night is kinder in this respect than day, which too often destroys an air-built castle at the moment of its completion, without the least ceremony or remorse.

Then, the crowds for ever passing and repassing on the bridges (on those which are free of toil at last), where many stop on fine evenings looking listlessly down upon the water with some vague idea that by and by it runs between green banks which grow wider and wider until at last it joins the broad vast sea--where some halt to rest from heavy loads and think as they look over the parapet that to smoke and lounge away one's life, and lie slee-

ping in the sun upon a hot tarpaulin, in a dull, slow, sluggish barge, must be happiness unalloyed--and where some, and a very different class, pause with heavier loads than they, remembering to have heard or read in old time that drowning was not a hard death, but of all means of suicide the easiest and best.

**წყლის ხატები ობიექტთა დახასიათებისას.** დიკენსი ოსტატურად იყენებს წყლის ხატებს ობიექტთა (საგანთა, ინდივიდთა) დასახასიათებლად — (იხ. დარასელია, 2014); ასე მაგალითად, მის ჰავიშემის („დიდი იმედები“) მცენარეებით დაბურული ბაღი დახასიათებულია, როგორც „მწვანე ზღვა“/‚green sea’; ცირკის მსახიობის მიერ ჰაერში ოსტატურად დატრიალებული მძიმე, რკინის ნივთები შადრევნის ფორმას ქმნიან („მძიმე დროება“); ასევე „მძიმე დროების“ ერთ-ერთი მოქმედი პირის, მათემატიკის მასწავლებლის — მისტერ გრედგრაინდის აღქმით, კოუკტაუნის ბიბლიოთეკაში მკითხველები ეცნობიან ცხრილებად წარმოდგენილ სტატისტიკურ ინფორმაციას, რომელიც „პატარა მდინარეების სახით ჩაედინება მძვინვარე ოკეანეში“; კვლავ „მძიმე დროებაში“ მიმქრალი მზე შედარებულია სევდიან ზღვას (იხ.ქვემოთ), აქ მრავალი სხვა მაგალითის მოყვანა შეიძლება.

He was also to exhibit ‘his astounding feat of throwing seventy-five hundredweight in rapid succession backhanded over his head thus forming a fountain of solid iron in mid air…

*Hard Times, p.17*

There was a library in Coketwon to which general access was easy. Mr.Gradgrind greatly tormented his mind about what the people read in this library: a point whereon little rivers of tabular statements periodically flowed into the howling oceans of tabular statements, which no diver ever got to any depth in and came up sane.

*Hard Times . p. 58*

Everything looked wan at that hour. Even the coming sun made but a pale waste in the sky. like a sad sea.

*Hard Times p.174*

ამრიგად, ჩ.დიკენსის 9 რომანის სტილისტური, კოგნიტიური და დისკურსის ანალიზის თვალსაზრისით კვლევამ ცხადყო, რომ:

1.დიკენსისეული ნარატივი გაჯერებულია სხვადასხვა ტიპის წყლის ხატით;

2. დიკენსთან წყლის ხატები არ წარმოადგენენ სტატიკურ მოცემულობებს, ისინი მრავალფეროვან ტრანსფორმაციას განიცდიან: (ა) წარმოადგენენ პეიზაჟის მნიშვნელოვან ერთეულს; (ბ) ასრულებენ ნარატივის განწყობის შემქმნელ კამერტონის როლს; (გ) წარმოადგენენ ობიექტთა (საგნთა თუ ინდივიდთა) დასახასიათებელ ეფექტურ საშუალებას; (დ) ფონიდან ფიგურად გარდაიქმნებიან; (ე) ქმნიან კონცეპტუალური მეტაფორების საწყისს სფეროს.

ზემოჩამოთვლილი მახასიათებლები დიკენსისეულ ნარატივს კოჰერენტულს, რიტმულსა და დინამიკურს ხდის.

ლიტერატურა

**ბიდერმანი, 1992** — Biedermann, Hans, 1992. *Dictionary of Symbolism*. Hertfordshire: Wordsworth Reference.

**დარასელია, 2014** — დარასელია, ნინო. „მეტაფორის ქმნადობა ჩ. დიკენსის რომანში *ორი ქალაქის ამბავი.*" „საენათმეცნიერო ძიებანი" № 36, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ბ ჯორბენაძის საზოგადოება. თბილისი. გვ.21-31.

**დიკენსი** — Dickens, Charles. Complete Works. www.dickens.literature.com

**ეკროიდი, 1987** — Ackroyd, Peter 1987. *Dickens' London:An Imaginative Vision.* London:Hardline Book Publishing..

**კოვეჩესი, 2008** — Kovecses, Zoltan. 2008. "Universality and Variation in the Use of Metaphor", in *Selected Papers from the 2006 and 2007 Stockholm Metaphor Festivals*, eds.N.L.Johannesson &D.C. Minugh, 51-74. Stockholm: Stockholm University.

**ლეიკოფი, 1993** — Lakoff, George. 1993. "The Contemporary Theory of Metaphor", in Ortony, Andrew (ed.), *Metaphor and Thought*. Cambridge: CUP.

**ლეიკოფი და ჯონსონი, 1980** — Lakoff, George & Mark Johnson. 1980. *Metaphors We Live By*. Chicago: University of Chicago Press.

**ლიჩი, 2007** — Leech, Geoffrey. 2007. "Style in Fiction Revisited: the Beginning of *Great Expectations*, in *Style,* 41, 2 (2007) 117-132.

**რობისონი, 1972** — Robison, Roselee. 1972. “Time, Death and the River in Dickens’ Novels” in *English Studies* vol.53, Issue 5 (1972) 436-454.

**სტოკუელი, 2005** — Stockwell, Peter. 2005. *Cognitive Poetics An introduction.* Routledge : London &New York.

**ტოკერი, 2006/2007** — Toker, Leona. 2006/2007. Decadence and Renewal in Dickens’s *Our Mutual Friend* in *Connotations,* vol.16,1-3 (2006-2007) 48-59.

**ტულანი, 1988** — Toolan, Michael, J. 1988. *Narrative. A Critical Linguistic Introduction*. Routledge: London & New York.

**ტულანი, 2008** — Toolan, Michael. 2008. Narrative Progression in the Short Story: First Steps in a Corpus Stylistics Approach, in *Narrative,*Vol. 16 #2 (May 2008). The Ohio State University.

**NINO DARASELIA**

## Water Imagery in Ch. Dickens’ Works

Summary

The paper examines stylistic, cognitive and discoursal values of water images in Ch. Dickens’ novels: *Old Curiosity Shop, David Copperfield, Oliver Twist, Great Expectations, Our Mutual Friend, Little Dorrit, Hard Times, A Tale of Two Cities.* The empirical data has been analyzed from the standpoints of cognitive linguistics (Kovecses 2008, Lakoff 1993, Lakoff & Johnson 1980, Stockwell 2005), stylistics (Leech 2007, Toolan 1988, 2008) and discourse analysis (Brown & Yule 1983).

Being abundant in Dickensian narrative water images are not static units – throughout the texture of the novels in question they undergo multiple transformations: (a) changing their status of the ground into that of the figure; (b) serving as an efficient means for object characterization; (c) forming the source domain for conceptual metaphors; (d) serving as an essential cohesive tie. The above-enumerated alterations make Dickensian narrative coherent, rhythmic and dynamic.

სოფიკო დარასელია, სერგეი შაროვი

# ქართული ენის ვებკორპუსის შექმნის ძირითადი ეტაპები

კორპუსის ლინგვისტიკის ახალ მიმართულებას წარმოადგენს ვებკორპუსები, რომლებიც კორპუსების ცალკე ოჯახს განეკუთვნებიან. ამ ტიპის კორპუსები ცნობილია, როგორც „ვები როგორც კორპუსი“ (WaC = Web as a Corpus).

ვების როგორც კორპუსულ წყაროდ გამოყენება სიახლეს არ წარმოადგენს კორპუსის ლინგვისტიკაში. მსოფლიოს მრავალი ენისათვის შექმნილია ვებკორპუსები, მათ შორის აღნიშვნის ღირსია ინგლისური ენის ვებკორპუსი — UkWaC, რომელიც მოცულობით ყველაზე დიდი კორპუსია და მორფოლოგიურად ანოტირებულია. UkWaC-ი წარმოადგენს 2005-2007 წლებში განხორციელებული დიდი პროექტის WaCky-ის (Web as Corpus kool ynitiative) ერთ-ერთ ნაწილს. WaCky-ის პროექტში ჩართული იყო მეცნიერთა კონსორციუმი, რომელთა ინტერესის სფეროს სწორედ ვები და მის ლინგვისტურ წყაროდ გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენდა. ამავე პროექტის ფარგლებში შეიქმნა გერმანული ენის ვებკორპუსი — DeWaC-ი, იტალიური ენის ვებკორპუსი — itWaC-ი და სხვა კორპუსები.

ვებკორპუსების შექმნის ერთ-ერთ პირველ მცდელობას წარმოადგენს ე. წ. ტერაბაიტების (terabyte) კორპუსი (მოიცავს 53 მილიარდ სიტყვას), რომელიც ვატერლოოს უნივერსიტეტში შეიქმნა (კლარკი, 2002). ვატერლოოს უნივერისტეტში შექმნილი აღნიშნული ვებკორპუსი ეფუძნება ვებწყაროებს როგორც ამავე უნივერსიტეტის ვებსაიტიდან, ასევე სხვადასხვა საგანანმანათლებლო ხასიათის ვებსაიტებიდან. იმ მეცნიერთა შორის, რომლებიც ვებკორპუსს აქტიურად იყენებენ სიხშირული სიტყვანის (frequency list) დასადგენად, უნდა აღინიშნოს კორნაი (კორნაი, 2006), რომელიც უნგრულ ენაზე მუშა-

ობს და ემერსონი და ო'ნეილი (ემერსონი და ო'ნეილი, 2006), რომლებიც ჩინური ენის ვებკორპუსებზე მუშაობენ. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ვებკორპუსზე დაფუძნებული სიხშირული სიტყვანი გუგლის ტერაბაიტების ენგრამების კრებული (Google terabyte n-gram collection), რომელიც ხელმისაწვდომი გახდა 2006 წელს.

სერგეი შაროვმა (სერგეი შაროვი, 2006) შეიმუშავა ბრიტანული ნაციონალური კორპუსის მოცულობის (BNC-sized) ვებკორპუსები (მოიცავს დაახლოებით 100 მილიონ სიტყვას), რომელთა ჩამონათვალი 2008 წლისათვის მოიცავდა ინგლისური, ჩინური, ფინური, ფრანგული, გერმანული, იაპონური, პოლონური, პორტუგალიური, რუსული და ესპანური ენების ვებკორპუსებს.

ზემოთ მოცემული მოკლე მიმოხილვა ვებკორპუსების შესახებ ცხადყოფს იმას, რომ ქართული ენის ვებკორპუსი — KaWaC არ არის ვებკორპუსების შექმნის პირველი მცდელობა და ის დიდ საერთაშორისო გამოცდილებას ემყარება.

ვებკორპუსების მიმართ ასეთი დიდი ინტერესი ინტერნეტის მომხმარებელთა მზარდი რაოდენობით არის განპირობებული, იხვეწება ვებკორპუსების შექმნის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები, არსებობს სხვადასხვა ტიპის ვებკორპუსები, მაგალითად სიღრმისეული ლინგვისტური ანოტირებით (ბოლედა, 2006) და დიდი მოცულობის ვებკორპუსები (კლარკი, 2005).

ქართული ენის ვებკორპუსი — KaWaC, რომელიც იშიფრება შემდენაირად: Ka–Kartvelian — ქართული და WaC – Web as a Corpus - ვები როგორც კორპუსი, ე.ი. ქართული ენის ვებკორპუსი შეიქმნა ლიდსის უნივერსიტეტში. ქართული ენის ვებკორპუსი ასახავს უკანასკნელი 10-15 წლის ქართულ ენას, ამ პერიოდის განსხვავებულ ჟანრულ თუ რეგიონალურ ვარიაციებს (რეგიონალურ ვარიაციაში იგულისხმება არა დიალექტური მეტყველება, არამედ სოციოლექტები, კერძოდ, ვებრესურსები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, მაგალითად, როგორიცაა თელავის, ზუგდიდის, გორის სასწავლო უნივერსიტეტები, ადგილობრივი ტელევიზიები/პრესა და ა.შ.) და მოიცავს 150 მილიონ სიტყვას, უფრო ზუსტად, ქართული ენის ვებკორპუსის მოცულობაა:

- ტექსტი: 618468 ვებგვერდი — 697 ვებსაიტიდან

- სიტყვა: 182845341, 2865042 ტიპი
- ტოკენი: 23550807, 3447266 ტიპი

KaWaC-ი განთავსებულია ლიდსის უნივერსიტეტის ვებგვერდზე და აღჭურვილია ონლაინ საძიებო სისტემით, ამ ეტაპზე შესაძლებელია სიტყვანის (Word List), კონკორდანსებისა და მეტყველების ნაწილების მიხედვით ძიება კორპუსში.

ქართული ენის ვებრკოპუსის შექმნის პროცესში პირველ ეტაპს წარმოადგენდა კორპუსის ტიპის განსაზღვრა და კორპუსისათვის შესაბამისი მასალის შერჩევა. ქართული ენის ვებკორპუსში რეპრეზენტაციულობის მიღწევის მიზნით შერჩეულ იქნა 697 ვებსაიტი, რაც ჯამში 618468 ვებგვერდს შეადგენს. ვებგვერდები პროგრამა wget-ის (იშიფრება: World Wide Web და get) გამოყენებით ჩამოიტვირთა. Wget-ი არის კომპიუტერული პროგრამა, რომელიც ვებსერვერებიდან ტექსტური მასალის ჩამოტვირთვის შესაძლებლობას იძლევა და წარმოდგენს GNU პროექტის (აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს კომპიუტერული ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობას, GNUპროექტი, რიჩარდ სტალმანი) ნაწილს. უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ ვებგვერდების ჩამოტვირთვამდე განისაზღვრა 300 ფუნქციური სიტყვა (function words) ქართული ენისათვის. ფუნქციური სიტყვები ამა თუ იმ ენის ყველაზე ხშირად ხმარებულ ლექსიკას წარმოადგენს და ქართული ენის ფუნქციური 300 სიტყვა შეირჩა დევიდ თაგუელის ქართული ენის კორპუსის მიხედვით, რომელიც სიტყვათშეხამებითი მოდელების პროგრამაშია განთავსებული. Wget-ის პროგრამაში ინტეგრირდა ქართული ენისათვის შერჩეული 300 ფუნქციური სიტყვა. ფუნქციური სიტყვების განსაზღვრა უშუალოდ ვებგვერდებიდან ტექსტური მასალის ჩამოტვირთვამდე ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ გამოირიცხოს არაქართული გვერდები, ანიმაციები და სხვა ლინგვისტურად არარელევანტური ინფორმაცია.

697 ვებსაიტის 618468 ვებგვერდიდან ჩამოტვირთული მასალა ლინგვისტურად დამუშავდა BootCatTools — ინსტრუმენტების საშუალებით. აღსანიშნავია, რომ ვებრესურსების ლინგვისტური დამუშავებისათვის გამოყენებულ იქნა ე.წ. „კლინივალის“ (CleanEval: cleaning webpages) გამოცდილება (მარკო ბარონი, ფრანციზ ჩანტრე, ადამ

კილგარიფი, სერგეი შაროვი). „კლინივალი“ არის შეფასება ვებგვერდების გასუფთავების კუთხით და მიზნად ისახავს ვებმონაცემების კორპუსულ რესურსად გამოყენებას.

დღეს ძალიან ბევრი იყენებს ვებს, როგორც მონაცემთა წყაროს კორპუსისათვის (ბარონიდა ბერნარდინი 2006; ფაირონი, 2007; ჰუნდტი, 2007; კილგარიფიდა ღგრეფენშტეტი, 2003), რაც, თავის მხრივ, გარკვეულ პრობლემებსა და სირთულეებთანაა დაკავშირებული. ვებგვერდების ჩამოტვირთვისას თავს იჩენს შემდეგი საკითხები:

1. როგორ უნდა გამოირიცხოს ლინგვისტურად არარელევანტური ინფორმაცია ("boilerplate"), მაგალითად, როგორიცაა სპეციალური ნიშნები და სიმბოლოები, კოლონტიტულები (headers, footers) და სხვ.

2. როგორ უნდა განისაზღვროს პარაგრაფები და სხვა სტრუქტურული ხასიათის ინფორმაცია;

3. როგორ უნდა მივიღოთ სტანდარტული ფორმატის ტექსტი, რომელიც გამოსადეგი იქნება შემდგომი ლინგვისტური დამუშავებისათვის?

ზემოთ მოცემული საკითხები ძალიან მნიშვნელოვანია. რაც უფრო კარგად არის გათვალისწინებული აღნიშნული საკითხები, მით უფრო კარგი შედეგის მიღწევაა შესაძლებელი. ლინგვისტური დამუშავების შემდგომი დონეები სწორედ ჩამოტვირთული მასალის „სისუფთავეზეა“ დამოკიდებული. იმ შემთხვევაში, თუ ლინგვისტურ დამუშავებამდე ვებგვერდიდან ჩამოტვირთული მასალა არაა საკმარისად „გასუფთავებული“, ყველაზე ხშირად განმეორებული იქნება ისეთი ბიგრამები, როგორიცაა „დააჭირეთ აქ“ (click here) და „ვრცლად“ / „დამატებითი ინფორმაციისათვის“ / „იხილეთ“ (Further information). რასაკვირველია, ყოველივე ეს მნიშვნელოვნად დაამახინჯებს და არარელევანტურად წარმოადგენს ენის მოდელს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქართული ენის ვებკორპუსის შექმნის პირველ ეტაპს სწორედ მასალის შერჩევა (data selection) წარმოადგენდა — შესაბამისი ვებგვერდების შერჩევა და მისი მომზადება ჩამოსატვირთად. აღსანიშნავია, რომ ქართული ენის კორპუსისათვის მხოლოდ HTML ფორმატის ვებგვერდებია გამოყენებული. PDF-სა და ვორდის ფაილების ჩამოტვირთვა სხვა სახის პრობლემებთანაა დაკავ-

შირებული, მაგალითად როგორიცაა კოდირება, ტექსტში გამოყენებული სპეციფიკური შრიფტებისა და სიმბოლოების შემდგომი დამუშავება და ა.შ. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელით დამუშავდა სპეციალურად შერჩეული სამეცნიერო ხასიათის ტექსტები (PDF, Word), სულ 235 ფაილი და ინტეგრირდა კორპუსში.

ვებგვერდების ანოტირება და გასუფთავება  მოიცავდა შემდეგ პუნქტებს:

1. HTML-ისა და ჯავასკრიპტების (JavaScript) კოდების მოხსნას, ლინგვისტურად არარელევანტური ინფორმაციის წაშლას (კოლონტიტულები, საავტორო უფლების აღმნიშვნელი ნიშნები, ბმულები, ცალკეულ ვებგვერდებში გამეორებული მასალები და ა.შ.);

2. მინიმალური სიმბოლოების გამოყენებით ძირითადი კოდების მინიჭება ტექსტების სათაურებისათვის, პარაგრაფებისათვის და ა.შ.

ამგვარად, ქართული ენის ვებკორპუსში ვებიდან მიღებული მასალის დამუშავება სწორედ ზემოთ მოცემული მეთოდების გათვალისწინებით წარიმართა და მომზადდა მასალა შემდგომი ლინგვისტური დამუშავებისათვის.

კორპუსებისათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს რეპრეზენტაციულობა. კორპუსის ლინგვისტების ამოცანა არამარტო დიდი რაოდენობის ტექსტების შეგროვებაა, არამედ პროპორციულობა ტექსტური მასალისა. კორპუსი არის ენის შემცირებული მოდელი, ამიტომ, კორპუსის ლინგვისტიკაში ძალზე მწვავედ დგას რეპრეზენტაციულობის საკითხი — რეპრეზენტაციულობა გულისხმობს მოცემული ენის კარგად დაბალანსებულ,  პროპორციული რაოდენობის, სხვადასხვა პერიოდის, ჟანრის, სტილის, ავტორის და ა.შ. ტექსტების მასივს.

ქართულ ენის ვებკორპუსის შექმნის საწყის ეტაპზე მკაცრად განისაზღვრა შემდეგი: 1. კორპუსის ტიპი და 2. შეირჩა შესაბამისი ვებსაიტები. ჩვენი მიზანი იყო თანამედროვე ქართული ენის კორპუსის შექმნა. კორპუსი ასახავს ქართული ენის განვითარების ბოლო 10-15 წელიწადს. ბუნებრივი ენის მაქსიმალურად წარმოდგენის მიზნით, კორპუსში არ არის შესული პოეზია და თარგმანები,  ვინაიდან პოეზიისა  და თარგმანებისათვის დამახასიათებელია სპეციფიკურად

შერჩეული ლექსიკა, ჩვენი მიზანი კი ბუნებრივი, ცოცხალი ქართული ენის წარმოჩენა იყო.

ქართული ენის კორპუსი მოიცავს ტექსტურ მასალას შემდეგი ვებწყაროებიდან:

- სამინისტროები და სხვა ოფიციალური ვებსაიტები — 65 ვებსაიტი;
- უნივერსიტეტები, ინსტიტუტები, კოლეჯები, პროფესიული სასწავლებლები — 64 ვებსაიტი;
- პირადი ბლოგები და ფორუმები — 417 ვებსაიტი;
- პრესა და ახალი ამბები — 124 ვებსაიტი;
- არასმთავრობო ორგანიზაციები, ბანკები, კერძო კომპანიები — 72 ვებსაიტი;
- მხატვრული ლიტერატურა (პროზა) — 235 თანამედროვე ქართველი ავტორის შემოქმედება;
- სამეცნიერო ნაშრომები/სტატიები, სადოქტორო / სამაგის-ტრო ნაშრომები: 246 ნაშრომი და ა.შ.

იმისათვის, რომ კორპუსი იყოს რეპრეზენტაციული, აუცილებე-ლია მასში მოცემული ტექსტური მასალის ჟანრული კლასიფიკაცია.

ვინაიდან ვებკორპუსები კორპუსის ახალ თაობას წარმოადგენენ, ჟანრული კლასიფიკაცია განსხვავდება ტრადიციული კორპუსების ჟანრული კლასიფიკაციებიდან.

მაგალითად, ბრაუნის (the Brown University Standard Corpus of Pre-sent-Day American English), „ლობისა“ (Lancaster-Oslo-Bergen Corpus) და LCMC-ის (the Lancaster Corpus of Mandarin Chinese) კორპუსში მო-ცემულია 15 ჟანრული კატეგორია, მაგალითად, ა) პრესა: რეპორტა-ჟი, ბ) პრესა: საგამომცემლო, გ) პრესა: მიმოხილვა, დ) რელიგია, ე) უნარები და ჰობი და ა.შ.

რაც შეეხება ბრიტანულ ნაციონალურ კორპუსს, მასში მოცემუ-ლია 4, 000 ტექსტი, რომელიც 70 ჟანრულ კატეგორიად არის და-ჯგუფებული, მაგ., მედიცინა, ტექნიკა, პრესა და ა.შ. გარდა ამისა, არსებობს უფრო დეტალური და ვრცელი ჟანრული კლასიფიკაცია,

მაგალითად, ადამციკთან (ადამციკი, 1995) 4000 ჟანრული კლასიფიკაციაა მოცემული.

როგორც ზემოთ აღვნიშეთ, ვებკორპუსების ჟანრული კლასიფიკაციები განსხვავდება ტრადიციული კორპუსებისთვის შემუშავებული კლასიფიკაციისაგან, რადგან ინტერნეტმა და ვებრესურსებმა განაპირობა ისეთი ჟანრების წარმოშობა, რასაც ტრადიციულ კორპუსებში ვერ წავაწყდებით. ამგვარად, გავითვალისწინეთ ვებკორპუსის ჟანრული კლასიფიკაციის უახლესი მეთოდები და მიდგომები, კერძოდ, მელერის, შაროვისა და სანტინის (მელერი, შაროვი, სანტინი, 2010) ვების ჟანრული კლასიფიკაციები.

ქართული ენის ვებკორპუსის ტექსტების ანოტირებისათვის გამოვიყენეთ შაროვისა და ფორსისის (ფორსისი, შაროვი, 2014) ფუნქციური ჟანრული განზომილებები (Functional Genre Dimensions), რომლებიც მოიცავს 17 ჟანრულ კატეგორიას და კითხვარების სახითაა შედგენილი და თითოეულ კითხვარს შესაბამისი საიდენტიფიკაციო კოდი აქვს მინიჭებული.

ფუნქციური ჟანრული განზომილებებს გააჩნია შეფასების შემდეგი სქემა:

- 0 – საერთოდ არ განეკუთვნება ამ კატეგორიას
- 0.5 – ოდნავ განეკუთვნება
- 1 – ნაწილობრივ განეკუთვნება
- 2 – განეკუთვნება

ქართული ენის ვებკორპუსის ტექსტების ანოტირება სწორედ ფუნქციური ჟანრული კატეგორიების (იხილეთ სურათი 2) მიხედვით წარმიმართა და კორპუსში მოცემული 618468 ვებგვერდიდან შეირჩა 1067 ვებგვერდი ანოტირებისათვის.

ამგვარად, ქართული ენის ვებკორპუსში ჟანრული კლასიფიკაცია გარჩეულია ფუნქციური ჟანრული განზომილებების მიხედვით. შერჩეული 1067 ვებგვერდიდან მეტ-ნაკლებად ხშირად ხმარებული შემდეგი ჟანრული კლასები: A3 — პირადი ემოციების გამომხატველი შინაარსის ვებგვერდები (პირადი ბლოგები, ფორუმები), A4 — მხატვრული ლიტერატურა (პროზა), A7 — ინსტრუქციული (კულინარია, მედიცინა და ა.შ.), A8 — პრესა: ახალი ამბები.

ქართული ენის ვებკორპუსის მოფროლოგიური ანოტირების პლატფორმად გამოყენებულია მულტიტექსტური მორფოსინტაქსური პარამეტრების (MULTEXT-East Morphosyntactic Specifications - MTE) მეოთხე ვერსია. მულტიტექსტური მორფოსინტაქსური პარამეტრები არის მრავალენოვანი მონაცემთა ბაზა ენის ლინგვისტური დამუშავებისათვის, კერძოდ ორიენტირებულია მორფოსინტაქსურ ანოტირებაზე. ამ ბაზის რესურსები მოიცავს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპულ ენებსა და EAGLES-ზე (Expert Advisory Group on Language Engineering Standards) დაფუძნებულ პარამეტრებს, მორფოსინტაქსურ ლექსიკონს, ანოტირებულ პარალელურ, შედარებით (comaparable) და მეტყველების (speech corpus) კორპუსებს. მულტიტექსტური მორფოსინტაქსური პარამეტრების მეოთხე ვერსიაში წარმოდგნილია XML-ში კოდირებული მორფოსინტაქსური პარამეტრები 16 ევროპული ენისათვის, როგორიცაა ბულგარული, ხორვატიული, ჩეხური, ინგლისური, ესტონური, უნგრული, ლიტვური, მაკედონიური, ირანული, პოლონური, რუსული, სერბიული, სლოვაკური, სლოვენიური, უკრაინული და სხვ.

მულტიტექსტური მორფოსინტაქსური პარამეტრების მეოთხე ვერსია შეესაბამება ტექსტის კოდირების/ანოტირების ინიციატივას (Text Encoding Initiative) – TEI P5-ს. მულტიტექსტური მორფოსინტაქსური პარამეტრები მოიცავს მოცემული ენის მეტყველების ნაწილების კატეგორიებს, რომელთაც ძირითადი კატეგორიები ეწოდებათ (მაინ ცატეგორიეს). ძირითად კატეგორიები ჩაშლილია მეტყველების ნაწილების თავისებურებების მიხედვით და მინიჭებული აქვს შესაბამისი კოდები, რასაც მორფოსინტაქსური აღწერა (MSD – morphosyntactic Description) ეწოდება.

ამგვარად, ქართული ენის ტეგსეტები, ერთი მხრივ, დაეფუძნა მულტიტექსტური მორფოსინტაქსური პარამეტრების მეოთხე ვერსიას, ხოლო, მეორე მხრივ, აკაკი შანიძის ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებს (შანიძე, 1973).

ქართული ენის ტეგსეტების შემუშავების პროცესში გავითვალისწინეთ ქართული ენის მორფოლოგიის სირთულე, შესაბამისად, შემუშავებულ იქნა ზოგადი სტრატეგია, რომელიც მოიცავს ქართული ენის მორფოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებს. ტეგსე-

ტებში მაქსიმალურად გამოყენებულია მორფოსინტაქსური პარამეტ-რების კოდები. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ქართული ენის მორფოლოგიისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი, რომელთაც მორფოსინტაქსური პარამეტრები არ მოიცავს, ამ შემთხვევაში შემუშავდა ახალი კოდები ქართული ენის მორფოლოგიური თავისებურებების ასახვის მიზნით.

ამგვარად, ნაშრომში განვიხილეთ ქართული ენის ვრცელი ვებ-კორპუსის შექმნასთან დაკავშირებული საკითხები. კორპუსი შეიქმნა-ლიდსის უნივერსიტეტში და განთავსებულია ამავე უნივერსიტეტის ვებგვერდზე. იგი მოიცავს 150 მილიონ სიტყვას და ასახავს ქართული ენის განვითარების ბოლო 10-15 წელს. ქართული ენის ვებკორპუსი არის რეპრეზენტაციული, ჟანრული კლასიფიკაცია განსაზღვრულია ფუნქციური ჟანრული განზომილებების მიხედვით. გარდა ამისა, დამუშავებულია კორპუსის მორფოლოგიური ანოტირების მხარეც. კერძოდ, შექმნილია ტეგსეტები ქართული ენისათვის მულტი-ტექსტური მორფოსინტაქსური პარამეტრების მიხედვით, ხოლო კორ-პუსი მორფოლოგიურად ანოტირებულია სიხშირული მეთოდების გამოყენებით მომზადებული ანოტირებული ლექსიკონის ბაზაზე.

ლიტერატურა


**ბარონი, 2004** — Baroni, M., and S. Bernardini. 2004. Bootcat: Bootstrapping corpora and terms from the web. In Proceedings of LREC2004. Lisbon.

**ბარონი, 2006** — Baroni, M. & Bernardini, S. (Eds.) (2006). Wacky! Working papers on the Web as Corpus. Bologna: Gedit.

**ბარონი** — Marco Baroni, Silvia Bernardini, Adriano Ferraresi, Eros Zanchetta (2)

**გოგოლაშვილი, 2011** — გოგოლაშვილი გ. თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, თბილისი.

**დარასელია, შაროვი 2014** — Daraselia S., Sharoff S. Morphosyntactic Specifications for KaWaC, a Web Corpus for Georgian, ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციული საზოგადოებაში II, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო.

**დარასელია, შაროვი 2014** — Daraselia S., Sharoff S. Towards Creating a Large Corpus of Georgian, IVACS საერთაშორისო კონფერენცია კორპუსის ლინგვისტიკაში, ნიუქასლის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი

**კილგარიფი, 2006** — Kilgarriff, A. & Baroni, M. (Eds.). (2006). Proceedings of the 2nd International Workshop on the Web as Corpus. East Stroudsburg (PA): ACL.

**სანტინი, 2007** — Santini, M. (2007). Automatic identification of genre in Web pages. Ph.D. thesis, University of Brighton.

**ფაირონი, 2007** — Fairon, C., Naets, H., Kilgarriff, A. & de Schryver, G.- M. (Eds.). (2007). Building and exploring web corpora – Proceedings of the 3rd Web as Corpus Workshop, incorporating Cleaneval. Louvain: Presses Universitaires de Louvain.

**ფაირონი, 2007** — C. Fairon, H. Naets, A. Kilgarriff, and G.-M. de Schryver, editors. 2007. Building and exploring web corpora – Proceedings of the 3rd Web as Corpus Workshop, incorporating Cleaneval. Presses Universitaires de Louvain, Louvain.

**შაროვი, 2007** — Sharoff, S. 2007. Classifying web corpora into domain and genre using automatic feature identification. In Proceedings of Web as Corpus Workshop. Louvain-la-Neuve.

**შანიძე, 1973** — შანიძე ა. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი, ტ. 3, თბილისი.

**ჩიქობავა, 1952** — ჩიქობავა ა. ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი

**ჰუნდტი, 2007** — Hundt, M., Nesselhauf, N. & Biewer, C. (Eds.). (2007). Corpus linguistics and the web. Amsterdam: Rodopi.

**SOPHIKO DARASELIA, SERGE SHAROFF**

# The Main Steps of the Georgian Web-Corpus Construction

Summary

The paper discusses the construction process of a large representative web-corpus for the Georgian language. The project was carried out at the University of Leeds, UK. The process started with identification of the more popular resources (over 1000 links) and crawling from them using *wget,* with further processing by webpage cleaning and deduplication based on BootCat tools. The corpus represents contemporary Georgian language within the period of the last 10-15 years and contains over 150 million words from wide range of text types, topics and regions (Daraselia, Sharoff 2014) from the Internet.

We have started the corpus construction with collection of targeted websites and documents. At first, identified the most popular websites covering all genre and regional varieties (in regional varieties we mean not Georgian dialects but sociolects of the Georgian language in other regions such as Telavi, Zugdidi, Gori etc.) from official/government institution websites, universities, the media etc. In addition to the web data, we have collected texts, such as scholarly articles, PhD /MA theses etc. The corpus aims to represent contemporary natural Georgian language, for this reason corpus does not include poetry and translated texts, but a large amount of web data and targeted collection of scientific texts.

The corpus texts were crawled from 618468 web pages from 697 websites. It contains over 150 million words, in particular:

- Words: 182845341, 2865042 Type
- Tokens: 23550807, 3447266 Type

The corpus covers a wide range of text types, topics and regions. The text types are described using Functional Genre Dimensions, such as Argumentative, Instructional, Legalistic, etc.

In terms of the morphological annotation, we have developed a Georgian tagset based on the the MULTEXT-East Morphosyntactic Specifications, version 4. According to the tagset, we have created manually tagged POS lexicon, prepared a training data, and applied it to the whole corpus resulting in a first morphologically annotated version of the corpus.

ირინე დემეტრაძე

# ზოგი რამ ცემინებასა და ხველასთან დაკავშირებული სამეტყველო ეტიკეტის შესახებ

ცნობილია, რომ ნებისმიერი ერის კულტურაში თავისებურ გამოხატულებას პოულობს სამეტყველო ეტიკეტის ნორმები. ყოველგვარი სოციალური ქცევა ამა თუ იმ კულტურაში ღრმად დამკვიდრებულ წესებს ემორჩილება, ხოლო ერთი მოცემული ერის წარმომადგენლებს შესისხლხორცებული აქვთ მოცემულ კულტურაში დამკვიდრებული სამეტყველო ნორმები. ნ. არუთინოვას აზრით, სამეტყველო ეტიკეტთან დაკავშირებით უსიტყვო შეთანხმება არსებობს ერთი და იმავე ენობრივი კოლექტივის წევრებს შორის (არუთინოვა, 1988).

მოცემულ სტატიაში ყურადღება გამახვილებულია სამეტყველო ეტიკეტის ისეთ მნიშვნელოვან ნაწილზე, როგორიცაა დალოცვის ფორმულები, კერძოდ, განხილულია ის დალოცვები, რომლებიც დახველებისა და დაცემინებისას წარმოითქმის სხვადასხვა კულტურაში.

პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ ინგლისურ და რუსულ ენებში ცემინებისა და ხველის გამომხატველი ზმნები აქტიურია, ანუ ითვლება, რომ ადამიანი თვითონ ასრულებს ამ მოქმედებებს „I sneeze“ „he coughs“ „Я чихаю“, „он кашляет“, ხოლო ქართულში ეს მოქმედებები კაუზატიური ზმნებითაა გადმოცემული: „მას ახველებს“, „მე მაცემინებს“, იმის დასტურად, რომ ადამიანი ასეთ მდგომარეობაში უნებლიეთ ჩავარდა და რაღაც ზებუნებრივი ძალა ან დაავადება აიძულებს მას დაახველოს ან დააცემინოს (შდრ. ასევე ასლოკინებს, აღებინებს).

სამწუხაროდ, რესპირატორული დაავადებები ძლიერ გავრცელებულია, განსაკუთრებით წელიწადის ცივ დროს. ამ დაავადებებს თან ახლავს ცემინება და ხველა, ხოლო მათთან დაკავშირებული გამონათქვემები უძველესი დროიდან იღებს სათავეს.

დაცემინებასთან დაკავშირებული ინგლისური გამონათქვამი **„God bless you“** (ან მისი შემოკლებული ვარიანტი **„bless you“** უძვე-ლესი დროიდან მომდინარეობს. ცნობილია, რომ 590 წელს შავი ჭი-რის ეპიდემიის დროს პაპმა გრეგორიმ გასცა ბრძანება: ყველა ადა-მიანი, რომელიც დააცემინებდა, უნდა დაელოცათ სიტყვებით „ღმერთმა დაგლოცოს“. 750 წლისთვის ასეთი დალოცვა დაცემინე-ბის დროს უკვე ტრადიციად იყო ჩამოყალიბებული.

ასევე არსებობს ვარაუდი, რომ უხსოვარ დროს ადამიანებს ეგო-ნათ დაცემინებისას სული სხეულიდან ამოვარდებოდა და მას ეშმაკი დაეპატრონებოდა, ამდენად ფრაზა „ღმერთმა დაგლოცოთ“ გამოიყე-ნებოდა როგორც დამცავი ფარი ეშმაკთან ბრძოლაში. ძველ დროში ადამიანებს ასევე ეშინოდათ, რომ ცემინებისას გული წყვეტს მუშაო-ბას, ხოლო დალოცვა აღადგენს გულის მუშაობის ნორმალურ რიტმს. ქართულ ყოფაშიც დაცემინების დროს ხშირად გამოიყენება გამონათქვამი „ღვთის წყალობა“.

ბევრ კულტურაში (გერმანულში, ირლანდიურში, ესპანურში, რუსულში, ებრაულში და სხვა მრავალი) დაცემინებაზე პასუხად ჯან-მრთელობას უსურვებენ. ასეთი დალოცვა ძალზე ხშირია ქართულ ყოფაშიც.

ჯანმრთელობასთან ერთად ასევე გავრცელებულია დღეგრძელო-ბის სურვილის გამომხატველი ფრაზეოლოგიური ერთეულები. ქარ-თულ ყოფაში ხშირია არსებითი სახელი „სიცოცხლე“ ან ბრძანებით კილოში — „იცოცხლე“. ჩეჩნები ამბობენ „დიდხანს იცოცხლე“, ჩინე-ლები — „იცოცხლე ასი წელი“. ასევე დიდხანს სიცოცხლეს უსურვე-ბენ თურქულ, ვიეტნამურ და სხვა კულტურებში.

დაცემინებასთან დაკავშირებული ფრაზები ხშირად იღბალს, სიმდიდრესა და წარმატებას უკავშირდება. ქართველები ამბობენ „ხე-ირი“, ვიეტნამელები ამბობენ „ბრინჯი და მარილი“, რაც მათთვის ბარაქის სიმბოლოა. იღბალს უსურვებენ ასევე რუმინელები. ქურთე-ბი ამბობენ, რომ დაცემინება კარგის მომასწავებელი ნიშანია; ფრან-გები სურვილის ასრულებას უსურვებენ; ესპანელები პირველი და-ცემინებისას უსურვებენ ჯანმრთელობას, მეორე დაცემინებაზე — ფულს, მესამეზე — სიყვარულს. ფულთან მიმართებით ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს რუსულ ყოფაში დამკვიდრდა

სურვილი „миллион долларов“, რაზეც დამცემინებელი ადამიანი პასუხობს „пополам“. საინტერესოა, რომ ეს ტრადიცია ქართულ ყოფაშიც შემოვიდა. თანაც უცნაურია, რომ თვითონ სურვილი გამოიხატება ქართულ ენაზე: „მილიონი დოლარი“, ხოლო პასუხი პირდაპირ რუსულად ითქმის — „пополам“.

საინტერესოა ასევე სპეციალური მიმართვის ფორმები, რომლებიც ბავშვების დაცემინებისას გამოიყენება სხვადასხვა კულტურაში. ქართველები ასეთ შემთხვევაში ამბობენ; „გაზრდა“ ან „დარჩი“. პორტუგალიელები კი ამბობენ: „ღმერთმა გაგზარდოს“ ან „პატარა წმინდანო“.

ქვემოთ განვიხილავ რამდენიმე საინტერესო ცრურწმენას, რომლებიც დაცემინებას უკავშირდება სხვადასხვა ყოფაში:

საქართველოში თუ ვინმე დააცემინებს, როდესაც რაიმე მნიშვნელოვანს ამბობენ, დაცემინება ნათქვამის დასტურად ითვლება. საინტერესოა, რომ ასეთივე რწმენა გვხვდება „ოდისეაშიც“. როდესაც პენელოპე იტყვის, თუ ოდისევსი დაბრუნდება, ის მოკლავს მის თაყვანისმცემლებს, ამ დროს ტელემაქე დააცემინებს და ამას ყველა ნათქვამის დასტურად აღიქვამს (ჰომეროსი, ოდისეა, 17.528-550).

თუ ვინმე დააცემინებს, როდესაც მიცვალებულს ახსენებენ, ქართველები ეუბნებიან; „ჯვარი გწერია“ ან „იმის მოსვლამდე არაფერი გეტკინოს“, რასაც ხშირად თან ახლავს დამცემინებელი ადამიანის ზურგზე ხელის სამჯერ დარტყმა.

ინგლისურში არსებობს დაცემინების რაოდენობასთან დაკავშირებული ცრურწმენების ამსახველი ლექსი:

Once — a wish,
Twice — a kiss,
Three times — a letter,
Four times — something better.

თურქები თვლიან, რომ ახალი საქმის წინ დაცემინება წარუმატებლობის მომასწავებელია. ჰოლანდიელები თვლიან, თუ ვინმემ სამჯერ ზედიზედ დააცემინა, მეორე დღეს კარგი ამინდი იქნება. ბერძნები ფიქრობენ, როდესაც ადამიანი აცემინებს, მასზე ვიღაც ცუდ რამეს ამბობს (შრდ. ქართული ცრურწმენა: როდესაც ვინმეს ასლოკინებს, ითვლება, რომ მას ვიღაც ახსენებს).

ზოგ კულტურაში დაცემინებასთან დაკავშირებული ცრურწმენები ცხოველებსაც უკავშირდება: იაპონიაში თუ კატა დააცემინებს, უნდა მიესალმო, თორემ კბილები აგტკივდება. იტალიაში კი კატის დაცემინება იღბლის მომასწავებლად ითვლება.

ბუნებრივია, რომ დაცემინებით ან დახველებით გარშემომყოფებს ჩვენდა უნებურად უსიამოვნო ხმებს ვასმენინებთ, თანაც რესპირატორული დაავადებით ინფიცირების რისკის ქვეშ ვამყოფებთ, ამდენად ბუნებრივია, რომ ამ მოვლენებს მობოდიშება მოჰყვება. ამდენად, ჯერობის განაწილება შემდეგნაირია:

დაცემინება/დახველება — მობოდიშება — დალოცვა — სამადლობელი პასუხი დალოცვაზე.

დაცემინების დროს წარმოთქმული დალოცვის საპასუხო რეაქცია მრავალ კულტურაში არის „მადლობის" თქმა ან სიჩუმე. ქვემოთ განვიხილავ რამდენიმე საინტერესო საპასუხო ფრაზას:

არაბულში დაცემინებასთან დაკავშირებული დალოცვის საპასუხოდ ამბობენ „ღმერთი გაგიძღვეს და გისმინოს"; ფრანგები მარადიულ სიყვარულს უსურვებენ; მაკედონიელები — ჯანმრთელობას; პორტუგალიელები ამბობენ „ამინ"; თურქები, რომლებსაც ხანგრძლივი სიცოცხლე უსურვეს, ამბობენ „იმედია, შენც იმდენ ხანს იცოცხლებ, რომ ჩემს ხანგრძლივ სიცოცხლეს მოესწრო" ან „ყველამ ერთად ვიცოცხლოთ დიდხანს"; ურდუს ენაზე ამბობენ „ღმერთმა სწორი გზით გატაროს"; იდიშზე ამბობენ — „სიცოცხლე". ამდენად, დაცემინებასთან დაკავშირებულო დალოცვას მოჰყვება მადლიერების ან საპასუხო კეთილი სურვილის გამომხატველი გამონათქვემები.

დახველების პასუხად ინგლისურ კულტურაში ეკითხებიან „Are you OK?" ან სთავაზობენ დახმარებას: „Shall I bring you some water?", ან უბრალოდ ზურგზე ურტყამენ ხელს. უნდა აღინიშნოს, რომ ხველასთან დაკავშირებული გამონათქვამები ზოგადად ბევრად უფრო იშვიათია, ვიდრე — დაცემინებასთან. როგორც ინტერნეტ-ფორუმების შესწავლამ გამოავლინა, ბევრი ადამიანი გაკვირვებასა და წუხილსაც გამოთქვამს ამის გამო. ინგლისურში დახველებასთან დაკავშირებული ყველაზე გავრცელებული ფრაზაა „Cough it easy". უფრო იშვიათად ამბობენ „Excuse You". კვლევამ აჩვენა, რომ ზოგჯერ

ზედმიწევნით რელიგიური ადამიანები ასე ლოცავენ მას, ვისაც ხველა აწუხებს: „Oh it ( the ailment) must be so hard for you. Please recover from Satan's curse upon you and embrace a healthy and fresh attitude.“ ან „Thou shall wake Jesus with thy absence of health! May you mingle in society and play the humble and healthy post!“. ხველასთან დაკავშირებული სხვა გამონათქვამები ცრურწმენებს უკავშირდება, მაგრამ, როგორც კვლევამ აჩვენა, ისინი ძალზე იშვიათად გამოიყენება. მაგალითად გამოთქმა: „ Frog in your throat“, რომლის წარმოშობაც ორნაირად აიხსნება: 1. ხველებისას ადამიანი თითქმის ისეთივე ხმებს გამოსცემს, როგორსაც ბაყაყი 2. ძველ დროში სჯეროდათ, რომ ბაყაყის ყელზე დასმას სამკურნალო ეფექტი ჰქონდა. დახველების დროს ინგლისურში ასევე ამბობენ უცნაურ ბგერათშეთანხმებას „Smfoogle“, თუმცა მისი ხმარება ძალზე იშვიათია; თუ ადამიანს ლუკმა გადასცდა და ამის გამო ახველებს, ეუბნებიან: „arms up“, რადგან ითვლება, რომ ხელების აწევა ეხმარება გადაცდენილი ლუკმის გადაყლაპვაში. ასეთ შემხვევებში ასევე ამბობენ:„choke up chicken, it might be a diamond ring“; ან „cough it up it might be a gold watch“. სხვა ენების მონაცემების შესწავლამ ასევე დაადასტურა, რომ დახველებასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულები იშვიათი და მცირერიცხოვანია. როგორც აღმოჩნდა, თურქები დახველებისას, ისევე, როგორც დაცემინებისას, დიდხანს სიცოცხლეს უსურვებენ, ფილიპინელები ეუბნებიან „არა უშავს, განაგრძე“, რითაც აჩვენებენ, რომ თანამოსაუბრის ხველა მათ არ აწუხებს და ასე ცდილობენ უხერხულობა აარიდონ ადამიანს. რუსულ კულტურაში დახველებას უკავშირდება ანდაზები: Кашляй век: греха в том нет Кашляй помалу, чтоб на год стало

ასევე გამოთქმა, რომელიც ხველის სამკურნალო რეცეპტსაც მოიცავს: Съешь лимон и мед, и кашель отойдет.

რაც შეეხება ქართულ კულტურას, დახველებისას ჩვენში ამბობენ: „ალალი“, რითაც, სავარაუდოდ, გულისხმობენ, რომ გადაცდენილი ლუკმა ალალია ამ ადამიანისთვის და გამოთქვამენ სურვილს, რომ ეს ლუკმა მშვიდობით შეერგოს მას. გარდა ამისა, ამბობენ „შაქარი“, რითაც ასევე უსურვებენ, რომ გადაცდენილი ლუკმა ტკბილად შეერგოს ადამიანს, რომელიც ახველებს. ძალიან საინტერესოა

ასევე გავრცელებული ცრურწმენა, რომ, თუ ადამიანს ახველებს, მან მაღლა უნდა აიხედოს და ჭერზე თავის ნათლიას დაინახავს. სავარაუდოდ, ამას ასევე სამედიცინო ახსნა აქვს, რადგან მაღლა ახედვა ხელს უწყობს ლუკმის საყლაპავი მილისკენ წარმართვას.

ცემინებასა და ხველასთან დაკავშირებული ზემომოყვანილი გამონათქვემები ასევე შევისწავლე სამეტყველო აქტების თეორიის კუთხით. ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ სერლის კლასიფიკაციის მიხედვით ეს სამეტყველო აქტები არის დირექტივები (თხოვნის ან ბრძანების გამომხატველი გამონათქვამები, მაგ: „დარჩი" „იცოცხლე" „cough it easy") და ექსპრესივები (რადგან ასეთი აქტები თანაგრძნობას გამოხატავენ თანამოსაუბრის მიმართ „Are you OK?" „Shall I bring you some water?") (სერლი, 1970), ოსტინის კლასიფიკაციის მიხედვით კი — ბიჰებიტივები, რადგან ამ აქტების საშუალებით ვლოცავთ მსმენელს (Bless you! ჯანმრთელობა! ღვთის წყალობა!) (ოსტინი, 1965). დაცემინებასა და დახველებასთან დაკავშირებული სამეტყველო აქტების ილოკუციური ძალა იმაშია, რომ ხველით და ცემინებით შეწუხებულ ადამიანს მდგომარეობა შევუმსუბუქოთ, ამასთან, არ ვაგრძნობინოთ თავი უხერხულ მდგომარეობაში. პერლოკუციური ეფექტი კი იმაშია, რომ ადამიანი ფიზიკურადაც და მორალურადაც უკეთ იგრძნობს თავს. შესაბამისად, ზემომოყვანილი გამონათქვამები უნდა ჩაითვალოს ფატიკური კომუნიკაციის ნიმუშად (მალინოვსკი, 1923), რადგან ისინი ემსახურება არა ფაქტობრივი ინფორმაციის გადაცემას, არამედ თანამოსაუბრისადმი კეთილგანწყობის გამოხატვას.

ლიტერატურა

**არუთინოვა, 1988** — Арутюнова Н.Д. Типы Языковых Значений, Оценка, Событие, Факт. Москва «Наука». 1988

**მალინოვსკი, 1923 —** Malinowski B. The Problem of Meaning in Primitive Languages. Ogden and Richards, 1923

**სერლი, 1970** — Speech Acts: An Essay in the Philosophy of Language Cambridge University Press; Reprint edition (1970)

**ოსტინი, 1965** — Austin J., How to Do Things with Words, N-Y, Oxford University Press, 1965;
**ჰომეროსი. ოდისეა.** ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2013

ინტერნეტი

http://www.phrases.org.uk/bulletin_board/34/messages/1036.html
http://people.howstuffworks.com/sneezing.htm
http://en.wikipedia.org/wiki/God_bless_you
http://christianity.stackexchange.com/questions/18876/basis-for-saying-god-bless-you-when-a-person-sneezes
http://prointerest.ru/traditsii-pogelaniy-pri-chihanii/#ixzz3WEVoe3m9

**IRINE DEMETRADZE**

## Some Points on Sneezing and Coughing Speech Etiquette

Summary

The paper is an attempt to analyze the norms of speech etiquette in various cultures on the example of sneezing and coughing response phrases. The research has proved that in most cultures these responses are blessings related to health, God's will, long life, wealth, love and fulfillment of wishes. Special analysis is made of sneezing and coughing responses related to superstitions, as well as phrases used to bless children. The utterances related to sneezing and coughing are also analyzed from the viewpoint of speech act theory; hence, they are regarded as directive, expressive and behabitive speech acts. Besides, it is concluded that the above-mentioned utterances form part of phatic communication.

თინათინ კურდღელაშვილი

# მიმართვის ფორმები და თავაზიანობის მარკერები ინგლისურის, როგორც უცხო ენის გაკვეთილზე საქართველოში

ქართველი ახალგაზრდები დღეს მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია უცხო ენის შესწავლა. უცხო ენების ცოდნას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე სამყაროში, რადგანაც ის ინფორმაციისა თუ იდეების გაცვლის იდეალური საშუალებაა. მეტადრე მნიშვნელოვანი ხდება ინგლისური ენის შესწავლა, რომელიც დღესდღეობით საერთაშორისო ენას წარმოადგენს. საქართველოს მთავრობა 2010 წლიდან ახორციელებს პროგრამას „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“, რომლის მთავარი მიზანია ქართველ მოსწავლეებს მისცეს უნიკალური შანსი ინგლისურენოვან საზოგადოებასთან უშუალო კონტაქტის საშუალებით დახვეწოს და გაიუმჯობესოს საკუთარი ენობრივი შესაძლებლობები, რაც, ამ პროგრამის ორგანიზატორთა აზრით, „შეუცვლელი რესურსია, რადგან ამ ფორმით სასწავლო გარემოს გამრავალფეროვნება გაცილებით ეფექტურია, ვიდრე კომუნიკაციის სხვა საშუალებებით“ (http://www.tlg.gov.ge/content.php?id=94&lang=geo). წარმატებული კომუნიკაციისთვის საჭიროა მოსაუბრეები კარგად იცნობდნენ ერთმანეთის ენობრივ თავისებურებებს, რომ არ მოხდეს გაუგებრობა და უხერხული სიტუაციაში არ აღმოჩნდნენ ისინი. ეს გარემოება განსაკუთრებით გასათვალისწინებელია, როდესაც კომუნიკანტები სხვადასხვა კულტურისა და ენის მატარებლები არიან და, შესაბამისად, მათი ფონისეული ცოდნა ერთმანეთს არ ემთხვევა და ხშირ შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგოცაა. ამიტომ საჭიროა ინგლისური ენის ქართველმა მომხმარებლებმა გაითვალისწინონ ზემოთ თქმული, რათა თავიდან აიცილონ კომუნიკაციური მარცხი. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, ქართველმა მოსწავლეებმა იცოდნენ, თუ რა მიმართვის ფორმები უნდა გამოიყენონ ინგლისური

ენის გაკვეთილზე, რა სიხშირით იხმარონ თავაზიანობის მარკერები და რომ თავაზიანობას უნდა გამოხატავდნენ მასწავლებლისა და მოსწავლის მიმართ.

**თეორიული მასალის მიმოხილვა:** მიმართვის ფორმები ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ნებისმიერ საზოგადოებაში. მოსაუბრის მიერ ამა თუ იმ ფორმის შერჩევაზე სხვადასხვა კონტექსტუალური ფაქტორი ახდენს გავლენას, როგორიცაა ძალაუფლება, სოლიდარობა, დისტანცია, სახე, თავაზიანობის პრინციპები და სხვა. ამ მიმართულებით სხვადასხვა მეცნიერისა და ლინგვისტის საკმაოდ ბევრი და მრავალფეროვანი კვლევა არსებობს. მათ შორის აღსანიშნავია ჯეფრი ლიჩის თავაზიანობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც კომუნიკანტები უნდა ცდილობდნენ მინიმუმამდე დაიყვანონ არათავაზიანი გამონათქვამების რაოდენობა, და პირიქით, რაც შეიძლება გაზარდონ თავაზიანი ფორმების გამოყენების სიხშირე (ლიჩი, 1983). ბრაუნმა და ლევინსონმა განავრცეს ლიჩის თეორია, შემოიღეს დადებითი და უარყოფითი სახის ცნება და მათ საფუძველზე დადებითი და უარყოფითი თავაზიანობა და შემოგვთავაზეს შესაბამისი სტრატეგიებიც. დადებითი და უარყოფითი არ უნდა აღვიქვათ, როგორც „კარგი“ ან „ცუდი“. უარყოფითი თავაზიანობა ორიენტირებულია მსმენელზე, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მოსაუბრე აფასებს ადრესატის ძვირფას დროს, ბოდიშს უხდის შეწუხებისთვის და საკუთარი სურვილების მისთვის თავს მოხვევის მცდელობისთვის. „Using this strategy also results in forms which contain expressions of apology for the imposition“ (იული 1997). უარყოფითი თავაზიანობა არის მსმენელის ნეგატიური სახის შენარჩუნებისაკენ მიმართული მოქმედება. როგორც ბრაუნი და ლევინსონი აღნიშნავენ, „ეს არის პატივისცემაზე დამყარებული ქცევის მაგალითი, ხოლო დადებითი თავაზიანობა კი ახლობლურ და შეხუმრებულ ურთიერთობებზეა დაფუძნებული“. “It is the heart of respect behaviour, just as positive politeness is the kernel of ‘familiar’ and ‘joking’ behavior“(ბრაუნი და ლევინსონი, 1987). მათივე აზრით, დასავლეთ ქვეყნების ენები და მათ შორის ინგლისურიც, ძირითადად უარყოფითი თავაზიანობის მატარებელია. „In our culture, negative politeness is the most elaborate and the most conventionalized set of linguistic strategies for FTA redress“ (ბრაუნი და ლევინსონი, 1987).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დადებით თავაზიანობა ძირითადად ორიენტირებულია მოსაუბრეებს შორის ახლო ურთიერთობების წარმოჩენაზე. ამ სტრატეგიის გამოყენებით ადრესანტი ცდილობს რაიმე საზოგადოების, ანდა ჯგუფის მიღებულ წევრად იგრძნოს თავი. იული მიიჩნევს, რომ ინგლისური ენა თავისი სპეციფიკით უფრო მეტად უარყოფით თავაზიანობაზეა ორიენტირებული, ვიდრე დადებითზე (იული, 1997). დადებითი თავაზიანობის ერთ-ერთ სტრატეგიას წარმოადგენს გარკვეული ჯგუფის იდენტობის მაჩვენებელი მარკერები (in – group identity markers), რომლის ერთ-ერთ ქვეკატეგორიაში შედის მიმართვის ფორმები. როგორც ბრაუნი და ლევინსონი და ასევე ბრაუნი და გილმენი (ბრაუნი და გილმანი, 1960) აღნიშნავენ, მრავალი ენა თავაზიან ფორმებს ე.წ T/V სისტემით წარმოგვიდგენენ. ბრაუნისა და გილმენის აზრით, დასავლეთ ევროპულ ენებში მეორე პირის ნაცვალსახელების შერჩევაზე ზეგავლენას ახდენდა ორი ფაქტორი: ძალაუფლება და სოლიდარობა, რაც განპირობებულია კონტექსტის ფორმალობითა და მოსაუბრეთა შორის ურთიერთობის ხარისხით. მსგავს ფაქტორებს ასახელებენ რონ და სუზან სქოლონებიც (სქოლონი, 1994). მათი აზრით, თავაზიანობაში, ანუ სახის სისტემაში, მნიშვნელოვანია შემდეგი ცნებების გათვალისწინება: power, distance and the weight of imposition (ძალაუფლება, დისტანცია და გავლენის ხარისხი). ამ ფაქტორებზე დაყრდნობით კი ისინი გამოყოფენ სამი სახის თავაზიანობის (სახის) ტიპს: დიფერენციალური (deference), სოლიდარობის (soliderity) და იერარქიული (Hierarchy). ბრაუნისა და ლევინსონის აზრით, გარდა T/V ანუ შენ/თქვენ მიმართვის ფორმებისა, ჯგუფის წევრობის წარმოჩენისთვის ინგლისურში შეიძლება გამოყენებული იყოს საერთო სახელებითა და ტერმინებით გამოხატული მიმართვის ფორმები, როგორიცაა mate, buddy, Mom, babe, luv,cutie, sister, guys, dear, fellas. ამ ფორმების გამოყენება სახის შენარჩუნებას ემსახურება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იმპერატივებთან ერთად დგანან და ბრძანების ნაცვლად ნათქვამი თხოვნის გამომხატველია. ასეთ დროს მოსაუბრე თვლის, რომ ძალაუფლება და დისტანცია მასსა და მსმენელს შორის არის მცირე (ბრაუნი და ლევინსონი, 1978,1987).

საინტერესოა, როგორი მიმართვის ფორმებს იყენებენ მოსაუბრეები ინგლისური ენის გაკვეთილებზე საქართველოში. ითვალისწინებენ თუ არა თავაზიანობის პრინციპებს. როგორი სტრუქტურით ხასიათდება აღნიშნული ფორმები და არის თუ არა განსხვავება, როდესაც კომუნიკანტები ინგლისური ენის მატარებლები არ არიან, ანუ როდესაც მათთვის ინგლისური ენა უცხო ენას წარმოადგენს და არა მშობლიურს. სწორედ ამ საკითხების გარკვევას ემსახურება მოცემული სტატია.

**კვლევის მიზანი:** კვლევის მიზანია შემდეგი ჰიპოთეზების შემოწმება: 1. მიმართვის ფორმები, რომლებიც გამოიყენება ინგლისურის, როგორც უცხო ენის გაკვეთილზე საქართველოში, განსხვავდება იმ მიმართვის ფორმებისგან, რომელსაც გამოიყენებენ ინგლისური ენის მატარებლები ინგლისურენოვან გაკვეთილებზე. 2. ქართველი ინგლისური ენის მასწავლებლების მიერ გამოყენებული თავაზიანობის მარკერების „please" და „thank you"-ს გამოყენების სიხშირე განსხვავდება მოხალისე ინგლისური ენის მასწავლებლების მიერ გამოყენებულისგან. 3. ქართველი მოსწავლეები სათანადოდ ვერ ფლობენ თავაზიანობის მარკერების გამოყენების წესებს.

**მეთოდი — მონაწილეები და პროცედურა:** კვლევაში მონაწილეობა მიიღო „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად" პროგრამის ფარგლებში 2014-2015 სასწავლო წელს საქართველოში ჩამოსულმა ინგლისური ენის 30 მოხალისე მასწავლებელმა, რომლებმაც შეავსეს 13 შეკითხვისგან შემდგარი კითხვარი. მკვლევრისგან მონაწილეებმა მიიღეს ანონიმურობის პირობა.

**ინსტრუმენტი:** კითხვარი შედგება 13 სხვადასხვა ტიპის შეკითხვისაგან, რომლებიც არკვევს მონაწილეთა სქესს, ასაკს, მათ გამოცდილებას, როგორც მოსწავლეებისას. სკოლაში მასწავლებელთან ურთიერთობისას რა მიმართვის ფორმებს იყენებდნენ, როგორც მოსწავლეები და ამჟამად, როგორც მასწავლებლები. ქართველ ბავშვებთან მუშაობისას როგორ მიმართავენ მოსწავლეებს და მოსწავლეები როგორ მიმართავენ მათ, როგორ აფასებენ ქართველი მასწავლებლებისა და მოსწავლეების ურთიერთობას გაკვეთილზე თავაზიანობის

კუთხით, მათი აზრით, რამდენად ხშირად იყენებენ თავაზიანობის მარკერებს „please“ და „thank you“-ს ქართველი მასწავლებლები, ქართველი მოსწავლეები და თვითონ. მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 კითხვები წარმოადგენენ მრავლობითი არჩევნის მქონე შეკითხვებს, რომელთაგან მონაწილეებს შეეძლოთ აერჩიათ  იმდენი პასუხი, რამდენსაც ჩათვლიდნენ საჭიროდ. მე-10 შეკითხვა არკვევს მოხალისე მასწავლებლების შეხედულებას ქართველი მოსწავლე-მასწავლებლების ურთიერთობაზე თავაზიანობის კუთხით. შესაბამისი პასუხების გაზომვა თავდაპირველად ლიკერტის ოთხბალიანი შკალით იყო ჩაფიქრებული, თუმცა მონაწილეთა პასუხებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა მეხუთე განზომილების „ნეიტრალურის“ შემოღება. შესაბამისად, 1 შეესაბამება „სრულიად არ ვეთახმები“, 2 — „არ ვეთახმები“, 3 — „ვეთანხმები“, 4 — „სრულიად არ ვეთახმები“, 5 — „ნეიტრალური“. რაც შეეხება დანარჩენ კითხვებს, არის როგორც ნომინალური, ასევე ორდინალური ტიპისა. მონაცემთა ანალიზი გაკეთდა IBM SPSS Statistics 21-ის საშუალებით.

**მონაცემთა ანალიზი**. გამოკითხვაში მონაწილეთა ძირიდათი ასაკი განისაზღვრება 21 დან 30 ასაკობრივი კატეგორიით, რომელშიც ერთიანდება მასწავლებელთა 73,3%. მკვეთრი განსხვავება არ შეინიშნება მონაწილეთა სქესში. 43,3% მამრობითი სქესის წარმომადგენლებზე მოდის, ხოლო 56,7% — მდედრობითზე. ყველა მონაწილისთვის ინგლისური მშობლიური ენაა და აბსოლუტური უმრავლესობა, 96,7%, ეთახმება იმ მოსაზრებას, რომ აუცილებელია საგაკვეთილო პროცესში მასწავლებელიც და მოსწავლეც ყურადღებით იყოს მათ მიერ განხორციელებული სამეტყველო აქტების მიმართ, რათა არ მოხდეს, ან მინიმუმამდე შემცირდეს რომელიმე მხრიდან სახის შელახვის შემთხვევები. როგორც პირველი ცხრილიდან ჩანს, გამოკითხულთა უმეტესობა, 40%, არ ეთახმება იმ მოსაზრებას, რომ ქართველი მოსწავლეები თავაზიანობას გამოხატავენ მასწავლებლებისა და თანაკლასელების მიმართ, ხოლო 36,7% ემხრობა საპირისპიროს. მხოლოდ 6,7%-ია განსაკუთრებით დარწმუნებული, რომ ქართველი

მოსწავლეები არ გამოხატავენ თავაზიანობას გაკვეთილზე, 13,3% სრულიადაა დარწმუნებული მოსწავლეთა თავაზიანობაში და 3,3% იკავებს ნეიტრალურ პოზიციას, ანუ არც ეთანხმება, და არც უარყოფს. რაც შეეხება შეკითხვას ქართველი მასწავლებლები თუ გამოხატავენ თავაზიანობას მოსწავლეთა მიმართ, უმრავლესობამ, ანუ 51,7% დადებითად გასცა პასუხი, და მხოლოდ 31% არ ეთანხმება მოცემულ მოსაზრებას.

| | სრულიად არ ვეთანხმები | არ ვეთანხმები | ვეთანხმები | სრულიად ვეთანხმები | ნეიტრალური | მთლიანი % | გაუცემელი პასუხი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქართველი მოსწავლეები გამოხატავენ თავაზიანობას მასწავლებლისა და მოსწავლეების მიმართ | 6.7% | 40.0% | 36.7% | 13.3% | 3.3% | 10% | 0% |
| ქართველი ინგლისურის მასწავლებლები გამოხატავენ თავაზიანობას მოსწავლეთა მიმართ. | 3.4% | 31.0% | 51.7% | 10.3% | 3.4% | 10% | 0% |

ცხრილი №1

მოხალისე მასწავლებლების 60% თვლის, რომ თავაზიანობის გამომხატველ მარკერებს თავად ხშირად გამოიყენებენ გაკვეთილზე, განსხვავებით ქართველი მასწავლებლებისაგან (30%), ასევე მათი უმეტესობა (40%) თვლის, რომ ქართველი ინგლისური ენის პედაგოგები იშვიათად გამოიყენებენ ამ მარკერებს, ისევე როგორც ქართველი მოსწავლეები. იხილეთ ცხრილი №2.

| | ხშირად | ძალიან იშვიათად | იშვიათად | არასდეს | მთლიანი % | გაუცემელი პასუხი |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოხალისე მასწავლებ ლების მიერ | 6% | 36.7% | 3.3% | 0% | 100% | 0% |
| ქართველი ინგლისური მასწავლებ ლების მიერ | 3% | 13% | 40% | 16% | 100% | 0% |
| ქართველი მასწავლებ ლების მიერ | 2% | 13.3% | 43.3% | 13.3% | 96.7% | 3.3% |

ცხრილი №2.

რაც შეეხება მიმართვის ფორმებს, როგორც აღმოჩნდა, ინგლისური ენის მოხალისე მასწავლებლები თავიანთი მოსწავლეობის პერიოდში მასწავლებლისადმი მიმართვისას ძირითადად იყენებდნენ შემდეგი სტრუქტურის მქონე მიმართვის ფორმებს: ტიტული + გვარი (79.4%), ტიტული + სახელი (8.8%). პასუხების 11.8 % მოდის სხვადასხვა ტიპისა და ფორმის მქონე მიმართვაზე. ესენია: Miss, Sir, მხოლოდ სახელი (როდესაც რესპონდენტი ლათინურ ამერიკაში ცხოვრობდა), Mom (როდესაც საშინაო სკოლაში სწავლობდა.) დეტალურად იხილეთ ცხრილი №3. სვეტის ქვეშ, სათაურით 'Percent' წარმოდგენილია პროცენტი რესპონდენტების მიერ შერჩეული ყველა პასუხის ერთობლიობის მიხედვით, ხოლო სვეტის ქვეშ 'Percent of Cases' მოცემული პროცენტები გაანგარიშებულია რესპონდენტთა რაოდენობის მიხედვით. შემდეგი ცხრილებიც მსგავსი პრინციპით იანგარიშება.

**Addressing Frequencies**

| | | Responses | | Percent of Cases |
|---|---|---|---|---|
| | | N | Percent | |
| მოხალისე მასწავლებლები მიმართავდნენ მასწავლებლებს მოსწავლეობის პერიოდში | Title + Surname | 27 | 79.4% | 90.0% |
| | Title + First name | 3 | 8.8% | 10.0% |
| | Others | 4 | 11.8% | 13.3% |
| Total | | 34 | 100.0% | 113.3% |

ცხრილი № 3

შეკითხვას, თუ როგორ მიმართავენ გაკვეთილზე ქართველი მოსწავლეები მასწავლებელს, პასუხების უმრავლესობა, 26.2%, მოდის მიმართვის ფორმაზე „მასწავლებელო", (Teacher), შემდეგ მოდის მიმართვის ფორმები გამოხატული სახელებით (First names), მასწავლებელო + სახელი (Teacher + First name), სხვადასხვა სტრუქტურის მქონე ფორმები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სახელი + მასწავლებელო (მას), სახელი + teacher (მასწავლებელო). რაც შეეხება ტიტული+სახელი და ტიტული+გვარი სტრუქტურულ ერთეულს, ყველაზე ნაკლები შემთხვევა დაფიქსირდა. პროცენტული მაჩვენებლები ნაჩვენებია მე-4 ცხრილში.

**Addressing Frequencies**

| | | Responses | | Percent of Cases |
|---|---|---|---|---|
| | | N | Percent | |
| ქართველი მოსწავლეების მიმართვა ინგლისური ენის მასწავლებლისადმი | First Names | 15 | 24.6% | 50.0% |
| | Teacher | 16 | 26.2% | 53.3% |
| | Teacher+First Name | 12 | 19.7% | 40.0% |
| | Mr/Miss/Mrs/Ms/+First name | 6 | 9.8% | 20.0% |
| | Mr/Miss/Mrs/Ms+Surname | 2 | 3.3% | 6.7% |
| | Others | 10 | 16.4% | 33.3% |
| Total | | 61 | 100.0% | 203.3% |

ცხრილი № 4

კვლევა გვიჩვენებს, რომ ინგლისურენოვან საზოგადოებაში გაკვეთილებზე ყველაზე გამორჩეული სიხშირით მასწავლებლები მოსწავლეებს მიმართავენ სახელებით, შემდეგ — ფორმით „students“ ანუ „მოსწავლეებო“. ყველაზე ნაკლები სიხშირით გამოიყენება მიმართვა ფორმით „young fellows“, ანუ „ყმაწვილებო“. რაც შეეხება სტრუქტურულ ერთეულებს surname, ანუ გვარი, First name + Surname (სახელი + გვარი), guys , ანუ „ყმაწვილებო“, გამოყენების თითქმის თანაბარი სიხშირე შეინიშნება. 5,8 %-მდე კი სხვადასხვა მიმართვის ფორმას ეთმობა. ამ ფორმებში გამოირჩევა Miss + გვარი, Miss, scholars (ანუ სწავლულებო), young ones (ანუ ახალგაზრდებო). პროცენტული მონაცემები დეტალურად ნაჩვენებია მე-5 ცხრილში.

| | | Responses | | Percent of Cases |
|---|---|---|---|---|
| | | N | Percent | |
| მასწავლებლების მიმართვა მოსწავლეებისადმი ინგლისურენოვან სოციუმში | First name | 30 | 57.7% | 100.0% |
| | Surname | 4 | 7.7% | 13.3% |
| | First name + Surname | 3 | 5.8% | 10.0% |
| | Students | 6 | 11.5% | 20.0% |
| | Young fellows | 1 | 1.9% | 3.3% |
| | Guys | 5 | 9.6% | 16.7% |
| | Others | 3 | 5.8% | 10.0% |
| Total | | 52 | 100.0% | 173.3% |

a. Dichotomy group tabulated at value 2.

ცხრილი №5

შესაბამისად, საქართველოში ყოფნის დროს გაკვეთილებზე მოსწავლეთა მიმართ გამოყენებულ მიმართვის ფორმებს შორის ყველაზე დიდი სიხშირით სახელებით მიმართვა გამოირჩევა, შემდეგ — ფორმები „Students“ ანუ „მოსწავლეებო“. კვლევის მიხედვით იკვეთება, რომ ყველაზე ნაკლები გამოყენება გვარებითა და „guys“ ანუ „ყმაწვილებო“-თი მიმართვაად გამოიყენება. დაახლოებით 10 % კი მიმართვის სხვადასხვა ფორმას ეთმობა, რომელთა შორის აღსანიშნავია ქართულ ენაზე მიმართვები: „ბოვშვებო“ (კუთხური მიმართვა),

„ბავშვებო“, „გოგოებო“, „ბიჭები“, „შვილო“, ასევე „Ladies“, ან ჟესტიკულაციის გამოყენებით — თითით ჩვენება. კვლევის შედეგების ანალიზი პროცენტებში დეტალურად მე-6 ცხრილშია წარმოდგენილი.

| | | Responses | | Percent of Cases |
|---|---|---|---|---|
| | | N | Percent | |
| მოხალისე მასწავლებლების მიმართვა მოსწავლეებისადმი საქართველოში | First names | 30 | 61.2% | 100.0% |
| | Surnames | 1 | 2.0% | 3.3% |
| | Students | 9 | 18.4% | 30.0% |
| | Guys | 4 | 8.2% | 13.3% |
| | Others | 5 | 10.2% | 16.7% |
| Total | | 49 | 100.0% | 163.3% |

**კვლევის შედეგები:** ჩატარებული კვლევით დგინდება პირველი ჰიპოთეზის სისწორე, რომ საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლისადმი მიმართვის ფორმები მკვეთრად განსხვავდება ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი სოციუმის წარმომადგენლებს შორის. როგორც წესი, „ინგლისურ ყოფაში მასწავლებლისადმი მიმართვისას იყენებს Mr, Sir + პიროვნების გვარი მამრობითი სქესის ადამიანთან მიმართებისას და Mrs/Miss + პიროვნების გვარი მდედრობითი სქესის მასწავლებლისადმი მიმართვისას“ (რუხაძე, 2005). ეს ფაქტი კვლევაში მონაწილეთა პასუხებითაც ზუსტდება. თითქმის 90 % მასწავლებლისადმი მიმართვის ფორმად სწორედ ზემოთ აღნიშნულ სტრუქტურას ასახელებს, თუმცა აქვე საინტერესოა იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ როდესაც მოსწავლე სახლში იღებს განათლებას, ის, რასაკვირველია, მშობელს „დედა“, „მამა“-თი მიმართავს. და კიდევ, როგორც აღმოჩნდა, ლათინურ ამერიკაში მასწავლებლებს სახელით მიმართავენ. რაც შეეხება საქართველოს რეალობას, ინგლისურენოვან გაკვეთილებზე გვაქვს ინტერფერენციის შემთხვევა და მიმართვის ფორმა ჰგავს ქართულენოვანისას, როდესაც „მოსწავლე მასწავლებელს პიროვნების სახელი + პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვა „მასწავლებელი“ მიმართავის ფორმით მიმართავს“ (რუხაძე, 2005). კვლევის ანალიზის მიხედვით უმეტესობა ქართველი მოსწავლე ინგლისური ენის მასწავლებელს მიმართავს სიტყვა ‘teacher’-ით, ანუ როგორც ქართუ-

ლენოვან გაკვეთილებზე — სიტყვა „მასწავლებელო“-თი. ისინი უბრალოდ ახდენენ ამ სიტყვის ინგლისურ ენაზე თარგმანს, თუმცა, რა თქმა უნდა, დიდ შეცდომას უშვებენ, რადგანაც ასეთი მიმართვის ფორმა არ არის მისაღები და გავრცელებული ინგლისური ყოფისთვის. ასეთ დროს მასწავლებლის პირდაპირი მოვალეობაა მოსწავლის გათვითცნობიერება ამ კულტურულ თავისებურებაში, რათა მოსწავლე აღჭურვილი იყოს სათანადო ენობრივი კომპეტენციებით და ჰქონდეს სათანადო ცოდნა და ენობრივი უნარები, რომ წარმატებული კომუნიკაციური ურთიერთობები დაამყაროს სამიზნე, ამ შემთხვევაში, ინგლისურ ენაზე მოსაუბრეებთან. როგორც ბროკი და ნაგასაკა აღნიშნავენ, ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, მოსწავლეებს შეუძლიათ ეს უნარები თანდათან, სწავლის პროცესში თავისდაუნებურად აითვისონ და სულაც არაა აუცილებელი პრაგმატიკის საწყისების გაკვეთილზე სწავლა, თუმცა მინდა აბსოლუტურად დავეთანხმო ბროკსა და ნაგასაკას იმ მხრივ, რომ სასარგებლო და აუცილებელია მოსწავლეებმა ისწავლონ და გაიაზრონ პრაგმატიკის, და კერძოდ, ლინგვისტური თავაზიანობის ელემენტარული წესები, რომ თავიდან აირიდონ კომუნიკაციური მარცხი, რომელიც იზრდება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კომუნიკანტები განსხვავებული კულტურული ელემენტების მატარებლები არიან. (ბროკი, ნაგასაკა, 2005, 20; კურდღელაშვილი, 2015).

როგორც დასაწყისშიც აღვნიშნეთ, ლინგვისტური თავაზიანობა ძალიან მნიშვნელოვანი ცნებაა ინგლისურენოვან საზოგადოებაში და ის სხვადასხვა ენობრივი ფორმებით გამოიხატება. თავაზიანობის მარკერებად მიიჩნევა სიტყვები 'please', ანუ „გთხოვ“ და 'thank you', ანუ „მადლობა“. მართალია, ამ მარკერების გამოყენება უკვე ნორმად მიიჩნევა და ხშირად თავაზიანობასთან არც კი ასოცირდება, თუმცა მათმა არგამოყენებამ კონვენციის დარღვევამდე შეიძლება მიგვიყვანოს (რუსიეშვილი, 2006). ჩემი აზრით, ინგლისური ენის ქართველმა მომხმარებელმა უნდა იცოდეს ამ მარკერების შესახებ და მათ გამოყენებასაც მიჩვეული უნდა იყოს, რადგანაც შეიძლება ერთ კულტურაში, მაგალითად, ქართულში, მათ არც თუ დიდი ყურადღება ექცევა, მაგრამ ინგლისურ ყოფაში თავაზიანობის ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტი და შემადგენელი ნაწილია. რუსიეშვილი აღნიშნავს, რომ

მასწავლებელმა შეიძლება კლასს მოუწოდოს 'Could you please be quie't და ამ კონტექსტში 'please' არ არის თავაზიანობის აღმნიშვნელი ფორმა (რუსიეშვილი, 2006). მეც მიმაჩნია, რომ მხოლოდ ლინგვისტური ფორმაზე დაყრდნობით არ შეგვიძლია სრულყოფილად ვიმსჯელოთ ლინგვისტურ თავაზიანობაზე, რადგანაც მთელი რიგი ექსტრალინგვისტური ფაქტორები, როგორიცაა მიმიკა, ჟესტიკულაცია, და მთლიანი სასაუბრო კონტექტია გასათვალისწინებელი. მართალია, ამ მარკერების გამოყენება შეიძლება ზოგიერთი მკვლევრის აზრით აღარ ასოცირდება თავაზიანობასთან, მაგრამ ვფიქრობ, რომ მათი არგამოყენება შეიძლება არათავაზიანობაში ჩაითვალოს, ამიტომაც საჭიროა, გაკვეთილზე მასწავლებელმა სათანადო სიხშირით გამოიყენოს ეს მარკერები, რომ მოსწავლეები შეეჩვიონ და გაითავისონ მათი გამოყენების წესები. ჩემი კვლევის ფარგლებში შემიძლია ვთქვა, რომ ქართველი ინგლისური ენის მასწავლებლები და მოსწავლეები ნაკლები სიხშირით გამოიყენებენ მოცემულ თავაზიანობის მარკერებს, ვიდრე თავად ინგლისურენოვანი მასწავლებლები (იხ. ცხრილი №2). თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კვლევის მიხედვით, ქართველი მასწავლებლები უხეშები სულაც არ არიან მოსწავლეების მიმართ. ანუ დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ ინგლისურენოვან კონტექსტში საქართველოში თავაზიანობა გამოიხატება თავაზიანობის მარკერების გამოყენების გარეშე. ეს შეიძლება აიხსნას 2 ფაქტით: ერთი, რომ  ინტერფერენციას აქვს ადგილი. ქართულ ენაში მოცემული მარკერები დიდი სიხშირით არ გამოიყენება, შესაბამისად, არც ქართველი ინგლისური ენის მასწავლებლები გამოიყენებენ მათ. მე-2 ფაქტორად კი შეიძლება დავასახელოთ ის გარემოება, რომ ამ მარკერების გამოყენება ნორმად აღიქმება აგრეთვე ქართველი ინგლისური ენის მასწავლებლების მიერ და, შესაბამისად, დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ მათ ხმარებას. თუმცა ჩემი გამოცდილებით და პირადი დაკვირვებით, პირველი ფაქტორი დომინირებს. ყველა შემთხვევაში ვფიქრობ, რომ უმჯობესი იქნება, თუკი ინგლისური ენის გაკვეთილებზე ეს მარკერები გამოიყენება სათანადო სიხშირით, როგორც ამას უცხოელი მოხალისე ინგლისური ენის მასწავლებლები აკეთებენ გაკვეთილებზე საქართველოში. კვლევამ უჩვენა მესამე ჰიპოთეზის სისწორეც. ქართველი მოსწავლეები სათანადოდ ვერ ფლობენ მოცე-

მული მარკერების გამოყენების წესებს. ეს, რასაკვირველია, პირდაპირ კავშირშია მეორე ჰიპოთეზასთან. თუკი მასწავლებელი არ გამოიყენებს მოცემულ მარკერებს გაკვეთილზე, რა თქმა უნდა, მოსწავლესაც არ ექნება სათანადო უნარები ათვისებული. თუ შევადარებთ, გამოკითხული უცხოელი მასწავლებლების უმრავლესობა, ანუ 60%, ხშირად იყენებს ამ მარკერებს, მაშინ როდესაც ქართველი მასწავლებლების უმრავლესობა, 40%, და მოსწავლეთა დიდი ნაწილი 43.3% — იშვიათად (იხ. ცხრილი №2).

**დასკვნა:** კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აუცილებელია ინგლისური ენის შესწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ენის პრაქტიკულ გამოყენებას, კერძოდ, გაკვეთილზე მასწავლებლისადმი მიმართვის სწორი ფორმების შერჩევასა და თავაზიანობის მარკერების სათანადო სიხშირით ხმარებას, რაც, როგორც დავინახეთ, არ ხორციელდება დღესდღეისობით ინგლისურის, როგორც უცხო ენის გაკვეთილზე საქართველოში. იმისთვის, რომ ქართველმა ახალგაზრდებმა წარმატებებს მიაღწიონ უცხოელ მოქალაქეებთან ურთიერთობებში, აუცილებელია მათი აღჭურვა სათანადო ენობრივი კომპეტენციებით, რათა არ წარმოჩნდეს მათი მხრიდან მოსაუბრეთა სახის შელახვის ფაქტები და უხეშობაში არ ჩაეთვალოთ განხორციელებული ინგლისურენოვანი სამეტყველო აქტები.

ლიტერატურა

**ბრაუნი, გილმანი, 1960** — Brown. P., Gillman. A. *Power and solidarity*, 1960.

**ბრაუნი, ლევინსონი, 1978, 1987** — Brown. P., Levinson. S., *Politeness. Some universals in language usage*. Cambridge University Press, 1978, 1987.

**ბროკი, ნაგასაკა, 2005** — Nagasaka. M. N. *Teaching pragmatics in the EFL classroom? Sure you can,* ”TESL Reporter, vol. 38, no.1, 17-26, pp 20, 2005.

**იული, 1997** – Jule, G. . *Pragmatics.* Cambridge University Press, 1997, pp 65.

**კურდღელაშვილი, 2015** — Kurdghelasvili. T. *Speech acts and politeness strategies in an EFL classroom in Georgia.* International Science Index, London, pp.793-796. 2015.
http://waset.org/Publications/?path=Publications&q=Kurdghelashvili&search=Search
**ლიჩი, 1983** — Leech G. N. *Principles of Pragmatics*. London. Longman, 1983.
**რუსიეშვილი, 2006** — რუსიეშვილი მ., *რატომ არ არის პ. ბრაუნისა და ს. ლევინსონის ლინგვისტური თავაზიანობის მოდელი უნივერსალური?* საენათმეცნიერო ძიებანი, XXIV, თბილისი, 2006.
**რუხაძე, 2005** — რუხაძე ნ. *თავაზიანობის საკითხი და მიმართვის ფორმები ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებში.* საენათმეცნიერო ძიებანი, XX, თბილისი, 2006.
**სქოლონი, სქოლონი, როდნი 2012** — Scollon. R., Scollon.S.W., Rodney. H.J. *Intercultural Communication*, 3rd edition, 2012.
http://www.tlg.gov.ge/content.php?id=94&lang=geo

**TINATIN KURDGHELASHVILI**

## Forms of Address and Politeness Markers at EFL Lessons in Georgia

### Summary

The paper aims at revealing peculiarities of the usage of the English address forms as well as politeness markers ‘please’ and ‘thank you’ in an EFL (English as a Foreign Language) classroom in Georgia. The paper also presents a comparative study of the given forms and markers as employed by Georgian teachers of English, Georgian students and native English teachers.

თინათინ კურდღელაშვილი

# თავაზიანობის სტრატეგიებისა და გრაისის მაქსიმების გამოყენება ინგლისურის, როგორც უცხო ენისა და ქართული ენის გაკვეთილზე საქართველოში (შეპირისპირებითი ანალიზი)

ვერბალური კომუნიკაცია საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობის ძირითადი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც ხდება ინფორმაციის გაცვლა, აზრებისა და გრძნობების გამოხატვა. იგი გარკვეულ პრინციპებს ემყარება, რომელთა ახსნასა და გადმოცემას პირველად პოლ გრაისი შეეცადა. მისი აზრით, მოსაუბრეები უნდა დაუკვირდნენ, თუ რას ამბობენ და როგორ ამბობენ. მათი წვლილი სასაუბრო პროცესში განსაზღვრული და მიზანმიმართული უნდა იყოს. „Make your conversational contribution such as is required, at the stage at which it occurs, by the accepted purpose or direction of the talk exchange in which you are engaged. One might label this the Cooperative Principle“ (გრაისი, 1989). ხშირად მოსაუბრის ნათქვამი არ თანხვდება მის მიერ ნაგულისხმებ აზრს და გამონათქვამი დამატებით მნიშვნელობას იძენს, რაც იმპლიკაციის (implicature) სახელწოდებით მოიხსენიება. „მოსაუბრის მიზანია რაღაც ახლის თქმა, რაც უფრო მეტია, ვიდრე სიტყვების მნიშვნელობა. ეს არის დამატებითი მნიშვნელობა, რომელსაც იმპლიკაცია ეწოდება“ (the speaker intends to communicate something. That something must be more than just what the words mean. It is an additional conveyed meaning, called an implicature. იული, 1997). გრაისს მოჰყავს მაგალითი, როცა ორი მოსაუბრის ნაგულისხმევი აზრი ერთმანეთს არ ემთხვევა და ასეთ შემთხვევაში გვთავაზობს შემოვიტანოთ ტერმინი იმპლიკაცია, ანუ „ნაგულისხმევი მნიშვნელობა“ ‘…It is clear that whatever B implied, suggested, meant in this example, was distinct from what B said. … I wish to introduce, as term of art, the verb implicate and the related nouns implicature (cf. implying) and impicatum ( cf. what is implied)’ (გრაისი, 1989). თანამშრომლობითი პრინციპის უფრო

სრულყოფის მიზნით, გრაისი გვთავაზობს ოთხ ძირითად სასაუბრო მაქსიმას თავისი ქვემაქსიმებით:

1. რაოდენობის (იყავი იმდენად ინფორმატიული, რამდენადაც საჭიროა, მოერიდე ზედმეტი ინფორმაციის გაცემას.)

2. ხარისხის (არ თქვა ის, რაც არ შეესაბამება სიმართლეს)

3. რელევანტურობის (იყავი რელევანტური, არ თქვა ის, რაც შენთვის უცხოა).

4. მანერის (იყავი თანმიმდევრული, ზუსტი, მოერიდე გაუგებრად და ორაზროვნად საუბარს (იული, 1997; გრაისი, 1997; პერსონი, 1995).

გრაისის მაქსიმები და თანამშრომლობითი პრინციპი მჭიდრო და პირდაპირ კავშირშია თავაზიანობის თეორიასთან, რომელიც 1970-იანი წლების ბოლოს განვითარდა და მისი მთავარი ფუძემდებლები ბრაუნი და ლევინსონი იყვნენ.

ლინგვისტურ თავაზიანობას სხვადასხვა მეცნიერი და სწავლული თავისებურად განსაზღვრავს, თუმცა თითქმის ყველას შინაარსი ერთი და იგივეა: თავაზიანობის გამოყენება საზოგადოებას სჭირდება ინტერაქციის დროს სახის შენარჩუნებისა და კონფლიქტური სიტუაციების თავიდან ასაცილებლად (ლეიკოფი, 1975; ლიჩი, 1980; ბრაუნი და ლევინსონი, 1978,1987; კასპერი, 1990; იდე, 1989; უოტსი, 2003).

თავაზიანობის თეორიას უკავშირდება სახის ცნება და შემდეგი ტერმინები: face wants, negative and positive face, face threatening (FTA) and fave saving acts (FSA), positive and negative politeness (სახის ნდომა, უარყოფითი და დადებითი სახე, სახის შელახვისა და შენარჩუნების აქტები, დადებითი და უარყოფითი თავაზიანობა). ყველა კულტურის ადამიანი ცდილობს პატივი სცეს სხვების აზრს, მისი დამოკიდებულებების მიუხედავად, ანუ დაამყაროს ჯანსაღი სოციალური ურთიერთობები, რაც, თავის მხრივ, მის იმიჯზეც იმოქმედებს, ანუ მოსაუბრე ცდილობს შეინარჩუნოს საკუთარი სახე და ამავე დროს არ შელახოს სხვისიც. თუ მოსაუბრე ამბობს ისეთ რამეს, რაც არ ემთხვევა მსმენელის მოლოდინებს, იქმნება სახის შელახვის საშიშროება, და საპირისპიროდ, როდესაც მოსაუბრე ცდილობს შეარბილოს და შეამციროს თავისი ნათქვამით გამოწვეული სახის შელახვის შესაძლო სა-

ფრთხე, საქმე გვაქვს სახის შენარჩუნების სამეტყველო აქტთან. ამ დროს ადრესანტი ითვალისწინებს მსმენელის საჭიროებას და სურვილს, იყოს დამოუკიდებელი, ჰქონდეს თავისუფალი ქმედების საშუალება ან ისე მოექცნენ მას, როგორც ჯგუფის წევრს, იყოს აღიარებული და მოწონებული. ეს არის უარყოფითი და დადებითი სახის ცნება.

აქედან გამომდინარე, ბრაუნმა და ლევინსონმა განასხვავეს ორი ტიპის თავაზიანობა: დადებითი და უარყოფითი (Positive and negative politeness). უარყოფითი თავაზიანობა ორიენტირებულია მსმენელზე, ხაზსს უსვამს იმ ფაქტს, რომ მოსაუბრე აფასებს ადრესატის ძვირფას დროს, ბოდიშს უხდის შეწუხებისთვის და საკუთარი სურვილების მისთვის თავს მოხვევის მცდელობისთვის. „Using this strategy also results in forms which contain expressions of apology for the imposition" (იული, 1997:65). უარყოფითი თავაზიანობა ეს არის მსმენელის ნეგატიური სახის შენარჩუნებისაკენ მიმართული მოქმედება, რაც შეეხება დადებით თავაზიანობას, ის ძირითადად ორიენტირებულია მოსაუბრეებს შორის ახლო ურთიერთობების წარმოჩენაზე. იგი გულისხმობს მთქმელის მიზანს, მოწონებული და მიღებული იყოს სხვების მიერ. ამ სტრატეგიის გამოყენებით ადრესანტი ცდილობს რაიმე საზოგადოების ანდა ჯგუფის მიღებულ წევრად იგრძნოს თავი. როგორც ბრაუნი და ლევინსონი აღნიშნავენ, „ურაყოფითი თავაზიანობა პატივისცემის გამოხატვის მთავარი საშუალებაა, მაშინ როდესაც დადებითი — ახლობლურ და შეხუმრებულ ქცევაზეა დაფუძნებული" (It is the heart of respect behaviour, just as positive politeness is the kernel of 'familiar' and 'joking' behavior) (ბრაუნი და ლევინსონი, 1978, 1987). მათივე აზრით, დასავლეთ ქვეყნების ენები და მათ შორის ინგლისურიც ძირითადად უარყოფითი თავაზიანობის მატარებელია. „In our culture, negative politeness is the most elaborate and the most conventionalized set of linguistic strategies for FTA redress" (ბრაუნი და ლევინსონი, 1978, 1987).

მთლიანობაში ბრაუნის და ლევინსონის თავაზიანობის სტრატეგიები განასხვავებს 5 კატეგორიას: (ბრაუნი და ლევინსონი, 1987 ციტირებული ჟურნალ TEFLIN-ში 2013)

1. To follow what it says, bald on record

2. Perform speech acts using positive politeness
3. Perform speech acts using negative politeness
4. Indirect speech acts (off record)
5. Do not do speech act or say anything.

მოცემული კატეგორიები დალაგებულია ნაკლებ თავაზიანი ფორმებიდან უფრო მეტად თავაზიანი ფორმებისკენ.

ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა თუ კატეგორიად გამოვყოფდით იმ შემთხვევას, როდესაც მოცემულია პირდაპირი ნათქვამი, მაგრამ შერბილებულია თავაზიანობის მარკერით, რაც არაერთხელ შემხვდა ჩემი კვლევის მანძილზე და, ვფიქრობ, ცალკე კატეგორიად გამოყოფას ნამდვილად იმსახურებს ნახსენები სტრუქტურის მქონე თავაზიანობის სტრატეგია.

ბრაუნისა და ლევინსონის თავაზიანობის სტრატეგიები ერთ კონკრეტულ მაგალითზე (როგორ გამოვართვათ ვინმეს კალამი) ცხრილის სახით შემდეგნაირად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: (ცხრილი გაკეთებულია ბრაუნისა და ლევინსონის მიხედვით, ციტირებული ჯ. იულის მიერ. იული, 1997)




როგორც ცხრილიდან ჩანს, კალმის თხოვნისას შესაძლოა არაფერი ვთქვათ და უბრალოდ დავიწყოთ ჩანთაში ძებნა, რაც ყველაზე თავაზიან ქცევის ფორმად ითვლება, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოებაც, რომ მსმენელმა შესაძლოა ან ვერ, ან შეცდომით მოახდინოს მოცემული მესიჯის დეკოდირება. მეორე გზაა ვუთხრათ ადრესატს, რომ კალამი გვჭირდება. აქაც ორი საშუალებაა. ერთი გზაა, როდესაც ღიად ვეუბნებით, ანდა ირიბი გზით, კერძოდ, მაგა-

ლითად „დამავიწდა კალამი“. ღია ნათქვამში, ერთი მხრივ, იგულისხმება დადებითი ან უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიები, და მეორე მხრივ, — პირდაპირი მიმართვა, ხშირ შემთხვევაში იმპერატივებით გამოხატული.

დადებითი და უარყოფითი თავაზიანობის ფორმები, თავის მხრივ, აერთიანებს სტრატეგიებს, რომლებიც პირველ და მეორე ცხრილშია მოცემული.




ცხრილი № 1. დადებითი თავაზიანობის სტრატეგიები (ბრაუნი და ლევინსონი, 1987, 103)




Fig. 8. Chart of strategies: Negative politeness

ცხრილი №2. უარყოფითი სტარტეგიების ცხრილი (ბრაუნი და ლევინსონი, 1987, 129)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბრაუნი და ლევინსონი დასავლეთ ევროპულ ენებს, და მათ შორის ინგლისურსაც, უარყოფითი თავაზიანობის მატარებელ ენად მიიჩნევდნენ. მოცემულ სტატიაში ჩემი კვლევის მიზანია დავადგინო, რამდენად მისაღებია ეს მტკიცება საგაკვეთილო პროცესში; ზოგადად რა სტრატეგიებს მიმართავენ მოსწავლე-მასწავლებელი სასწავლო პროცესში ინგლისურისა და ქართული ენის გაკვეთილებზე და ხდება თუ არა გრაისის მაქსიმების დარღვევა.

**კვლევის მეთოდი და მიზანი:** კვლევა ძირითადად პირველადი ინფორმაციის საფუძველზე წარიმართა, თუმცა ინგლისურენოვანი

დისკურსისთვის ასევე გამოვიყენე მეორადი ინფორმაციაც, კერძოდ კი, სენოვარსიტოს მიერ სტატიაში მოყვანილი საგაკვეთილო პროცესიდან აღებული სამეტყველო მოვლენები (სენოვარსიტო, 2013). პირველადი ინფორმაციის მოპოვების მიზნით გამოვიყენე პროფილური კვლევის ტიპი, ინსტრუმენტი მოიცავს კითხვარსა და დაკვირვებას; სამიზნე ჯგუფი: პროფილური მრავალჯერადი კვლევის დროს, რომლის ინსტრუმენტსაც კითხვარი წარმოადგენდა, მონაწილეობა მიიღეს საჯარო სკოლების მე-5, მე-7, მე-9, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებმა, რაც შეეხება დაკვირვებას, ინგლისურენოვანი დისკურსის ანალიზისთვის გამოვიყენე მე-4 და მე-12 კლასის მოსწავლეებსა და ორ სერთიფიცირებულ და გამოცდილ ინგლისური ენის ადგილობრივ პედაგოგზე დაკვირვება. ქართული ენობრივი კონტექსტის გააზრებისთვის კი — მე-6 და მე-9 და მე-11 კლასების მოსწავლეები და მათი ქართული ენის პედაგოგები, რისთვისაც მათ ძალიან დიდ მადლობას ვუხდი. პრაგმატიკული ანალიზი ემყარება ბრაუნისა და ლევინსონის თავაზიანობის სტრატეგიებსა და გრაისის თანამშრომლობით მაქსიმებს. საგაკვეთილო პროცესი დაფიქსირებულია ვიდეო ჩამწერის მეშვეობით, რამაც საშუალება მომცა არავერბალური კომუნიკაციის შემთხვევებიც დამეფიქსირებინა, რომლებიც გარკვეულწილად ავსებს და დამხმარე ფუნქციას ასრულებს ვერბალური კომუნიკაციის გაანალიზების პროცესში. კითხვარების წარმოება კი წერილობითი ფორმით წარიმართა, რისთვისაც გამოვიყენე ღია და დახურული კითხვები, სკალირებისთვის — ლეიკერსის სკალა. კითხვარი 2 ტიპისა იყო, ერთი განკუთვნილი ინგლისურენოვანი კონტექსტის ანალიზისთვის და მეორე — ქართულენოვანისა.

**კვლევის მიზანია** დაადგინოს, საგაკვეთილო პროცესში მასწავლებელსა და სტუდენტებს შორის ინტერაქციის დროს რა ტენდენციები შეიძლება გამოიკვეთოს თავაზიანობის კუთხით; რამდენად იცავენ მოსაუბრეები ლინგვისტურ წესებს, ხდება თუ არა ამ წესებიდან გადახვევა და რა შედეგები შეიძლება მოგვცეს ამ გადახვევებმა.

**მონაცემთა ანალიზი:** მოსწავლეთა უმრავლესობამ აღიარა, რომ ისინი ეთანხმებიან აზრს, რომლის მიხედვიდაც თავაზიანები არიან მასწავლებლისა და თანატოლების მიმართ, ხოლო სრულიად ეთანხმებიან იმ მოსაზრებას, რომ მასწავლებელი თავაზიანობას იჩენს მო-

სწავლეთა მიმართ. თუმცა შეკითხვაზე მასწავლებლის მიერ თავაზიანობის მარკერების გამოყენების შესახებ ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი კონტექსტისთვის ხმები შუაზე გაიყო ვეთანხმები და სრულიად ვეთანხმების შორის, ხოლო რაც შეეხება თავად მოსწავლის მიერ ამ მარკერების გამოყენებაზე ქართულენოვანი კონტექსტისთვის უმრავლესობა მხოლოდ ეთანხმებოდა, ანუ მოსწავლეები ქართულ ენაზე ინტერაქციის დროს ამ მარკერებს ისეთი დიდი სიხშირით არ გამოიყენებენ, როგორც ინგლისურზე, თუმცა ეს მათი აზრით სულაც არ ნიშნავს, რომ არათავაზიანები არიან. მეგობრისგან კალმის თხოვებისას ინგლისურადაც და ქართულადაც ძირითადად 'please' — „გთხოვ" მარკერებით გაფორმებული პირდაპირი სტრატეგია აირჩიეს. ასევე უმრავლესობამ მიიჩნია, რომ დისციპლინაზე დადებითად იმოქმედებდა ამ მარკერებით გაფორმებული პირდაპირი სტრატეგიები. რაც შეეხება ბოლო შეკითხვას, აღმოჩნდა, რომ ქართულ კონტექსტში თხოვნის გამოსახატავად ძირითადად კითხვითი წინადადებები გამოიყენება, „ხომ ვერ მოხვიდოდით ჩემს მერხთან", ანუ უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიებით გაფორმებული შეკითხვები. ასევე იყო ინგლისურშიც, მაგრამ აბსოლუტურმა უმრავლესობამ სიტყვა „please" დაამატა და ზოგან ორმაგი თავაზიანობის ფორმებიც მივიღეთ. აღნიშნული ტენდენციები აღმოჩნდა დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციის გაანალიზებისას.

კვლევის პროცესმა გვიჩვენა, რომ ძირითად შემთხვევებში ინტერაქციის დროს წამყვან როლს მასწავლებელი ასრულეს ორივე ენოვანი დისკურსის შემთხვევაში. ის განსაზღვრავს კომუნიკაციის შინაარსს, სვამს შეკითხვებს, უბიძგებს  და იწვევს მოსწავლეებს თანამშრომლობისკენ, ცდილობს ყველას მიაღებინოს მონაწილეობა პროცესში და არავინ დარჩეს ყურადღების მიღმა. ინგლისურის გაკვეთილზე ურთიერთობა ძირითადად ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს, თუმცა დაბალ საფეხურზე, ენობრივი კომპეტენციების ნაკლებად ფლობის გამო, ხშირ შემთხვევაში დიალოგი მშობლიურ ენაზეც იმართება ან მასწავლებელი ინგლისურ ენას იყენებს, და მოსწავლე მშობლიურს. საჭიროების შემთხვევებში ერთი ენიდან მეორეზე კოდის გადართვა აუცილებელი სტრატეგია ხდება კომუნიკაციის წარმატებით განხორციელებისთვის. საუბრის დროს გამოიყენება როგორც

დადებითი, ასევე უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პირველი მათგანი უფრო ჭარბობს, რაც, ჩემი აზრით, გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ მასწავლებელი ცდილობს მოსწავლეებს დაძაბულობა მოუხსნას, გარკვეულწილად შეამციროს ის დისტანცია, რომელიც მათ შორის არის, რათა გაზარდოს მათი ჩართულობა სასწავლო პროცესში და შესაბამისად პროდუქტიულობაც. თუმცა ამის მიუხედავად საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მასწავლებელი იყენებს ე.წ. Bold-on record სტრატეგიას, გამოხატულს იმპერატივით. ჩემი აზრით, ამით მას სურს მოსწავლეებს შეახსენოს სტატუსს შორის განსხვავება. ე.ი. მასწავლებელი ცდილობს გამოხატოს სოლიდარობა და კეთილგანწყობა, მაგრამ ამავე დროს შეინარჩუნოს დისტანცია. განვიხილოთ მაგალითები ინგლისურენოვანი კონტექსტიდან:

Teacher: Ok, all right. Now, just now, I will distribute slips of papers where you have to choose multiple choice. There are some sentences written out of the song and you have to guess which answer is correct. Before listening we have to do it. So, What are we going to do? What are we going to do? (silence) What are we going to do?

Student: We are going to listen to music and …

Teacher: (Interrupting) Before listening, first, we have to…(waiting the students to guess)

Student: find out which is the correct answer.

Teacher: Yeah, Ok, Let's start. You will work, you will work individually first, then you share with each other your opinion, all right? And then we will listen to the song.

მოცემულ ნაწყვეტში ჩანს, მასწავლებელი როგორ აძლევს მოსწავლეებს ინსტუქციას. We და us პირის ნაცვალსახელების გამოყენებით იგი მიმართავს დადებითი თავაზიანობის მე-12 სტატეგიას, რომელიც გულისხმობს მოსაუბრისა და მსმენელის ჩაბმას რაიმე აქტივობაში. (Strategy 12: Include both S and H in the activity) შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მასწავლებელი ასევე არღვევს რაოდენობის მაქსიმას, როდესაც აწყვეტინებს მოსწავლეს საუბარს და თავადაც არ ასრულებს წინადადებას. ამ დროს იმაზე ნაკლებია ნათქვამი, ვიდრე საჭირო, და არის საშიშროება, რომ მოსწავლეები ვერ ჩასწვდნენ გამოტოვებული ინფორმაციის შინაარს, მაგრამ, ჩემი აზრით, სწავლების პროცესში ეს გადახვევა პირიქით, აუცილებელიცაა. სწორედ

ასეთ დროს მოსწავლეებს აქვთ საშუალება თავად მივიდნენ დასკვნამდე, თავად შექმნან ცოდნა გონებაში, რაც უფრო ეფექტურია, ვიდრე მიიღონ ის გამზადებული სახით. რასაკვირველია, შესაძლოა დაუსრულებელი აზრი მცდარი ინტერპრეტაციისა და წარუმატებელი კომუნიკაციის მიზეზიც გახდეს, თუმცა რაოდენობრივად სწორად გათვლილი ინფორმაცია ამას თავიდან აგვაცილებს და ბავშვიც, უფროსის დახმარებით, პრობლემას ადვილად გადაჭრის.

Teacher: Ok, are you ready? (She is checking if the students are ready going to each desk individually). We are listening.

ცნობილია, რომ ცოცხალი მეტყველება ვერბალური კომუნიკაციის გარდა, მოიცავს არავერბალურ მხარესაც, რაც ხშირ შემთხვევაში პირველის შემავსებელს და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელს წარმოადგენს. მოყვანილ მაგალითში, მასწავლებელი იყენებს დადებითი თავაზიანობის 1-ელ სტრატეგიას: Strategy 1: Notice, attend to H (his interests, wants, needs, goods). მასწავლებელი არა მხოლოდ სიტყვიერად ეხმიანება მოსწავლეთა საჭიროებასა და ინტერესებს, არამედ მიდის ყველასთან და სათითაოდ ამოწმებს მათ მზაობას.

Teacher: Now let’s try to guess which number is correct. Let’s start. Number one. (Pointing to one student)

Student: Way.

Teacher: You have to read a full sentence, will you?

Student: I never thought I’d feel this way.

Teacher: All right, very good, go on, George.

Student: ‘I’m glad I’ve got the chance’.

Teacher: ok. Do you agree with George?

Students: Yes.

Teacher: Very good. Tsira, next one.

Student: ‘Well, close your eyes and try’.

Teacher: `Okayy, `Very `Good. `Thank you very much! Salome, go on.

Student: ‘These words are coming from my heart’.

Teacher: ‘From my heart.’ Ok, very good, go on, Mary.

სათანადო პასუხების მიღების დროს მასწავლებელი შექებით და მოწონების გამოხატვით ადასტურებს ნათქვამის სისწორეს, რითაც მოსწავლეების სიმპათიას და საგაკვეთილო პროცესში მათ უფრო აქტიურად ჩაბმას ახერხებს. აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის მშვიდი და კეთილგანწყობილი ურთიერთობა მათ მოტივაციას საგრძნობლად ზრდის, რაც საბოლოო ჯამში პროდუქტიულობაზეც აი-

სახება. გაზვიადებული ინტონაცია, სიტყვების ნათლად, მკაფიოდ, მახვილით წარმოთქმა და მოსწავლის მიერ ნათქვამის გამეორება დადებითი თავაზიანობის  მაჩვენებელია, რითაც მასწავლებელი სოლიდარობას გამოხატავს მის მიმართ. ესენია მე-2 და მე-5 სტრატეგია. Strategy 5: Seek agreement-repeatition. Strategy 2: Exaggerate (interest, approval, sympathy with H). მასწავლებელი ასევე იყენებს უარყოფითი თავაზიანობის მეორე სტრატეგიას, ცუდი კითხვით გამოხატულს. (Question, hedge) ასევე მნიშვნელოვანია თავაზიანობის მაჩვენებელი მარკერების გამოყენება. მასწავლებელი მადლობას უხდის მოსწავლეებს თანამშრომლობისა და აქტიურობისთვის. როდესაც მასწავლებელს სურს მოსწავლემ სრული წინადადება წაიკითხოს, და არა მხოლოდ პატარა მონაკვეთი, თხოვნას/მოთხოვნას იმპერატივით კი არა, მტკიცებითი წინადადებით გამოხატავს, რომელსაც კუდი კითხვა მოსდევს. ირიბი სამეტყველო აქტის გამოყენება პირდაპირთან შედარებით ნაკლებად უქმნის საფრთხეს მსმენელის საზოგადოებრივ იმიჯს. მასწავლებლის დადებითი და მეგობრული განწყობა თავისი გრძნობების სიტყვიერად გადმოცემაშიც გამოიხატა. იგი რამდენჯერმე ახსენებს და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მოხარულია მოსწავლეთა აქტიურობით და პასუხების სწორად გამოცნობით, რაც შემდეგი სიტყვებიდანაც ჩანს:

Teacher: Thank you very much. I am so happy you have listened so carefully and guessed.

მასწავლებელი ასეთ განწყობას მთელი გაკვეთილის მანძილზე ინარჩუნებს, ის მოხარულია ასევე იმ ფაქტით, რომ შეძლებისდაგვარად ახერხებს ყველა მოსწავლე ჩართოს პროცესში, რაც მათ განათლებაზე ზრუნვასა და ამავე დროს მათი საზოგადოებრივი იმიჯის პატივისცემას წარმოადგენს კლასის წინაშე. როდესაც მოსწავლე შეცდომას უშვებს, პირდაპირ არ ეუბნება ამას. ზოგჯერ თავად ამბობს სწორ ვარიანტს, რითაც მოსწავლისთვის გასაგები ხდება, რაში დაუშვა შეცდომა ან უბრალოდ იგნორს უკეთებს.

Teacher: All right, Temuri, go on.

Student: ‘Well then open your eyes and try. ( pronounces try as [tri])

Teacher: `Try [trai]. All right, instead of ‘open’ you wrote? (asking the whole class).

Students: Close.

Teacher: Close. Tsira, go on, the forth.

მოსწავლის მიერ წარმოთქმაში დაშვებული შეცდომა მასწავლებელმა ზედმეტი ყურადღების გამახვილების გარეშე გაასწორა, რაც, ჩემი აზრით, კარგი სტრატეგია იყო, რადგანაც ირიბად მიუთითა შეცდომის არსებობაზე. ამით სახის შელახვა თავიდან აიცილა, ხოლო სწორი ვერსია დადებითი თავაზიანობის მე-5 სტრატეგიით გამოხატა (Seek agreement – repetition)

Student: And the music is important thing which we can used and to communicate, with communicate, for communication…( the student had some difficulties with the language itself, the students start laughing)

Teacher: Ok, no problem, I am not going to correct the mistakes just now.

Student: To communicate with people and other country's people.

Teacher: Ok, thank you very much. What else? Can you add any other information, Nato?

Student: I think that world population are equal to each other.

Teacher: Sorry?

Student: Tanaswori (equal-saying in Georgian)

Teacher: Ok, yeah.

მოსწავლე უშვებს შეცდომას, მასწავლებელი არ ასწორებს, არ ეხმარება საუბრის სწორად წარმართვაში, შესაძლებელია ამის მიზეზი ის იყოს, რომ ერიდება მოსწავლემ თავი უხერხულად არ იგრძნოს სხვების წინაშე, მით უმეტეს, რომ მათ სიცილიც დაიწყეს. სიტუაციის განმუხტვის მიზნით, საჭირო ხდება იმის აღნიშვნა, რომ შეცდომების გასწორებას ის არ აპირებს ახლა და ამით ერთგვარად საუბრის გაგრძელების საფუძველს ქმნის. როგორც ნატალი პერსონი და მისი თანამოაზრეები აღნიშნავენ, ხშირია შემთხვევა, როდესაც ორაზროვან და მცდარ პასუხებს მასწავლებელი პოზიტიური უკუკავშირით ხვდება, ვიდრე ნეგატიურით, რადგანაც ეს საფრთხეს უქმნის მოსწავლეთა სახეს. აქედან გამომდინარე კი, ასეთმა საუბარმა შესაძლოა ხელი შეუშალოს ეფექტურ სწავლებას (პერსონი, 1995). სწავლების მიზნისთვის მოცემული სტრატეგია გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ თუ მასწავლებელი რეაგირებას არ მოახდენს მოსწავლის მიერ მცდარი ინფორმაციის მოწოდებაზე, მოსწავლესთან ერთად ისიც არღვევს ხარისხის მაქსიმას, რომელიც გულისხმობს: 'Do not say what you believe is false, or … for which you lack adequate evidence' ( იული, 1997), ანუ, „არ თქვა ის, რაც არასწორად და ადეკვა-

ტურ საფუძველს მოკლებულად მიგაჩნია“. მასწავლებლის მთავარი მიზანი და მოვალეობა შედეგზე გასვლა, მოსწავლეთათვის ცოდნის გადაცემა და მათ მიერ ამ ცოდნის ათვისების უზრუნველოფაა. ამისთვის კი საჭიროა ხელსაყრელი საზოგადოებრივი გარემოს შექმნა, სადაც თითოეული წევრი უსაფრთხოდ და კომფორტულად იგრძნობს თავს. ამიტომაც ვთვლი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში გამართლებულია მასწავლებელ-მოსწავლის მიერ ამ „მსხვერპლზე“ წასვლა, რათა კომუნიკაცია საერთოდ არ ჩაიშალოს. ამის საჭიროებაზე საუბრობს ასევე ვანლი ზაო თავის სტატიაში, როდესაც განიხილავს ინგლისური ენის სწავლებას ჩინეთში. მოსწავლეებს სჭირდებათ მასწავლებლის მხრიდან პოზიტიური შეფასება, რაც მათ აგრძნობინებს, რომ მასწავლებელი პატივს სცემს და ზრუნავს მათზე (ზაო, 2009).

მოცემულ ნაწყვეტში ვხვდებით ასევე მასწავლებლის მიერ უარყოფითი თავაზიანობის გამოყენების მცდელობას, როდესაც ეკითხება ნატოს, შეუძლია, თუ არა მას დაამატოს რაიმე სხვა ინფორმაცია. მოსწავლეს შეიძლებოდა ის აღექვა, როგორც შეკითხვა მისი უნარის შესახებ და გაეცა დიახ/არა პასუხი, თუმცა მან ეს თხოვნად მიიჩნია, და დაამატა კიდეც ინფორმაცია. კომუნიკაციის წარმატებისთვის ხშირად საჭირო ხდება ასევე კოდის გადართვა, აღნიშნულ დიალოგში  ამას მოსწავლე აკეთებს, როდესაც ცდილობს ქართულად აუხსნას მასწავლებელს ნათქვამის შინაარსი, თუმცა ინგლისურადაც იცის პასუხი. ჩემი აზრით, ეს მისი გამოუცდელობისა და თავდაჯერებულობის ნაკლებობის ბრალია. ჩათვალა, რომ მის მიერ ნათქვამი მცდარი იყო და მშობლიური ენის მოშველიებით სცადა ამ „შეცდომის“ გასწორება.

ქართულენოვანი კონტექსტის გაანალიზებისას აღმოჩნდა, რომ კომუნიკანტები ძირითადად დადებითი თავაზიანობის სტრატეგიებს იყენებენ უარყოფითთან შედარებით და რაც ასევე ყველაზე თვალში საცემია, ეს არის პირდაპირი სტრატეგიების ხშირი და თავაზიანობის მარკერების ნაკლები გამოყენება.

მასწავლებელი: „...ერთ-ერთი ასეთი სიმღერაა „არც რა ტანთ მცვია, არც ფეხთა“, მაგრამ სანამ ჩვენ ამ ლექსზე დავიწყებთ მუშაობას, მინდა გავიხსენოთ, როგორ უყურებდნენ ქართველი სამოციანელები პოეტისა და პოეზიის დანიშნულებას?... გავიხსენოთ, ვინ იყ-

ვნენ სამოციანელები? ვისი შემოქმედება შევისწავლეთ? ვინ მოახდინა გადატრიალება?“

მოსწავლეები: „ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა“.

მასწავლებელი: „და აკაკი წერეთელი. ძირითადად ამ ორ პიროვნებაზე მაქვს საუბარი. მე თქვენ გირიგებთ ლექსებს, რომლებიც წლების წინ შეისწავლეთ ზოგი, ზოგიც ახლა. გადახედეთ, და გთხოვთ, ეს შეფასების მატრიცა გადაიტანოს ყველამ ამ ფურცელზე. გაინაწილეთ ლექსები და დამიწერეთ, რა დაინახეთ, ძალიან მოკლედ, ძირითადი სათქმელი თითოეული ლექსის მიხედვით.“

მოცემული სამეტყველო მოვლენიდან ჩანს, რომ მასწავლებელი ცდილობს მოსწავლეებთან ერთად იყოს ჩაბმული სასწავლო პროცესში, იგი იყენებს პირის ნაცვალსახელს „ჩვენ“ (სანამ ჩვენ ამ ლექსზე დავიწყებთ მუშაობას) — დადებითი თავაზიანობის, სოლიდარობის გამომხატველი სტრატეგია. აღსანიშნავია, რომ საუბრისას მასწავლებელი ხშირად იყენებს ფრაზებს, რითაც გამოხატავს სურვილს, მოსწავლეებმა გარკვეული სამუშაო შეასრულონ. და ეს მოთხოვნა ძირითადად პირდაპირი სტრატეგიით ფორმდება, რაც ყველაზე დაბალ საფეხურზე იმყოფება ბრაუნისა და ლევინსონის თავაზიანობის გამოხატვის ფორმათა იერარქიაში. და ეს იმპოზიციის მცდელობა, როგორც კვლევამ დამანახა, არათავაზიანობაში სულაც არ ითვლება. ეს განპირობებული უნდა იყოს კომუნიკანტთა სოციალური და კულტურული ასპექტებისა და კონკრეტული კონტექსტური მონაცემებით, როგორც მ. რუსიეშვილი აღნიშნავს, „იმისთვის, რომ ვიცოდეთ, კომუნიკაცია თავაზიანია, თუ არა, კომუნიკანტთა ქცევა უნდა შევადაროთ, ერთი მხრივ, იმ კულტურულ და სოციალურ სტანდარტებს, რომლებშიც ისინი აქტუალიზდება და, მეორე მხრივ, კონკრეტულ კონტექსტურ მონაცემებს“ (რუსიეშვილი 2006). ანუ მასწავლებელი ამ დროს პრივილეგირებულ მდგომარეობაშია მოსწავლესთან შედარებით. ეს მდგომარეობა მას საშუალებასა და უფლებას აძლევს მისი მიმართვები და მოთხოვნები შესრულდეს, თანაც ისე, რომ სახის რღვევა არ მოხდეს. ანუ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული ქმედება არათავაზიანობაში სულაც არ ითვლება მოცემული კონტექსტისთვის. ეს წოდებათაშორის განსხვავება ქართულენოვან დისკურსში უფრო შეინიშნება ენობრივი თვალსაზრისით, რაც განპირობებულია

პირდაპირი სტრატეგიის ყველაზე დიდი სიხშირის გამოყენებით, განსხვავებით ინგლისურენოვანისგან, სადაც დადებითი ან უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიები გამოიყენება უფრო მეტად თავაზიანობის მარკერებით შევსებული პირდაპირი სტრატეგიებით. თავაზიანობის მარკერების შედარებით ნაკლები გამოყენება შეინიშნება ქართულენოვან კონტექსტში, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ შემდეგი გარემოება, რომ როგორც მ.რუსიეშვილი აღნიშნავს თავის სტატიაში, ხშირი გამოყენებისას ვერბალური ფორმები დროთა განმავლობაში ნორმად იქცევა და ფუნქციას კარგავს. „ამ საკომუნიკაციო ფორმათა [please, thank you] აქტუალიზება კონტექსტში დღეს აღარც აღიქმება თავაზიანობად, არამედ გვევლინება ნორმად. თუმცა, მეორე მხრივ, მათი ამოგდება შეიძლება კონვენციის რღვევადაც მოინათლოს“ (რუსიეშვილი, 2006). აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ მარკერების იშვიათი გამოყენება მათი საწყისი ფუნქციის შენარჩუნებას უზრუნველყოფს და, მაშასადამე, ჰიპოთეზა, რომ ქართველები მადლობას მარტო მაშინ იხდიან, როდესაც მადლობლები არიან, მართალია. იმავეს თქმა შეიძლება საგაკვეთილო პროცესის დისკურსზე, რადგანაც ქართულენოვანი მასწავლებლები ძალიან იშვიათად მიმართავენ ამ ფორმებს. ამ მარკერების იშვიათი გამოყენება ქართული ენაში კონვეციის რღვევას არ გამოიწვევს, თუმცა ინგლისურენოვან კონტექსტში უმეტეს შემთხვევაში არათავაზიანობად ჩაითვლება. ჩემი აზრით, ეს მარკერები ყველა შემთხვევაში თავაზიანობის მაჩვენებლებია, მიუხედავად მათი გამოყენების სიხშირისა, რადგანაც ვფიქრობ, რომ სწორედ ნორმად ქცეული და უკვე დამკვიდრებული ეს ფორმები კომუნიკანტებისთვის ქვეშეცნეულად მაინც თავზიანობასთან ასოცირდება, თუმცა რასაკვირველი გასათვალისწინებელია კონტექსტი და კომუნიკანტთა დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ, რადგანაც თავაზიანობის მარკერების გამოყენებისას შეიძლება ირონიასა და ცინიზმთან გვქონდეს საქმე.

ქართულენოვანი გაკვეთილიდან განვიხილოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი მასწავლებლის ნათქვამიდან.

„ცოტა სწრაფად იმუშავეთ, რომ მოასწროთ!“

„ძალიან გთხოვთ, ყველამ იმუშაოს ჯგუფში, თითო ლექსი გაინაწილეთ ... და ამ სქემას ვავსებთ. თქვენ მივსებთ ჯერჯერობით აი ამ

ოთხ გრაფას, ვინაიდან აქ შესწავლილი ნაწარმოებებია, შემდეგ კი გადავალთ ვაჟას ლექსზე.“

„ მოდი კიდევ ერთხელ გადავიკითხოთ და დავწეროთ შინაარსი.“

„ორი წუთიც და ვამთავრებთ. სწრაფად, ცოტა სწრაფად!“

მოცემულ მაგალითებშიც იმპერატივებით გამოხატული დირექტივები ჭარბობს და თავაზიანობის მარკერის „გთხოვთ“ გამოყენებაც სულ ერთხელ გვხვდება. გამოყენებულია ასევე დადებითი და უარყოფითი თავაზიანობის შემთხვევებიც. უარყოფითია, როდესაც მასწავლებელი იყენებს სიტყვა „ცოტა“, რითაც არბილებს იმპოზიციის ხარისხს. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ინსტრუქციის მიცემისას მასწავლებელი ერთი და იმავე შინაარსის წინადადებებს რამდენჯერმე იმეორებს, ანუ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რაოდენობის მაქსიმის დარღვევასთან გვაქვს საქმე, მაგრამ სასწავლო პროცესში პირიქით, ეს გამართლებულია, რადგანაც ამით მასწავლებელი გამორიცხავს მოსწავლის მიერ მიცემული ინსტრუქციის ვერაღქმის ფაქტს. ასევე გვხვდება უარყოფითი თავაზიანობის შემთხვევებიც, თუმცა არცთუ ისე დიდი სიხშირით.

„ნანა მას, ერთი წუთით თუ შეგიძლიათ მოხვიდეთ?“

„მაშ, აქ ირემი გვაქვს ყოველთვის პირველ ადგილზე. მე მგონი, უკეთესი იქნებოდა, ცოტა რომ შეგვეცვალა ადგილი და ზოგან ბოლოში ყოფილიყო“.

პირველ მაგალითში კითხვითი წინადადებითაა გამოხატული თხოვნა, და მეორეში სიტყვები „მაშ“, „ცოტა“ და ფრაზა „მე მგონი“ არბილებს იმპოზიციის ხარისხს. ამ შემთხვევაში უარყოფითი და დადებითი თავაზიანობის სტრატეგიებია ერთად გამოყენებული. მაშ-დადებითი, სტატეგია 6, avoid disagreement, „მე მგონი, უკეთესი იქნებოდა“ — უარყოფითი, მე-2 სტრეტეგია, hedge. „ცოტა“ — დადებითის მე-11 სტარტეგია. Be optimistic. უარყოფითი ძირითადად მოსწავლეების მიერ გამოიყენებოდა, ვიდრე მასწავლებლების. როგორც აღვნიშნე, გამოკითხვის შედეგადაც მოსწავლეთა უმრავლესობამ სწორედ ეს სტრატეგია აირჩია მასწავლებლის მისამართით.

გრაისის მაქსიმებიდან განსაკუთრებით რაოდენობრივი მაქსიმის დარღვევის აუცილებლობა იქმნებოდა, ისევე როგორც ინგლისურენოვანი დისკურსის დროს გვქონდა.

ზოგადად თავაზიანობის საკითხი საკმაოდ რთული და კომპლექსური თემაა. მისი გაგებისთვის აუცილებელია მრავალი ფაქტორის გათვალისწინება. როგორც მ. რუსიეშვილი აღნიშნავს „სამეტყველო აქტის ინტერპრეტაციის დროს მხედველობის მიღმა რჩება არავერბალური კომუნიკაციის მთელი სპექტრი — ჟესტები, მიმიკა, ღიმილი...“ (რუსიეშვილი 2006). მართლაც, დაკვირვებისას ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მასწავლებლები მოსწავლეებს მხარზე ადებდნენ ხელს, რათა დაძაბულობა მოეხსნათ მათთვის და საკუთარი კეთილგანწყობა ეჩვენებინათ. იყო ასევე შემთხვევები, როდესაც ვერბალური და არავერბალური მხარე ერთდროულად ერთვებოდა საუბარში. მაგალითად, მოსწავლე ეკითხება მასწავლებელს, როგორ გააკეთოს გრაფა და მასწავლებლის პასუხი: „გაუსვით ხაზი, კაცო, ერთი.“ და თან ხელის აქნევით არბილებს დირექტივას.

ასევე მნიშვნელოვანია ხმის ტემბრიც. თხოვნასა და მოთხოვნას თან ერთვოდა ტონალობის აწევა-დადაბლება. ხმის აწევა ძირითადად ორ შემთხვევაში ხდებოდა, როდესაც მასწავლებელი დისციპლინისკენ მოუწოდებდა მოსწავლეებს და ასევე, როდესაც რაიმე მნიშვნელოვანი საკითხისთვის უნდოდა ხაზგასმა და მოსწავლეთა ყურადღების განსაკუთრებული კონცენტრანცია. ინგლისურენოვანი დისკურსის შემთხვევაში კი ხმის აწევა ძირითადად ამ ბოლო მიზანს ემსახურებოდა. ტონალობის აწევა ქართულის შემთხვევაში არათავაზიანობაში არ ითვლებოდა (ტონალობის აწევა არ ნიშნავს ყვირილს), რაც შეიძლება ერთ-ერთი მოსწავლის მიერ კითხვარის დროს შევსებული კომენტარით შეიძლება აიხსნას: „ისინი [მოსწავლეები] ვალდებულები არიან მოუსმინონ მასწავლებელს.“ ჩემი აზრით, სწორედ ეს ვალდებულების გრძნობა არ აძლევს საშუალებას მოსწავლეს იფიქროს, რომ მასწავლებელი ხმის აწევით მის მიმართ არათავაზიანობას იჩენს. გამოკითხვის შედეგადაც მოსწავლეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღიარა, რომ მასწავლებელი მათ მიმართ თავაზიანია. რაც შეეხება შექება-მოწონებას შესრულებული სამუშაოს შემთხვევაში, ინგლისურენოვან კონტექსტში ძირითადად ვერბალურად გამოიხატებოდა, რომელსაც თან ახლდა გაზვიადებული, მხიარული ტონი, ხოლო ქართულის შემთხვევაში ასეთი ტონალობა არ შეინიშნებოდა და

არავერბალური მხარეც უფრო მეტად ჭარბობდა, კერძოდ, თავის დაქნევა თანხმობის ნიშნად.

ასევე აღსანიშნავია, ქართულში ე.წ T/V სისტემის არსებობა და გამოყენება თავაზიანობის გამოსახატავად, ანუ „თქვენ“ მიმართვის ფორმა მხოლობითი ადრესატისადმი, განსხვავებით ინგლისურისგან, რომელშიც ეს სისტემა არ არსებობს, და you პირის ნაცვალსახელი გამოიყენება, როგორც მხოლობითი, ასევე მრავლობითი რიცხვის მე-2 პირის აღსანიშნავად. ქართულში ამ სისტემის გამოყენება მოსწავლეების მიერ ხდება მასწავლებლის მიმართ.

„ნანა მას, ერთი წუთით თუ შეგიძლია**თ** მოხვიდე**თ**“

„**თქვენ** როგორ ბრძანდებით მას?“

Teacher: ok. Do **you** agree with George?

Students: Yes.

Teacher: Now let’s try to guess which number is correct. Let’s start. Number one. (Pointing to one student)

Student: Way.

Teacher: **You** have to read a full sentence, will you?

**დასკვნა:** დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ

1. თავაზიანობის სტრატეგიები ინგლისურ და ქართულ ენებში მეტ-ნაკლებად განსხვავებულია, კერძოდ კი, ქართულ ენაში მოსწავლეთა მიმართ ჭარბობს იმპერატივებით გამოხატული პირდაპირი მიმართვის ფორმების გამოყენება, ინგლისურენოვან კონტექსტში კი დადებითი თავაზიანობის სტრატეგიებისა. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინგლისური ენის გაკვეთილებზე მასწავლებელ-მოსწავლეს შორის დისტანცია უფრო მცირეა, ვიდრე ქართული ენის გაკვეთილებზე.

2. სასწავლო პროცეში აუცილებელი ხდება გრაისის მაქსიმების დარღვევა წარმატებული კომუნიკაციისთვის

3. ქართულენოვანი კონტექსტი ხასიათდება თავაზიანობის მარკერების ნაკლები გამოყენების სიხშირით, ვიდრე ინგლისურენოვანი კონტექსტი.

ლიტერატურა

**ბრაუნი, ლევინსონი, 1978, 1987** — Brown. P., Levinson. S., *Politeness. Some universals in language usage*. Cambridge University Press, 1978, 1987liCi, 1983 _ Leech G. N. *Principles of Pragmatics*. London. Longman, 1983.

**გრაისი, 1989** — Grice, P. *Studies in the Way of Words*. Harvard University Press, 1989

**ზაო, 2009** — Zhao,W. *Relationship between Teachers and Students Based on New Curriculul-Face and Politeness in the Chinese English Teaching*. International Education Studies, 2 (4), 149-153, 2009

**იდე, 1989** — Ide, S. *Formal forms and discernment: two neglected aspects of linguistic politeness*. Multilingua 8(2,3), 1989

**იული, 1997** – Jule, G. . *Pragmatics*. Cambridge University Press, 1997, pp 65.

**კასპერი, 1997** — Kasper, G. *Second Language Teaching & Curriculum centre*, University of Hawaii, 1997.

**ლეიკოფი, 1975** — Lakoff, R. *Language and women's place*, New York, 1975

**პერსონი, 1995** — Person, N. K., Kreuz,R.J., Zwaan.R.A., Graesser. A.C., *Pragmatics and Pedagogy: Conversational Rules and Politeness Strategies May Inhibit Effective Tutoring*. Cognition and Insruction, 13(2), 161-188, 1995.

**რუსიეშვილი, 2006** — რუსიეშვილი მ.,*რატომ არ არის პ.ბრაუნისა და ს. ლევინსონის ლინგვისტური თავაზიანობის მოდელი უნივერსალური?* სამეცნიერო ძიებანი, XXIV, თბილისი, 2006.

**რუხაძე, 2005** — რუხაძე ნ. *თავაზიანობის საკითხი და მიმართვის ფორმები ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებში.* სამეცნიერო ძიებანი, XX, თბილისი, 2006

**სენოვარსიტო, 2013** — Senowarsito. *Politeness Strategies in teacher-student interaction in an EFL classroom context*. TEFLIN Journal, 24, 82-96, 2013.

**უაიტი, 1989** — White, J.J. *The power of politeness in the classroom: cultural codes that create and constrain Knowledge construction*. Journal of Curriculum and Supervision, 4 (4), 298-321. 1989

**უოტსი, 2003** — Watts, R.J. *Politeness*. Cambridge University Press, 2003rusieSvili, 2006

**TINATIN KURDGHELASHVILI**

## The Usage of Politeness Strategies and Gricean Maxims in EFL and Georgian Lessons in Georgia

(A Contrastive Analysis)

Summary

The paper deals with the usage of the politeness strategies singled out by Brown and Levinson and Gricean Maxims in EFL and Georgian language classrooms in Georgia. As a result of the contrastive analysis commonalities and differences between the employment of the given strategies and maxims in the above-mentioned contexts have been revealed.

ნინო მუნჯიშვილი

# ალქმის კატეგორიების ლინგვისტური რეალიზაცია ვირჯინია ვულფის რომანში „ტალღები“

სტატიის მიზანია შეისწავლოს, თუ როგორ რეალიზდება ლინგვისტურად აღქმის კატეგორიები ვირჯინია ვულფის რომანში „ტალღები“. თემა აქტუალურია, ვინაიდან აღქმის კატეგორიები ვულფის რომანებში, მათ შორის „ტალღებში“, ენობრივი თვალსაზრისით ჯერ არ არის შესწავლილი. შესაბამისად, საკითხი მნიშვნელოვანია როგორც ლინგვისტიკისთვის, ასევე ლიტერატურისთვის. ლინგვისტიკისთვის ღირებულია იმდენად, რამდენადაც ლექსიკურ-სემანტიკურადაა შესწავლილი აღქმის კატეგორიების რეალიზება ფართო ლიტერატურულ კონტექსტში.

საკუთრივ ლინგვისტიკაში პროტოტიპული აღქმის კატეგორიები ლექსიკურ-სემანტიკური კუთხით სათანადოდაა შესწავლილი, მაგრამ ფართო ლიტერატურულ კონტექსტში, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვ. ვულფის რომანებში, ენობრივად ჯერ არ არის გამოკვლეული. მაგალითად, ვულფის რომანებზე, როგორც იმპრესიონიზმის ლიტერატურულ ვარიანტზე, არსებობს ლიტერატურული კრიტიკა (ჟ. იანქინგი, ჯ. სტიუარტი, ა. ბენფილდი, ს. მეირსი.), თუმცა იმპრესიონიზმის პრინციპების ლინგვისტური რეალიზაცია ენობრივად არ არის შესწავლილი. გარდა ამისა, არ არის დამუშავებული სინესთეზიის მოვლენა. „ტალღები“, ისევე როგორც ვულფის სხვა რომანები, არ დანახულა კონცეპტუალურ და კოგნიტიურ ჭრილში. კოგნიტიური მიდგომა კი, რომლის იდეაც პიტერ სტოქუელს ეკუთვნის, გვეხმარება სრულფასოვნად გავიგოთ რომანის პერსონაჟი, მისი იდეა, თემა და სტილი.

კვლევა ითვალისწინებს ლექსიკურ-სემანტიკურ, სტილისტურ და კოგნიტიურ მიდგომას. კოგნიტიური მიდგომა, როგორც ვიცით, დუალისტურია: გონებაში მოცემული ინფორმაციული სტრუქტურები,

კოგნიცია (შემეცნება) ეფუძნება ადამიანის თავისებურ ფიზიკურ აღქმას (სხეული). შესაბამისად, აღქმის კატეგორიების ლინგვისტური რეალიზაციის შესწავლისას უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის დავეყრდენი როგორც ბიოლოგიაში (პირობითად სხეული), ასევე ფსიქოლოგიაში (პირობითად გონება) მიღებულ აღქმის ზოგად კლასიფიკაციას.

ტრადიციულად გამოიყოფა აღქმის ხუთი კატეგორია. ვიზუალური, აუდიტორული, ტაქტილური, ყნოსვითი, გემოვნებითი, ასევე მათი ქვეკატეგორიებია:

**ვიზუალური:** სინათლე, ფერი, ტემპერატურა, ზედაპირის თვისება, ფორმა, ზომა, მანძილი, მდგომარეობა, მოძრაობა.

**აუდიტორული:** მუსიკა, ხმა, ხმაური და მათთვის დამახასიათებელი ბგერის სიმაღლე, სიხშირე, სიძლიერე, ბგერის მიმართულება, ბგერის წყარო.

**ტაქტილური:** შეხება (ზედაპირის ბუნება, კონსისტენცია, ზომა, ფორმა, ტენიანობა) ტემპერატურა, მექანიკური დაწოლა (წონა, წნევის ძალა).

**ყნოსვითი:** კონკრეტული ქიმიური ნივთიერების სუნი, ნივთიერების კონცენტრაციაზე დამოკიდებული სუნის ინტენსივობა.

**გემოვნებითი**: ტკბილი, მწარე, მარილიანი, მჟავე.

მათგან შევისწავლე მხოლოდ ის კატეგორიები და ქვეკატეგორიები, რომლებიც რელევანტური გახლდათ ნაწარმოებისთვის. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ აღქმის კატეგორიების რეალიზაცია ქმნის პოსტიმპრესიონისტული ნაწარმოების ვერბალურ ვარიანტს. გამოვლინდა მთელი რიგი სინესთეტური მეტაფორებიც, რომელთაგანაც უმეტესი ავტორის ნამდვილ სინესთეტობაზე მიუთითებს. გამოიყო აღქმის კატეგორიებით აგებული კონცეპტუალური მეტაფორები და მეგამეტაფორები,რომლებიც ნაწარმოების საერთო კოგნიტიურ მოდელს ქმნიან.

### პოსტიმპრესიონიზმის ენობრივი რეალიზაცია

**შუქ-ჩრდილი:** იმპრესიონისტული ტილოს მსგავსად, ნაწარმოებში, განსაკუთრებით კი პრელუდიებში, ჭარბობს შუქ-ჩრდილის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ხშირად ფერთან კომ-

ბინაციაში იხმარება.მაგ; *rosy light, green shadows,...* გარდა ფერისა, შუქ-ჩრდილი იცვლება ფორმის, გაჯერებულობისა და მოძრაობის პარამეტრების მიხედვითაც.

რომანში გვხვდება ნათების აღმნიშვნელი ისეთი ზმნები, როგორიცაა shine, gleam, flash, flame, glow, glimmer, gleam, glisten, glint, sparkle, glitter. მათგან ჭარბობს shine, flash, flame, glimmer, glitter, sparkle, რომლებიც არამუდმივი ნათების აღმნიშვნელია, „მოძრავია" და ქმნის რიტმს, ერთი მხრივ, სტილისტურ, მეორე მხრივ, ვიზუალურ რიტმს „ტალღების" იმპრესიონისტულ ტილოზე.

**ფერები:** პოსტიმპრესიონისტული მხატვრობის მსგავსად, ჭარბობს პროტოტიპული მარტივი ფერები, როგორიცაა *green, yellow, blue, red, white, black, grey, purple, brown.* გვხვდება ისეთი ფერებიც, როგორიცაა *pink, gold, rosy, fiery, opal-tinted, silver, lilac, scarlet, violet sandy, moonwhite, inky, rubicund;* ჰიბრიდული, ერთმანეთში გარდამავალი ფერები *dun-greyish, blue-green, red-brown, red-gold, grey-white, yellow-green* და სინესთეტური, ერთმანეთში გარდაუვალი ფერები *silver-green, grey-blue, blue-black.* ფერები გამოიხატება ობიექტებთან მათი ვიზუალური ასოციაციებითაც. უმეტესი მათგანი პროტოტიპულ საგნებს უკავშირდება: *Grass-green, blood-red, snow-white, bottle-green, lemon-coloured...*

**ფორმა**: პოსტიმპრესიონიზმსა და ბლუმსბერის ჯგუფზე, შესაბამისად, ვირჯინია ვულფის იდეებზე, გავლენა მოახდინა რასელის ლოგიკურმა ფილოსოფიამ. ლოგიკური ფილოსოფიის მიხედვით სამყაროს საფუძვლად ედო ლოგიკური სისტემა — scuffolding,' 'skeleton' (ბენფილდი, 2007). ლოგიკური ფილოსოფიის იდეები გადაიღეს პოსტიმპრესიონისტებმა ნახატის მომეტებული გეომეტრიულობით. ფიგურების მათემატიკური სიზუსტე პოსტიმპრესიონისტულ ნახატზე ჩონჩხისებურ შთაბეჭდილებას ქმნის. ფერები და შუქ-ჩრდილი ჩვეულებრივ დაფენილია ნახატის „ჩონჩხზე", რომელშიც დაცულია ფორმებს შორის მკაცრი პროპორციები.

სამყაროს ქაოსის მიღმა ჰარმონიისა და აღნიშნული ლოგიკური სტუქტურების ძიება „ტალღების" ერთ-ერთი თემაა, რომელიც გამოიხატება ცნებებით net, bone, ხოლო ენობრივად პოსტიმპრესიონიზმისთვის დამახასიათებელი გეომეტრიულობა რეალიზდება შემდეგნაი-

რად: ერთი მხრივ, ვიზუალურ აღქმაში ობიექტები ხშირად წარმოდგენილია როგორც ნაკრები მათი თვისებებისა. ერთი დეტალი, ერთი თვისება მთელი ობიექტის აღმნიშვნელად დგას. ძირითადად, რაც ობიექტებში გამოიკვეთება, არის სწორედ მათი ფორმა და სილუეტური შთაბეჭდილებაც გეომეტრულობას იძენს.

*‘I see a **ring**,’ said Bernard, ’hanging above me. It quivers and hangs in **a loop of light’***. (ვ. ვულფი 2005: 640).

*‘I see a **globe**,’ said Neville, ’hanging down in a **drop** against the enormous flanks of some hill’* (ვ. ვულფი 2005: 640)

მოცემულ ეპიზოდში ნევილი და ბერნარდი აღქმის კატეგორიებით აღწერენ განთიადს. როგორც ვხედავთ, მზე მისი სილუეტებით აღიქმება. ის, რაც ობიექტში (მზე) არის გამოყოფილი, არის სწორედ მისი ფორმა: ring, loop of light, globe, drop.

ზოგადად იმპრესიონისტული ნახატის ფორმა „ტალღებში“ იქმნება ხაზების, ზედაპირის ბუნების, სილუეტების აღმნიშვნელი მთელი რიგი ენობრივი ეკვივალენტების საშუალებით. **ხაზები** *dark line, purple stripe, black bars...* **ზედაპირის ნიმუში** *grey cloth barred with thick strokes; a mosaic of single sparks...* **სილუეტები** *dark rings; circles of impenetrable dakness; lozenges of brown and yellow...*

## აღქმის კატეგორიები მეტაფორულ ჭრილში: სინესთეტური და კონცეპტუალური მეტაფორები

აღქმის კატეგორიების მეტაფორულ ჭრილში შესწავლისას გამოიკვეთა როგორც გაცვეთილი, ასევე ახალი და კონტექსტუალურად გაცოცხლებული მეტაფორები, მათ შორის, კონცეპტუალური და სინესთეტური მეტაფორები. ეს უკანასკნელი რომანის ძირითად თავისებურებას წარმოადგენს ავტორის სინესთეტობიდან გამომდინარე.

ზოგადად, ვულფის დღიურებში, ესეებსა თუ რომანებში სინესთეტურ ეპიზოდებს ხშირად ვხვდებით. გამონაკლისი არც „ტალღებია“. მაგალითად, როდესაც როდა ოპერას უსმენს, მისთვის ხმა ვიზუალიზდება სინესთეტურად, მთელი რიგი რთული ასოციაციებით.

რომანში ბგერას ხშირად წრიული ფორმა აქვს, რაც სინესთეტებისთვის არის დამახასიათებელი. მაგალითად;

*‘The roar of London,’said Louis,’is round us.Motor-cars,vans,omnibuses pass and repass continuously.All are merged in **one turning wheel of sin-***

***gle sound. All separate sounds-wheels, bells, the cries of drunkards, of merry makers-are churned into one sound, steel blue, circular****. Then a siren hoots. At that shores slip away, chimneys flatten themselves, the ship makes for the open sea.'* (ვ. ვულფი 2005: 711).

უდავოდ, ვულფი სინესთეტია. სინესთეტურ მეტაფორებს შორის ბევრი, ავტორის სინესთეტობიდან გამომდინარე, ახალია, უჩვეულო და შთამბეჭდავი.

სინესთეტური მეტაფორების კლასიფიკაციისას გამოვიყენე ბარონ კოუენის პირობითი აღნიშვნები.

**აუდიტორული → ვიზუალური**

გაცვეთილი ***blank melody****; Here…everything* ***booms and echoes hollowly****; the* ***huge uproar****;* ***obscurred sound****; her* ***voice*** *sounded…****frail and thin****;* ***Faint carillon****;* ***voices****, harsh,* ***hollow****, sweet;* ***high*** *singing*

ახალი ***White words****;* ***yellow words****;* ***fiery words****; all separate* ***sounds*** *…are churned into one sound,* ***steel blue****,* ***circular; tremendous*** *sonorous* ***words****; those painful* ***silences,glaring*** *as dry deserts;* ***silver-grey*** *flickering moth-wing quiver of* ***words ;*** *There are then warm* ***hollows*** *grooved in the heart of the* ***uproar; alcoves of silence*** *where we can shelter*

ეს უკანასკნელი მეტაფორა გაცვეთილი სინესთეტური მეტაფორის hollow sound გაცოცხლებული ვარიანტია.

**აუდიტორული → ტაქტილური**

გაცვეთილი ***harsh discord;*** *birds* ***sang****…shrill and* ***sharp;*** *his* ***words*** *fall* ***cold*** *on my head like pavings stones;* ***light sound;****We hear them crying with* ***sharp,*** *stag-like* ***barks****;* ***cool cry****;* ***soft voice; voices, harsh****,hollow,sweet; short;* ***sharp notes; rough voice***

ახალი *'His* ***rough*** *and* ***hairy*** *voice is like an unshaven chin.'*

მოცემული მაგალითი კონტექსტუალურად გაცოცხლებულ მეტაფორად უნდა მივიჩნიოთ. გაცვეთილ სინესთეტურ მეტაფორაში rough voice უხეში ხმის დაკარგული იმპლიკაცია აღდგენილია თმიან, გაუპარსავ წვერთან შედარებით.

*'There are then* ***warm*** *hollows grooved in the heart of the* ***uproar****.'*

როგორც ვხედავთ, ეს ახალი მეტაფორა გაცვეთილი სინესთეტური მეტაფორის warm sound ლიტერატურულ განვრცობას წარმოადგენს.

**ვიზუალური → აუდიტორიული**

ახალი *I heard for one moment* ***howling*** *winds of* ***darkness; flares roaring*** *above the street markets;* ***blackness roared***

**ვიზუალური → ტაქტილური**

ახალი ***prickly light****; Now* ***cool*** *tide of* ***darkness*** *breaks its waters over me;* ***soft green****;* ***prickly blackness****;* ***soft gold***

მათგან cool tide of darkness წარმოადგენს ვიზუალურ აღქმას ტემპერატურის საშუალებით. იმავეს თქმა შეიძლება შემდეგ სინეს-თეტურ მეტაფორებზე:

*That* ***crimson*** *must have* ***burnt*** *in Ttian's gizzard;* ***Burnt*** *foxy* ***red; colo-ur burning*** *on a framework of steel*

გაცვეთილი ***burning lights***

მოცემული სინესთეტური მეტაფორების არსებობა ბუნებრივია, ვინაიდან ტაქტილური და ვიზუალური აღქმები ნეირო-ბიოლოგიური თვალსაზრისით მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს.სწორედ ამიტომ არის შესაძლებელი ფერების ტემპერატურის (ცივი-თბილი) შკალაზე განლაგება.

**ყნოსვითი → გემოვნებითი**

გაცვეთილი *There are strange* ***sour smells****; I* ***smell*** *cold air,****salt air; sweet smell***

ამ კატეგორიის სინესთეტურ მეტაფორებსაც ნეირო-ბიოლოგიუ-რი საფუძველი აქვს: ყნოსვისა და გემოვნების უბნები ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული უბნებია.

**ყნოსვითი → ტაქტილური**

გაცვეთილი ***strong smell***

**ტაქტილური → ვიზუალური**

გაცვეთილი ***red heat***

ახალი *'The* ***yellow warmth*** *in my side turns to stone.'* (v. vul-fi2005:643) ***Bright arrows of sensation*** (ვ. ვულფი 2005: 648).

ამ კატეგორიის მეტაფორების არსებობასაც ნეირო-ბიოლოგიური საფუძველი აქვს.

**აუდიტორული → გემოვნებითი**

**გაცვეთილი** ***voices****, harsh, hollow,* ***sweet; bitter laughter***

როგორც დავინახეთ, ჭარბობს აუდიტორულ → ვიზუალური სი-ნესთეტური მეტაფორები. სიხშირით მათ შემდეგ მოდის აუდიტო-რულ->ტაქტილური კატეგორიის სინესთეტური მეტაფორები, რომ-ლებიც კოუენის მონაცემებით ინგლისურენოვან ტექსტებში ყველაზე გავრცელებულია. მოცემული სინესთეტური მეტაფორებიდან დიდი

პროცენტული წილი ახალი სინესთეტური მეტაფორებია (თითქმის ნახევარი), რაც ავტორის სინესთეტობაზე მეტყველებს. ახალი სინესთეტური მეტაფორები ნამდვილია, ვულფის სინესთეტობის გამოვლენაა და არ წარმოადგენს ე.წ. ფსევდო სინესთეტურ მეტაფორებს, რომლებსაც მწერლები და პოეტები ხშირად მიმართავენ.

ბუნებრივია, რომანში შემხვდა კონცეპტუალური მეტაფორებიც.

**გაცვეთილი მეტაფორები** *My eyes are **hard; cold** eyes ;**Cold** human contacts; **sour** woman...*

**ახალი მეტაფორრები** *the **rough black** 'No', 'the **golden** 'come'; At that hour your relationship is **mute, null, dun-coloured**; **Oily** somnolence ...*

**გაცოცხლებული მეტაფორები**

*'And immense dullness would descend **unbroken, monotonous**.' 'Eyes **hard** like glazed marbles ' 'My heart turns **rough**; it abraids my side like a file with two edges' 'How jealousy shoots its **green** flashes hither and thither'...*

მოცემულ მეტაფორებს, როგორც გაცვეთილს, ასევე ახალს, მოეძებნება ინგლისურ ენაში ცნობილი შემდეგი კონცეპტუალური მეტაფორები:

AFFECTION IS WARMTH **cold** eyes ; The desire which is loaded behind my lips,**cold** as lead,fell as a bullet; presence, **cold**, unassimilated. ამ უკანასკნელ მეტაფორაში ასევე ჩანს კონცეპტუალური მეტაფორა INTIMACY IS CLOSENESS.

BODY IS A CONTAINER OF EMOTIONS **Hollow** eyes; Yours (eyes) grow **full** and **brim**

ANGER IS HEAT out spurted in one **flame** hate, contempt

HAPPINESS IS LIGHT **Flaring** ecstasy of youth

როგორც ვხედავთ, როგორც ახალ, ასევე გაცვეთილ მეტაფორებს მოეძებნებათ სიღრმისეულად კონცეპტუალური მეტაფორები იმ განსხვავებით, რომ ახალი მეტაფორა ამ კონცეპტუალურ მეტაფორას განავრცობს, მას სხვაგვარად წარმოაჩენს. მაგალითად, ახალი მეტაფორა out spurted in one flame hate, contempt ინგლისური ენის კონცეპტუალურ სისტემაში იმთავითვე არსებულ მეტაფორას ANGER IS HEAT წარმოაჩენს ახალი კუთხით, ერთდროულად ჩქეფისა და ალის ასოციაციებით.

თუ ახალ მეტაფორაში კონცეპტუალური მეტაფორა ახალი კუთხით წარმოჩნდება, კონტექსტუალურად გაცოცხლებულ მეტაფორაში კონტექსტის საშუალებით დაკარგული იმპლიკაცია აღდგება. მა-

გალითად, And immense dullness would descend **unbroken**,**monotonous**. გაგრძელებულობის აუდიტორული აღქმა monotonous, რომელმაც მეტაფორის „განვითარების" ეტაპზე მოწყენილობის სემა შეიძინა, გააცოცხლა სიტყვამ unbroken („გაუწყვეტელი").

## აღქმის კატეგორიებით გამოხატული მეგამეტაფორები

აღქმის კატეგორიებზე დაკვირვების გზით (მათ შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, მოძრაობის აღქმა არის წამყვანი) გამოვყავი მიკრომეტაფორები და მეგამეტაფორები.[1] ამ გზით რომანის კოგნიტიური მოდელი აიგება.კოგნიტიური მოდელი კი მნიშვნელოვანია ნაწარმოების (თემა, იდეა, მხატვრული სახეები) სრულფასოვნად გაგებისთვის. რომანში წინა პლანზე წამოწეულია ცნობიერება და, შესაბამისად, სქემები, რომლითაც გონება აპროექტებს რეალობას, უფრო ხელშესახები და ადვილად დასადგენია.

მეგამეტაფორა: **აღქმის კატეგორიები არის ობიექტები**

იმ ფაქტს, რომ აღქმის კატეგორიები ენაში ასრულებენ ობიექტების და, შესაბამისად აგენსების როლს, იმთავითვე კოგნიტიური საფუძველი აქვს. გონება ბგერებს აუდიტორული აღქმის ობიექტებად „აპროექტებს", სუნი ყნოსვისა და გემოვნების ობიექტებია, ხოლო ფერები და სინათლე-მხედველობის (ო'კალაგანი, 2008).

ნეირო-ბიოლოგიაში ფართოდაა ცნობილი, რომ სხვადასხვა უბანი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული: ყნოსვა გემოვნებასთან, მხედველობა ტაქტილურთან, სინესთეტებში აუდიტორული ვიზუალურთან. განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი არსებობს ვიზუალურ და აუდიტორულ აღქმის ობიექტებს შორის. ამიტომ ამ ორი პერცეფციული უნარის მიერ რეალობის სტრუქტურირება ერთნაირია. მაგალითად, ზღვრის დადება, ფიგურა და ფონი, პერცეფციული მუდმივობა ორივეს — ვიზუალურ (ფერები, სინათლე) და აუდიტორულ ობიექტებს (ბგერები) ახასიათებთ. ამგვარი სინესთეტური კავ-

---

[1] მეგამეტაფორა არის იმ მეტაფორების თემატური გაერთიანება, რომელიც ტექსტში ხშირად მეორდება. იგი მიკრომეტაფორებით რეალიზდება (სტოქუელი, 2002). მეგამეტაფორები ნაწარმოების თემასა და იდეას აგებენ. ისინი უმეტეს შემთხვევაში შეესაბამება კოგნიტიურ ლინგვისტიკაში ცნობილ სქემებს

შირი სენსორული ინფორმაციის კატეგორიზების ჩვეულებრივი ნეირო-ბიოლოგიური მოვლენაა და საერთოა სინესთეტებსა თუ არასინესთეტებს შორის. ენაც გონების მიერ ამგვარად „პროეცირებულ" რეალობას შეესაბამება და ანალოგიური პრინციპით მოქმედებს: ბგერებსაც (აუდიტორული ობიექტები) მიეწერება ვიზუალური ობიექტების თვისებები, ამ შემთხვევაში სივრცული მოძრაობა-მდგომარეობა. დავაკვირდეთ შემდეგი აუდიტორული ობიექტების მოძრაობას:

*the boy's **voice soars** in the dome; **sound quivers** within the bark; **rustle rippled** through everyone;*

ჩვენი გონებისთვის აუდიტორული აღქმა დროითი კატეგორიაა. ვიზუალური კი — სივრცული. ლოგიკურია, ეს ფიქსირდება ენაშიც, როგორც საერთო კოგნიტიური უნარის ნაწილი. მაგალითად, long rigid silences — აქ long სიტყვის დროითი ასპექტია წინ წამოწეული აუდიტორული კატეგორიის silences-ის გამო, რასაც ვერ ვიტყოდით, მაგალითად, სიტყვათა ისეთ კომბინაციაზე, როგორიცაა long row, სადაც long-ის სივრცული ასპექტი იქნებოდა წინ წამოწეული. იმავეს თქმა შემიძლია შემდეგ კომბინაციებზე:

the direct downright sound; regular thud; The music breaks; broken voices; No sound breaks the silence of our house; A crack of sound starts in the rafter... სადაც აუდიტორული კატეგორიების გამო (sound, thud, music, voices) წამოწეულია სიტყვების (direct downright, regular, breaks, broken) დროითი ასპექტი, ნაცვლად სივრცულისა,როგორც ეს გვექნებოდა ვიზუალურ კატეგორიასთან კომბინაციაში.

აუდიტორული და ვიზუალური ობიექტების მოძრაობებს შორის სინესთეტური კავშირი ჩანს შემდეგ კომბინაციებში:

1) *rustle **rippled** through everyone openly*
2) *the air **ripples** above the chimneys*

როგორც ვხედავთ, პირველ შემთხვევაში ვიზუალური აღქმის გამო წამოწეულია ***ripple*** ზმნის სივრცული ასპექტი (და მოძრობის გამო დროულიც), მეორე შემთხვევაში აუდიტორული აღქმის გამო — დროითი ასპექტი. იმავეს თქმა შეიძლება შემდეგ კომბინაციებზე:

*'What he was saying **wavered** in the air like an uneasy flame.'* (ვულფი 2005: 767); *'murmurs **rise**'* (ვ. ვულფი 2005: 775) *'The voice **petered**'* (ვულფი 2005: 772)...

ზოგადად გამოიყო შემდეგი აღქმის კატეგორიები, როგორც ობიექტები:

**ვიზუალური ობიექტები / აგენსები** *I **roll the dark** before me ; cones of laburnum and purple **shook down gold and lilac...***

**აუდიტორული ობიექტები** ***'Silence will close** behind us. If I look back over that bald head, I can see **silence already closing'***

*'Now and again their **songs ran together** in swift scales like the interlacings of a mountain stream'*

**ტაქტილური ობიექტები** *leaves whose **coolness has been stood** in water; **warmth poured** over us...*

**ყნოსვითი ობიექტები** *The carbolic and pitch-pine begin to **lose their savour...A meaty, vapourish smell** of beef and mutton, sausages and mash, **hangs down** like a damp net...*

**გემოვნებითი ობიექტები** ***rotation** of warmth, weight, sweet and **bitter**, past my palate; **The sweetness** of this content **overflowing runs down** the walls of my mind...*

მოძრაობის ქვეკატეგორიაზე დაყრდნობით გამოიყო მეგამეტაფორა — **აღქმის კატეგორიები არის წყალი.**

**შუქ-ჩრდილი არის წყალი —** *the blade **condensed its gleam; Light** driving darkness before it **spilt itself profusely; Light descending in floods** ...*

**ფერი არის წყალი —** ***ripple and cascades of polished red;** pointed fingers of the luster **dripped blue pools…***

**ხმა არის წყალი** — ***Drop by drop**,'said Bernard,'**silence** falls. It forms on the roof of the mind and falls **into pools** beneath; **The flow of the sound...***

**გემოვნება არის წყალი — *The sweetness of this content overflowing** runs down the walls of my mind*

**ტაქტილური აღქმა არის წყალი —** *Old Mrs Constable lifted her sponge and **warmth poured** over us...*

გვხვდება შემდეგი მიკრომეტაფორები: **გონება არის წყალი, ემოცია არის წყალი, სიცოცხლე არის წყალი,** რომლებიც დინების ანუ პროცესის მეგამეტაფორას (სქემას) ქმნიან. ასევე მიკრომეტაფორები **სიცოცხლე არის წრიული, დრო არის წრიული, გაერთიანება არის წრის შეკვრა**. ისინი წრის მეგამეტაფორას (სქემა)ქმნიან.

ამრიგად, ვირჯინია ვულფის რომანში „ტალღები" აღქმის კატეგორიების ენობრივი რეალიზაციის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული კატეგორიები ქმნიან „ტალღების", როგორც პოსტიმპრესიონისტული რომანის ვერბალურ ვარიანტს; მონაწილეობენ

პერსონაჟთა მხატვრული სახეების აგებაში. გარდა ამისა, გამოვლინდა მთელი რიგი სინესთეტური და კონცეპტუალური მეტაფორები. გამოიყო აღქმის კატეგორიებით აგებული კოგნიტიური სქემებიც (მეგამეტაფორები).

ლიტერატურა


**ბარსელონა, 2003** — Barcelona, Antonio. Metaphor and Metonymy at the Crossroads: a Cognitive Perspective.2003. Berlin:Walter de Gruyter.

**ბენფილდი, 2007** — Banfield ,Ann. The Phantom Table: Woolf, Fry, Russell and the Epistemology of Modernism. 2007. New York:Cambridge University Press.

**ბერნშტაინი, 2010 —** Bernstein, Julius. The Five Senses of Man.2010.Pierce Press.

**ვულფი, 2005** —Woolf, Virginia. Selected Works of Virginia Woolf. 2005. Ware: Wordsworth Editions.

**ო'კალაჰანი, 2008** — O'Callaghan Casey. 2008. Object Perception:Vision and Audition. Philosophy CompassVol.3.no4.803-829.

**საიტოვიჩი და იგლმენი, 2009** — Cytowic,Richard, E.Eagleman, David. Wednesday is Indigo Blue: Discovering the Brain of Synesthesia. 2009. Cambridge:MIT Press.

**საიტოვიჩი, 2002** — Cytowic, Richard, E. Synesthesia: a Union of the Senses.2002.Cambridge:MIT Press.

**სპალდინგი, 1980** — Spalding, Frances. Roger Fry Art and Life. 1980. Los Angeles: University of California Press.

**სტოკუელი, 2002.** — Stockwell, Peter. Cognitive Poetics: An Introduction. 2002. Bodmin: Routledge.

**ფრაი და რიდი, 1996** — Fry, Roger. Reed, Christopher. A Roger Fry Reader. Morality and Society Series. 1996. Chicago: University of Chicago Press.

**ჰამფი და გრეიდი,2005** — Hampe Beate. Grady Joseph.From Perception to Meaning: Image Schemas in Cognitive Linguistics.2005.Berlin:Walter de Gruyter.


ინტერნეტ რესურსები


http://www2.english.su.se/nlj/metfest_06_07/Dahlstrom_07.pdf
http://seedmagazine.com/content/article/many_minds_one_story

http://www.atlantisjournal.org/Papers/24_2/santiba.pdf
http://www.cogsci.ucsd.edu/~coulson/203/lakoff_ps.pdf

**NINO MUNJISHVILI**

## Linguistic Realization of Perceptual Categories in Virginia Woolf's Novel *The Waves*

Summary

The aim of the paper is to explore peculiarities of the linguistic realization of perceptual categories in Virginia Woolf's novel *The Waves*. It should be noted that the issue in question is quite understudied. The study has been carried out at the interface of linguistics and literary criticism The data has been examined from the standpoints of semantics, stylistics and cognitive linguistics..

The study has revealed the following linguistic characteristics:

1.The given novel can be viewed as a verbal version of a post-impressionist painting linguistically realized by means of the following elements:

(a) Abundance of light and shade terms; their rhythmic interchange and interdependence.

(b) A wide range of colour terms (with the basic terms prevailing). The terms in question serve to create the background, mood, a variety of associations, the reality perceived impressionistically.

(c) The artistic emphasis on shapes and shades of objects, on geometric features characteristic of post-impressionism.

2. A number of synesthetic and conceptual metaphors, based on percepts, have been identified:

(a) The abundance of synesthetic metaphors, particularly high frequency of unusual, novel and genuine synesthetic metaphors support the viewpoint that Virginia Woolf had a neurological type of synesthesia.

(b) Perceptual categories project conceptual metaphors, serving as a source domain.The bulk of them are novel or revitalized.

3. From the standpoint of cognitive poetics the following recurrent mega metaphors have been singled out: **PERCEPTS ARE OBJECTS, PERCEPTS ARE WATER, LIFE IS WATER, LIFE IS a CIRCLE, TIME IS a CIRCLE, MIND IS SURFACE.**The conceptual metaphors in question form the cognitive basis of the plot structure of the novel.

მაია ნაჭყეპია

# კვლევის ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგია და ქვეტექსტის ფენომენი თანამედროვე მოდერნისტულ ნარატივში

წინამდებარე სტატიაში ჩვენი მიზანია გამოვიკვლიოთ და დავადგინოთ ის შინაგანი კავშირი, რომელიც, ჩვენი კვლევითი ჰიპოთეზის თანახმად, უნდა არსებობდეს მხატვრული ვერბალური სინამდვილის ისეთ ორ ასპექტს შორის, როგორიცაა, ერთი მხრივ, *მოდერნისტული მხატვრული ნარატივის*, მეორე მხრივ, კი, *სიტყვის* როგორც ენობრივი ერთეულის *ნომინაციურ ფუნქციას* შორის. ხსენებული კვლევითი მიზანი კი, ჩვენი აზრით, გამართლებულია მოდერნისტული მხატვრული ნარატივისთვის ისეთი მნიშვნელობის მქონე ფენომენით, როგორიცაა *ქვეტექსტი,* მეორე მხრივ კი, მხატვრული ნარატივის ამ მოვლენისადმი მიძღვნილ იმ კვლევათა არსებობით, რომელთა ფარგლებში ხდება სამი ისეთი ვერბალურ-მხატვრული მოვლენის ურთიერთდაკავშირება, როგორიცაა *სიუჟეტი, ქვეტექსტი* და *სიტყვა.* შესაბამისად, ჩვენი მიზანია გაეცეს პასუხი კითხვას: შესაძლებელია თუ არა კვლევის მოცემულ ეტაპზე განხორციელდეს ზემოხსენებულ კვლევათა ისეთი სინთეზი, რომლის შედეგად გვექნებოდა უფრო სრული ხედვა ისეთი მხატვრული ფენომენისა, როგორიცაა მოდერნისტული მხატვრული ნარატივი?

ის ფაქტი, რომ მოდერნისტული მხატვრული ნარატივის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშან-თვისებას (შეიძლება ითქვას — მის ერთ-ერთ განზომილებასაც კი) წარმოადგენს სწორედ ქვეტექსტი, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ქვეტექსტური სემანტიკა, შეიძლება მიჩნეულ იქნას თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის ერთ-ერთ დომინანტურ ასპექტად. ცნობილია ისიც, რომ ქვეტექსტის ამგვარმა როლმა და მნიშვნელობამ თავი იჩინა, პირველ რიგში, ე. ჰემინგუეის „მცირე პროზაში“. როგორც ხსენებული მოვლენის ერთ-

ერთი მკვლევარი, სახელდობრ ნ. მატარაძე აღნიშნავს, „ე. ჰემინგუეის ტექსტები ხასიათდება ე.წ. „აისბერგის პრინციპით“, რაც ნათლად მიუთითებს მათთვის ქვეტექსტის ცენტრალური მნიშვნელობაზე“ (მატარაძე 2005: 5). მაგრამ, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჰემინგუეის მცირე პროზა წარმოადგენდა ქვეტექსტის ამგვარი დომინატური როლის წარმოჩენის საწყის ეტაპს: მოდერნისტული მხატვრული კულტურა კი სულ უფრო და უფრო შინაგანად უკავშირდებოდა თანამედროვე ფილოსოფიური აზროვნების იმ ეგზისტენციალურ პარადიგმას, რომლის თანახმად ადამიანთა არსებობასთან დაკავშირებულ კითხვათა დასმა უფრო შესაძლებელია, ვიდრე ამ კითხვებზე ერთმნიშვნელოვან პასუხთა მიღება. შეიძლება ითქვას, რომ ქვეტექსტურობა, როგორც ფენომენი, უკავშირდება სწორედ ეგზისტენციალისტური და სააზროვნო პარადიგმის ხსენებულ ასპექტს. თუ ტრადიციულ ნარატივში სიუჟეტის ფინალი მუდამ წარმოადგენდა ამ სიუჟეტით მოთხრობილი ამბის ლოგიკურ დასასრულს, მოდერნისტულ მხატვრულ ნარატივს არაერთმნიშვნელოვან ქვეტექსტში გადააქვს თავად ეს ფინალი. ასე, მაგალითად, ე. ქურდაძე ისეთი მოდერნისტული „მცირე პროზის“ კვლევის დროს, როგორიცაა ჯ. დ. სელინჯერის ნოველათა ციკლი, სწორედ ამგვარად უკავშირებს ერთმანეთს ეგზისტენციისა და ქვეტექსტის ფენომენებს: „ეს არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „კომუნიკაცია კომუნიკაციის გარეშე, ანუ ისეთი კომუნიკაცია მხოლოდ და მხოლოდ ყოფით დონეზე, რომელიც გამორიცხავს კომუნიკაციას პიროვნებათა შიდა განზომილების, ანუ იმ სიღრმისეული განზომილების დონეზე, რომელსაც გულისხმობს ეგზისტენციის ცნება“ (ქურდაძე 2012: 20).

შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ქვეტექსტის ამგვარი, ანუ ეგზისტენციალურად გაგებული ფინალის ტიპურ მაგალითს წარმოადგენს ჯ.დ. სელინჯერის „მცირე პროზა“, წარმოდგენილი ნოველათა ციკლით „Nine stories“.

შესაბამისად, ისმის კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ, ანუ როგორი მეთოდოლოგიის გამოყენებით უნდა ხდებოდეს ისეთი ენობრივ-კულტურული ფენომენის ადეკვატური კვლევა, როგორიცაა მოდერნისტული მხატვრული ნარატივი, თუ მის არსებით ასპექტად მივიჩნევთ „აისბერგის პრინციპით“ ნაგულისხმევ ქვეტექსტს; ვფიქ-

რობთ, ამ კითხვაზე პასუხს მივიღებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრულად გავითვალისწინებთ თანამედროვე ესთეტიკური აზროვნების მიერ გავლილ იმ გზას, რომელმაც იგი (ეს აზროვნება) კვლევის ინტერდისციპლინარულ მეთოდოლოგიამდე მიიყვანა. ბუნებრივია, ჩვენ არა გვაქვს ხსენებული გზის მთელი ეტაპობრივი თანმიმდევრობით განხილვის შესაძლებლობა. ამიტომ შევეცდებით მისი (ამ გზის) ლოგიკური სტრუქტურის ისეთ წარმოადგენას, რომელსაც, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ქვეტექსტის ფენომენის კვლევისათვის.

ვფიქრობთ, ზემოდასმულ პრობლემას აქვს ორი ერთნაირად მნიშვნელოვანი ასპექტი — *თეორიული* და *მეთოდოლოგიური*. თეორიული ასპექტი, ბუნებრივია, უნდა გულისხმობდეს იმ კითხვაზე პასუხს, თუ რას წარმოადგენს თავისი არსით მოდერნისტული მხატვრული ნარატივი, ე.ი. რით განსხვავდება იგი მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით ტრადიციული, ანუ არამოდერნისტული ნარატივისგან; ხოლო რაც შეეხება მეთოდოლოგიურ ასპექტს, იგი უნდა მდგომარეობდეს შემდეგში: მოდერნისტული მხატვრული ფენომენის კვლევა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ვერბალურ-მხატვრული ფენომენის კვლევაც, უნდა ხორციელდებოდეს *ინტერდისციპლინარულად,* კვლევის ეს მეთოდოლოგიური *ინტერდისციპლინარიზმი* კი უნდა მდგომარეობდეს შემდეგში: ვითვალისწინებთ რა საკვლევი ფენომენის შინაგან მრავალგანზომილებიანობას, ვეყრდნობით ყველა იმ დისციპლინის მონაცემებს, რომლებსაც, საკვლევი ფენომენის შინაგანი სტრუქტურის თანახმად, შეუძლებელია არ ჰქონდეთ კავშირი ხსენებული ფენომენის მრავალგანზომილებიანობასთან. შესაბამისად, ისმის კითხვა იმის თაობაზეც, თუ როგორი უნდა იყოს მოცემულ შემთხვევაში რელევანტურ დისციპლინათა კომპლექსი, და — რაც მთავარია — როგორი უნდა იყოს ამ კომპლექსის შიდა ლოგიკური სტრუქტურა?

თუ გავითვალისწინებთ კვლევის იმ თეორიულ და მეთოდოლოგიურ გზას, რომელიც უკვე განვლო თანამედროვე ჰუმანიტარულმა აზროვნებამ და ამავე დროს გავითვალისწინებთ, რომ არსებითად ეს იყო გზა ინტერდისციპლინარიზმისკენ, მაშინ ჯერ უნდა დავასახელოთ ზემოხსენებულ კომპლექსში შემავალი დისციპლინები, შემდეგ

კი შევეცადოთ იმის განსაზღვრას, თუ როგორი უნდა იყოს ამგვარი ინტერდისციპლინარული კომპლექსის შინაგანი ლოგიკა იმისდა მიხედვით, თუ რომელი ფენომენის კვლევასთან გვაქვს საქმე.

გავითვალისწინოთ ჯერ ზემოთ ფორმულირებული ამოცანის პირველი ასპექტი და დავასახელოთ ის *ინტერდისციპლინარული კომპლექსი*, რომელსაც უნდა დავეყრდნოთ ზემოთ დეკლარირებული კვლევითი მიზნის განხორციელებისას:

1) პირველ რიგში უნდა გაეწიოს ანგარიში იმ ფაქტს, რომ ჰუმანიტარული აზროვნების მთელი ტრადიციის გათვალისწინებით აუცილებელია დავეყრდნოთ *ლიტერატურათმცოდნეობას,* პირველ რიგში კი, მის *თეორიულ ასპექტს,* ანუ *პოეტიკას.* ამ პოეტიკის მიხედვით, მოდერნისტული მხატვრული ნარატივი წარმოადგენს ეპიკური ლიტერატურული გვარის ერთ-ერთ ჟანრს;

**2)** იქიდან გამომდინარე კი, რომ ნებისმიერი მხატვრული ნარატივი წარმოადგენს ვერბალური მხატვრული დისკურსის თანმხლებ *ტექსტს,* ინტერდისციპლინარულად საყრდენ მეორე დისციპლინას ჩვენთვის უნდა წარმოადგენდეს *ლინგვისტიკა,* უფრო კონკრეტულად კი *ტექსტის ლინგვისტური თეორია.* მაგრამ ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ ლინგვისტური თვალსაზრისით ტექსტი არამხოლოდ არის კომუნიკაციური ერთეული, არამედ ასევე წარმოადგენს ენობრივი სისტემის უმაღლესი დონის იმ ერთეულსაც, რომელიც თავის თავში ახდენს სხვა ერთეულთა ინტეგრაციას. შესაბამისად, ისმის კითხვა: როგორი შეიძლება იყოს *სიტყვის,* როგორც მხატვრულ ტექსტში ინტეგრირებული ერთეულის, ფუნქცია ამ ტექსტის ყველა შესაძლო ასპექტის გათვალისწინებით? გავითვალისწინოთ ინტერდისციპლინარული მიდგომის შინაგანი ლოგიკა და დავუკავშიროთ ერთმანეთს ზემოთ ხსენებული პოეტიკისა და ტექსტის ლინგვისტური თეორიის მონაცემები და, თუ ასე მოვიქცევით, გარდუვალად აღმოვჩნდებით შემდეგი კითხვების წინაშე:

ა) როგორია მოდერნისტული მხატვრული ნარატივის ის შიდაენობრივი, შეიძლება ითქვას შიდავერბალური სტრუქტურა, რომლის წყალობითაც მის ფარგლებში ასეთ მნიშვნელობას იძენს ქვეტექსტის ფენომენი? და რამდენადაც, კვლავ პოეტიკის თანახმად, შეუძლებელია არსებობდეს ეპიკური გვარის ნაწარმოები სიუჟეტის გარეშე, მა-

შინ როგორი უნდა იყოს კავშირი, ერთი მხრივ ქვეტექსტსა და სიუჟეტს, მეორე მხრივ კი, ტექსტის ვერბალურ სტრუქტურასა და ქვეტექსტს შორის?

მიგვაჩნია, რომ ზემოთ დასმულ კითხვაზე ჩვენი პასუხი უნდა წარმოადგენდეს სწორედ იმ კვლევით ჰიპოთეზას, რომელიც ნახსენები იყო სტატიის დასაწყისშივე. აქედან გამომდინარე კი კვლევის მიზანი უნდა როგორც ხსენებული ჰიპოთეზის ფორმულირება იყოს, ისე მისი ადეკვატურობის დასაბუთება — რა თქმა უნდა, ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით. მაგრამ ამავე დროს ვიგულისხმეთ ისიც, რომ ჩვენი ამოსავალი ჰიპოთეზა მოდერნისტული მხატვრული ნარატივის ქვეტექსტურ სიუჟეტთან დაკავშირებით უნდა წარმოადგენდეს ყოველივე იმის სინთეზს, რაც უკვე განხორციელებულა, ერთი მხრივ, ინტერდისციპლინარულად, მეორე მხრივ კი, ორი ისეთი ენობრივი ფენომენის ურთიერთდკავშირებით, როგორიცაა *ტექსტი* და *ნომინაცია.*

იქიდან გამომდინარე, რომ საკვლევი ობიექტისადმი ჩვენი ინტერდისციპლინარული მიდგომა უნდა იყოს ლინგვისტურად ცენტრირებული, ჩვენი ამოსავალი კვლევითი ჰიპოთეზა უნდა იყოს შემდეგი: მოდერნისტულ მხატვრულ ტექსტში სიმბოლური ნომინაცია — იმდენად, რამდენადაც იგი რეალიზებულია — უნდა „ემსახურებოდეს“ იმის შინაგანი პრობლემატიკის გამოხატვას, რასაც მოდერნისტული კულტურა მის მთლიანობაში უწოდებს — „ეგზისტენციას“.

## ლიტერატურა


**მატარაძე, 2005** — ნ. მატარაძე „მხატვრული დეტალი როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და ქვეტექსტური სემანტიკა მეოცესაუკუნოვან მხატვრულ ციკლში“, თბილისი, 2005.

**ქურდაძე, 2012** — ე. ქურდაძე „არავერბალური კომუნიკაცია როგორც ნარატიული ფენომენი და როგორც ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემა“, ქუთაისი, 2012.

**ჩიგოგიძე, 2005** — ე. ჩიგოგიძე „სიმბოლური ნომინაცია როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და სიმბოლურ-სემანტიკური ველი მხატვრულ ნარატიულ ციკლში“, თბილისი, 2005.

**MAYA NACHKEBIA**

## Interdisciplinary Methodology of Research and the Phenomenon of Sub-Text in the Present-Day Modernist Narrative

Summary

By employing the present-day interdisciplinary methodology the paper examines the issue of sub-text on the material of modernist narrative. The paper aims at finding a link between such concepts evidenced in different humanitarian disciplines as the sub-text and the plot, on the one hand, and the sub-text and existence, on the other. The nominative function of the word is considered the basic principle for the conceptualization and modeling of the sub-text semantics in a modernist narrative.

ნანა საატაძე

# ლექსიკურ ერთეულთა დამატებითი განსხვავებული ქვემოქართლური მნიშვნელობანი

დადგენილია, რომ ენის ისტორიული განვითარების პერიოდში სიტყვის მნიშვნელობამ, მისმა კავშირმა სხვა სიტყვებთან და ფუნქციურ-სტილისტურმა დანიშნულებამ შეიძლება განიცადოს არსებითი ცვლილებანი, რაც იმით გამოიხატება, რომ არსებობის მანძილზე ზოგიერთი სიტყვა იძენს გადატანით მნიშვნელობებს, განიცდის სემანტიკურ ძვრებს და სხვა ცვლილებებს. ყოველივე ეს კი მის სემანტიკურ მოცულობაში აისახება, მის ცვალებადობას იწვევს. საბოლოოდ, ცვლილებათა კანონზომიერების ბუნების შედეგად, ბევრი მშვენიერი სიტყვა და გამოთქმა დროთა განმავლობაში დავიწყებას ეძლევა ან იკარგება ამა თუ იმ სიტყვის ნიუანსი, ახალი ელფერი და დანიშნულება ეძლევა მას, ხოლო ზოგიერთი ძველი ფორმა, ძველი ლექსიკა იჩქმალება, უფერულდება და საბოლოოდ უცხო ხდება.

სიტყვის მნიშვნელობათა კავშირს რეალიათა განმსაზღვრელ თავისებურებებთან, ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ ფაქტორებთან დიალექტური ლექსიკის ამომწურავი შესწავლისა და კუთხური სიტყვის სრულყოფილი სემანტიკური დახასიათებისათვის, მისი დამატებით, განსხვავებული მნიშვნელობათა გამოვლენისა და სემანტიკური მრავალფეროვნების წარმოჩენისათვის განსაკუთრებული ღირებულება აქვს (შდრ.: მორახოვსკაია, 1981, 130; კოჰოტკოვა, 1979, 332; ლისტროვა, 1973).

ცნობილია, რომ სიტყვა ყველაზე ცვალებადი ერთეულია ენისა. ცვლილება ეხება სიტყვის როგორც გარეგან, ფორმობრივ, ასევე შინაგან-შინაარსობრივ, სემანტიკურ მხარეს. ამიტომ სიტყვის შესწავლა საინტერესოა როგორც ფორმათსაწარმოებელ სტრუქტურულ ელემენტთა შესწავლის, ასევე სემანტიკური კლასიფიკაციის მიხედვით.

სიტყვის მნიშვნელობას, რასაკვირველია, საგანი განსაზღვრავს,

მაგრამ მისი სრულყოფილი სემანტიკური შესწავლა შეუძლებელია შესაბამის საზოგადოებასთან, შესაბამის ენობრივ კოლექტივთან მისი მიმართების გარეშე, მხოლოდ საგნობრივი მიმართების დონეზე ჩამოყალიბებული რეალიზების გამოკვლევა ხდება სხვადასხვა შემთხვევაში შესაბამის ენობრივ კოლექტივთან მიმართების მიხედვით, სათანადო საზოგადოების მიერ გარკვეული ისტორიული პირობებისა და ყოფითი მოვლენების შესაბამისად გამომუშავებულ ენობრივ ჩვეულებათა ფონზე. ეს კი თავისთავად ითვალისწინებს კავშირისა და მიმართების დადგენის აუცილებლობას დიალექტურ ლექსიკასთან, ასევე სიტყვის მიმართების დადგენის აუცილებლობას რეალიათა განმსაზღვრელ თავისებურებებთან, რაც ე. წ. ***ლოკალიზმების*** წარმოქმნის წინაპირობაა.

კუთხური ლექსიკის ამგვარად შესწავლის შედეგად საშუალება გვეძლევა გავაანალიზოთ დიალექტურ სხვაობათა ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურა: სიტყვათა პოლისემანტიკურობა, რაც სხვადასხვა ლინგვისტური (სიტყვათა მნიშვნელობის ქრონოლოგიური კორექტირება, კონოტაცია, სემანტიკური ძვრები, რეინტერპრეტაცია) და ექსტრალინგვისტური (გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული არეალები) ფაქტორის ზემოქმედების შედეგად სიტყვის სემანტიკური მოცულობის ცვალებადობას ითვალისწინებს და ყოველივე ამის შედეგად საშუალება გვეძლევა მოვახდინოთ სიტყვის, როგორც ენის ერთეულის, ლექსიკური ღირებულების დეტერმინაცია, ამომწურავად განვმარტოთ კუთხური თუ საერთოენობრივი ლექსიკის მდიდარი ფონდი, შემადგენელი მრავალი იშვიათი სიტყვა და იდიომური ერთეული.

ლექსიკური დიალექტიზმებისა და საერთო ენის ლექსიკური ფონდის ურთიერთმიმართების საკითხების ენათმეცნიერული თვალსაზრისით შესწავლისათვის ძალზე აქტუალური და საინტერესოა ლექსიკურ ერთეულთა დამატებითი, კილოური მნიშვნელობის ე. წ. სემანტიკური დიალექტიზმების — საყოველთაოდ ხმარებულ სიტყვათა დიალექტური (II კილოური) მნიშვნელობების გამოვლენა და შესწავლა.

უნდა ითქვას, რომ სალიტერატურო ენის ლექსიკურ ფონდში შემავალი ბევრი ლექსემის ტრანსფორმაცია დიალექტებში, რაც, ცხადია, დიალექტურ ლექსიკაში რეალიზდება, ჯერ კიდევ სრულად არ

არის შესწავლილი და არც სათანადოდ არის კვალიფიცირებული, ე.ი. არ არის აღნუსხული სემანტიკური მნიშვნელობანი. ამ მხრივ გარკვეული ენათმეცნიერული ღირებულების მქონეა ქვემოქართლურის მონაცემები. საერთოენობრივ ლექსიკურ ერთეულთა ამგვარი დამატებითი, კილოური მნიშვნელობანი გვხვდება ქვემოქართლელთა მეტყველებაშიც. ქვემოქართლურის დარგობრივი ლექსიკის ნიმუშებიდან ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ***ალაო***. სპეციალურ ლიტერატურაში დადასტურებულია ამ ლექსიკური ერთეულის განსხვავებული სემანტიკური ვარიანტები, მისი ქვემოქართლური მნიშვნელობა კი აღუნუსხავია: ***ალაო*** ნოტიო და ჩახურებული ფქვილი || ასეთი ფქვილისგან გამომცხვარი პური (გული არ უცხვება), 2. გაღივებული, გამხმარი და დაღერღილი ქერი, სიმინდი, ხორბალი და მისთ.; ხმარობენ ლუდის, არაყისა და ბურახის გამოსახდელად (ქეგლ., 1950, 266). დასტურდება კახურსა და თუშურში, ნაწვიმარ ხორბლის პურს აღნიშნავს (ღლ., 1984. 36). ქვემო ქართლში მოძიებული მასალის მიხედვით, ლექსემა **ალაო**-ს მნიშვნელობა შეიძლება განაწილდეს ტერიტორიული თვალსაზრისით. კერძოდ, **ალაო** დმანისის რაიონში ნიშნავს: 1. „არყისთვის დამზადებული საფუარია“ (დიდი დმანისი), 2. „გამოუმშრალი || გულდაუმწიფებელი || ჭყინტლი მარცვლისგან დამზადებული ფქვილი დაალოებული || დანოტიოვებულია“ (ს. განთიადი,), 3. „თესლიდან უმცირესი ამონაყარი“ (ს. მამულო); როგორც ჩანს, თვით ქართლური დიალექტური სივრცის ფარგლებში ***ალაო*** პოლისემიური ერთეულია და ძველი ქართული ენის ლექსიკიდან უნდა მომდინარეობდეს. სულხან-საბას დადასტურებული აქვს მისი ზოგადი მნიშვნელობა: **ალაო** „ფქვილი დანოტიოვებული“ (საბა, 1991: 445).

***დააფრაკებული***, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით „დაბრეცილი ფიცარი“-ა (ქეგლ., 1990:347). მისი ქვემოქართლური დამატებითი მნიშვნელობა არ არის აღნუსხული. აღნიშნული ლექსემა თეთრიწყაროსა და ბოლნისის რ-ში დავაფიქსირეთ „მოლაყლაყებული“-ს მნიშვნელობით.

***დაბეგვა*** გარდა სალიტერატურო ქართულში დადასტურებული ძირითადი მნიშვნელობისა, საინტერესოა ამ ლექსემის ქვემოქართლური დამატებითი განსხვავებული მნიშვნელობანი. საანალიზო ლექსემა

თეთრი წყაროს რ-ნის სოფ. ახალდაბაში აღვნუსხეთ და ნიშნავს „წვიმა რომ მოხვდება ბალახს და დანოტიოვდება, ობი მოეკიდება“.

***დაკოდილი*** სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული მნიშვნელობის გარდა, აქვს განსხვავებულიც: გურულში დაჭრილი-ს მნიშვნელობით გვხვდება (ღლ., 1984, 175). ჩვენ მიერ მოძიებული მასალის მიხედვით დმანისის რ-ნის სოფ. დიდ გომარეთში „პირუტყვისაგან მოჭმული ჯაგნარი“-ა.

***დღიური*** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად პოლისემიურია; 1. რაც ერთ დღეში უნდა შესრულდეს, 2. რასაც ერთი დღის მუშაობაში უხდიან, 3. ვისაც დღეების მიხედვით იქირავებენ, დღეების მიხედვით უხდიან ხელფასს, 4 სახარჯო, რომელიც ეძლევა მივლინებაში მყოფს დღეებზე გაანგარიშებით, 5. (ძვ.) მიწის საზომი ერთეული საქართველოში, 6. ჩანაწერები, რომლებსაც აწარმოებენ ყოველდღე ან დროდადრო, 7. მოწაფის რვეული მოცემული დავალებათა აღსარიცხავად და წარმატების ნიშნების ჩასაწერად (ქეგლ., 1990, 470). ქვემო ქართლში ამ ლექსიკურ ერთეულს დამატებით განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს. იგი „პატარა ყანას“ ან „მამულის ნაწილს“ ნიშნავს (ს. ი).

***ველი*** ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კვალიფიცირებულია „დიდ ფართობზე გადაშლილი უტყეო ვაკე, ჩვეულებრივ ბალახიანი; დიდი მინდორი, მწვანე ვ. — ალაზნის ვ.“ (ქეგლ., 1990, 496.). სულხან-საბასა და ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით, ველი მინდორი დიდი (საბა, 1990, 260) კორდი, მინდორი, ტრამალი (ნ. ჩუბ., 1961, 215). ამ სიტყვის დიალექტური ლექსიკური დამატებითი მნიშვნელობა განმარტებით ლექსიკონში წარმოდგენილი არ არის. ქვემო ქართლში ეს ლექსემა პოლისემიურია: 1. „მკის დროს ერთ ჯერზე გატანილი ფართობი (ს. პანტიანი); 2. გადაბრუნებული მიწა“ (სოფ. ახალდაბა).

***კილი*** სალიტერატურო ქართულის მიხედვით არის „ხორბლეულის მარცვლის ბუდე“. ასევეა ფიქსირებული ფშაურ დიალექტშიც (გოგატ., 1981, 47). ამ ლექსიკური ერთეულის დამატებითი განსხვავებული ქვემოქართლური მნიშვნელობა დღემდე აღუნუსხავია. იგი მოვიძიეთ დმანისის რ-ნის სოფ. მამულოში „ყანაში შემორეული ბალახის“ მნიშვნელობით.

***კვირტი*** სალიტერატურო ქართულში სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება, კვალიფიცირებულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც, ოღონდ არ არის გათვალისწინებული ქვემოქართლურის დამატებითი მნიშვნელობანი. აღნიშნული ლექსემა მოვიძიეთ მარნეულის რ-ნის სოფ. წერაქვში „თივის პატარა გროვის“ მნიშვნელობით, რომლისგანაც დგამენ პატარა ბულულას, ***ხურგას*** || ***ხორგას***.

***მამლაყინწა*** ძირითად მნიშვნელობასთან ერთად, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით „ყოყოჩი ადამიანია“ (ქეგლ., 1958, 36). ქვემოქართლური სიტყვის დამატებითი ლექსიკური ღირებულება არ არის წარმოდგენილი. მამლაყინწა თეთრიწყაროს რ-ნის სოფ. პანტიანსა და მარნეულის რ-ნის სოფ. წერაქვში აღვნუსხეთ „სათიბში დარჩენილი გაუთიბავი ადგილის“ მნიშვნელობით.

ამრიგად, ქვემოქართლური ლექსიკა საინტერესოა თავისი შედგენილობით და მისი გამოწვლილვითი შესწავლა დარგობრივად, სოფელ-სოფელ დადასტურებული რეგიონული მონაცემების აღნუსხვის საშუალებით უნდა განხორციელდეს, რაც ქვემოქართლური ლექსიკის სემანტიკური ნაირგვარობისა და პარალელების გამოვლენის საშუალებას მოგვცემს.

ლიტერატურა


**გოგატიშვილი, 1981** — გ. გოგატიშვილი, ფშაური ლექსიკა, თბ., 1981.

**Листрова 1973** — Н. Т. Листрова, О критериях выделения, лексических диалектных различий. В кн.: „лингвогеография, диалек-тология и история языка“, Кишинев, 1973.

**Мораховская 1981** — О. Н. Мораховская, Сопоставление лингвистических и этнографических ареалов для уточнения значения слов. В кн.: „Диалектология и лингвогеография русского языка“, „Наука“, М., 1981 .

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1958., 1990.

სალხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ I-II., თბ., 1991-1993.

**ღლონტი, 1984** — ალ. ღლონტი „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“, თბ., 1984.

**ჩუბინაშვილი, 1981** — ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1981.

**NANA SAAKADZE**

## Additional, Differentiating Meanings of Kvemo Kartlian Lexical Units

Summary

Being one of the widely spread dialects of Georgian, the Kvemo Kartlian dialect seems to be an inexhastive subject of study. Free use of lexical units is typical of the given dialect. The paper examines a number of lexical units aiming to reveal their additional, specifically Kvemo Kartlian meanings.

ᲜᲐᲜᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲔ

# ᲛᲔᲡᲐᲥᲝᲜᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲘᲡ ᲡᲔᲛᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠ-ᲔᲢᲘᲛᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲐᲖᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲛᲝᲥᲐᲠᲗᲚᲣᲠᲨᲘ

ქვემო ქართლში, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კუთხეში, მეურნეობის ძირითად დარგად მიწათმოქმედება-მემინდვრეობასთან ერთად მესაქონლეობა ჩამოყალიბდა.

მესაქონლეობა ქვემო ქართლის თითქმის ყველა რეგიონში მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. ქვემოქართლელები მისდევენ **მსხვილფეხა** და **წვრილფეხა** საქონლის მოშენებას.

აღსანიშნავია, რომ მესაქონლეობის ქვემოქართლური ლექსიკა, დარგობრივად, შეიძლება ითქვას, დღემდე შესწავლილი არ არის. მისი დროული გამოვლენა კი, ვფიქრობთ, ძალზე მნიშვნელოვანია დიალექტური ლექსიკის რეგიონული დახასიათებისა და ქართული ენის დიალექტოლოგიური ატლასის შესადგენად.

ცნობილია, რომ თავისი არსებობის მანძილზე სალიტერატურო ენა საზრდოობდა დიალექტებით, რომელთაც ფასეული ღირებულება აქვთ სალიტერატურო ენის ისტორიის შესასწავლად. დღეს სასწრაფო და საჭირო საქმედაა მიჩნეული დიალექტების შესწავლა, ვინაიდან ქვეყნის კულტურული დონის სწრაფ აღმავლობასთან დაკავშირებით სალიტერატურო ენის გავლენა დიალექტებზე გაცილებით ძლიერია, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

ამიტომაც, გადავწყვიტეთ სოფელ-სოფელ, გამოწვლილვით, არეალური მეთოდის შესწავლის საფუძველზე გამოგვევლინა მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგთან — მესაქონლეობასთან დაკავშირებული ქვემოქართლური ლექსიკის თავისებურებანი.

ქვემო ქართლის აზერბაიჯანული მეტყველების გრამატიკული და ლექსიკური მონაცემების შედეგად დასტურდება, რომ ეს მეტყველება წარმოადგენს ყაზახური დიალექტის კილოკავს (ჯანგ., 1957, 237).

ხოლო დმანისისა და მარნეულის აზერბაიჯანელი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი არის მცირერიცხოვანი ყიზილბაშური ტომი — ყაზახლუ, ამიტომ გასაგები მიზეზების გამო ქვემოქართლურში ჭარბობს ლექსიკური ნასესხობანი. აზერბაიჯანულ-თურქულ და ამ ენების დიალექტებიდან (ყაზახური) ნასესხები საზიარო დიალექტური ერთეულები, როგორიცაა: **გერმა, დაგა, თოხლი, იაბო, იამლიკი, კარდალა, სუბოი, ყოთური, ჯონგა, ჩეფიჩი, ჩობანი** და სხვა, რაც გამოწვეული უნდა იყოს საერთო სამეურნეო ყოფის შედეგად. როგორც წესი, ამ რეგიონების მკვიდრნი მომთაბარე მეცხოველეობას მისდევდნენ და, ჩანს, საზამთრო საძოვრებზე ერთმანეთთან დამყარებული ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობანი უცხოურენოვანი ლექსიკის ნიმუშები ქვემოქართლურში ძირითადად მეცხოველეობის აღმნიშვნელ თემატურ ლექსიკაში დასტურდება.

**გერმა** ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ფიქსირებულია ბატის გულ-მკერდის ბუმბულის მნიშვნელობით (ქეგლ. 1951, 1430). სულხან-საბას განმარტებით, იგი სომხური წარმოშობისაა და ნიშნავს „მეტად წვლილს" ( საბა, 1991, 1430). ფშაურში, ქიზიყურში, გუდამაყრულსა და მთიულურში ფონეტიკური სახესხვაობით (მეტათეზისი) დასტურდება „გემრა" და აღნიშნავს „ცხვრის კურკლს" (ღლ.1984,150).

ჩვენი მასალის მიხედვით, გერმა-ს სემანტიკა ბოლნისისა და თეთრიწყაროს რაიონებში ისეთივეა, როგორც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, ხოლო მარნეულის რ-ნის სოფ.სიონსა და წერაქვში **გერმა** აღნიშნავს „ცხვრის გამხმარ **ხუშკს** (კურკლს)". საანალიზო ლექსემა აზერბაიჯანელთათვის ქართულიდან ნასესხებად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან თურქული სისტემის თითქმის არც ერთ სხვა ენაში, დიალექტსა და ლექსიკონში არ არის დადასტურებული. იგი მხოლოდ მარნეულის აზერბაიჯანელთა მეტყველებაში გვხვდება. აქვე დავძენ, რომ ჩვენ ვერ გავიზიარებთ **გერმას** სომხურ წარმომავლობასაც.

**დაგა** ბოლნისისა და დმანისის რაიონში აღვნუსხეთ „მთაში მწყემსების ქოხის" მნიშვნელობით. ვფიქრობ, აღნიშნული ლექსიკური ერთეული აზერბაიჯანულიდან ნასესხებია, ვინაიდან იგი გავრცელებულია აზერბაიჯანელთა სალიტერატურო ენაში და ასევეა ფიქსი-

რებულია თურქულ და აზერბაიჯანულ ლექსიკონებში; შდრ. თურქ: Даг (მთები); აზერბ. Даф (Азизб., 1928, 117). ასევე გვხვდება აზერბაიჯანულენოვან რეგიონებთანმოსაზღვრე ქართულენოვან სოფლებში.

**დოლი** < აზერბ. Дол დოლი დაიძრა (ბატკნის მოგების დრო), **ცხვრის დადოლება.** ს.ჯიქიას განმარტებით, ქართული დოლი უკავშირდება აზერბაიჯანულ **дол**-ს, რომელიც „ნაყოფს, ემბრიონს, ჩანასახს" ნიშნავს, ოღონდ ქართულში ამ სიტყვის სემანტიკური ძვრაა დადასტურებული: თავდაპირველი მნიშვნელობა შეცვლილი და გაფართოებულია (ს. ჯიქ.1957, 215). ქეგლ-ის თანახმად, საანალიზო ლექსემა პოლისემიურია : 1) ბატკნის მოგების დრო; 2) დოლის პური; 3) საკრავი (ქეგლ, 1990, 446). მთიულურში, მოხეურსა და ფშაურში ეგევე მნიშვნელობით აქვს აღნუსხულია კ. შანიძეს, ხოლო მოხეურსა და მთიულურში დასტურდება დამატებითი განსხვავებული მნიშვნელობით — „გარეული ღორის ბინა" (შან. 1984, 318). აღნიშნული ლექსემა, ჩვენი აზრით, თურქული წარმომავლობის მქონე ერთეულად კი არა, არამედ აზერბაიჯანულში ქართულიდან ნასესხებად უნდა ვაღიაროთ. ეს დასტურდება ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის მონაცემების თანახმადაც. *დოლ — არქეტიპი აღდგება ქართულ-მეგრული ერთიანობის ხანისათვის: მეგრულის **დულ-** **(<* დოლ)** კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია ქართული **დოლ-** ძირისა (ფენრ., სარჯ., 2000, 176-177).

**კარდალა** დავადასტურეთ დმანისის რაიონში „მწყემსების ქვაბის" მნიშვნელობით. თუჯისგან დამზადებულია, ძირი ოვალური აქვს, პირი ფართო. აქვს საკიდი, კიდებენ ორკაპა ჯოხზე. ქეგლ-ის მიხედვით, **კარდალი, კარდალა** „მომცრო ქვაბია სპილენძის" (ქეგლ. 1990, 566). სულხან-საბასა და ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით აღნიშნული ლექსიკური ერთეული იდენტურია ქეგლ-ში აღნუსხული მნიშვნელობისა (საბა, 1991,354, ჩუბ., 1961, 224). ილ. აბულაძის ლექსიკონში კვალიფიცირებულია, როგორც „კარ[ა]სი": „ვედრო": „უკუეთუ ყოველნი წარმართნი... ნაწუეთნი კარსისანი (კარდალისაგან პბ)", (აბულ; 1973,192). ზ. სარჯველაძეს აღნუსხული აქვს „ჭურჭლის" მნიშვნელობით (სარჯ. 2001, 103). ალ. ღლონტის ქართულ კილოთქმათა სიტყვის კონის მიხედვით, გურულსა და აჭარულში არის

„სპილენძის ქვაბი; თუჯის ქვაბი; დიდი ქვაბი სპილენძის“ (ღლ., 1984,273). ამ ლექსემას მეგრულში ზოგიერთი ავტორი ქართულიდან ნასესხებად მიიჩნევს, რაც ფაქტობრივი მასალის ანალიზის შედეგად ძნელად სარწმუნოდ გვეჩვენება. ჩვენ მხარს ვუჭერთ მოსაზრებას, რომ იგი საერთოქართველური ძირია.

ქართულ **კარ-/კრ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება **ლაზური კოr-** (ხოფური დიალექტის **კირ-**<***კურ-**<**კორ-)** და მეგრული კირ- **(**<***კურ-**<***-კორ-),** (ფენრ., სარჯ.,2000, 263).

**კარდალა** სიტყვის სემანტიკური წარმომავლობის გამოსაკვეთად საჭიროდ მივიჩნიეთ მისი გამოყენების სახშირის განსაზღვრა ძველ ქართულ ენაში. თანამედროვე ლექსიკონების მონაცემთა გამოყენებით **კარდ-** ძირი არც თუ ისე იშვიათია ძველ ქართულში. **კარდნელი-** მოქლონი ეკლესიათა (საბა, 1991,354).

უნდა აღნიშნოს, რომ **კარდალა** ქვემოქართლელ აზერბაიჯანელთა მეტყველებაში გამოიყენება „მწყემსების ქვაბის“ და „სიმინდის“ მნიშვნელობით, თუმცაღა უნდა ითქვას, რომ ეს ლექსემა არც თურქულ და აზერბაიჯანულ ლექსიკონში არ არის დადასტურებული. ვფიქრობ, აღნიშნული ლექსიკური ერთეული ქვემოქართლელ აზერბაიჯანელთა მეტყველებაში ქართლურის ნასესხობაა. ეს ნათლად ჩანს აწ უკვე მოპოვებული მასალით. ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით, ***კარ-/კრ-** ქართულისა და ქართველური ენებისათვის საერთოქართველური მახასიათებელი ძირია. **-კარ-/ კრ-** ძირისაგან ნაწარმოები ფორმები დასტურდება ძველ ქართულში და ამის საფუძველზე სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია ამავე ფუძის საკითხზე მსჯელობა სიტყვა **კარდალას** ანალიზის დროს. აქვე საჭიროდ ვთვლით, გავეცნოთ გ. კლიმოვის მოსაზრებას ამ ძირის შესახებ. საქმე ის არის,რომ მან იგივე არქეტიპი აღადგინა საერთოქართველური ერთიანობის ხანისათვის. ამდენად, გამოდის, რომ **კარდალა** საერთოქართველური ძირისაგან მიღებული სახელი უნდა იყოს.

**სუბოი** ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით, „მშრალი საქონელია“ (ს. ხატისოფელი, წერაქვი). ქვემოქართლელ აზერბაიჯანელთა მეტყველებაში აღნიშნული ლექსემა „მშრალს“ აღნიშნავს და შესაძლებელია, რომ იგი ყაზახური დილექტისეული წარმომავლობის

იყოს, ვინაიდან, თითქმის არც ერთ აზერბაიჯანულ და თურქულ ლექსიკონებში არ არის კვალიფიცირებული. აღსანიშნავია, რომ არა აქვს იგი დადასტურებული ვ. რადლოვსაც.

**ყოთური** ბოლნისისა და დმანისის რაიონში აღვნუსხეთ ცხვრის ავადმყოფობის მნიშვნელობით. ამ ავადმყოფობისას ცხვარს ტყავი უხმება და მატყლი სცვივა. **ყუთური** კახურში, მოხეურსა და თუშურში ცხვრის ქეცის მნიშვნელობით დასტურდება(ღლ; 1984, 615). აღნიშნული ერთეული „მუნის“ მნიშვნელობით გვხვდება სალიტერატურო აზერბაიჯანულში (ვ. ჯანგ., ნ. ნასიბი, ს. სულეიმი, 1987, 326). ამ ავადმყოფობას კურნავენ მუნის ბალახით (Actaea Spicata), (ი. ბაგრატი, 1986, 44, რომლის ფარდია თურქული კოტუროტ (კოტუროტ). -ოთ აზერბაიჯანულად ბალახს ნიშნავს (აზიზბეკოვი, 1928, 274).

ვფიქრობთ, ქართული **ყოთური**<თურქული კოტურლლგოტურ. Kotur დასტურდება მთელი რიგ თურქულ ენებში, რასაც მოწმობს მ. რესენენის ეტიმოლოგიური ლექსიკონის მონაცემები: თურქმენული Kotur, ყარაიმული კოტურ, ოიროტული და ტელეგდური კოდურ, ხოლო ყაზახურში კუტურ (რასანენი, 1969, 248). ამრიგად, ეს ლექსემა აშკარად თურქულენოვანი წარმომავლობისაა.

**ჯონგა** ბოლნისის რ-ნის სოფ. ხატისოფელში მოძიებული ლექსემაა და ნიშნავს „ძლიერ, ღონიერ ხარს“. ამავე მნიშვნელობითა აიგი ფიქსირებული ფშაურ დიალექტში (ხორნ. 2000, 321). თანამედროვე სალიტერატურო აზერბაიჯანულში **ჯონგა** აღნიშნავს „მოზვერს“ (ჰაჯი, ნასიბი, 1997, 219). ვფიქრობ, აღნიშნული ლექსიკური ერთეული აზერბაიჯანულიდანაა ნასესხები ქვემოქართლელთა მეტყველებაში, ვინაიდან იგი გვხვდება მხოლოდ იმ მიკრორაიონში, სადაც მეზობლად ჭარბად სახლობენ აზერბაიჯანელები.

მესაქონლეობის აღმნიშვნელი ქვემოქართლური ლექსიკა თემატურად ძალზე მრავალფეროვანია და სხვადასხვა სემანტიკურ პლასტს მოიცავს. მასში მრავლად არის ასახული დიალექტური ფილიაციის დამადასტურებელი ზოგადქართული ენობრივი (resp.) ლექსიკური ნიმუშები, რაც ლექსიკის არქაულ ფენას წარმოაჩენს ქვემოქართლურ კილოკავში, წარმოდგენილია საკუთრივ ქვემოქართლური

ლექსიკური დიალექტიზმები და ასევე ასახულია უცხოურენოვანი, კერძოდ, აზერბაიჯანულ-თურქული ნასესხობანი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ლექსიკურ შეხვედრათა ენობრივი ანალიზის შედეგები, წარმომავლობით საერთოქართველური ძირისგან მიღებული, იძლევა იმ ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას, რომ ადგილობრივ არაქართველი (resp. აზერბაიჯანულენოვანი) მოსახლეობის მეტყველებაში სიტყვა უკუსესხების სახით დასტურდება წარმომავლობით საერთოქართველური ძირისაგან მიღებული ქვემოქართლური მონაცემებიც.

ლიტერატურა

**აბულაძე, 1973** — ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973

**აზიზბეკოვი, 1928** — А. Азизбеков, Азербайджнско-русский словарь, Бакуб 1928

**რადლოვი, 1905** — В.В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, С.-Петербург, 1905

**ორბელიანი, 1991-1993** —სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I-II, თბ. 1991-1993

**სარჯველაძე, 2001** — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ. 2001

**ფენრიხი, სარჯველაძე, 2000** — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000

**ქეგლ, 1990** — ქეგლ, თბ., 1990

**ღლონტი, 1984** — ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984

**შანიძე, 1984** — აკ.შანიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. II, თბ., 1984

**ჩუბინაშვილი, 1961** — ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961

**ჯანგიძე, ნასიმოვი, სულეიმანოვი 1987** — ვ. ჯანგიძე, ნ. ნასიმოვი, ს. სულეიმანოვი, ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონი, თბ., 1987

**ჯიქია, 1957** — С. Джикиа, О грузинско-азербайджанско языковых взаимоотношениях, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, II, თბ., 1957

**ხორნაული, 2001** — გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბ., 2001

**ჰაჯიევი, 1997** — ვ. ჰაჯიევი, ნასიბოვი, აზერბაიჯანულ-ქართული და ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონი, თბ., 1997

**NANA SAAKADZE**

## Towards the Semantic-Etymological Interpretation of Some Cattle-Herding Terms

Summary

Alongside arable farming and farming cattle-herding is the basic field of agriculture in Kvemo Kartli region of Georgia; in the given region both types of livestock- small and large – are bred. However, it should be noted that the Kvemo Kartlian lexis for cattle-herding is still understudied.

The paper presents the results of the field work employing the methods of Areal Linguistics carried out in the Kvemo-Kartli villages; the observations have revealed dialectisms typical of the Georgian dialect in question as well as Turkish and Azerbaijani borrowings. The results of the study are essential for the creation of dialectal atlas of Georgian.

ᲛᲔᲓᲔᲐ ᲡᲐᲚᲚᲘᲐᲜᲘ

# „ᲛᲐᲔᲠᲗᲛᲐᲠᲪᲕᲚᲘᲐᲜᲘ“ ᲠᲔᲓᲣᲞᲚᲘᲙᲐᲪᲘᲐ ᲡᲕᲐᲜᲣᲠᲨᲘ[1]

სვანურში CnVS და CVS სტრუქტურათა დუბლირებითა (resp. კონსონანტური და ვოკალური მიმდევრობის აბსოლუტური განმეორებით) და ინტერპოზიციურად **-მა-** მარცვლის ჩართვით ვიღებთ CnVS + CV + CnVS და CVS + CV + CVS სტრუქტურის რედუპლიცირებულ ფუძეებს[2]:

**გ/გ̄ ~ მა ~ გ/გ̄ — ბჟგ̄ლ-მა-ბჟგ̄ლ** (ბზ., ლშხ.), **ბჟგლ-მა-ბჟგლ** (ბქ., ლნტ.) „ზუზუნი, ბზუილი“; **ბღგ̄ლ-მა-ბღგ̄ლ** (ბზ., ლშხ.), **ბღგლ-მა-ბღგლ** (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „ბღავილი“; **გგ̄ლ-მა-გგ̄ლ** (ჩოლ.) „გაბმული ყმუილი; დიდი ხმაური“; **დრიზ-მა-დრიზ** (ბქ.), **დრიზ-მა̈-დრიზ** (ლხმ.) „ხელის გარტყმის ძლიერი ხმა“; **დუ̂რიმ-მა̈-დუ̂რიმ** (ლხმ.) „ბრაგვანი“; **დღგლ-მა-დღგლ** (ბქ., ჩოლ.) „ხევის ერთიმეორეზე მიყოლებული ხმა; ფხრეწის მრავალგზისი ხმა; ხელის გარტყმის ხმა“; **ზგ̄ლ-მა-ზგ̄ლ** (ჩოლ.) „ზუზუნი“; **თხგლ-მა-თხგლ** (ჩოლ.) „გაბმული სიცილი, ხითხითი“; **კილ-მა̈-კილ** (ზს., ლნტ.), **კილ-მა-კილ** (ლშხ., ჩოლ.) „წივილ-კივილი“; **ჟღგლ-მა-ჟღგ̄ლ** (ბზ.), **ჟღგლ-მა-ჟღგლ** (ბქ.), **ჟღგ̄ლ-მა-ჟღგ̄ლ** (ლშხ., ჩოლ.) „ბავშვის გაბმული ტირილი; მოთქმა (თავმოყრილი ხალხისა)“; **ჟგლ-მა-ჟგ̄ლ** (ბზ.), **ჟგლ-მა-ჟგლ** (ბქ.), **ჟგ̄ლ-მა-ჟგ̄ლ** (ჩოლ.) „გაბმული ხმაური ყურებში“; **სგლ-მა-სგლ** (ზს., ლნტ.), **სგ̄ლ-მა-სგ̄ლ** (ლშხ.) „სისინი (ქარისა, ტყვიისა, გველისა,...)“; **ყგრ-მა-ყგრ** (ბქ.) „ყვირილი“; **ცხგლ-მა-ცხგლ** (ბქ.) „შიშხინი მწვადისა“; **ძგ̄ლ-მა-ძგ̄ლ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ძგგლ-მა-ძგგლ** (ბქ., ლნტ.) „ძლიერი სროლის ხმა“; **ჭყგ̄ლ-მა-ჭყგ̄ლ**

---

[1] ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში (სტრუქტურული, სემანტიკური, პრაგმატიკული ასპექტები)“ ფარგლებში.

[2] 1. $C_1 C_2 V_1 S_3 + CV + C_1 C_2 V_2 S_3$, სადაც $C_1 = C_1, C_2 \neq C_2, S_3 = S_3, V_1 = V_2$ , 2. $C_1 V_1 S_2 + CV + C_1 V_2 S_2$, სადაც $C_1 = C_1, S_2 = S_2, V_1 = V_2$.

(ბზ.), **ჭყჷლ-მა-ჭყჷლ** (ბქ., ჩოლ.) „ჭყავილი, ჭყვირილი“; **ხჷ̄ლ-მა-ხჷ̄ლ** (ბზ., ჩოლ.), **ხჷლ-მა-ხჷლ** (ბქ.) „რახარუხი“...

**უ/უ̄ ~ მა ~ უ/უ̄ — ბღუ̄ლ-მა-ბღუ̄ლ** (ჩოლ.) „განუწყვეტელი ბღავილი“; **გუ̄ლ-მა-გუ̄ლ** (ბზ., ლშხ.), **გულ-მა-გულ** (ბქ., ლნტ.) „გაბმული ყმუილი; დიდი ხმაური“; **ზულ-მა-ზულ** (ბქ.), **ზუ̄ლ-მა-ზუ̄ლ** (ჩოლ.) „ზუზუნი“; **ჟულ-მა-ჟულ** (ზს.) „ხმაური (ხალხისა, ქარისა...), ქარბუქის ზუზუნი“; **ტულ-მა-ტულ** (ბქ.) „გაბმული ყვირილი“; **ღუ̄ლ-მა-ღუ̄ლ** (ბზ., ლშხ.), **ღულ-მა-ღულ** (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „ღმუილი“; **ყუ̄ლ-მა-ყუ̄ლ** (ბზ., ლშხ.), **ყულ-მა-ყულ** (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „გაბმული ყვირილი“; **შულ-მა-შულ** (ბქ.), **შუ̄ლ-მა-შუ̄ლ** (ჩოლ.) „ქშინვა“; **ჭულ-მა-ჭულ** (ბქ.) „ჭუილ-წუილი“; **ხულ-მა-ხულ** (ჩბხ.) „რახარუხი“...

წარმოდგენილ სტრუქტურულ მოდელებში რედუპლიცირებული ფუძეების აუსლაუტისეული თანხმოვანი ყველგან სონორია, რაც, ალბათ, მაერთი მარცვლის თანხმოვნითმა (ე. წ. სონორულმა) ელემენტმა **მ’**მ განაპირობა (ანუ დაიმსგავსა). უნდა ითქვას ისიც, რომ მაერთი მარცვლის ხმოვანი უმეტესად უუმლაუტო **ა** ხმოვნით არის წარმოდგენილი, რედუპლიცირებული ფუძეების ხმოვნები კი **უ/უ̄** და **ჷ/ჷ̄**-ა.

მაერთი მარცვლის ხმოვანი უმლაუტიანი აღმოჩნდა რამდენიმე ფორმაში — **კილმა̈კილ** „კივილი“, **დრიზმა̈დრიზ** „ხელის გარტყმის ძლიერი ხმა“, **დუ̂რიმმა̈დუ̂რიმ** „ბრაგვანი“, რომელთა შემადგენელი კომპონენტების ძირეული ხმოვანია **ი**. საინტერესოა რამ გამოიწვია აღნიშნული ხმოვნის უმლაუტი, როცა ზემოთ წარმოდგენილ ფუძეთა უმეტესობაში მაერთი მარცვლის ხმოვანი არაპალატალურია?

ჩვენი დაკვირვებით: როდესაც კომპოზიტის შემადგენელი ძირები ხმაბაძვითია, ფუძეებში კი **უ/უ̄** და **ჷ/ჷ̄** ხმოვნებია წარმოდგენილი და ინფიქსად **-მა-** მარცვალი გვევლინება, ამ შემთხვევაში მაერთი მარცვლის ხმოვანი უმეტესად მოკლე ხმოვანია, არახმაბაძვითი ძირების შემთხვევაში კი კომპოზიტის მეორე შემადგენელი კომპონენტი (ანუ მაერთი მარცვალი) **ა/ა̈** ხმოვნით არის წარმოდგენილი (მაგ.: **ხილმა̈ხილ** „ხილეული“, **გუ̂იზმა̈გუ̂იზ** „კვირტიანი თხილის ტოტების კონა“, **ბილუ̂მა̈ბილუ̂** „ყოველგვარი მტვერი, ნაგავი; ნაგვეულობა“, **ტიშმა̈ტიშ** „ტილეულობა“ და ა. შ.), თუმცა მიზეზი ამ შემთხვევაში არახმაბაძვითი ძირები კი არ უნდა იყოს, რადგანაც უმლაუტიანი **-მა̈-** ხმაბაძვით ფუძეებშიც დადასტურდა (შდრ. **კილმა̈კილ** „კივილი“, **დრიზმა̈დრიზ** „ხე-

ლის გარტყმის ძლიერი ხმა“, **დჳ̂რიმმა̈დჳ̂რიმ** „ბრაგვანი“), არამედ სწორედ საანალიზო ფუძეებში გამოვლენილი მოკლე **ი** ხმოვანი, რომელსაც უნდა გამოეწვია **ა** ხმოვნის უმლაუტი. ზემოთ წარმოდგენილ **ჷ/ჷ̄** და **უ/უ̄** ხმოვნისშემცველელ ფუძეებში კი უმლაუტის გამომწვევი მიზეზი არ ჩანს.

სვანურში, როგორც ირკვევა, ძალზე ხშირია **-მა-** მარცვლის ჩართვა ფუძის გაორკეცებისას, რაც, ვ. თოფურიას ვარაუდით, საწარმოებელი თავსართი შეიძლება იყოს. სამეცნიერო ლიტერატურაში, რამდენადაც ვიცით, აღნიშნული მარცვლის შესახებ სხვა არაფერია ნათქვამი. ცხადია, ვიზიარებთ იმ აზრს, რომ **-მა-** ნამდვილად საწარმოებელი თავსართია, თუმცა უნდა აიხსნას, რა ფუნქცია აკისრია მას გაორკეცებულ ფუძეებში და როგორია მისი წარმომავლობა.

მსგავსი ფორმების არსებობა სვანურში აუცილებლად გაგვახსენებს, უპირველეს ყოვლისა, ქართულ — *წარამარა*, *ხათრიმათრი*, *ხურდამურდა*, *გიჟმაჟი*, *კუჭმაჭი*, *ქოხმახი* და ა. შ. ფორმებს, რომლებიც მიღებულია თავკიდური თანხმოვნის ან მარცვლის (თანხმოვან-ხმოვნის) შენაცვლებით, რაღა თქმა უნდა, მსგავსი წარმოების რედუპლიცირებული ფუძეები სვანურშიც გვხვდება (შდრ.: **დ**ელე**მ**ელე (ლშხ.) „ავადმყოფის უგრძნობლად ყოფნა“, **ჯ**აყალ**მ**აყალ (ზს.), **ჯ**აყაჳ̂**მ**აყაჳ̂ (ლხმ., ჩბხ.) „შეშინება (გეშინია-მეშინია-ს ტიპის)“, **ც**აქჳ̂ა**მ**ა̄ქჳ̂ა (ლშხ.) „ჭორაობა, ერთი ამბავი, მითქმა-მოთქმა (გითხარი-მითხარი-ს ტიპის)“, **ხ**ულდუ**ბ**ულდუ (ზს.) „ხურდამურდა“, **ჯ**ექარ**მ**ექარ „ჭორაობა, მითქმა-მოთქმა (გითხარი-მითხარი-ს ტიპის)“ და ა. შ., თუმცა მახვილი თვალი იმ დიდ განსხვავებასაც დაინახავს, რაც ჩვენ მიერ საანალიზოდ წარმოდგენილ **კილ-მა̈-კილ**, **ტულ-მა-ტულ**, **გუ̄ლ-მა-გუ̄ლ**... ტიპის ფუძეებსა და შესადარებლად მოყვანილ ქართულ-სვანურ ფორმებს შორის ვლინდება. **ჯ**აყალ**მ**აყალ ტიპის ფორმებში თავკიდურ თანხმოვანთა თუ მარცვალთა მონაცვლეობა სავსებით ნათელია, რასაც ამოსავალი მარტივი ფუძეების არსებობაც ადასტურებს (შდრ. სვან. **მაყალ/მაყაჳ̂** „შიში“).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კი **-მა-** მარცვლის შემცველ სვანურ რედუპლიცირებულ ფორმებს ვერ მივიჩნევთ გაორკეცების იმ ტიპად, რაც ქართულშიც და სვანურშიც გვაქვს (კერძოდ, გაორკეცება დასაწყისი მარცვლის შენაცვლებით — შდრ. ერთი მხრივ, ქართ. *გიჟ-მაჟ-ი, ქოხ-მახ-ი, კუჭ-მაჭ-ი*... და, მეორე მხრივ, სვან. „**ბუჷ̄ლ-მა-**

**ბჟჷ̄ლ**, **გჷ̄ლ-მა-გჷ̄ლ**, **ბღუ̄ლ-მა-ბღუ̄ლ** და ა. შ.). როგორც ვხედავთ, სვანურში რედუპლიცირებული ფუძის ორივე სეგმენტის თავკიდური თანხმოვნები იდენტურია, **-მა-** კი ინტერფიქსად გვევლინება; ამოსავალი მარტივი ფუძეებიც ცნობილია, რომელთა გამოყენება სვანურში ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ქართულ უ-**ზარ-მა-ზარ**, უ-**ჩინ-მა-ჩინ**, უ-**სწორ-მა-სწორ**-ო (შდრ. ასევე, სვანური **უ-ჭირ-მა-ჭირ-დ** „უწვალებლად (ზედმიწ. — უ-**ჭირ**-ვ-ებ-ლ-ად-მა-**ჭირ**-ვ-ებ-ლ-ად)“, **უ-ღლ-ა-მა-ღლ-ად** „მოუცდელად, ლოდინის გარეშე“... ფორმებიც — იხ. ქვემოთ!) და ა. შ. ფორმებში ინტერფიქსად გამოვლენილი **-მა-** სწორედ სვანური საანალიზო **-მა-** მარცვლის იდენტური აღმოჩნდეს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა დღემდე არც ქართულში ყოფილა.[1]

ვინაიდან **-მა-** მარცვალი არახმაბაძვით ლექსიკურ ერთეულებშიც ვლინდება სვანურში, აქედან გამომდინარე, უნდა გაირკვეს, სად რა ფუნქცია და სემანტიკა აკისრია, საკითხის უკეთ გასარკვევად კი პარადიგმის სახით წარმოვადგენთ **-მა-** მარცვლის შემცველ არახმაბაძვით ლექსიკურ ერთეულებს:

პარადიგმა I

**არახმაბაძვითი ლექსიკური ერთეულები** (კრებითი სახელების ფუნქციით)

**ბიღუ̂-მა̈-ბიღუ̂** (ბქ.) „ყოველგვარი მტვერი, ნაგავი; ნაგვეულობა“; **გუ̂იზ-მა̈-გუ̂იზ** (ზს.) „კვირტიანი თხილის ტოტების კონა; კონეულობა“; **ტიშ-მა̈-ტიშ** (ბქ.) „ტილეულობა“; **ღგნ-მა-ღგნ** (ბქ.) „დღესასწაულები“; **შედ-მა-კუ̂ედ** (ზს., ლშხ.), **შედ-მა̈-კუ̂ედ** (ლნტ.), **შედ-მა-შედ** (ლშხ., ჩოლ.) „ჯამ-ჭურჭელი; ჭურჭლეულობა“; **ხილ-მა̈-ხილ** (ზს.), **ხილ-მა-ხილ** (ქს.) „ხილეული, ხილეულობა“; **ჯიდ-მა-ჯიდ** (ჩოლ.) „მისატან-მოსატანი; შემოწირულობა“...

პარადიგმა II

**არახმაბაძვითი ლექსიკური ერთეულები** (ვითარებითი ზმნისართების ფუნქციით[2])

---

[1] ჩვენი ვარაუდით, აღნიშნულ მარცვალს ქართველურ ენებში სიტყვათმაწარმოებელი აფიქსის ფუნქცია უნდა ჰქონოდა, თუმცა მეგრულ-ლაზურში მისი კვალი არ ჩანს, ქართულში კი ნაშთის სახით არის შემორჩენილი.

[2] საანალიზო ფუძეთა პირველი სეგმენტები — **უ-გნ-ა**, **უ̄-ზნ-ა**, **უ-წს-ა** და ა. შ. მიჩნეულია უარყოფითი მიმღეობის ფორმებად (თოფურია 1967:223) და შეტანილია

**უ-გნ-ა-მა-გნ-ად** (ბქ., ჩოლ.) „ადრიანად, დილაუთენია“; **უ-ღლა-მა-ღლა-დ** (ზს., ქს.) „მოუცდელად; ლოდინის გარეშე“; **უ̄-ზნ-ა-მა̄-ზნ-ად** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **უ-ზნ-ა-მა-ზნ-ად** (ბქ., ლნტ.) „მიუსვლელად, წაუსვლელად“; **უ̄-ქჵ̂-ა-მა̄-ქჵ̂-ად** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **უ-ქჵ̂-ა-მა-ქჵ̂-ად** (ბქ.) „უთქმელად; მოულოდნელად, უცაბედად“; **უ-ცხ-ა-მა-ცხ-ად** (ბქ.) „გაუზრდელად“; **უ-ცხიდ-ა-მა-ცხიდ-ად** (ბქ.) „დაუწუნებლად“; **უ-წს-ა-მა-წს-ად** (ბქ.) „დაუპატიჟებლად“; **უ-ჭირ-მა-ჭირ-დ** (ბქ.) გაურჯელად“; **უ-ხალ-მა-ხალ-დ** (ბქ.) „უცოდინრად“; **უ-ჯგრ-ა-მა-ჯგრ-ად** (ბქ.) „უკურთხებლად“...

ვფიქრობთ, პირველ პარადიგმაში მოცემულ მასალაში **-მა-** მარცვალი კრებითობას გამოხატავს და ქართული *-ობა-* სუფიქსის ტოლფარდია (შდრ. ქართ. *ხილეულობა*, *ტკბილეულობა*, *ჭურჭლეულობა* და ა. შ.), რაც შეეხება მეორე პარადიგმაში წარმოდგენილ მასალს, იქ **-მა-** აშკარად მაწარმოებელი აფიქსია, თუმცა გასარკვევია რისი მაწარმოებელია და რა კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს მას რედუპლიცირებულ ფუძეებში.

პრეფიქსი **მა-** სვანურში, როგორც ცნობილია, სხვადასხვა ფუნქციით დასტურდება, კერძოდ:

1. აწარმოებს განყენებულ (ე. წ. აბსტრაქტულ) სახელებს — **მა-ლატ** „სიყვარული“, **მა-ხალ** „ცოდნა; ეშმაკობა“, **მა-ყალ** „შიში“, **მა̈-ზიგ/მა-ზიგ** „ტკივილი; სნეულება“, **მა-მჭირ/მა-მა̈ჭირ** „სიზარმაცე“, **მა-ჟარ** „მოწყენა“, **მა̈-გიდ** „ძილი“ და სხვ.

2. **მა-** საშუალ-ვნებითი გვარის აწმყოს მიმღეობის მაწარმოებელი თავსართია — **მა̈-შა̈დ/მა̈-შედ** „მაშველი“, **მა-ჟოღ/მა-ჟოღჵ̂** „გამძლოლი“, **მა-ჴა̈დ/მა-ჴედ/მა-ჴად** „მოსავალი“, **მა-ზჵ̂ა̈ბ/მა-ზჵ̂აბ/მა-ზჵ̂ებ** „წყარო (ზედმიწ. — ამომსვლელი, ამომავალი)“, **მა-შა̈ნ/მა-შან** „ნაყოფი, რაც ასხია)“ და მისთ. (თოფურია 1967:212-215).

ვფიქრობთ, **უ-ჭირ-მა-ჭირ-დ** ტიპის ფუძეებში (შდრ., ასევე, ჩოლ. **ტიხ-მა-ტიხ** „ნათხოვარი ნივთების დაბრუნება (ზედმიწ. — ბრუნება-მობრუნება)“, ბქ. **გუჟიმატახ**, ჩოლ. **გუჟიმატიხ** „გულძმარვა (ზედმიწ. — **გულ**-ზე ამობრუნება, მაბრუნება)“...) და, შესაბამისად, **კილ-მა-კილ** ფორმებში ინტერფიქსად გამოვლენილი **-მა-** გენეტიკურად საშუ-

ნამყოს მიმღეობათა რიგში, როგორც წარსულში შეუსრულებელი მოქმედების აღმნიშვნელი (ჭკადუა 2011:241).

ალ-ვნებითი გვარის აწმყოს მიმღეობის მაწარმოებელი პრეფიქსი უნდა იყოს, თუმცა **კილ-მა-კილ**, **ტულ-მა-ტულ**, **დრიზ-მა̈-დრიზ** და ა. შ. რედუპლიცირებულ ფორმათა მეორე სეგმენტი — **მა-კილ**, **მა-ტულ**, **მა̈-დრიზ**, როგორც ცალკე აღებული ლექსიკური ერთეული, დღევანდელი მონაცემების მიხედვით, სვანურში არ გამოიყენება.[1]

ჩვენი ვარაუდით, **-მა-** მარცვალი, რომელიც ინტერფიქსად გვევლინება სვანურში და რომლის კვალი ქართულ არახმაბაძვით ფორმებშიც არცთუ ისე იშვიათად ჩანს, მარედუპლიცირებელი (ანუ „ფუძეთგამყარი“) აფიქსი უნდა იყოს, მისი ჩართვა რედუპლიცირებულ ძირებს შორის, ცხადია, სემანტიკურ ცვლილებასაც იწვევს (შდრ., ერთი მხრივ, **კილ-კილ** „კივილი (ზედმიწ. — **კივ-ილ-კივ-ილ**-ი)“, **გჷ̄ლ-გჷ̄ლ** „ყმუილი (ზედმიწ. — ყმუილ-ყმუილი)“, **დრიზ-დრიზ** „ხელის გარტყმის ხმა (ზედმიწ. — **დრუზ**-ვ-ა-**დრუზ**-ვ-ა)“... და, მეორე მხრივ, **კილ-მა̈-კილ** „წივილ-კივილი“, **გჷ̄ლ-მა-გჷ̄ლ** „ყმუილი“, **დრიზ-მა̈-დრიზ** „ხელის გარტყმის ხმა“ და სხვ.), მისი საშუალებით მრავალგზისი და, ასევე გაბმული ხმიანობა გადმოიცემა (სემანტიკური ცვლილების შესახებ იხ. ქვემოთ!).

„მაერთმარცვლიანი“ რედუპლიცირებული ფუძეების პარალელური ვარიანტები:

| | | | |
|---|---|---|---|
| **ბჟჷ̄ლ** | **ბჟჷ̄ლ-ბჟჷ̄ლ** | **ბჟჷ̄ლ-მა-ბჟჷ̄ლ** | Ø |
| **ბღჷ̄ლ** | **ბღჷ̄ლ-ბღჷ̄ლ** | **ბღჷ̄ლ-მა-ბღჷ̄ლ** | Ø |
| **ბღუ̄ლ** | **ბღუ̄ლ-ბღუ̄ლ** | **ბღუ̄ლ-მა-ბღუ̄ლ** | Ø |
| **გუ̄ლ** | **გუ̄ლ-გუ̄ლ** | **გუ̄ლ-მა-გუ̄ლ** | Ø |
| **გჷ̄ლ** | **გჷ̄ლ-გჷ̄ლ** | **გჷ̄ლ-მა-გჷ̄ლ** | Ø |
| **დრიზ** | **დრიზ-დრიზ** | **დრიზ-მა-დრიზ** | Ø |
| **დუ̂რიმ** | **დუ̂რიმ-დუ̂რიმ** | **დუ̂რიმ-მა̈-დუ̂რიმ** | Ø |

[1] სვანური ენის დიალექტებში **კილ-მა-კი̄ლ**, **წკულ-მა-წკუ̄ლ**, **გუ̄ლ-ნა-გუ̄ლ** და ა. შ. ფორმების პარალელურად დაფიქსირდა **კილ-ნა-კი̄ლ** (ჩოლ.) „წივილ-კივილი (ზედმიწ. — **კივ**-ილ-ი **ნა-კივ**-ლ-არ-ი)“, **წკულ-ნა-წკუ̄ლ** (ჩოლ.) „წკმუილი (ზედმიწ. — **წკმუილ**-ი-**ნა-წკმუილ**-არ-ი)“, **გუ̄ლ-ნა-გუ̄ლ** (ჩოლ.) „ყმუილი (ზედმიწ. — ყმუილი ნაყმუილარი)“... ტიპის ფორმები, სადაც -**ნა**- წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობის მაწარმოებელი პრეფიქსია. ამ ფორმების არსებობამ კი გვავარაუდებინა მარცვლისეულ **მ/ნ** (ე. წ. სონორ) თანხმოვანთა მონაცვლეობა, რაც ძალზე გავრცელებული ფონეტიკური პროცესია სვანურში (შდრ. **უნბილ/უმბილ** „უნებლიე“, **ანბა̈უ̂/ამბა̈უ̂** „ამბავი“...), თუმცა -**მა**- მარცვლიანი არახმაბაძვითი ფორმებისა და, ამასთანავე, **მა̈-შედ**, **მა-ჴა̈დ**... ტიპის მიმღეობური ფორმების არსებობამ, ეს ვარაუდი ეჭვქვეშ დააყენა.

| | | | |
|---|---|---|---|
| **დღგლ** | **დღგლ-დღგლ** | **დღგლ-მა-დღგლ** | Ø |
| **ზულ** | **ზულ-ზულ** | **ზულ-მა-ზულ** | Ø |
| **ზგ̄ლ** | **ზგ̄ლ-ზგ̄ლ** | **ზგ̄ლ-მა-ზგ̄ლ** | Ø |
| თხგლ | თხგლ-თხგლ | თხგლ-მა-თხგლ | Ø |
| კი̄ლ | **კილ-კილ** | კილ-მა-კილ | Ø |
| **ჟულ** | **ჟულ-ჟულ** | **ჟულ-მა-ჟულ** | Ø |
| **ჟღგლ** | **ჟღგლ-ჟღგლ** | **ჟღგლ-მა-ჟღგ̄ლ** | **ჟღგრმგნ** |
| ქგლ | ქგლ-ქგ̄ლ | ქგლ-მა-ქგ̄ლ | Ø |
| **სგლ** | **სგლ-სგლ** | **სგლ-მა-სგლ** | Ø |
| **ტულ** | **ტულ-ტულ** | **ტულ-მა-ტულ** | Ø |
| **ღუ̄ლ** | **ღუ̄ლ-ღუ̄ლ** | **ღუ̄ლ-მა-ღუ̄ლ** | **ღურმუნ** |
| **ყუ̄ლ** | **ყუ̄ლ-ყუ̄ლ** | **ყუ̄ლ-მა-ყუ̄ლ** | Ø |
| **ყგრ** | **ყგრ-ყგრ** | **ყგრ-მა-ყგრ** | Ø |
| **შულ** | **შულ-შულ** | **შულ-მა-შულ** | Ø |
| **ცხგლ** | **ცხგლ-ცხგლ** | **ცხგლ-მა-ცხგლ** | Ø |
| **ძგგ̄ლ** | **ძგგ̄ლ-ძგგ̄ლ** | **ძგგ̄ლ-მა-ძგგ̄ლ** | Ø |
| **ჭულ** | **ჭულ-ჭულ** | **ჭულ-მა-ჭულ** | Ø |
| **ჭყგ̄ლ** | **ჭყგ̄ლ-ჭყგ̄ლ** | **ჭყგ̄ლ-მა-ჭყგ̄ლ** | **ჭყგრმგ̄ნ** |
| **ხულ** | **ხულ-ხულ** | **ხულ-მა-ხულ** | Ø |
| **ხგ̄ლ** | **ხგ̄ლ-ხგ̄ლ** | **ხგ̄ლ-მა-ხგ̄ლ** | Ø |

„მაერთმარცვლიან“ ყველა რედუპლიცირებულ ფუძეს გააჩნია **მარტივი** (ე. წ. **შიშველი**) **ფუძე** (**ბჟგ̄ლ**, **ბღგ̄ლ**, **ზგ̄ლ**, **ხგ̄ლ**...) და პარალელურად იდენტურხმოვნიანი, მარტივი სტრუქტურის მქონე ვარიანტები (**ბჟგ̄ლ-ბჟგ̄ლ**, **ძგგ̄ლ-ძგგ̄ლ**, **ჭყგ̄ლ-ჭყგ̄ლ**...). რაც შეეხება **-უნ/-ῡნ** და **-გნ/-გ̄ნ-** სუფიქსებით ნაწარმოებ რედუპლიცირებულ ფორმებს, წარმოდგენილი მოდელიდანაც ნათლად ჩანს, რომ ისინი იშვიათად იწარმოებიან (**ჟღგრმ-გნ**, **ღურმ-უნ**, **ჭყგრმ-გ̄ნ**).

რა თქმა უნდა, ზემოთ წარმოდგენილ პარალელურ ვარიანტებს შორის სემანტიკური სხვაობაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აშკარად თვალშისაცემია:

1. **კილ-კილ**, **გგ̄ლ-გგ̄ლ**, **დრიზ-დრიზ** და ა. შ. ფორმები გამოხატავენ რაიმე თანმიმდევრულ, წყვეტილ მოქმედებას და ამ მოქმედების შე-

დეგად გამოცემულ ჟღერადობას; ეს მოქმედება კი, ერთი შეხედვით, თითქოს ერთჯერად მოქმედებას მოგვაგონებს.

2. რაც შეეხება **კილ-მა̈-კილ**, **გჷ̄ლ-მა-გჷ̄ლ**, **დრიზ-მა̈-დრიზ** და მისთ. ფორმებს, ისინი ერთდროულად გამოხატავენ მოქმედების სახეს და ამ მოქმედების შედეგად გამოცემულ ჟღერადობას. **კილ-კილ** ტიპის ფორმათაგან განსხვავებით, **-მა̈-** მარცვლიანი რედუპლიცირებული ფორმები მრავალჯერად ანუ მრავალგზის, უწყვეტ მოქმედებას გამოხატავენ.

**შენიშვნა**: ჩვენ მიერ განხილულ ყველა ტიპის რედუპლიცირებულ ფორმათა გამოყენებას ხშირად კონტექსტიც განსაზღვრავს და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ისინი, ძირითადად, მყარ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში გამოიყენება: **კილ-⌈კილ⌉ ენკიდ** „დაიკივლა (ზედმიწ. — **კივ-ილ-კივ-ილ**-ი აიღო)“, მაგრამ **ჩუ ხოგ კილ-მა̈-კილ** „ერთი ამბავი აქვს, გაჰკივის (ზედმიწ. — ქე უ-**დგ**-ა-ს წივილ-კივილი)“; **დრიზ-⌈დრიზ⌉ ახლანე** „დაარტყა (ზედმიწ. — **დრუზ**-ვ-ა-**დრუზ**-ვ-ა გაადინა)“, მაგრამ **ჩუ ხოგხ დრიზ-მა̈-დრიზ** „აქვთ ერთი ამბავი, ჩხუბობენ მუშტებით (ზედმიწ. — ქე უ-**დგ**-ა-თ **დრუზ**-ვ-ა)“; **სგუ̂იჭ-⌈სგუ̂იჭ⌉ ენკიდ** „გასროლის ხმა მოისმა (ზედმიწ. — ჭახანი აიღო)“, მაგრამ **ჩუ ხოგ სგუ̂იჭ-სგუ̂აჭ** „ისვრის განუწყვეტლივ (ზედმიწ. — ქე უ-**დგ**-ა-ს ჭახან-ჭახანი)“ და ა. შ. ცხადია, ფორმათა სპონტანური ჩანაცვლება ერთგვარ დისონანსს შეიტანს სვანურ ფონოსემანტიკურ სისტემაში, ამიტომ კონტექსტის გათვალისწინება ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ლიტერატურა


**თოფურია** 1967 — ვ. თოფურია, შრომები I, თბილისი, 1967.

**თოფურია** 1979 — ვ. თოფურია, კომპოზიტი სვანურში. — შრომები III, თბილისი, 1979.

**თოფურია**, ქალდანი 2000 — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

**ლიპარტელიანი** 1994 — ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

სვან. პოეზ. 1939 — სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯეჯიანმა, თბილისი, 1939.

ჭკადუა 2011 — რ. ჭკადუა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXIX, თბილისი, 2011.

**MEDEA SAGHLIANI**

## Reduplication with Linking Syllables in Svan

Summary

The paper discusses reduplicated forms with linking syllables in Svan with the aim of stating the origin and functions of the linking elements in question. The paper argues that the syllable *ma* serving as an interfix (or a stem linking element) is a reduplicating affix. Its insertion between the reduplicated roots causes semantic changes as well, viz. the reduplicated forms with the given syllable convey the meaning of multiple, continuous activity.

ᲛᲐᲛᲘᲐ ᲤᲐᲚᲐᲕᲐ, ᲜᲐᲜᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲐᲫᲔ

# ᲙᲚᲐᲠᲯᲣᲚᲘ ᲙᲘᲚᲝ.
# ᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲞᲐᲠᲐᲓᲘᲒᲛᲔᲑᲘ

კლარჯული კილო ისტორიული კლარჯეთის მკვიდრთა მეტყველებაა. მისი გავრცელების ძირითადი არეალი ჭოროხის ხეობის ქვემო წელია. ძველი კლარჯეთის უმეტესი ნაწილი დღეს თურქეთის რესპუბლიკაში, ართვინის ილის (გუბერნიის) ბორჩხის, ართვინის, მურღულისა და არტანუჯის ილჩეებშია (რაიონებში) მოქცეული, სამი სოფელი საქართველოში საზღვრებშია, — მირვეთის, ქვემო მარადიდისა და კირნათის (აჭარის არ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) მკვიდრი მოსახლეობა ძველი კლარჯების ჩამომავლები არიან, მათი მეტყველება კი — კლარჯული. აქვე აღვნიშნავთ, რომ დღეს ქართული მთელი ისტორიული კლარჯეთის ტერიტორიაზე არ ისმის, მისი ნაწილი მექართულეა, ნაწილიც — მეთურქულე.

კლარჯული სოფლები (60-ზე მეტი) გვხვდება თურქეთის სხვადასხვა გუბერნიაში, მათი მცხოვრებნი რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ მუჰაჯირად წასულ კლარჯთა შთამომავლები არიან.

ქვემოთ წარმოვადგენთ სახელის ბრუნებისა და ზმნის უღვლილების ძირითად პარადიგმებს კლარჯულში.

პარადიგმების შედგენისას გამოვიყენეთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის** (შემდეგ **ქართველოლოგიის ინსტიტუტი**, ახლა **ქართველოლოგიის ცენტრი**) მუდმივმოქმედი კომპლექსური ექსპედიციის (ხელმძღვანელი, პროფესორი მამია ფაღავა) მიერ სხვადასხვა დროს კლარჯთა სოფლებში შეკრებილი დიალექტოლოგიური და ფოლკლორული მასალები, რომელთაც სხვადასხვა დროს აგროვებდნენ პროფესორი მერი ცინცაძე, პროფესორი მა-

მია ფაღავა, პროფესორი თინა შიოშვილი, ასოც. პროფესორი მაია ბარამიძე, ფილოლოგიის დოქტორი ვარდო ჩოხარაძე. ასევე გავითვალისწინეთ ნიკო მარისა და პროფესორ შუშანა ფუტკარაძის მიერ ჩაწერილი დიალექტოლოგიური ტექსტები და კლარჯული კილოს შესახებ არსებული სამეცნიერო ნაშრომები.

შრომას **„ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები“** ვუწოდეთ იმიტომ, რომ, შესაძლებელია, მომავალმა კვლევებმა გამოავლინოს განსხვავებული სახელური და ზმნური ფორმებიც, რომელთაც არსებითად ვერა, მაგრამ გარკვეულად შეიძლება შეცვალოს არსებული სურათი.

* * *

### 1. თანხმოვანფუძიანი ფუძეკუმშვადი სახელები

| | **მხ. რ.** | **მრ.რ.** |
|---|---|---|
| სახ. | (მ) გელ-ი | (მ) გლ-ებ-ი |
| მოთხ. | (მ) გელ-მა | (მ)გლ-ებ-მა |
| მიც. | (მ) გელ-(ს) | (მ)გლ-ებ-(ს) |
| ნათ. | (მ) გელ-ის//(მ) გლ-ის | (მ)გლ-ებ-ის |
| მოქმ. | (მ) გელ-ით//(მ) გლ-ით | (მ)გლ-ებ-ით |
| ვით. | (მ) გელ-ათ//(მ) გლ-ათ | (მ)გლ-ებ-ათ |
| წოდ. | (მ) გელ-ო | (მ)გლ-ებ-ო |

| | | |
|---|---|---|
| სახ. | სოფელ-ი | სოფლ-ებ-ი |
| მოთხ. | სოფელ-მა | სოფლ-ებ-მა |
| მიც. | სოფელ-(ს) | სოფლ-ებ(ს) |
| ნათ. | სოფელ-ის // სოფლის | სოფლ-ებ-ის |
| მოქმ. | სოფელ-ით // სოფლით | სოფლ-ებ-ით |
| ვით. | სოფელ-ათ | სოფლ-ებ-ათ |
| წოდ. | სოფელ-ო | სოფლ-ებ-ო |

| | |
|---|---|
| სახ. | ყურძენ-ი |
| მოთხ. | ყურძენ-მა |
| მიც. | ყურძენ-ს |
| ნათ. | ყურძენ-ის |

| | |
|---|---|
| მოქმ. | ყურძენ-ით |
| ვით. | ყურძენ-ათ |
| წოდ. | ყურძენ-ო |

ფუძეუკუმშველი

| | | |
|---|---|---|
| სახ. | ლექს-ი | ლექს-ები |
| მოთხ. | ლექს-მა | ლექს-ებ-მა |
| მიც. | ლექს-(ს) | ლექს-ებ-(ს) |
| ნათ. | ლექს-ი(ს) | ლექს-ებ-(ის) |
| მოქმ. | ლექს-ით | ლექს-ებ-ით |
| ვით. | ლექს-ად | ლექს-ებ-ად |
| წოდ. | ლექს-ო | ლექს-ებ-ო |

თანხმოვანფუძიანი სახელები მეტწილად უკუმშველია: სოფელი-დან, ფხალის, ყურძენის (შდრ>: საჭამელები)

| | | |
|---|---|---|
| სახ. | კაი | ქალ-ი |
| მოთხ. | კაი | ქალ-მა |
| მიც. | კაი | ქალ-ს(ა) |
| ნათ. | კაი | ქალ-ის |
| მოქმ. | კაი | ქალ-ით |
| ვით. | კაი | ქალ-ად |
| წოდ. | კაი | ქალ-ო |

ხმოვანფუძიანი კვეცადი

(-ა ფუძიანი) ა ფუძიანი ზოგი სახელი ებ-იან მრავლობით რი-ცხვში ორ ე-ს იჩენს: თა — თეები, გზა — გზეები

| | **მხ. რ.** | **მრ. რ.** |
|---|---|---|
| სახ. | თა | თე-ებ-ი |
| მოთხ. | თა-მ | თე-ებ-მა |
| მიც. | თა-ს | თე-ებ-ს |
| ნათ. | თ-ის(ა) | თე-ებ-ის |
| მოქმ. | თ-ით | თე-ებ-ით(ა) |
| ვით. | თა-თ | თე-ებ-ად (ა) |
| წოდ. | თა-ვ(//ო) | თე-ებ-ო |

თეებიც არის, მაადენის თა, ბუდეითის თეები (ჩვენ. 296); ზოლ ძუელი გზეებია (ჩვენ. 298).

კვეცადი (-ე ფუძიანი)

| | **მხ. რ.** | **მრ. რ** |
|---|---|---|
| სახ. | დღე-Ø | დღი-ებ-ი |
| მოთხ. | დღე-მ | დღი-ებ-მა |
| მიც. | დღე-ს | დღი-ებ-ს |
| ნათ. | დღ-ის | დღი-ებ-ის |
| მოქმ. | დღით | დღი-ებ-ით |
| ვით. | დღე-თ | დღი-ებ-ათ |
| წოდ. | დღე-ო | დღი-ებ-ო |

| | | |
|---|---|---|
| სახ. | მამა-Ø | მამი-ებ-ი |
| მოთხ. | მამა-მ | მამი-ებ-მა |
| მიც. | მამა-ს | მამი-ებ-ს |
| ნათ. | მამ-ის | მამი-ებ-ის |
| მოქმ. | მამ-ით | მამი-ებ-ით |
| ვით | მამა-თ | მამი-ებ-ათ |
| წოდ. | მამა-ვ | მამი-ებ-ო |

ჩვენი მამის მამიები არიან შამილიშვილები (კლარჯ. 238).

| | **მხ.რ** | **მრ. რ** |
|---|---|---|
| სახ. | ნალია | ნალი-ებ-ი |
| მოთხ. | ნალია-მ | ნალი-ებ-მა |
| მიც. | ნალია-ს | ნალი-ებ-ს |
| ნათ. | ნალია-Øს | ნალი-ებ-ის |
| მოქმ. | ნალია-Øთ | ნალი-ებ-ით |
| ვით. | ნალია-თ | ნალი-ებ-ათ |
| წოდ. | ნალია-ვ | ნალი-ებ-ო |

## უკვეცელი (-ო ფუძიანი)

კლარჯულში არსებითი სახელი **ღვინო** უკვეცელია

| **მხ. რ.** | | **მრ. რ.** |
|---|---|---|
| სახ. | კალო | ღვინო |
| მოთხ. | კალო-მ | ღვინო-მ |
| მიც. | კალო-ს | ღვინო-ს |
| ნათ. | კალო-ის | ღვინო-ის |
| მოქმ. | კალო-თ(ი) | ღვინო-ით |
| ვით. | კალო-თ | ღვინო-თ |
| წოდ. | კალო-ვ | ღვინო-ვ |

**უკვეცელი (-უ ფუძიანი)**

| **მხ. რ.** | | **მრ. რ.** |
|---|---|---|
| სახ. | ბუ //ჲ | ბუ-ებ-ი |
| მოთხ. | ბუ-მ | ბუ-ებ-მა |
| მიც. | ბუ-ს | ბუ-ებ (ს) |
| ნათ. | ბუ-ჲს | ბუ-ებ-ის |
| მოქმ. | ბუ-ჲთ | ბუ-ებ-ით |
| ვით. | ბუ-თ | ბუ-ებ-ათ |
| წოდ. | ბუ-ვ | ბუ-ებ-ო |

**კუმშვად-კვეცადი**

| **მხ. რ.** | | **მრ. რ.** |
|---|---|---|
| სახ. | ქვეყანა | ქვეყნ-ებ-ი |
| მოთხ. | ქვეყანა-მ | ქვეყნ-ებ-მა |
| მიც. | ქვეყანა-ს | ქვეყნ-ებ-ს |
| ნათ. | ქვეყნ-ის | ქვეყნ-ებ-ის |
| მოქმ. | ქვეყნ-ით | ქვეყნ-ებ-ით |
| ვით. | ქვეყნ-ათ | ქვეყნ-ებ-ათ |
| წოდ. | ქვეყანა-ვ | ქვეყნ-ებ-ო |

**საკუთარი სახელები თანხმოვანფუძიანი**

| | | |
|---|---|---|
| სახ. | მემედაჲ | კახაბერი |
| მოთხ. | მემედა-მ//მა | კახაბერ-მა |
| მიც. | მემედა-ს | კახაბერ-ს |
| ნათ. | მემედა-ჲს//ს-ი | კახაბერ-ის |
| მოქმ. | მემედა-ჲთ | კახაბერ-ით |

| | | |
|---|---|---|
| ვით. | მემედა-ათ | კახაბერ-ათ |
| წოდ. | მემედა-ვ | კახაბერ-ო |

**ხმოვანფუძიანი სახელი არ იკვეცება**

| | |
|---|---|
| სახ. | ბორჩხა |
| მოთხ. | ბორჩხა-მ |
| მიც. | ბორჩხა-ს |
| ნათ. | ბორჩხე-ის |
| მოქმ. | ბორჩხე-ით |
| ვით. | ბორჩხა-თ(ი) |
| წოდ. | ბორჩხა-ვ |

**მსაზღვრელ-საზღვრული**

| | | | |
|---|---|---|---|
| სახ. | ჩემ-ი | შვილ-ი | ჩემ-ი შვილ-ები |
| მოთხ. | ჩემ | შვილ-მა | ჩემ შვილ-ებ-მა |
| მიც. | ჩემ | შვილ(ს) | ჩემ შვილ-ებ (ს) |
| ნათ. | ჩემ | შვილ-ის | ჩემ შვილ-ებ-ის |
| მოქმ. | ჩემ | შვილ-ით | ჩემ შვილ-ებ-ით |
| ვით. | ჩემ | შვილ-ათ | ჩემ შვილ-ებ-ათ |
| წოდ. | ჩემ-ო | შვილ-ო | ჩემ-ო შვილ-ებ-ო |

| | მხ.რ | | მრ.რ |
|---|---|---|---|
| სახ. | ფრიალო | კლდე | ფრიალო კლდე-ებ-ი |
| მოთხ. | ფრიალო | კლდე-მ | ფრიალო კლდე-ებ-მა |
| მიც | ფრიალო | კლდე-ს | ფრიალო კლდე-ებ-ს |
| ნათ. | ფრიალო | კლდ-ისა | ფრიალო კლდე-ებ-ისა |
| მოქმ. | ფრიალო | კლდ- ით | ფრიალო კლდე-ებ-ით |
| ვით. | ფრიალო | კლდე-თ | ფრიალო კლდე-ებ-ათ |
| წოდ. | ფრიალო | კლდე-ვ | ფრიალო კლდე-ებ-ო |

**მხ. რ.**

| | | |
|---|---|---|
| სახ. | ჩემ-ი | ძმა-ი |
| მოთხ. | ჩემ | ძმა-მ |
| მიც. | ჩემ | ძმა-ს |
| ნათ. | ჩემ | ძმ-ის |
| მოქმ. | ჩემ | ძმ-ით |

| | | |
|---|---|---|
| ვით. | ჩემ | ძმა-დ-ა |
| წოდ. | ჩემ-ო | ძმა-ო |

**მხ. რ.**

| | | |
|---|---|---|
| სახ. | ერთი | დაია |
| მოთხ. | ერთ | დაია-მ |
| მიც. | ერთ | დაია-ს |
| ნათ. | ერთ-ი | დაიას(ი) |
| მოქმ. | ერთ-ი | დაია-თი |
| ვით. | ერთ-ი | დაია-თ |
| წოდ. | ერთ-ო | დაიავ |

| | | |
|---|---|---|
| სახ. | ხეს სახლი | მიწი ხაპი |
| მოთხ. | ხეს სახლ-მა | მიწი ხაპ-მა |
| მიც. | ხეს სახლ-ს | მიწი ხაპ-(ს) |
| ნათ. | ხეს სახლ-ის | მიწი ხაპ- ი (ს) |
| მოქ. | ხეს სახლ-ით | მიწი ხაპ-ით |
| ვით. | ხეს სახლ-ათ | მიწი ხაპ-ათ |
| წოდ. | ხეს სახლ-ო | მიწი ხაპ-ო |

## 1. ზმნა

### უღლება

### I სერია

1. აწმყო — რას ვიჯები?
2. უწყვეტელი — რას ვიქნევდი?
3. აწმყოს — რას ვიქნევდე?
4. მყოფადი — რას ვიქავ?
5. ხოლმეობით-შედეგობითი — რას ვიქავდი?
6. მყოფადის კავშირებითი — რას ვიქავდე?

### II სერია

7. წყვეტილი — რა ვქენ?
8. II კავშირებითი — რა ვქნა?

**III სერია**

9. I თურმეობითი           რა მიქნია?
10. II თურმეობითი        რა მექნა?
11. III კავშირებითი       რა მექნას?

ვნებითი გვარის ზმნები მეორე სერიაში ავლენს რედუცირებულ ფორმებს: **მეიყრა, გეიშლა, გეიზდა.**

ახლა სოფელია, ცოტა **გეიზდა** (კრებ. VI. 268); **შეიშლა** კაცი (იქვე, 194).

მეორე სერიაში, **წყვეტილში** დასტურდება **დეინახევი** ტიპის ფორმები: დანაყე, დანაყევი, ორთვენი ერთად (კლარჯ. VI. 236); ჩუენა ერი სახლიდან დევპანტევით (ლივან. 306).

კლარჯულის თავისებურებაა II კავშირებითში მრ. რიცხვის მესამე პირში ე ნიშნის ნაცვლად ო-ს გამოყენება: **ამოვდონ, წევდონ.**

სული მიწუხდება, როისნა **ამოვდონ** (ნიგ. 150)

ობიექტური წყობის ზმნებში შემონახულია ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ნაშთები: **გამახარებდენ, მყავან, მომყავდენ, მეჭამეს.**

გოგვებისა მეტი **გამახარებდენ,** ფულსაც ცოტა ამართმებდინ (ნიგალი, 149); ერთი დაია **მყავან** სამ ძმასა, გასათუთებულია იშტა (ლივან. 308); თუთუნი **მომყავდენ** (ლივ. 329); ესეც გეიზდა, დესწავლავს, იმღერავს (კლარჯ. VI. 261); ჩუენაც **მომწონან** ისინი ( ლივან. 297); ზარმელი **მეჭამეს** და ისე წავსულიყავ (ჩვენებ. 296); ჩუენ ქითაბი **მაქვანან** (ლივან. 306); ბევრი არაფერი **მახსოვან** (ლივან. 297).

პარადიგმებში ასახულია პარალელური ფორმებიც. ისინი სპორადულად, მაგრამ მაინც გვხვდება.

## ერთთემიანი ზმნები

უღლება I სერია

**აწმყო**

| | |
|---|---|
| 1. ვწერავ | ვწერავთ |
| 2. წერავ | წერავთ |
| 3. წერავს | წერვენ |

**უწყვეტელი**

1. ვწერევდი//ვწერავდი//ვწერვიდი  ვწერევდით//ვწერავდით//ვწერვიდით
2. წერევდი//წერავდი//წერვიდი  წერევდით//წერავდით// წერვიდით
3. წერევდა// წერავდა//წერვიდა  წერევდენ// წერავდენ//წერვიდენ

**აწმყოს კავშირებითი**

1. ვწერავდე//ვწერევდე//ვწერვიდე  ვწერავდეთ// ვწერევდე//ვწერვიდე
2. წერავდე//წერევდე//წერვიდე  წერავდეთ//წერევდეთ//წერვიდეთ
3. წერავდეს//წერევდეს//წერვიდეს  წერავდენ//წერევდეს//წერვიდეს

**მყოფადი**

1. დავწერავ  დავწერავთ
2. დაწერავ  დაწერავთ
3. დაწერავს  დაწერვენ

**ხოლმეობით-შედეგობითი**

1. დავწერავდი/დავწერევდი/დავწერვიდი ვწერავდით/ვწერევდით// ვწერვიდით/
2. დაწერავდი //დაწერევდი//დაწერვიდი წერავდით//წერევდით// წერვიდით
3. დაწერავდა//დაწერევდა//დაწერვიდა  წერავდენ// წერევდენ// წერვიდენ

**მყოფადის კავშირებითი**

1. დავწერავდე//დავწერევდე//დავწერდი  ვწერავდეთ/ვწერევდეთ// ვწერვიდეთ
2. დაწერავდე //დაწერევდე//დაწერვიდე  წერავდეთ//წერევდეთ// წერვიდეთ
3. დაწერავდეს//დაწერევდეს//დაწერვიდეს  წერავდენ// წერევდენ// წერვიდენ

**II სერია — წყვეტილი**

1. დავწერევი  დავწერევით
2. დაწერევი  დაწერევით
3. დაწერა  დაწერენ

**II კავშირებითი**

1. დავწერო  დავწეროთ
2. დაწერო  დაწეროთ
3. დაწეროს  დაწერონ

**III სერია — I თურმეობითი**

1. დიმიწერია//დემიწერია  დიგვიწერია // დიმიწერია
2. დიგიწერია //დეგიწერია  დიგიწერიან

| | |
|---|---|
| 3. დუუწერია | დუუწერიან |

**II თურმეობითი**

| | |
|---|---|
| 1. დემეწერა | დეგვეწერეს//დემეწერეს |
| 2. დეგეწერა | დეგეწერეს |
| 3. დეეწერა | დეეწერენ |

**III კავშირებითი**

| | |
|---|---|
| 1. დემეწეროს | დეგვეწეროს // დემეწეროს |
| 2. დეგეწეროს | დეგეწერონ |
| 3. დეეწეროს | დეეწერონ |

**I სერია — აწმყო**

| | |
|---|---|
| 1. ვჭამავ | ვჭამავთ |
| 2. ჭამავ | ჭამავთ |
| 3. ჭამავს | ჭამვენ |

**უწყვეტელი**

| | |
|---|---|
| 1. ვჭამავდი | ვჭამავდით |
| 2. ჭამავდი | ჭამავდით |
| 3. ჭამავდა | ჭამავდენ |

**აწმყოს კავშირებითი**

| | |
|---|---|
| 1. ვჭამავდე | ვჭამავდეთ |
| 2. ჭამავდე | ჭამავდეთ |
| 3. ჭამავდეს | ჭამავდენ |

**მყოფადი**

| | |
|---|---|
| 1. შევჭამავ | შევჭამავთ |
| 2. შეჭამავ | შეჭამავთ |
| 3. შეჭამავს | შეჭამვენ |

**ხოლმეობით-შედეგობითი**

| | |
|---|---|
| 1. შევჭამავდი | შევჭამავდით |
| 2. შეჭამავდი | შეჭამავდით |
| 3. შეჭამავდა | შეჭამავდენ |

**მყოფადის კავშირებითი**

| | |
|---|---|
| 1. შევჭამავდე | შევჭამავდეთ |
| 2. შეჭამავდე | შეჭამავდეთ |
| 3. შეჭამავდა | შეჭამავდენ |

**II სერია — წყვეტილი**

| | |
|---|---|
| 1. შევჭამევი | შევჭამევით |
| 2. შეჭამევი | შეჭამევით |
| 3. შეჭამა | შეჭამენ |

**II კავშირებითი**

| | |
|---|---|
| 1. შევჭამო | შევჭამოთ |
| 2. შეჭამო | შეჭამოთ |
| 3. შეჭამოს | შეჭამონ |

**III სერია — I თურმეობითი**

| | |
|---|---|
| 1. შიმიჭმია | შიმიჭმიან//შიგვიჭმიან |
| 2. შიგიჭმია | შიგიჭმიან |
| 3. შუუჭმია | შუუჭმიან |

**II თურმეობითი**

| | |
|---|---|
| 1. შემეჭამა | შემეჭამენ//შეგვეჭამენ |
| 2. შეგეჭამა | შეგეჭამენ//შეგეჭამე/ს |
| 3. შიეჭამა | შიეჭამენ//შიეჭამეს |

**III კავშირებითი**

| | |
|---|---|
| 1. შემეჭამოს | შემეჭამოს// შეგვეჭამოს |
| 2. შეგეჭამოს | შეგეჭამონ |
| 3. შიეჭამოს | შიეჭამონ |

**I სერია -ი თემის ნიშნიანი (ყიდავს)**

**აწმყო**

| | |
|---|---|
| 1. ვყიდავ | ვყიდავთ |
| 2. ყიდავ | ყიდავს |
| 3. ყიდავს | ყიდვენ |

ამავე კილოში გვხვდება განზოგადებული აწმყოს ნიმუშებიც: სიღირი **იყიდის** და ჰიჯარეთით **ყიდის** (კრებ. IX).

**უწყვეტელი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვყიდავდი // ვყიდებდი | ვყიდავდით |
| 2. | ყიდავდი (// ყიდებდი) | ყიდავდით |
| 3. | ყიდავდა (// ყიდებდა) | ყიდავდენ |

**აწმყოს კავშირებითი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვყიდავდე | ვყიდავდეთ |
| 2. | ყიდავდე | ყიდავდეთ |
| 3. | ყიდავდეს | ყიდავდენ |

**მყოფადი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | გავყიდავ | გავყიდავთ |
| 2. | გაყიდავ | გაყიდავთ |
| 3. | გაყიდავს | გაყიდავდენ |

**ხოლმეობით-შედეგობითი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | გავყიდავდი | გავყიდავდით |
| 2. | გაყიდავდი | გაყიდავდით |
| 3. | გაყიდავდა | გაყიდავდენ |

**მყოფადის კავშირებითი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | გავყიდავდე | გავყიდავდეთ |
| 2. | გაყიდავდე | გაყიდავდეთ |
| 3. | გაყიდავდეს | გაყიდავდენ |

**II სერია — წყვეტილი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | გავყიდევი | გავყიდევით |
| 2. | გაყიდევი | გაყიდევით |
| 3. | გაყიდა | გაყიდეს |

**II კავშირებითი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | გავყიდო | გავყიდოთ |
| 2. | გაყიდო | გაყიდოთ |
| 3. | გაყიდოს | გაყიდონ |

**III სერია — I თურმეობითი**

| | |
|---|---|
| 1. გიმიყიდია | გიმიყიდიან//გიგვიყიდია |
| 2. გიგიყიდია | გიგიყიდიან |
| 3. გუუყიდია | გუუყიდიან |

**II თურმეობითი**

| | |
|---|---|
| 1. გემეყიდა | გეგვეყიდა//გემეყიდენ |
| 2. გეგეყიდა | გეგეყიდენ//ს |
| 3. გეეყიდა//გიეყიდა | გეეყიდენ//გიეყიდენ |

**III კავშირებითი**

| | |
|---|---|
| 1. გემეყიდოს | გეგვეყიდოს//გემეყიდოს |
| 2. გეგეყიდოს | გეგეყიდონ//ს |
| 3. გეეყიდოს//გიეყიდოს | გეეყიდონ//გიეყიდონ |

**-ავ თემის ნიშნიანი (წვეთევდა, ხნევდა, რეკევდა, დათესევდენ**

კლარჯულში -ავ თემის ნიშანი დაერთვის ფუძედრეკად ზმნებსაც: ზილავს, დახრისავთ, ღმეჭავს.

**I სერია — აწმყო**

| | |
|---|---|
| 1. ვხნავ | ვხნავთ |
| 2. ხნავ | ხნავთ |
| 3. ხნავს | ხნვენ |

**უწყვეტელი**

| | |
|---|---|
| 1. ვხნევდი | ვხნევდით |
| 2. ხნევდი | ხნევდით |
| 3. ხნევდა | ხნევდენ |

**აწმყოს კავშირებითი**

| | |
|---|---|
| 1. ვხნევდე | ვხნევდეთ |
| 2. ხნევდე | ხნევდეთ |
| 3. ხნევდე | ხნევდენ |

**მყოფადი**

| | |
|---|---|
| 1. დავხნავ | დავხნავთ |

| | | |
|---|---|---|
| 2. | დახნავ | დახნავთ |
| 3. | დახნავს | დახნვენ |

**ხოლმეობით-შედეგობითი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | დავხნევდი//დავხნებდი | დავხნევდით |
| 2. | დახნევდი (დახნებდი) | დავხნევდით |
| 3. | დახნევდის (დახნებდა) | დახნევდენ |

**მყოფადის კავშირებითი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | დავხნევდე | დავხნევდეთ |
| 2. | დახნევდე | დავხნევდეთ |
| 3. | დახნევდეს | დახნევდენ |

**II სერია — წყვეტილი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | დავხან | დავხანთ |
| 2. | დახან | დახანთ |
| 3. | დახნა | დახნეს |

**II კავშირებითი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | დავხნა | დავხნათ |
| 2. | დახნა | დახნათ |
| 3. | დახნას | დახნან |

**III სერია — I თურმეობითი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | დიმიხნია | დიმიხნიან//დიგვიხნიან |
| 2. | დიგიხნია | დიგიხნიან |
| 3. | დუუხნია | დუუხნიან |

**II თურმეობითი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | დემეხნა | დემეხნა//დეგვეხნა |
| 2. | დეგეხნა | დეგეხნენ |
| 3. | დეეხნას | დეეხნეს |

**III კავშირებითი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | დემეხნას | დემეხნა//დეგვეხნას |
| 2. | დეგეხნას | დეგეხნას |
| 3. | დეეხნას | დეეხნას |

-ავ თემის ნიშანი დაერთვის ერთთემიან, **-ი, -ავ, -ებ** თემისნიშნიან ზმნებსაც:

**0/-ი/ -ებ/-ამ // -ავ** გააცხელავს, დაამზადავს, დუუძახავს, დეიყვირავს, უძახავთ, უყარავს, აჭრავს, ყიდავს, გავთალავთ (შესაბამისად, მოვჭრევდით, წერევდა, ჩეიცვემდა, წერევდა, მოხნევდა... აქა-იქ **ევ თემა** დაჩნდება აწმყოსა და მყოფადშიც: **დახრისევ**

**წერავ?** ჩემი ნათქვამი არ ქნა ქითაბში (ნიგ. 162); **დეიბანავ** იქზე (ნიგ. 159); ცოტა წყალს გუდუურევთ და **ვჭამავთ** (ნიგ. 159); ამის ნენემ ვერ **იტირავს** (კლარჯ.VI.253); ამას გაათხელავ სუფრაზე გარგნით (ლივან. 297); ბათუმში ფაბრიკას **ავაშენავთ** (კლარჯ.VI. 255); ყველაფერი **ავათავავ** (ლივან. 327); **ვუყარავ** და **ვაკეთავ** (ნიგ. 152); დოდოფალი რომ **ატირავთ**, ის სიმღერა რატომ არ იძახით? (ლივან. 309); ვინცხას უნდა, **ისამავს** (ნიგ. 152); **ვადუღავთ** ახლა (ნიგ. 157); შოთი **გავაცხელავთ** (ნიგ. 158); დერგში **ჩავასხემდით** ყაიმაღი, გარგნით ვრეკევდით (ლივან. 320); საქონელს ეიღებდენ, ბათუმში გედეიტანდენ, **გაყიდევდენ** (ნიგალი, 153); ჩემ დედეი ჰემ წერევდა, ჰემ კითხულობდა (კრებ. VI. 268); თხილი წინ **ვყიდევდით** (კლარჯ. VI. 256).

დასტურდება **ცემვენ, ჭამვენ** ფორმებიც.

გვხვდება ვიდ- მიდიანი ზმნები: **მირტყმიდა, დავმალვიდი:** გოგო და ბიჭი ერთმანებს ვერ დეინახვიდენ (კრებ.VI. 265).

**-ავ თემის ნიშანს ზოგჯერ ცვლის ებ: ზიდებდა, ნახებენ**

ყაჰვეს სმენ, **ნახებენ** (ლივან. 321); სიმინდ **დავთესებდით** (ნიგ. 170); კევი **ღეჭებდა,** ღეჭებული გადაყლურწებდა (ნიგ. 144); ყურანს **იკითხებენ** (კლარჯ. VI.252).

**-ავ** თემისნიშნიან ზოგ ზმნას -ი თემის ნიშანი აქვს: გარმონი **უკრიდა** (ნიგ. 143).

-ავ თემის ნიშანს ხანდახან ი-ც ცვლის: ბერი ხარის რქამან **მოხნისო** (კრებ. IX. 176).

**I სერია — აწმყო**

| | |
|---|---|
| 1. ვზიდავ | ვზიდავთ |
| 2. ზიდავ | ზიდავთ |
| 3. ზიდავს | ზიდვენ |

**უწყვეტელი**

1. ვზიდებდი ვზიდებდით
2. ზიდებდი ზიდებდით
3. ზიდებდა ზიდებდენ

**აწმყოს კავშირებითი**

1. ვზიდებდე ვზიდებდეთ
2. ზიდებდე ზიდებდეთ
3. ზიდებდეს ზიდებდენ

**მყოფადი**

1. ავზიდებ//ფ ავზიდებთ
2. აზიდებ//ფ აზიდებთ
3. აზიდებს აზიდებენ

**ხოლმეობით-შედეგობითი**

1. ავზიდებდი ავზიდებდით
2. აზიდებდი აზიდებდით
3. აზიდებდა აზიდებდენ

**მყოფადის კავშირებითი**

1. ავზიდებდე ავზიდებდეთ
2. აზიდებდე აზიდებდეთ
3. აზიდებდეს აზიდებდენ

**II სერია — წყვეტილი**

1. ვზიდევი ვზიდევით
2. ზიდევი ზიდევით
3. ზიდა ზიდენ

**II კავშირებითი**

1. ვზიდო ვზიდოთ
2. ზიდო ზიდოთ
3. ზიდოს ზიდონ

**III სერია — I თურმეობითი**

1. მიზიდია — გვიზიდია
2. გიზიდია — გიზიდიან
3. უზიდია — უზიდიან

**II თურმეობითი**

1. მეზიდა — გვეზიდა
2. გეზიდა — გეზიდენ
3. ეზიდა — ეზიდენ

**III კავშირებითი**

1. მეზიდოს — გვეზიდოს
2. გეზიდოს — გეზიდოს
3. ეზიდოს — ეზიდონ

**ავ თემისნიშნიანი ზოგი ზმნა ი თემის ნიშანს დაირთავს მოხნის, მოკლის, უკრის**

**აწმყო**

1. ვუკრი — ვუკრით
2. უკრი — უკრით
3. უკრის — უკრიან

**უწყვეტელი**

1. ვუკრიდი — ვუკრიდით
2. უკრიდი — უკრიდით
3. უკრიდა — უკრიდენ

**აწმყოს კავშირებითი**

1. ვუკრიდე — ვუკრიდეთ
2. უკრიდე — უკრიდეთ
3. უკრიდეს — უკრიდენ

**წყვეტილი**

1. დუუკარ — დუუკართ
2. დუუკარ — დუუკართ

3. დუუკრა დუუკრეს

**II კავშირებითი**

1. დუუკრა დუუკრათ
2. დუუკრა დუუკრათ
3. დუუკრას დუუკრან

**III სერია— I თურმეობითი**

1. დიმიკრია დიგვიკრია
2. დიგიკრია დიგიკრიან
3. დუუკრია დუუკრიან

**II თურმეობითი**

1. დემეკრა დეგვეკრა
2. დეგეკრა დეგეკრეს
3. დეეკრას დეეკრან

**III კავშირებითი**

1. დემეკრას დეგვეკრას
2. დეგეკრას დეგეკრენ//ს
3. დეეკრას დეეკრან

I სერია -ამ თემის ნიშნიანი ზმნა ავ- თემის ნიშანს დაირთავს (შესვავს, დგავს, აართავს, ურტყავს, ასხავს, აზავს, იზავს, მიართვავ, დაასხავს)

ჩემი ბიჭი ღვინოს არ სვავს (კლარჯ.VI. 254); შინავრები ალთუნ დააზავს (ნიგ. 167); გოგოს საჭმელ მიართვავენ (კრებ.VI. 267); ამის მემრე ბეტონ დავასხავთ (ნიგ. 149)...

**აწმყო** 1. ვასხამ//ავ ვასხამთ
2. ასხამ ასხამთ
3. ასხამს ასხმენ

**უწყვეტელი**

1. ვასხემდი ვასხემდით
2. ასხემდი ასხემდით
3. ასხმიდა ასხმიდენ

**აწმყოს კავშირებითი**

1. ვასხმიდე — ვასხმიდეთ
2. ასხმიდე — ასხმიდეთ
3. ასხმიდეს — ასხმიდენ

**მყოფადი**

1. დავასხამ — დავასხამთ
2. დაასხამ — დაასხამთ
3. დაასხამს — დაასხმენ

**ხოლმეობით-შედეგობითი**

1. დავასხმიდი//დავასხემდი — დავასხმიდით//დავასხემდით
2. დაასხმიდი//დაასხემდი — დაასხმიდით//დაასხემდით
3. დაასხმიდა//დაასხემდა — დაასხმიდენ//დაასხემდენ

**მყოფადის კავშირებითი**

1. დავასხმიდე — დავასხმიდეთ
2. დაასხმიდე — დაასხმიდეთ
3. დაასხმიდეს — დაასხმიდენ

**II სერია — წყვეტილი**

1. დავასხი — დავასხით
2. დაასხი — დაასხით
3. დაასხა — დაასხეს//ენ

**II კავშირებითი**

1. დავასხა — დავასხათ
2. დაასხა — დაასხათ
3. დაასხას — დაასხან

**III სერია — I თურმეობითი**

1. დიმისხმია — დიგვისხმია
2. დიგისხმია — დიგისხმიან
3. დუუსხმია — დუუსხმან

**II თურმეობითი**

| | |
|---|---|
| 1. დემესხა | დეგვესხა |
| 2. დეგესხა | დეგესხენ |
| 3. დეესხა | დეესხენ |

**III კავშირებითი**

| | |
|---|---|
| 1. დემესხას | დეგვესხას |
| 2. დეგესხას | დეგესხან |
| 3. დეესხას | დეესხან |

**I სერია**

**-ებ თემის ნიშნიანი** ზმნები -ავ თემის ნიშანს დაირთავენ (ააშენავს, აათავავს, იგნავს, ატყვილავს, იგონავს, უყურავს, იჩხუბავს, იტირავს, აწუხავს, ატყაპუნავს, ისაქმავს, იმღერავს, დეიძახავს, ილაპარიკავს, მუაგონავს, გაარიგავს, ატყვილავს, მეიკიდავს, ისეირავს, იგონავს, ატოლავს, უყურავს, აჩუქავს, დააბავს, იფერხულავს, მოტაცავს, იმღერავს, მუუხიზმეთავს, დეიყვირავს, ისაქმავს, უყურავს, ისამავს, გააკეთავს, აგნავს, ატყვილავს, იგონავს, იჩხუბავს, აცინავს).

ხარჩო **ვაკეთავ** (ლივან. 305); გამოცხობილი ჭადი **დავხრისავ,** იაღში ხახვი **მოვშუშავთ** (იქვე, 305); კიტრი **გავთალავთ** (იქვე, 303); სალათა **გავაკეთავთ** (კლარჯ. 253); ამის ნენემ ვერ **იტირავს** (კლარჯ. VI. 253); რაისთინ **წერავს,** რაისთინ? (კლარჯ.VI. 265); **ვარიგავ,** ჰამა თელი ვერ ვარიგავ (კლარჯ.VI. 262); ტათლი **გავაკეთავ** (კრებ.VI. 267); ახორ **დავასუფთავთ** (ნიგ. 142), გენჯების საქმე ჩვენ არ **გავარიგავთ** (კრებ. VI. 272)

-ებ თემის ნიშანი დაერთვის ერთემიან და სხვა თემისნიშნიან ზმნებსაც: 0/-/ი/-/ამ/-/ავ -ებ დააბებენ, შექხედებენ, გატეხებენ, კლებენ, იკითხებენ, მეიპარებენ, ყიდებდენ, დარგებენ, გატეხებდა, თესებდა.

ყაჰვეს სმენ, **ნახებენ**, ისამებენ (ლივან. 321); შექხედებენ, **შექხედებენ,** სიძეს უთხარით (კრებ. VI. 264).

**-ი / -ობ** მღერობენ

**-ებ // 0** დუუძახ, **შეინახ**...ტელეფონი ვიცოდე, **დუუძახ** (კრებ. VI. 269).

-ავ დაერთვის მწკრივში ფუძემონაცვლე ზმნებსაც: **გითხრავ, ვიქნევდით:** ვიცოდე, გითხრავ (კლარჯ.VI. 263).

**-ებ// -ავ** მონაცვლეობა დასტურდება კაუზატივის, შუალობითი კონტაქტის ფორმებშიც: გააცინავს, აფაქავს, დააყენავს, აცემიავს, დაალევიავს, მარუნიავს, გაგატეხიავს, ატირავს, დაგაწერიავს, დაგაწყებიავს, დაალევიავს, აარუნიავს, აწერიავს.

თელი **დაგაწერიავ** (კრებ. VI. 264); შიშის კოვზ **გაატეხიავს** (ლივან. 221); **გადაწყებიავ,** ბახანუმ (ნიგ. 146); **მარუნიავს** იქ (ნიგ. 144).

ზოგჯერ -**ობ** თემის ნიშნის მონაცვლე -**ებ -ევ**-ს იძლევა: **გამუაცხევდით**

-ი/-ავ- მობილი იმა **ყიდავს** (კრებ. VI. 270),

ფუძედრეკადი/ ავ- : ჩვენში თლათ ისეა, ორი სახელი **ზილავს** (ნიგ. 157).

თემის ნიშანთა მონაცვლეობა ამ კილოს გამოკვეთილი თავისებურებაა.

აწმყოსა და მყოფადში აქა-იქ დაჩნდება -ევ თემის ნიშანიც: **ზიდევს, აკოჭევს, ძინევს (კირნ. მარად.);** სობაში შევდებ, გავათბობ, გაძრება, **დახრისევ...**

**აწმყო**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვაკეთავ | ვაკეთავთ |
| 2. | აკეთავ | აკეთავთ |
| 3. | აკეთავ | აკეთავენ |

**უწყვეტელი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვაკეთავდი | ვაკეთავდით |
| 2. | აკეთავდი | აკეთავდით |
| 3. | აკეთავდა | აკეთავდენ |

**აწმყოს კავშირებითი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვაკეთავდე | ვაკეთავდეთ |
| 2. | აკეთავდე | აკეთავდეთ |
| 3. | აკეთავდეს | აკეთავდენ |

**მყოფადი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | გავაკეთავ | გავაკეთავთ |
| 2. | გააკეთავ | გააკეთავთ |
| 3. | გააკეთავს | გააკეთავენ |

**ხოლმეობით-შედეგობითი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | გავაკეთავდი | გავაკეთავდით |
| 2. | გააკეთავდი | გააკეთავდით |
| 3. | გააკეთავდა | გააკეთავდენ |

**მყოფადის კავშირებითი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | გავაკეთავდე | გავაკეთავდეთ |
| 2. | გააკეთავდე | გააკეთავდეთ |
| 3. | გააკეთავდეს | გააკეთავდენ |

**II სერია — წყვეტილი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | გავაკეთევი | გავაკეთევით |
| 2. | გააკეთევი | გააკეთევით |
| 3. | გააკეთა | გააკეთენ |

**II კავშირებითი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | გავაკეთო | გავაკეთოთ |
| 2. | გააკეთო | გააკეთოთ |
| 3. | გააკეთოს | გააკეთონ |

**III სერია — I თურმეობითი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | გიმიკეთებია | გიმიკეთებია//გიგვიკეთებია |
| 2. | გიგიკეთებია | გიგიკეთებიან |
| 3. | გუუკეთებია | გუუკეთებიან |

**II თურმეობითი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | გემეკეთა | გემეკეთეს//გეგვეკეთეს |
| 2. | გეგეკეთა | გეგეკეთენ |
| 3. | გეეკეთა | გეეკეთენ |

**III კავშირებითი**

| | |
|---|---|
| 1. გემეკეთოს | გემეკეთოს//გეგვეკეთოს |
| 2. გეგეკეთოს | გეგეკეთონ |
| 3. გეეკეთოს | გეეკეთონ |

## I სერია სტატიკური ზმნა

**აწმყო**

| | |
|---|---|
| 1. მაცვია | მაცვიან//გვაცვია |
| 2. გაცვია | გაცვიან |
| 3. აცვია | აცვიან |

**უწყვეტელი**

| | |
|---|---|
| 1. მაცვიოდა | გვაცვიოდა/გვაცვიოდენ |
| 2. გაცვიოდა | გაცვიოდენ |
| 3. აცვიოდა | აცვიოდენ |

**აწმყოს კავშირებითი**

| | |
|---|---|
| 1. მაცვიოდეს | გვაცვიოდეს |
| 2. გაცვიოდეს | გაცვიოდენ |
| 3. აცვიოდეს | აცვიოდენ |

**II სერია — წყვეტილი**

| | |
|---|---|
| 1. მეცვა | მეცვა/გვეცვა |
| 2. გეცვა | გეცვა |
| 3. ეცვა | ეცვა |

**II კავშირებითი**

| | |
|---|---|
| 1. მეცვას | გვეცვას |
| 2. გეცვას | გეცვან |
| 3. ეცვას | ეცვან |

**I თურმ.**

| | |
|---|---|
| 1. მცმია | გვცმია |
| 2. გცმია | გცმიათ |
| 3. სცმია | სცმიათ |

**II თურმ.**

| | |
|---|---|
| 1. მცმოდა | გვცმოდა |
| 2. გცმოდა | გცმოდა |
| 3. სცმოდა | სცმოდა |

**III კავშ.**

| | |
|---|---|
| 1. მცმოდეს | გვცმოდეს |
| 2. გცმოდეს | გცმოდენ |
| 3. სცმოდეს | სცმოდენ |

რაცხა მაცვიოდა ის იყო (კრებ. IX. 188)

**აწმყო**

| | |
|---|---|
| 1. ვდგები | ვდგებით |
| 2. დგები | დგებით |
| 3. დგება | დგებიან |

**უწყვ.**

| | |
|---|---|
| 1. ვდგებოდი | ვდგებოდით |
| 2. დგებოდი | დგებოდით |
| 3. დგებოდა | დგებოდენ |

**აწ. კავშ.**

| | |
|---|---|
| 1. ვდგებოდე | ვდგებოდეთ |
| 2. დგებოდე | დგებოდეთ |
| 3. დგებოდეს | დგებოდენ |

**მყოფ.**

| | |
|---|---|
| 1. ავდგები | ავდგებით |
| 2. ადგები | ადგებით |
| 3. ადგება | ადგებიან |

**ხოლმეობით შედეგობითი:**

| | |
|---|---|
| 1. ავდგებოდი | ავდგებოდით |
| 2. ადგებოდი | ადგებოდით |
| 3. ადგებოდა | ადგებოდენ |

**მყოფადის კავშირებითი**

| | |
|---|---|
| 1. ავდგებოდე | ავდგებოდეთ |
| 2. ადგებოდე | ადგებოდეთ |
| 3. ადგებოდეს | ადგებოდენ |

**II სერია — წყვეტ.**

| | |
|---|---|
| 1. ავდექ | ავდექით |
| 2. ადექ | ადექით |
| 3. ადგა | ადგენ |

**II კავშ.**

| | |
|---|---|
| 1. ავდგე | ავდგეთ |
| 2. ადგე | ადგეთ |
| 3. ადგეს | ადგენ |

**მესამე** სერიაში I თურმეობითში ზოგ ზმნასთან მრ. რიცხვის მესამე პირში გვაქვს დუურქმევინ ტიპის ზმნები: ჰერალდა ბრაგუნა, ისე დუურქმევინ (ნიგ. 155); იქ თაფლი ბევრი ყოფილა, წვეთევდა და წუმპო დუურქმევინ (იქვე, 147).

ერთპირიან უნიშნო ვნებითთათვის ამ კილოში გვაქვს **მესამე** სერიაში მიმღეობური ფუძეები: ხოჯა გახდილა (ლივ. 314); დიდი კაცი გახდილა (ნიგ. 161).

**I თურმ.**

| | |
|---|---|
| 1. ავმდგარვარ | ავმდგარვართ |
| 2. ამდგარხარ | ამდგარხართ |
| 3. ამდგარა | ამდგარან |

**II თურმ.**

| | |
|---|---|
| 1. ავმდგარიყავ | ავმდგარიყავით |
| 2. ამდგარიყავ | ამდგარიყავით |
| 3. ამდგარიყო | ამდგარიყვენ |

**III კავშ.**

| | |
|---|---|
| 1. ავმდგარიყო | ავმდგარიყოთ |
| 2. ამდგარიყო | ამდგარიყოთ |

| | |
|---|---|
| 3. ამდგარიყოს | ამდგარიყონ |

**I სერია — აწმყო**

| | |
|---|---|
| 1. მქვია | გვქვიან |
| 2. გქვია | გქვიან |
| 3. ქვია | ქვიან |

**მყოფ**.

| | |
|---|---|
| 1. მექვიება | გვექვიება |
| 2. გექვიება | გექვიება |
| 3. ექვიება | ექვიებიან |

**II სერია — წყვეტ**.

| | |
|---|---|
| 1. მერქვა | მერქვენ//გვერქვა |
| 2. გერქვა | გერქვენ |
| 3. ერქვა | ერქვენ |

**II კავშირებითი**

| | |
|---|---|
| 1. მერქვას//მექვიოს | გვერქვას//გვექვიოს |
| 2. გერქვას//გექვიოს | გერქვან//გექვიოთ |
| 3. ერქვას//ექვიოს | ერქვან//ექვიოთ |

**I თურმ**.

| | |
|---|---|
| 1. მქვიებია | გვქვიებია |
| 2. გქვიებია | გქვიებიან |
| 3. ქვივებია | ქვიებიან |

**II კავშ.**

| | |
|---|---|
| 1. მქვიებოდა | მქვიებოდა/გვქვიებოდა |
| 2. გქვიებოდა | გქვიებოდენ |
| 3. ქვიებოდა | ქვიებოდენ |

**III კავშ.**

| | |
|---|---|
| 1. ქვიებოდეს | მქვიებოდეს/ ქვქვიებოდეს |
| 2. გქვიებოდეს | ქქვიებოდენ |
| 3. ქვიებოდეს | ქვიებოდენ |

**I სერია — აწმყო**

| | |
|---|---|
| 1. მინდა | გვინდა |
| 2. გინდა | გინდებიან//გინდანან//გინდარან |
| 3. უნდა | უნდანან |

**უწყვ.**

| | |
|---|---|
| 1. მინდოდა | გვინდოდენ//მინდოდენ |
| 2. გინდოდა | გინდოდენ |
| 3. უნდოდა | უნდოდენ |

**აწ. კავშ.**

| | |
|---|---|
| 1. მინდოდეს | გვინდოდეს//მინდოდეს |
| 2. გინდოდეს | გინდოდენ |
| 3. უნდოდეს | უნდოდენ |

**მყოფ.**

| | |
|---|---|
| 1. მომინდება | მოგვინდება//მოგვინდებიან//მომინდება //მომინდებიან |
| 2. მოგინდება | მოგინდებიან |
| 3. მოუნდება | მოუნდებიან |

**ხოლმეობით-შედეგობითი**

| | |
|---|---|
| 1. მომინდებოდა | მომინდებოდენ//მოგვინდებოდენ |
| 2. მოგინდებოდა | მოგინდებოდენ |
| 3. მოუნდებოდა | მოუნდებოდენ |

**მყოფადის კავშ.**

| | |
|---|---|
| 1. მომინდებოდეს | მოგვინდებოდეს//მომინდებოდეს |
| 2. მოგინდებოდეს | მოგინდებოდენ |
| 3. მოუნდებოდეს | მოუნდებოდენ |

**II სერია — წყვეტ.**

| | |
|---|---|
| 1. მომინდა | მოგვინდა |
| 2. მოგინდა | მოგინდენ |

| | |
|---|---|
| 3. მუუნდა | მუუნდენ |

**II კავშ.**

| | |
|---|---|
| 1. მომინდეს | მოგვინდეს//მომინდეს |
| 2. მოგინდეს | მოგინდენ |
| 3. მუუნდეს | მუუნდენ |

**III სერია**

**I თურმ.**

| | |
|---|---|
| 1. მომდომებია | მოგვდომებია |
| 2. მოგდომებია | მოგდომებიან |
| 3. მონდომებია | მონდომებიან |

**II თურმ.**

| | |
|---|---|
| 1. მომდომებოდა | მოგვდომებოდა |
| 2. მოგდომებოდა | მოგდომებოდენ |
| 3. მონდომებოდეს | მონდომებოდენ |

**III კავშ.**

| | |
|---|---|
| 1. მომდომებოდეს | მოგვდომებოდეს//მომდომებოდეს |
| 2. მოგდომებოდეს | მოგდომებოდეს |
| 3. მონდომებოდეს | მონდომებოდეს |

**აწმყო**

| | |
|---|---|
| 1. მაქვა//მაქვან | გვაქვა// გვაქვან |
| 2. გაქვა | გაქვან |
| 3. აქვა | აქვან |

**უწყვეტელი**

| | |
|---|---|
| 1. მქონდა (მქონდენ) | გვქონდა |
| 2. ქქონდა | ქქონდენ |
| 3. ქონდა | ქონდენ |

**აწმყოს კავშირებითი**

| | |
|---|---|
| 1. მქონდეს | გვქონდეს |
| 2. გქონდეს | გქონდენ |

| | |
|---|---|
| 3. ქონდეს | ქონდონ |

**მყოფადი**

| | |
|---|---|
| 1. მექნება | გვექნებიან |
| 2. გექნება | გექნებიან |
| 3. ექნება | ექნებიან |

**ხოლმეობით- შედეგობითი**

| | |
|---|---|
| 1. მექნებოდა | გვექნებოდა |
| 2. გექნებოდა | გექნებოდნენ |
| 3. ექნებოდა | ექნებოდნენ |

**მყოფადის კავშირებითი**

| | |
|---|---|
| 1. მექნებოდეს | გვექნებოდეს |
| 2. გექნებოდეს | გექნებოდნენ |
| 3. ექნებოდეს | ექნებოდნენ |

**III სერია — I თურმეობითი**

| | |
|---|---|
| 1. მქონებია | გვქონებია |
| 2. ქქონია | ქქონებიან |
| 3. ქონია | ქონებიან |

**II თურმეობითი**

| | |
|---|---|
| 1. მქონოდა | მქონოდნენ |
| 2. ქქონოდა | ქქონოდნენ |
| 3. ქონოდა | ქონოდნენ |

**III კავშირებითი**

| | |
|---|---|
| 1. მქონოდეს | მქონოდნენ |
| 2. ქქონოდეს | ქქონოდნენ |
| 3. ქონოდეს | ქონოდნენ |

**I სერია — აწმყო**

| | |
|---|---|
| 1. ვიზდები | ვიზდებით |
| 2. იზდები | იზდებით |
| 3. იზდება | იზდებიან |

**უწყვეტელი**

| | |
|---|---|
| 1. ვიზდებოდი | ვიზდებოდით |
| 2. იზდებოდა | იზდებოდით |
| 3. იზდებოდა | იზდებოდნენ |

**აწმყოს კავშირებითი**

| | |
|---|---|
| 1. ვიზდებოდე | ვიზდებოდეთ |
| 2. იზდებოდე | იზდებოდეთ |
| 3. იზდებოდეს | იზდებოდნენ |

**ხოლმეობით-შედეგობითი**

| | |
|---|---|
| 1. გევზდებოდი | გევზდებოდი |
| 2. გეიზდებოდი | გეიზდებოდი |
| 3. გეიზდებოდა | გეიზდებოდნენ |

**მყოფადის კავშირებითი**

| | |
|---|---|
| 1. გევზდებოდე | გევზდებოდეთ |
| 2. გეიზდებოდე | გეიზდებოდეთ |
| 3. გეიზდებოდეს | გეიზდებოდნენ |

**II სერია — წყვეტილი**

| | |
|---|---|
| 1. გევზდი | გევზდით |
| 2. გეიზდი | გეიზდით |
| 3. გეიზდა | გეიზდნენ |

**II კავშირებითი**

| | |
|---|---|
| 1. გევზდე | გევზდეთ |
| 2. გეიზდი | გეიზდეთ |
| 3. გეიზდას | გეიზდან |

**III სერია — I თურმეობითი**

| | |
|---|---|
| 1. გავზდილვარ | გავზდილვართ |
| 2. გაზდილხარ | გაზდილხარ |
| 3. გაზდილა | გაზდილან |

**II თურმეობითი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | გავზდილიყავ | გავზდილიყავ |
| 2. | გაზდილიყავ | გაზდილიყავ |
| 3. | გაზდილიყო | გაზდილიყო |

**III კავშირებითი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | გავზდილიყო | გავზდილიყოთ |
| 2. | გაზდილიყო | გაზდილიყოთ |
| 3. | გაზდილიყოს | გაზდილიყონ |

**I სერია — აწმყო**

| | | |
|---|---|---|
| 1. | მივალ | მივალთ |
| 2. | მიხვალ | მიხვალთ |
| 3. | მივა | მივლიან |

**უწყვეტელი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | მივდოდი | მივდოდით |
| 2. | მიხვიდოდი | მიხვიდოდით |
| 3. | მივდოდა | მივდოდენ |

**აწმყოს კავშირებითი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | მივდოდე | მივდოდეთ |
| 2. | მიხვიდოდე | მიხვიდოდეთ |
| 3. | მივდოდეს | მივდოდენ |

აწმყოს აქვს მყოფადის გაგებაც; უწყვეტელს — ხოლმეობით-შედეგობითის, აწმყოს კავშირებითს — მყოფადის კავშირებითის.

**II სერია — წყვეტილი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | მიველ | მიველთ |
| 2. | მიხველ | მიხველთ |
| 3. | მივდა | მივდენ |

**II კავშირებითი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | მივდე | მივდოთ |

2. მიხვიდე მიხვიდოთ
3. მივდეს მივდონ

**III სერია — I თურმეობითი**

1. მივსულვარ მივსულვართ
2. მისულხარ მისულხართ
3. მისულა მისულან

**II თურმეობითი**

1. მივსულიყავ მივსულიყავთ
2. მისულიყავ მისულიყავთ
3. მისულიყო მისულიყონ

**III კავშირებითი**

1. მივსულიყო მივსულიყოთ
2. მისულიყო მისულიყოთ
3. მისულიყოს მისულიყონ

შემოკლებათა განმარტება

**ლივ**. — ლივანური მეტყველება — წიგნში შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი 1993.

**ნიგ.** — ეთერ ბერიძე, ნიგალი. ბათუმი. 2009;

**კლარჯ.** — მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კრებული VI. 2009, ბათუმი

**კრებული IX** — მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, იმერხეული ტექსტები. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. 2014. ბათუმი;

**კირნ. მარად.:** — აჭარული ტექსტები. ჩაწერილია მ. ცინცაძის მიერ 1951 წელს, ქესს VII. 1998, თბ.

**MAMIA PAGHAVA, NANA TSETSKHLADZE**

# Basic Declension and Conjugation Paradigms of the Klarjian Sub-Dialect of Georgian

Summary

The Klarjian sub-dialect of Georgian is spoken by the natives of historical Klatjeti, mainly in the lower basin of the River Chorokhi. Most parts of Klarjeti are now in Turkey, only three villages –Mirveti, Maradidi and Kirnati are on the territory of Georgia, viz. in Achara. Over 60 Klarjian villages are encountered in different parts of Turkey, their natives being the descendents of Klarj muhajirs who migrated after the 1877-1878 Russia-Turkey War. However, only part of the population speaks Georgian.

The paper presents the results of the field work carried out by the standing expedition (headed by Prof. Mamia Paghava) of the Kartvelological Centre at Shota Rustaveli Batumi State University. The aim of the field work was to state Declension and Conjugation Paradigms of Klarjian; since the Klarjian sub-dialect is understudied, the presented paradigms are of particular relevance for further linguistic investigation.

მამია ფაღავა, ნანა ცეცხლაძე

# ტაოური კილო. ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები

**ტაოური კილო** გავრცელებულია ისტორიულ ტაოში.

ტაო ისტორიულად ვრცელი ქვეყანა იყო, რომელიც ორად იყოფოდა: იმიერ ტაო და ამიერ ტაო. ტაოს ქვეყნის დიდი ნაწილი დღეს მეთურქულეა, ქართული ისმის მხოლოდ რამდენიმე სოფელში: **ჭილათი, ელიასხევი, ბალხი, ცუცეკარი, ქვაბაი კარი, ხევეკი**... (იხ. ფაღავა...2005). ისტორიულ ტაოს უნდა მიეკუთვნოს კიდევ ერთი მექართულე სოფელი **ბინათი**, რომელიც კლარჯეთისა და ტაოს საზღვარზე მდებარეობს (იხ. ფაღავა, 2015: 69-75). ქართულის კვალი ჩანს მეთურქულე ტაოშიც ქართული ტოპონიმიისა და ტაოელთა თურქულ მეტყველებაში დალექილი ქართული ლექსიკის სახით. მომავალში ტაოურის დახასიათებისას მისი გათვალისწინება აუცილებლად მიგვაჩნია.

გთავაზობთ ტაოურ კილოში ბრუნებისა და უღლების ძირითად პარადიგმებს. ვფიქრობთ, მასში კარგად იკვეთება ტაოურის, როგორც ქართული ენის ცალკე ქვესისტემის, თავისებურებანი და მისი განსხვავება სხვა სამხრული კილოებისაგან.

* * *

ტაოური კილო ყურადღებას იქცევს ფონეტიკური თავისებურებებით:

აქ გვხვდება როგორც მარცვლიანი, ისე უმარცვლო **უ**: ნუ მიძახი, შენი **თუალებისა!** (ტაო,172); **ჭკუები** რომ ერთი იქნება, თივებზეც, შეშებზეც დეიწოლება (ტაო, 172); ესენი **ჩუენია** (ტაო 166); შვიდობით, **ძალუან შეგუაყვარე** თავი (ტაო, 181); ქალი ძროხებ **აძუეფს** (ტაო 165); ამის ბაბომა **ბეური** ლექსი იცის (ტაო, 157); საქონელ **აძუეფს,** წველავს, ის არის (ტაო, 147).

ტაოურს ახასიათებს სიტყვაში ხმოვნის ჩართვა: **ქილიავი** არის **ყუთელი** (ტაო, 180); დიკი ფქვილიდამ **სიქელ** ცომ გაასუქებენ (ტაო,180);

**ვე** კომპლექსი ტაოურში **ო**-ს გვაძლევს: ღმერთ **ეხოწებიან**, კი აქო ნაწოლი გულისთუნ **ჩონი ხოწნები** გეიგონეო (ტაო,150); აქ **ქომოდამ** არიან (ტაო, 156); ღმერთ **ეხოწებიან**, ეიკრიფვიან, წევ-ლენ (ტაო, 147)...

**ვი** > **უ**:

უთქვიან იმ **ფაფაზისთუნ** ასე (ტაო, 146); **ასკერებითუნ**, პური **გამოცხობითუნ** ქერი და თივა-ჭუავი არ დავტიე (ჩვ. 170) (იხ. ფა-ღავა, 2002:66-74) უმლაუტი სამხრულ კილოებში. ბსუ მემედ აბაში-ძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული, 2, ბათუ-მი).

ასიმილაციის საფუძველზე ბგერის დავიწროება აქ ხშირია: ოთხი **მოზობელი** აქა ერთათ ვართ (ტ. 180); **აქოვრობაში** სუყველა ერმე-ნები ყოფილან (ტაო, 146).

**სახელთა ბრუნება**

ტაოურ კილოში ბრუნვის ნიშნების ხმარებისას დასტურდება შემდეგი თავისებურებანი:

თანხმოვანფუძიანი სახელების ბრუნებისას ჭარბობს **შეკუმშული ფორმები:** პარხალში **მანქნით** ავალთ (ტაო, 172); **პარხლის** წყალი აქეთკე მოვა (ტაო, 170); აქა იწურვის წყალი, **პარხლის წყალი** (ტაო, 171).

აქა-იქ უკუმშველი ფორმებიც დასტურდება: ჩუენ თამარ **დედო-ფალის** გურჯიჯა მაქვან (ტაო, 172); თამარ **დოდოფალის** ვსწერით? (ტაო,173).

მრავლობით რიცხვში უკუმშველი ფორმებია გავრცელებული: იქიდამ ჩომოვლენ **გელები** (ტაო, 171).

ნათესაობითსა და მიცემითში ბრუნვისნიშნისეული **ს** თანხმოვანი ხშირად დაკარგულია: მთებ ვხედავ, ძმი გული, ღელი წყალი, **თი თავში** ტბა არი (ტაო, 176).

**თანხმოვანფუძიანი ფუძეკუმშვადი**

| | **მხ. რ.** | **მრ. რ** |
|---|---|---|
| სახ. | დოდოფალ-ი | დოდოფალ-ებ-ი/ დოდოფლ-ებ-ი |
| მოთხ. | დოდოფალ-მა | დოდოფალ-ებ-მა / დოდოფლ-ებ-მა |
| მიც. | დოდოფალ (ს) | დოდოფალ-ებ (ს)/დოდოფლ-ებ (ს) |
| ნათ. | დოდოფალ-ის/დოდოფლ-ის | დოდოფალ-ებ -ის/დოდოფლ-ებ-ის |
| მოქმ. | დოდოფალ-ით/დოდოფლ-ით | დოდოფალ-ებ-ით/დოდოფლ-ებ-ით |
| ვით. | დოდოფალ-ათ/დოდოფლ-ათ | დოდოფალ-ებ-ათ/დოდოფლ-ებ-ათ |
| წოდ. | დოდოფალ-ო | დოდოფალ-ებ-ო/დოდოფლ-ებ-ო |

| | **მხ. რ.** | **მრ.რ** |
|---|---|---|
| სახ. | სოფელ-ი | სოფლ- ებ-ი |
| მოთხ. | სოფელ-მა | სოფლ- ებ-მა |
| მიც. | სოფელ (ს) | სოფლ-ებ (ს) |
| ნათ. | სოფლის | სოფლ- ებ-ის |
| მოქმ. | სოფლით | სოფლ- ებ-ით |
| ვით. | სოფლ-ათ | სოფლ- ებ-ათ |
| წოდ. | სოფელ-ო | სოფლ- ებ-ო |

**ფუძეუკუმშველი**:

| | **მხ. რ.** | **მრ.რ** |
|---|---|---|
| სახ. | წიგნ-ი | წიგნ-ებ-ი |
| მოთხ. | წიგნ-მა | წიგნ-ებ-მა |
| მიც. | წიგნ-(ს) | წიგნ-ებ-(ს) |
| ნათ. | წიგნ -ი(ს) | წიგნ-ებ-ი(ს) |
| მოქმ. | წიგნ-ით | წიგნ-ებ-ით |
| ვით. | წიგნ-ათ | წიგნ-ებ-ათ |
| წოდ. | წიგნ- ო | წიგნ-ებ- ო |

**ხმოვანფუძიანი სახელები**.

კვეცადი ე'ფუძიანი ზოგი სახელი ებ'იან მრავლობითში ორ ე'ს იჩენს: ქილისეები, ღელეები; ბევრია დისიმილირებული ფორმა: **თხი-ები, ქვიები, დედიები, ბახჩიები, ხოჯიები.**

ბევრი **ქილისეები** არი (ტაო, 181); ეს **ღელეები** ჭორუხ შუუ-ერთდება (ტაო, 178); სირთიდამ რომ გადახედავ, **ქვიებია** (ტაო,

173); ძველათ აქ მამის **დედიები** როგორ ჩამოიდენ (ტაო, 147); **ბახჩიებია** ამ თერეფში (ტაო, 147); ძველათ აქ მამის **დედიები** როგორ ჩამოიდენ (ტაო, 147).

ა-სა და ე-ზე დაბოლოებული სახელები უმეტესად უკვეცელია:

| | **მხ. რ.** | **მრ. რ.** |
|---|---|---|
| სახ. | ქვა | ქვი-ებ-ი |
| მოთხ. | ქვა-მ | ქვი-ებ-მა |
| მიც. | ქვა-ს | ქვი-ებ (ს) |
| ნათ. | ქვაჲს/ქვ-ი(ს) | ქვი-ებ-ი(ს) |
| მოქმ. | ქვაჲთ/ქვ-ითი | ქვი-ებ-ით |
| ვით. | ქვა-თ | ქვი-ებ-ათ |
| წოდ. | ქვა-ვ(ო) | ქვი-ებ-ო |

**კვეცადი (-ე'ფუძიანი)**

| | **მხ. რ.** | **მრ. რ** |
|---|---|---|
| სახ. | ღელე-ჲ | ღელიები/ღელეები |
| მოთხ. | ღელე-მ | ღელიებ-მა/ღელეებმა |
| მიც. | ღელე-(ს) | ღელი-ებ(ს)/ღელეებ (ს) |
| ნათ. | ღელე-ჲს/ღელ-ი(ს) | ღელი-ებ-ი(ს)/ღელე-ებ-ი(ს) |
| მოქმ. | ღელე-ჲთ/ღელ-ით | ღელიებ-ით/ღელეებ-ით |
| ვით. | ღელე-თ | ღელიებ-ათ/ღელეებ-ათ |
| წოდ. | ღელე-ვ | ღელიებ-ო/ღელეებ-ო |

**კვეცადი (-ა'ფუძიანი)**

| | **მხ.რ** | **მრ. რ.** |
|---|---|---|
| სახ. | ძმა-ჲ | ძმებ-ი |
| მოთხ. | ძმა -მ | ძმებ-მა |
| მიც. | ძმა-(ს) | ძმებ-(ს) |
| ნათ. | ძმ-ი(ს) | ძმებ-ი(ს) |
| მოქმ. | ძმ-ით | ძმებ-ებ-ით |
| ვით. | ძმა-თ | ძმებ-ებ-ათ |
| წოდ. | ძმა-ვ | ძმებ-ებ-ო |

**უკვეცელი (-ა'ფუძიანი)**

| | **მხ.რ** | **მრ. რ** |
|---|---|---|
| სახ. | ძია-ჲ | ძია-ებ-ი |
| მოთხ. | ძია-მ | ძია ებ-მა |

| | | |
|---|---|---|
| მიც. | ძია-(ს) | ძია-ებ-(ს) |
| ნათ. | ძია-ჲს/ძია-სი | ძია-ებ-ისა |
| მოქმ. | ძია-ჲთი | ძია-ებ-ით |
| ვით. | ძია-თ | ძია-ებ-ათ |
| წოდ. | ძია-ვ | ძია-ებ--ო |

**უკვეცელი (-ო'ფუძიანი)**

| | **მხ. რ.** | **მრ. რ.** |
|---|---|---|
| სახ. | დრო-ჲ | ღვინოჲ |
| მოთხ. | დრო-მ | ღვინო-მ |
| მიც. | დრო-(ს) | ღვინო-(ს) |
| ნათ. | დრო-ს | ღვინო-ჲს |
| მოქმ. | დრო-ჲთ | ღვინო-ჲთ |
| ვით. | დრო-თ | ღვინო-თ |
| წოდ. | დრო-ვ | ღვინო-ვ |

**უკვეცელი (-უ'ფუძიანი)**

| | **მხ. რ.** | **მრ. რ.** |
|---|---|---|
| სახ. | კუ-ჲ | კუ-ებ-ი |
| მოთხ. | კუ-მ | კუ-ებ-მა |
| მიც. | კუ-(ს) | კუ-ებ (ს) |
| ნათ. | კუ-ჲს/კუსი | კუ-ებ-ის |
| მოქმ. | კუ-ჲთ/კუთი | კუ-ებ-ით |
| ვით. | კუ-თ | კუ-ებ-ათ |
| წოდ. | კუ-ვ | კუ-ებ-ო |

**კუმშვად-კვეცადი სახელები**

| | **მხ. რ.** | **მრ. რ.** |
|---|---|---|
| სახ. | მანქანაჲ | მანქნ-ებ-ი |
| მოთხ. | მანქანა-მ | მანქნ-ებ-მა |
| მიც. | მანქანა-(ს) | მანქნ-ებ-სა |
| ნათ. | მანქნ-ი(ს) | მანქნ-ებ-ის |
| მოქმ. | მანქნ-ით | მანქნ-ებ-ით |
| ვით. | მანქნ--ათ | მანქნ-ებ-ათ |
| წოდ. | მანქანა-ვ | მანქნ-ებ-ო |

**საკუთარი სახელები**

**თანხმოვანფუძიანი**

| | |
|---|---|
| სახ. | კახაბერ-ი |
| მოთხ. | კახაბერ-მა |

მიც.   კახაბერ-(ს)
ნათ.   კახაბრ-ის/კახაბერ-ის
მოქმ. კახაბრ-ით/კახაბერ-ით
ვით.   კახაბრ-ათ/კახაბერ-ათ
წოდ. კახაბერ-ო
ხმოვანფუძიანი გეოგრაფიული სახელი უკვეცელია:
სახ.     აჭარა
მოთხ. აჭარა-მ
მიც.   აჭარა-ს
ნათ.   აჭარა-ჲს
მოქმ. აჭარა-ჲთ
ვით.   აჭარა-თ
წოდ. აჭარა-ვ

**ქობაჲდამ** უნდა წეხვიდე ხევქ (ტაო, 162); ჩვენი დედეები ყოფილან იშტე **აჭარაიდამ მოსული** (ტაო, 147); ჩვენი დედიები **აჭარაიდამ მოსულ არიან** (ტაო, 151). ჩვენი დედეები ყოფილან იშტე **აჭარაჲდან** მოსული (ტაო, 146).

**მსაზღვრელ-საზღვრული**

თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელის საზღვრულთან ერთად ბრუნებისას ტაოურში ვულგარული სახეობა გვაქვს. ხანდახან სახელობითი ბრუნვის ნიშანიცაა დაკარგული: შირანში ასკერობაჲ იჯება **ჩემ ბიჭი** ირანთან (ტაო, 165); **ჩემ ერთ არაბას** აქნა მეეცადნა (ტაო, 172); **ჩემ მამაჲს დედაჲ** იმსოჲ იქა ყოფილა (ტაო, 146); **მაღალ ხმითი** ილაპარიკებენ, იხვარათებენ (ტაო,175); **დიდვან კასრებით** წამოვღებთ ვოტკას (ტაო, 146); ოთხი **მარცუალ** გამეიღებენ (ტაო,181).

| | | |
|---|---|---|
| სახ. | ბეური ფულ-ი | ოთხი მარცუალ-ი |
| მოთხ. | ბეურ ფულ-მა | ოთხ მარცუალ-მა |
| მიც. | ბეური ფულ(ს) | ოთხი მარცუალ(ს) |
| ნათ. | ბეურ ფულ-ის | ოთხი მარცუალ-ის |
| მოქმ. | ბეურ ფულ-ით | ოთხ მარცუალ-ით |
| ვით. | ბეურ ფულ-ათ | ოთხ მარცუალ-ათ |
| წოდ. | ბეურო ფულ-ო | ოთხო მარცუალ-ო |

| | **მხ. რ** | **მრ. რ** |
|---|---|---|
| სახ. | ვიწრო გზა-ø | ვიწრო გზე-ებ-ი /გზი-ებ-ი |
| მოთხ. | ვიწრო გზა-მ | ვიწრო გზე-ებ-მა/ გზი-ებ-მა |
| მიც. | ვიწრო გზა-(ს) | ვიწრო გზე-ებ (ს)/ გზი-ებ (ს) |
| ნათ. | ვიწრო გზ-ი(ს) | ვიწრო გზე-ებ-ი(ს)/ გზი-ებ-ი(ს) |
| მოქმ. | ვიწრო გზ-ითი | ვიწრო გზე-ებ-ით/ გზი-ებ-ით |
| ვით. | ვიწრო გზა-თ | ვიწრო გზე-ებ-ათ/ გზი-ებ-ათ |
| წოდ. | ვიწრო გზა-ვ | ვიწრო გზე-ებ-ო/ გზი-ებ-ო |

| | **მხ. რ.** |
|---|---|
| სახ. | ერთი ძმა-ø |
| მოთხ. | ერთ ძმა-მ |
| მიც. | ერთ ძმა-(ს) |
| ნათ. | ერთ ძმა-ø(ს)/ძმ-ი(ს) |
| მოქმ. | ერთ ძმა-ø(თ)/ ძმ-ით(ი) |
| ვით. | ერთ ძმა-თ |
| წოდ. | ერთ-ო ძმა-ვ |

**მართული მსაზღვრელი**

| | | |
|---|---|---|
| სახ. | თი(ს) | წყალ-ი |
| მოთხ. | თი(ს) | წყალ-მა |
| მიც. | თი(ს) | წყალ (ს) |
| ნათ. | თი(ს) | წყალ-ის/წყლ-ის |
| მოქმ. | თი(ს) | წყალ-ით/წყლ-ით |
| ვით. | თი(ს) | წყალ-ათ/წყლ-ათ |
| წოდ. | თი(ს) | წყალ-ო |

## უღლება

**I სერია**

1. აწმყო — რას ვიჯები?
2. უწყვეტელი — რას ვიჯებოდი?
3. აწმყოსკავშირებითი — რას ვიჯებოდე?
4. მყოფადი — რას ვიზამ?
5. ხოლმეობით- შედეგობითი — რას ვიზამდი?
6. მყოფადისკავშირებითი — რას ვიზამდე?

**II სერია**

7. წყვეტილი — რა ვქენი?
8. II კავშირებითი — რა ვქნა?

**III სერია**

9. I თურმეობითი — რა მიქნია?

10. II თურმეობითი — რა მექნა?

11. III კავშირებითი — რა მექნას?

ზმნურ ფორმათა წარმოებისას ტაოურში გამოკვეთილია სუბიექ-ტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშანთა ხმარება, დას-ტურდება ჰაემეტი და სანნარევი ფორმები: ის ხალხი მოიკრიფებიან, გამუალთ აქა, **დავჰკლავთ, დავჰჭრით,** ადუღებენ, იმა **შევჰჭამთ** (ტაო, 147); გევდეთ და **დავჰკლათ** ყურბნები (ტაო, 151); იმ ცხოვ-რებ **დაჰკლვენ** (ტაო, 147); **დაჰკრიბავ**, მეიტან, ჰინძაში **ჩაჰყრი**, ფეხებით **შესდგები** (ტაო, 181); ქალები ზროხებ **მოსწველენ** ვინა-ხავთ (ტაო, 160); **დაჰკრეფენ, გაჰყიდიან** ეზრუმ (ჩვ. 181); ტაბანი **მოვჰკვეთო**, ვიტყვი (ჩვ. 181); თურქები მოდიან, ჩვენდა **დაგვჰკლან** (ტაო, 147); ჩუენ **დავჰცინით** იმათა (ჩვ. 173); კიდევ **დაჰწერე** (ჩვ. 171); ქალები ზროხებ **მოსწველენ** ვინახავთ (ტაო, 160); ყაიმაღში ყველ **ჩაჰყრი** (ჩვ. 180); **შეჰკმაზავ, შეჰდეფ** ფურუნში (ჩვ. 180); მე ერთი **მოვჰკალი** (ტაო, 163); მე ერთი **მოვჰკალი** (ტაო, 160); მერე **მოვჰკრეფავთ** კაცებ ბიჭის თერეფიდამ (ტაო,164);ზამთარ გათოვდე-ბა, ვაჭუმთ იმას (ტაო,164); იამთ გელი-მელი ვერ **მეეწევა, ვერ შე-სჭამს** (ჩვ. 175).

გვხვდება უნიშნო ფორმებიც: **ყავდა**, **ყოლია:** თხები **ყოლია** თა-ში (ჩვ. 176); ბეური ფულები **ქონებიან** (ტაო, 147).

წყვეტილში სუბიექტური მესამე პირის ნიშანი მრავლობით რი-ცხვში ძირითადად **ეს** -ია, რაც ძველი ქართულისებურია: ერმენებიც **ისხდეს, ხევენგში იჯდეს** (ჩვ.. 178); ყაზიაღი **ეიღებდეს, გედეიტან-დეს** ჯორით (ჩვ. 174); ქალებიც **იყვნესა, კაცებიც იყვნეს** (ჩვ. 175); ყაღაი არ **იყვეს,** ბუქი არა **იყვეს** (ტაო, 147).

ამავე მწკრივში მხოლობითი რიცხვის მესამე პირში დადასტურ-და **ა-ს ნაცვლად ო:** ჩუენ სოფელში ერთი ღარჭი **მოკდო** (ჩვ. 170).

მე- 2 კავშირებითშიც ო ხშირია: თქუენ შომოქხედე**,** არ **შეშინ-დონ-**მეთქი (ჩვ. 171); ღმერთმა მშვიდობა **მოქცოს** ყველასა (ჩვ.172); ღმერთმა მშვიდობა **მოქცოს** ყველასა (ჩვ. 172).

დასტურდება **ინკლუზივ-ექსკლუზივის** შემთხვევებიც: მათი ლა-პარიკი რომ არ **მეამებიან,** დავჰცინით იმათა (ჩვ.173); ჩუენი თავი

**მოქვწონან** (ჩვ.173); ისინიც ჩუენ **მეტყვიან** (ჩვ. 174); ბათუმის ხალხი ძალუან **მიყვარან** (ჩვ. 178); ჯარი **მაქვან** (ჩვ. 180); **მეზარე-ბიან** დათესვა ჩვენა (ჩვ.177); დედაჲც გურჯი **მყავდენ** და მამაჲც (ჩვ.178); ამხანაგები **მყვანდეს, მეტყოდეს** ...( ჩვ. 177).

ტაოურში წყვეტილში თავს იჩენს ძველი ქართულისათვის დამა-ხასიათებელი ე. წ. „პირდაპირი ობიექტის მრავლობითის" **-ენ** სუ-ფიქსი.

ზოვლი **დევეჩვიენით** ამასა (ჩვ. 170); **დეიღალენით?** (ტაო, 158); აქ **დევბადენით**, აქ **გევზარდენით** და კაი გუეჩვენება ჩვენი ადგილები (ტაო,150).

მეორე სერიაში დასტურდება ევ'იანი ზმნები: უთხრეს ფადი-შაჰსა, ეს ბერი **დევჭირევითო** (ჩვ. 175); ეგ გუდა თქვენ **ეიკიდევით** (ჩვ. 175); **დეინახევით**, ფენა კაი დასანახველია (ჩვ.172); ახლა **გა-ვაგდევით** (ტაო, 164); ადით სოფელში და **ჭამევით** (ჩვ. 181).

**ერთთემიანი ზმნები**

უღლება I სერია

**აწმყო**

| | **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|---|
| 1. | ვსწერავ | ვსწერავთ |
| 2. | სწერავ | სწერავთ |
| 3. | სწერავს | სწერავენ/სწერვენ |

**უწყვეტელი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვსწერვიდი | ვსწერვიდით |
| 2. | სწერვიდი | სწერვიდით |
| 3. | სწერვიდა | სწერვიდენ |

**აწმყოსკავშირებითი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვსწერვიდე | ვსწერვიდეთ |
| 2. | სწერვიდე | სწერვიდეთ |
| 3. | სწერვიდეს | სწერვიდენ |

**მყოფადი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | დავსწერავ | დავსწერავთ |
| 2. | დასწერავ | დასწერავთ |
| 3. | დასწერავს | დასწერავენ/დასწერვენ |

**ხოლმეობით-შედეგობითი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | დავსწერვიდი | დასვწერვიდით |
| 2. | დასწერვიდი | დასწერვიდით |

3. დასწერვიდა დასწერვიდენ

**მყოფადის კავშირებითი**

1. დავსწერვიდე დავსწერვიდეთ
2. დასწერვიდე დასწერვიდეთ
3. დასწერვიდეს დასწერვიდენ

**II სერია-წყვეტილი**

1. დავსწერევი დავსწერევით
2. დასწერევი დასწერევით
3. დასწერა დასწერეს

**II კავშირებითი**

1. დავსწერო დავსწეროთ
2. დასწერო დასწეროთ
3. დასწეროს დასწერონ

**III სერია**

**I თურმეობითი**

1. დიმიწერია დიმიწერიან/დიგვიწერია
2. დიგიწერია დიგიწერავენ
3. დუუწერია დუუწერავენ

**II თურმეობითი**

1. დემეწერა დემეწერა/დეგვეწერა
2. დეგეწერა დეგეწერენ
3. დეეწერა დეეწერენ

**III კავშირებითი**

1. დემეწეროს დემეწეროს/დეგვეწეროს
2. დეგეწეროს დეგეწერონ
3. დეეწეროს დეეწერონ

**I სერია**

**აწმყო**

1. ვსჭამ ვსჭამთ
2. სჭამ სჭამთ
3. სჭამს სჭამენ

**უწყვეტელი**

1. ვსჭამდი ვსჭამდით
2. სჭამდი სჭამდით
3. სჭამდა სჭამდენ

**აწმყოსკავშირებითი**

1. ვსჭამდე ვსჭამდეთ
2. სჭამდე სჭამდეთ
3. სჭამდეს სჭამდენ

**მყოფადი**

1. შევჭამ შესჭამთ
2. შესჭამ შესჭამთ
3. შესჭამს შესჭამენ

**ხოლმეობით-შედეგობითი**

1. შევსჭამდი შევსჭამდით
2. შესჭამდი შესჭამდით
3. შესჭამდა შესჭამდენ

**მყოფადისკავშირებითი**

1. შევსჭამდე შევსჭამდეთ
2. შესჭამდე შესჭამდეთ
3. შესჭამდა შესჭამდენ

**II სერია**

**წყვეტილი**

1. შევსჭამევი შევსჭამევით
2. შესჭამევი შესჭამევით
3. შესჭამა შესჭამეს

**II კავშირებითი**

1. შევსჭამო შევსჭამოთ
2. შესჭამო შესჭამოთ
3. შესჭამოს შესჭამონ

**III სერია**

**I თურმეობითი**

1. შიმიჭამია შიმიჭამიან/შიგვიჭამია
2. შიგიჭამია შიგიჭამიან
3. შუუჭამია შუუჭამიან

**II თურმეობითი**

4. შემეჭამა შემეჭამეს/შეგუეჭამა
5. შეგეჭამა შეგეჭამეს/ნ
6. შიეჭამა შიეჭამეს/ნ

**III კავშირებითი**

1. შემეჭამოს შემეჭამოს/შეგუეჭამოს

2. შეგეჭამოს შეგეჭამოს/ნ
3. შიეჭამოს შიეჭამოს/ნ

**I სერია -ი’თემისნიშნიანი (ყიდავს)**

**აწმყო**

1. ვყიდავ ვყიდავთ
2. ყიდავ ყიდავთ
3. ყიდავს ყიდვენ//ყიდავენ

**უწყვეტელი**

1. ვყიდავდი ვყიდავდით
2. ყიდავდი ყიდავდით
3. ყიდავდა ყიდავდენ

**აწმყოსკავშირებითი**

1. ვყიდავდე ვყიდავდეთ
2. ყიდავდე ყიდავდეთ
3. ყიდავდეს ყიდავდენ

**მყოფადი**

1. გავყიდავ გავყიდავ
2. გაყიდავ გაყიდავთ
3. გაყიდავს გაყიდავენ/ გაჰყიდვიან

ხევას აკეთებენ, გაახმობენ, **გაჰყიდვიან** (ჩვ. 180); ჰამა რა **ვყიდავ,** მოაკეთონ კარგა (ტაო, 154).

**ხოლმეობით-შედეგობითი**

1. გავყიდავდი გავყიდავდით
2. გაყიდავდი გაყიდავდით
3. გაყიდავდა გაყიდავდენ

**მყოფადისკავშირებითი**

1. გავყიდავდე გავყიდავდეთ
2. გაყიდავდე გაყიდავდეთ
3. გაყიდავდეს გაყიდავდენ

**II სერია**

**წყვეტილი**

1. გავყიდევი გავყიდევით
2. გაყიდევი გაყიდევით
3. გაყიდა გაყიდეს

**II კავშირებითი**

| | |
|---|---|
| 1. გავყიდო | გავყიდოთ |
| 2. გაყიდო | გაყიდოთ |
| 3. გაყიდოს | გაყიდონ |

**III სერია**

**I თურმეობითი**

| | |
|---|---|
| 1. გიმიყიდია | გიმიყიდიან/გიგვიყიდია |
| 2. გიგიყიდია | გიგიყიდიან |
| 3. გუუყიდია | გუუყიდიან |

**II თურმეობითი**

| | |
|---|---|
| 1. გემეყიდა | გემეყიდა/გეგვეყიდა |
| 2. გეგეყიდა | გეგეყიდენ |
| 3. გეეყიდა | გეეყიდენ |

**IIIკავშირებითი**

| | |
|---|---|
| 1. გემეყიდოს | გემეყიდოს/გეგუეყიდოს |
| 2. გეგეყიდოს | გეგეყიდონ |
| 3. გეეყიდოს | გეეყიდონ |

ავ'თემისნიშნიანი ზმნები თემისნიშნისეულ ხმოვანს მეტწილად იკვეცენ: საწურავში **გაწურვენ, შესჭამენ** (ჩვ. 180); ისინი **მუუკლავენ** (ტაო, 147); ქართულებ როგორ **უკითხვენ?** (ტაო, 65).

-ავ'თემისნიშნიანი ზმნებთან **ვკლევდი** ტიპის ფორმები იშვიათია, **ვიდ-მიდიანი** კი — ბევრია: ვერძ **დავკლიდით** (ტაო, 154); აქ ირანელები იყვნეს, უშექროს **სმიდეს** (ტაო, 154).

მეტად საინტერესოა ფორმები: **დავკაფიდით, დევმალოვდით:** ძველათ ნეკერ **დავკაფიდით,** ფურცელი დაკაფე, დაჯოხე (ტაო, 152); დღისი **ტყოვნარში დევმალოვდითო,** ღამი ჩამოვდოდით (ტაო, 147).

ზმნათა უმრავლესობაში ხშირად გვაქვს ამ თემა: ერბო **შევდღობამ,** ხაიწ **იქამ** (ჩვ. 177); სადღვებელიდამ **მოდღვებამ** (ჩვ. 180); ყაიმაღ **აადუღამ** (ჩვ. 180); ყაიმაღ **აადუღამ** (ჩვ. 179); **დასდგამ** ოჯაღზე, **ადუღამ** (ჩვ. 180).

**აწმყო**

| | **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|---|
| 1. | ვადუღამ | ვადუღამთ |
| 2. | ადუღამ | ადუღამთ |

3. ადუღამს ადუღამენ

**უწყვეტელი**

| | **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|---|
| 1. | ვადუღამდი | ვადუღამდით |
| 2. | ადუღამდი | ადუღამდით |
| 3. | ადუღამდა | ადუღამდეს |

**აწმყოს კავშირებითი**

| | **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|---|
| 1. | ვადუღამდე | ვადუღამდეთ |
| 2. | ადუღამდე | ადუღამდეთ |
| 3. | ადუღამდეს | ადუღამდეს |

**მყოფადი**

| | **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|---|
| 1. | ავადუღამ | ავადუღამთ |
| 2. | აადუღამ | აადუღამთ |
| 3. | აადუღამს | აადუღამენ |

**ხოლმეობით-შედეგობითი**

| | **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|---|
| 1. | ავადუღამდი | ავადუღამდით |
| 2. | აადუღამდი | აადუღამდით |
| 3. | აადუღამდა | აადუღამდენ |

**მყოფადის კავშირებითი**

| | **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|---|
| 1. | ავადუღამდე | ავადუღამდეთ |
| 2. | აადუღამდე | აადუღამდეთ |
| 3. | აადუღამდეს | აადუღამდენ |

**II სერია**

**წყვეტილი**

| | **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|---|
| 1. | ავადუღევი | ავადუღევით |
| 2. | აადუღევი | აადუღევით |
| 3. | აადუღა | აადუღეს |

**II კავშირებითი**

| | **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|---|
| 1. | ავადუღო | ავადუღოთ |
| 2. | აადუღო | აადუღოთ |

3. აადუღოს აადუღონ

**III სერია**

**I თურმეობითი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. იმიდუღებია | იმიდუღებიან/იგვიდუღებია |
| 2. იგიდუღებია | იგიდუღებიან |
| 3. უუდუღებია | უუდუღებიან |

**II თურმეობითი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. ემედუღებია | ემედუღებია/ ეგვედუღებია |
| 2. ეგედუღებია | ეგედუღებიეს/ნ |
| 3. ეედუღებია | ეედუღებიეს/ნ |

**III კავშირებითი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. ემედუღებიოს | ემედუღებიოს/ ეგვედუღებიოს |
| 2. ეგედუღებიოს | ეგედუღებიოს/ნ |
| 3. ეედუღებიოს | ეედუღებიოს/ნ |

ტაოურში **ავ** თემის ნიშანი დაერთვის ერთთემიან, **ი** თემისნიშნიან და ფუძედრეკად ზმნებსაც: იქ ბევრ **ვუიდავ,** მოაკეთონ კარგა (ტაო, 155); იმ კილდე თუ **გამოჭრავ,** მოქცემთ (ტაო, 147); არა **ვჭყიდავთა,** ეიდა დათვები ჭამენ (ტაო,164); ჩაირსა **ვკრიბავთ,** ძროხებ ვინახავთ (ტაო, 160).

**I სერია**

**აწმყო**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. ვკაფავ | ვკაფავთ |
| 2. კაფავ | კაფავთ |
| 3. კაფავს | კაფავენ/კაფვენ |

**უწყვეტელი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. ვკაფავდი/ვკაფიდი | ვკაფავდით/ ვკაფიდით |
| 2. კაფავდი/კაფიდი | კაფავდით/კაფიდით |
| 3. კაფვიდა/კაფიდა | კაფვიდენ/ კაფიდენ |

**აწმყოს კავშირებითი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. ვკაფდე | ვკაფდეთ |
| 2. კაფდე | კაფდეთ |

| | |
|---|---|
| 3. კაფდეს | კაფდენ |

**მყოფადი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. დავჰკაფავ | დავჰკაფავ-თ |
| 2. დაჰკაფავ | დაჰკაფავთ |
| 3. დაჰკაფავს | დაჰკაფავენ/დაჰკაფენ |

**ხოლმეობით-შედეგობითი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. დავჰკაფიდი | დავჰკაფიდით |
| 2. დაჰკაფიდი | დაჰკაფიდით |
| 3. დაჰკაფიდა | დაჰკაფიდენ |

**მყოფადის კავშირებითი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. დავჰკაფიდე | დავჰკაფიდეთ |
| 2. დაჰკაფიდე | დაჰკაფიდეთ |
| 3. დაჰკაფიდა | დაჰკაფიდენ |

**II სერია**

**წყვეტილი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. დავჰკაფე | დავჰკაფენით |
| 2. დაჰკაფე | დაჰკაფენით |
| 3. დაჰკაფა | დაჰკაფეს |

**II კავშირებითი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. დავჰკაფო | დავჰკაფოთ |
| 2. დაჰკაფო | დაჰკაფოთ |
| 3. დაჰკაფოს | დაჰკაფონ |

**III სერია**

**I თურმეობითი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. დიმიკაფია | დიმიკაფიან/დიგვიკაფიან |
| 2. დიგიკაფია | დიგიკაფიან |
| 3. დუუკაფია | დუუკაფიან |

**II თურმეობითი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. დემეკაფა | დემეკაფეს/ დეგვეკაფა |
| 2. დეგეკაფა | დეგეკაფეს/ნ |
| 3. დეეკაფა | დეეკაფეს/ნ |

**III კავშირებითი**

| | მხ.რ | მრ.რ |
|---|---|---|
| 1. | დემეკაფოს | დემეკაფოს/ დეგვეკაფოს |
| 2. | დეგეკაფოს | დეგეკაფოს/ნ |
| 3. | დეეკაფოს | დეეკაფოს/ნ |

**I სერია**

**აწმყო**

| | მხ.რ | მრ.რ |
|---|---|---|
| 1. | ვჰკონავ | ვჰკონავთ |
| 2. | ჰკონავ | ჰკონავთ |
| 3. | ჰკონავს | ჰკონავენ/ჰკონვენ |

**უწყვეტელი**

| | მხ.რ | მრ.რ |
|---|---|---|
| 1. | ვჰკონვიდი | ვჰკონვიდით |
| 2. | ჰკონვიდი | ჰკონვიდით |
| 3. | ჰკონვიდა | ჰკონვიდენ |

**აწმყოსკავშირებითი**

| | მხ.რ | მრ.რ |
|---|---|---|
| 1. | ვჰკონვიდე | ვჰკონვიდეთ |
| 2. | ჰკონვიდე | ჰკონვიდეთ |
| 3. | ჰკონვიდეს | ჰკონვიდენ |

**მყოფადი**

| | მხ.რ | მრ.რ |
|---|---|---|
| 1. | შევჰკონავ | შევჰკონავთ |
| 2. | შეჰკონავ | შეჰკონავთ |
| 3. | შეჰკონავს | შეჰკონავენ/შეჰკონვენ |

**ხოლმეობით-შედეგობითი**

| | მხ.რ | მრ.რ |
|---|---|---|
| 1. | შევჰკონვიდი | შევჰკონვიდით |
| 2. | შეჰკონვიდი | შეჰკონვიდით |
| 3. | შეჰკონვიდა | შეჰკონვიდენ |

**მყოფადის კავშირებითი**

| | მხ.რ | მრ.რ |
|---|---|---|
| 1. | შევჰკონვიდე | შევჰკონვიდეთ |
| 2. | შეჰკონვიდე | შეჰკონვიდეთ |
| 3. | შეჰკონვიდა | შეჰკონვიდენ |

**II სერია**

**წყვეტილი**

| | **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|---|
| 1. | შევჰკონევი | შევჰკონევთ |
| 2. | შეჰკონევი | შეჰკონევით |
| 3. | შეჰკონა | შეჰკონეს |

**II კავშირებითი**

| | **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|---|
| 1. | შევჰკონო | შევჰკონოთ |
| 2. | შეჰკონო | შეჰკონოთ |
| 3. | შეჰკონოს | შეჰკონონ |

**III სერია**

**I თურმეობითი**

| | **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|---|
| 1. | შიმიკონია | შიმიკონიან/ შიგვიკონია |
| 2. | შიგიკონია | შიგიკონავენ |
| 3. | შუუკონია | შუუკონავენ |

**II თურმეობითი**

| | **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|---|
| 1. | შემეკონა | შემეკონეს/შეგვეკონა |
| 2. | შეგეკონა | შეგეკონეს/ნ |
| 3. | შეეკონა | შეეკონეს/ნ |

**III კავშირებითი**

| | **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|---|
| 1. | შემეკონოს | შემეკონოს/ შეგვეკონოს |
| 2. | შეგეკონოს | შეგეკონოს//ნ |
| 3. | შიეკონოს | შიეკონოს/ნ |

**ავ'**თემისნიშნიანი ზოგი ზმნა **ი** თემის ნიშანს დაირთავს: **მოხნის, მოკლის, უკრის...**

**აწმყო**

| | **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|---|
| 1. | ვუკრი | ვუკრით |
| 2. | უკრი | უკრით |
| 3. | უკრის | უკრენ |

**უწყვეტელი**

| | **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|---|
| 1. | ვუკრიდი | ვუკრიდით |

2. უკრიდი უკრიდით

3. უკრიდა უკრიდეს

**აწმყოს კავშირებითი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. ვუკრიდე | ვუკრიდეთ |
| 2. უკრიდე | უკრიდეთ |
| 3. უკრიდეს | უკრიდენ |

**წყვეტილი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. დოუკარ | დოუკართ |
| 2. დოუკარ | დოუკართ |
| 3. დუუკრა | დუუკრეს |

**II კავშირებითი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. დოუკრა | დოუკრათ |
| 2. დოუკრა | დოუკრათ |
| 3. დუუკრას | დოუკრან |

**III სერია**

**I თურმეობითი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. დიმიკრია | დიმიკრიან/დიგვიკრია |
| 2. დიგიკრია | დიგიკრავენ |
| 3. დუუკრია | დუუკრავენ |

**II თურმეობითი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. დემეკრა | დემეკრეს/დეგვეკრა |
| 2. დეგეკრა | დეგეკრეს/ნ |
| 3. დეეკრას | დეეკრეს/ნ |

**III კავშირებითი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. დემეკრას | დემეკრას/დეგვეკრას |
| 2. დეგეკრას | დეგეკრას/ნ |
| 3. დეეკრას | დეეკრან |

მაწვნი დედას ორი კოვზით იმაში **ურთებ** (ჩვ. 179); მარილ **ურთებენ** (ჩვ. 180)...

**I სერია**

**აწმყო**

| | მხ.რ | მრ.რ |
|---|---|---|
| 1. | ვასხამ | ვასხამთ |
| 2. | ასხამ | ასხამთ |
| 3. | ასხამს | ასხამენ/ასხმენ |

**უწყვეტელი**

| | მხ.რ | მრ.რ |
|---|---|---|
| 1. | ვასხმიდი | ვასხმიდით |
| 2. | ასხმიდი | ასხმიდით |
| 3. | ასხმიდა | ასხმიდეს |

**აწმყოს კავშირებითი**

| | მხ.რ | მრ.რ |
|---|---|---|
| 1. | ვასხმიდე | ვასხმიდეთ |
| 2. | ასხმიდე | ასხმიდეთ |
| 3. | ასხმიდეს | ასხმიდენ |

**მყოფადი**

| | მხ.რ | მრ.რ |
|---|---|---|
| 1. | დავასხამ | დავასხამთ |
| 2. | დაასხამ | დაასხამთ |
| 3. | დაასხამს | დაასხამენ/დაასხმენ |

**ხოლმეობით-შედეგობითი**

| | მხ.რ | მრ.რ |
|---|---|---|
| 1. | დავასხმიდი | დავასხმიდით |
| 2. | დაასხმიდი | დაასხმიდით |
| 3. | დაასხმიდა | დაასხმიდენ |

**მყოფადის კავშირებითი**

| | მხ.რ | მრ.რ |
|---|---|---|
| 1. | დავასხმიდე | დავასხმიდეთ |
| 2. | დაასხმიდე | დაასხმიდეთ |
| 3. | დაასხმიდეს | დაასხმიდენ |

ვერძ **დავკლიდით** (ტაო, 154); იმის ქომოთკე ფეხდაფეხ წევდოდით, ცხენიდამ **ჩამომსმიდა** (ჩვ. 173); **ჩევცმიდე** ყაზჲაღსა, არ შემცივა (ჩვ.177).

**II სერია**

**წყვეტილი**

| | მხ.რ | მრ.რ |
|---|---|---|
| 1. | დავასხი | დავასხით |

2. დაასხი დაასხით

3. დაასხა დაასხეს

**II კავშირებითი**

**მხ.რ მრ.რ**

1. დავასხა დავასხათ

2. დაასხა დაასხათ

3. დაასხას დაასხან

**III სერია**

**I თურმეობითი**

**მხ.რ მრ.რ**

1. დიმისხმია დიმისხმან/დიგვისხმან

2. დიგისხმია დიგისხმან

3. დუუსხმია დუუსხმან

**II თურმეობითი**

**მხ.რ მრ.რ**

1. დემესხა დემესხეს/დეგვესხა

2. დეგესხა დეგესხეს/ნ

3. დეესხას დეესხეს/ნ

**III კავშირებითი**

**მხ.რ მრ.რ**

1. დემესხას დემესხას/დეგვესხას

2. დეგესხას დეგესხას/ნ

3. დეესხას დეესხას/ნ

**აწმყო**

**მხ.რ მრ.რ**

1. ვსუამ ვსუამთ

2. სუამ სუამთ

3. სუამს სუამენ

**უწყვეტელი**

**მხ.რ მრ.რ**

1. ვსვუამდი/ვსმიდი ვსუამდით/ვსმიდით

2. სუამდი/სმიდი სუამდით/სმიდით

3. სუამდა/ სმიდი სუამდეს/სმიდეს

**აწმყოს კავშირებითი**

**მხ.რ მრ.რ**

1. ვსუამდე/ ვსმიდე ვსუამდეთ/ვსმიდეთ

2. სუამდე/სმიდე სუამდეთ/სმიდეთ

3. სუამდეს/სმიდეს სუამდენ/სმიდენ

**მყოფადი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. შევსუამ | შევსუამთ |
| 2. შესუამ | შესუამთ |
| 3. შესუამს | შესმენ |

**ხოლმეობით- შედეგობითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. შევსუამდი/შევსმიდი | შევსუამდით/შევსმიდით |
| 2. შესუამდი/ შესმიდი | შესუამდით/შესმიდით |
| 3. შესუამდა/შესმიდა | შესუამდენ/შესმიდენ |

**მყოფადის კავშირებითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. შევსუამდე/შევსმიდე | შევსუამდეთ/შევსმიდეთ |
| 2. შესუამდე/შესმიდე | შესუამდეთ/შესმიდეთ |
| 3. შესუამდეს/შესმიდეს | შესუამდენ/შესმიდენ |

**II სერია**

**წყვეტილი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. შევსუი | შევსუით |
| 2. შესუი | შესუით |
| 3. შესუა | შესუეს |

**II კავშირებითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. შევსუა | შევსუათ |
| 2. შესუა | შესუათ |
| 3. შესუას | შესუან |

**III სერია**

**I თურმეობითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. შიმისმია | შიმისმიან/შიგვისმიან |
| 2. შიგისმია | შიგისმიან |
| 3. შუუსმია | შუუსმიან |

**II თურმეობითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. შემესუა | შემესუეს/ შეგვესუა |
| 2. შეგესუა | შეგესუა/ნ |

| | |
|---|---|
| 3. შეესუას | შეესუა/ნ |

**III კავშირებითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. შემესუას | შემესუას/შეგვესუას |
| 2. შეგესუას | შეგესუას/ნ |
| 3. შეესუას | შეესუას/ნ |

**აწმყო**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. ვდგები | ვდგებით |
| 2. დგები | დგებით |
| 3. დგება | დგებიან |

**მყოფადი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. ავდგები | ავდგებით |
| 2. ადგები | ადგებით |
| 3. ადგება | ადგებიან |

**უწყვეტელი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. ვდგებოდი | ვდგებოდით |
| 2. დგებოდი | დგებოდით |
| 3. დგებოდა | დგებოდეს |

**აწმყოს კავშირებითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. ვდგებოდე | ვდგებოდეთ |
| 2. დგებოდე | დგებოდეთ |
| 3. დგებოდეს | დგებოდნენ |

**II სერია**

**წყვეტილი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. ავდექ | ავდექით |
| 2. ადექ | ადექით |
| 3. ადგა | ადგეს |

**II კავშირებითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. ავდგე | ავდგეთ |
| 2. ადგე | ადგეთ |
| 3. ადგეს | ადგენ |

**I თურმეობითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. ავმდგარვარ | ავმდგარვართ |
| 2. ამდგარხარ | ამდგარხართ |
| 3. ამდგარა | ამდგარან |

**II თურმეობითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. ავმდგარვიყავ | ავმდგარვიყავთ |
| 2. ამდგარიყავ | ამდგარიყავთ |
| 3. ამდგარიყო | ამდგარიყვენ |

**III კავშირებითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. ავმდგარვიყო | ავმდგარვიყოთ |
| 2. ამდგარიყო | ამდგარიყოთ |
| 3. ამდგარიყოს | ამდგარიყონ |

**აწმყო**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. მინდა | მინდანან/გვინდანან |
| 2. გინდა | გინდანან |
| 3. უნდა | უნდანან |

**უწყვეტელი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. მინდოდა | მინდოდენ/გვინდოდა |
| 2. გინდოდა | გინდოდენ |
| 3. უნდოდა | უნდოდეს |

**აწმყოს კავშირებითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. მინდოდეს | მინდოდეს/ გვინდოდეს |
| 2. გინდოდეს | გინდოდენ |
| 3. უნდოდეს | უნდოდენ |

**მყოფადი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. მამინდება | მამინდებიან/მაგვინდება |
| 2. მაგინდება | მაგინდებიან |
| 3. მუუნდება | მუუნდებიან |

**ხოლმეობით-შედეგობითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. მამინდებოდა | მამინდებოდენ/მაგვინდებოდენ |

2. მაგინდებოდა მაგინდებოდენ

3. მუუნდებოდა მუუნდებოდენ

**მყოფადისკავშირებითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. მამინდებოდეს | მამიმდებოდეს/მაგვინდებოდეს |
| 2. მაგინდებოდეს | მაგინდებოდენ |
| 3. მუუნდებოდეს | მუუნდებოდენ |

**II სერია**

**წყვეტილი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. მამინდა | მამინდა/მაგვინდა |
| 2. მაგინდა | მაგინდენ |
| 3. მუუნდა | მუუნდეს |

**II კავშირებითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. მამინდეს | მამინდეს/მაგვინდეს |
| 2. მაგინდეს | მაგინდენ |
| 3. მუუნდეს | მუუნდენ |

**I თურმეობითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. მამდომებია | მამდომებია/მაგვდომებია |
| 2. მაგდომებია | მაგდომებიან |
| 3. მანდომებია | მანდომებიან |

**II თურმეობითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. მამდომებოდა | მამდომებოდა/მაგვდომებოდა |
| 2. მაგდომებოდა | მაგდომებოდა/ენ |
| 3. მანდომებოდა | მანდომებოდა/ენ |

**III კავშირებითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. მამდომებოდეს | მამდომებოდეს/მაგვდომებოდეს |
| 2. მაგდომებოდეს | მაგდომებოდეს |
| 3. მანდომებოდეს | მანდომებოდენ |

**აწმყო**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. მაქ | მაქვან/გვაქვან |

2. გაქ          გაქვან
3. აქ          აქვან

**უწყვეტელი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. მქონდა | (მქონდენ) გვქონდა |
| 2. გქონდა | გქონდენ |
| 3. (ჰ)ქონდა | (ჰ)ქონდენ |

**აწმყოს კავშირებითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. მქონდეს | მქონდეს/ გვქონდეს |
| 2. გქონდეს | გქონდენ |
| 3. ჰქონდეს | (ჰ)ქონდენ |

**მყოფადი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. მექნება | მექნება/გვექნება |
| 2. გექნება | გექნებიან |
| 3. ექნება | ექნებიან |

**ხოლმეობით-შედეგობითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. მექნებოდა | გვექნებოდა |
| 2. გექნებოდა | გექნებოდენ |
| 3. ექნებოდა | ექნებოდენ |

**მყოფადის კავშირებითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. მექნებოდეს | გვექნებოდეს |
| 2. გექნებოდეს | გექნებოდენ |
| 3. ექნებოდეს | ექნებოდენ |

**III სერია**

**I თურმეობითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. მქონებია | მქონებია/ გვქონებია |
| 2. ქქონებია | ქქონებიან |
| 3. (ჰ)ქონებია | ჰქონებიან |

**II თურმეობითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. მქონებოდა | მქონოდა/ გვქონოდა |

2. ქქონებოდა ქქონოდენ
3. (ჰ)ქონებოდა (ჰ)ქონოდენ

**III კავშირებითი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. მქონებოდეს | მქონებოდენ/გვქონებოდენ |
| 2. ქქონებოდეს | ქქონებოდენ |
| 3. (ჰ)ქონებოდეს | (ჰ)ქონებოდენ |

**I სერია**

**აწმყო**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. ვიარები | ვიარებით |
| 2. იარები | იარებით |
| 3. იარება | იარებიან |

**უწყვეტელი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. ვიარებოდი | ვიარებოდით |
| 2. იარებოდი | იარებოდით |
| 3. იარებოდა | იარებოდეს |

**აწმყოს კავშირებითი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. ვიარებოდე | ვიარებოდეთ |
| 2. იარებოდე | იარებოდეთ |
| 3. იარებოდეს | იარებოდენ |

**მყოფადი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. გევვარ | გევიართ |
| 2. გეჲარ | გეჲართ |
| 3. გეჲარს | გეჲარებენ |

**ხოლმეობით- შედეგობითი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. გევიარდი | გევიარდით |
| 2. გეჲარდი | გეჲარდით |
| 3. გეჲარდა | გეჲარდენ |

**მყოფადის კავშირებითი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. გევიარდე | გევიარდეთ |

2. გედარდე გედარდეთ
3. გედარდეს გედარდენ

**II სერია**
**წყვეტილი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. გევვარე | გევვარეთ |
| 2. გედარე | გედარეთ |
| 3. გედარა | გედარეს |

**II კავშირებითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. გევვარო | გევვაროთ |
| 2. გედარო | გედაროთ |
| 3. გედაროს | გედარონ |

გაანი გვინდა, **გევვაროთ** (ტაო, 161); თოვლი **მოიდეს**, მოვლენ (ტაო, 160); აქ **გევვაროთ** (ტაო, 154); გენჯობაჩი **ვიარებოდით** (ტაო,164)...

**III სერია**
**I თურმეობითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. გიმივლია | გიმივლიან/გიგვივლია |
| 2. გიგივლია | გიგივლიან |
| **3.** გუუვლია | გუუვლიან |

**II თურმეობითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. გემევლო | გემევლეს/გეგვევლო |
| 2. გეგევლო | გეგევლეს/ნ |
| 3. გეევლო | გეევლეს/ნ |

**III კავშირებითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. გემევლოს | გემევლოს/გეგვევლოს |
| 2. გეგევლოს | გეგევლონ |
| 3. გეევლოს | გეევლონ |

**უღლება**

**I სერია**

**აწმყო**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. მივალ | მივალთ |
| 2. მიხვალ | მიხვალთ |
| 3. მიდის | მიდიან |

**უწყვეტელი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. მივდოდი | მივდოდით |
| 2. მიხვიდოდი | მიხვიდოდით |
| 3. მივდოდა | მივდოდეს |

**აწმყოს კავშირებითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. მივდოდე | მივდოდეთ |
| 2. მიხვიდოდე | მიხვიდოდეთ |
| 3. მივდოდეს | მივდოდენ |

**მყოფადი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. წომოვალ | წომოვალთ |
| 2. წომოხვალ | წომოხვალთ |
| 3. წომოვა | წომოვლიან |

**ხოლმეობით-შედეგობითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. წომოვდოდი | წომოვდოდით |
| 2. წომოხვიდოდი | წომოხვიდოდით |
| 3. წომოვდოდა | წომოვდოდენ |

**მყოფადის კავშირებითი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. წომოვდოდე | წომოვდოდეთ |
| 2. წომოხვიდოდე | წომოხვიდოდეთ |
| 3. წომოვდოდეს | წომოვდოდენ |

**II სერია**

**წყვეტილი**

| მხ.რ | მრ.რ |
|---|---|
| 1. წომოველ | წომოველთ |
| 2. წომოხველ | წომოხველთ |
| 3. წომოიდა | წომოინეს |

ტაოელები თავად აღნიშნავენ: — **გომოინეს** ჩვენ ვიტყვით, მურღულელები იტყვიან, **გამოიდნენო** (ჩვ. 173).

**II კავშირებითი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. წომოვდე | წომოვდეთ |
| 2. წომოხვიდე | წომოხვიდეთ |
| 3. წომოიდეს | წომოიდენ |

**III სერია**

**I თურმეობითი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. წომოვსულვარ | წომოვსულვართ |
| 2. წომოსულხარ | წომოსულხართ |
| 3. წომოსულა | წომოსულან |

**II თურმეობითი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. წომოვსულიყავ | წომოვსულიყავთ |
| 2. წომოსულიყავ | წომოსულიყავთ |
| 2. წომოსულიყო | წომოსულიყვენ |

**III კავშირებითი**

| **მხ.რ** | **მრ.რ** |
|---|---|
| 1. წომოვსულიყო | წომოვსულიყოთ |
| 2. წომოსულიყო | წომოსულიყოთ |
| 3. წომოსულიყოს | წომოსულიყონ |

ტაოურში თვალში საცემია ზმნისწინთა თავისებურებანი:

**ჩა** ზმნისწინი > **ჩო'ს, წა**>**წო'ს, და**>**დო'ს, გა** > **გო/გე** ვარიანტებს **და ა.შ.** ოქრო ქონებიან, ვერ **წოუღიან,ჩოუფლიან** მიწაში, **დოუმალავან** (ჩვ. 171); **გოუდენიან** ერმენები აქედამა (ჩვ. 171); მემრე **შოუტოლეფ** მიორე ჭაღებსაც (ჩვ. 180); **შოუტოლებ** მიორე ჭაღებსაც (ჩვ. 181); ბექმეზი თუთიდამ **გომოა** (ჩვ. 180); ცერცვ და ქერ **გოურევენ,გომოფქვენ** წისქვილში (ჩვ. 180). აღარ **გეგიშვებენ,** სტუმარი იქნებით (ჩვ. 173).

**შემო** ზმნისწინი გვაძლევს **შომო-ს: შომოტყორცნა,** თან მაადარა (ჩვ. 175).

ზმნისწინისეული ა ხმოვნის დავიწროება კარგად ჩანს რთულ ზმნისწინებში: ეიგერ **გომოჩნდა** მახათეთი სოფელი (ჩვ. 171); აქიდამ **ჩომოვდენ** სოფელი კუპრეთი (ჩვ. 171); წყალი **ჩომოდიოდა**

აქედამ (ჩვ. 172); ჩუენა ამ სოფლიდამ **გომოსულნი** ვართ (ჩვ. 171); ეს ქარაფი არ **ჩომოწვეს** ჩვენზედ (ჩვ. 172); არაბაის ყაიშსა **გომოჭირება** უნდა, **გომოჭირება** (ჩვ. 172); რით **გომოთხარეს**, არავინ იცის (ჩვ. 176); იქედამ წყალი **წომოა,** ჭოროხაქეთ **ჩომოა** (ჩვ. 173); გზევნარი ასე მომშლილი მგონებოდა, არ **წომოვდოდი** (ჩვ. 172); მე იქ ვერ **წომოვალ** (ჩვ. 171);გახსნავ ლავაშებ, საჯზე **გომოაცხობ** (ჩვ. 180); წეილეფ, **გომოფქვევ** წისქვილში (ჩვ. 180); **გომოცხვება,** აადუღ შერბეთ, მოსიქლო შერბეთ დაასხამ (ჩვ. 180); დაჰდვამ ცეცხლზე, აადუღეფ, **გომოა** ტკბილი(ჩვ. 180).

დასტურდება აღმოსავლური დიალექტებისთვის დამახასიათებელი ზმნისწინებიც: კაკალა **მააყრიან**, ერბოს **მაასხამენ**, იქნება ქადა (ჩვ. 180); კაი იქნება, გურჯის იაზ **შაასწავლებდით ბაღვებსა** (ჩვ. 179); მაწონ **შააყენებ,** ნაწველ **აადუღამ,** მუურევ ერბოში (ჩვ. 179); ბევრი ქი **შააყენებ, შედღობავ** (ჩვ. 180); შიგან ჩადებენ, ერბოს **მაასხამენ,** იქნება ქადა (ჩვ. 180); აადუღ შერბეთ, მოსიქლო შერბეთ **მაასხამ** (ჩვ. 180)

ვნებითი გვარის ზმნათა დაბოლოება **არქაულია:** დაო, ახლაც ხომ არ **გეშინის?** (ჩვ.170); აყირო **მეიხარშვის** ...(ტაო 166). ამგავრ ზმნათა თურმეობითი მიმღეობისგანაა ნაწარმოები: საფლავიც იქიდამ მოდის, იქიდამ **დამჩალა** (ჩვ. 177).

ამ და სხვა თავისებურებებებით ტაოური კილო მკვეთრად განსხვავდება სამხრულის სხვა კილოებისგან.

### გამოყენებული ლიტერატურა და შემოკლებათა განმარტებანი


**ჩვ.: ტაოს ქართულის ნიმუშები** — შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი 1993;

**ტაო:** მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, ელგუჯა მაკარაძე, რეზო დიასამიძე, ლილე თანდილავა, — ტაოური მეტყველების ნიმუშები — საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი კრებული IV ბათუმი, 2005.

**ფაღავა, 2002** — მამია ფაღავა, უმლაუტი სამხრულ კილოებში. ბსუ მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიეროჲკვლევითი ცენტრი, კრებული, 2, ბათუმი.

**ფაღავა, 2015(1)** — მამია ფაღავა, ქართული ენისა და კულტურის კუნძულები მეთურქული კლარჯეთში. იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, მასალები, გორი.

**MAMIA PAGHAVA, NANA TSETSKHLADZE**

## Basic Declension and Conjugation Paradigms of the Tao Sub-Dialect of Georgian

Summary

In historical Georgia Tao region (now in Turkey) was divided into two parts-Amier Tao and Imier Tao. Nowadays the most part of Tao region is Turkish speaking. Georgian is encountered only in a few villages; however, certain lexical traces of Georgian are evidenced even in the speech of the Turkish speaking population. The paper argues that the given fact should be taken into consideration when examining the Tao sub-dialect. The paper presents basic declension and conjugation paradigms of the sub-dialect in question. In the data presented specific peculiarities that make the Tao sub-dialect so different from the rest of the southern sub-dialects are well-revealed.

მანანა ლამბაშიძე

# ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრების სემანტიკური და პრაგმატულ-კომუნიკაციური ასპექტები გერმანულ და ქართულ ენებში

როგორც გერმანულ, ისე ქართულ ენაში ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება, სხვადასხვა დონეზე ნაკლებად არის შესწავლილი. ამავე დროს ზედსართავი სახელი არსებით სახელსა და ზმნასთან ერთად მიეკუთვნება ენის ლექსიკის ძირითად ბირთვს, რომლის შესწავლის მნიშვნელობაც, სხვადასხვა დონეზე — სემანტიკურ, სინტაქსურ, პრაგმატულ-კომუნიკაციურ დონეზე, ეჭვს არ იწვევს. სტატიაში ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება განხილულია ორ დონეზე: შინაგან სემანტიკურ და პრაგმატულ-კომუნიკაციურ დონეზე გერმანულ და ქართულ ენებში შეპირისპირებითი კვლევის საფუძველზე, რაც პასუხს სცემს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კითხვას, რატომ რეალიზდება ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება მხატვრულ ნაწარმოებებში ძალიან მცირე რაოდენობით, მაშინ როდესაც ზედსართავი სახელით გამოხატული არაგანკერძოებული განსაზღვრება მხატვრულ ნაწარმოებებში ძალიან დიდი რაოდენობით მოიპოვება?

კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობისა და ცნების ლოგიკური კატეგორიის ურთიერთმიმართება, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

ლექსიკური მნიშვნელობისა და ცნების თანაფარდობა სხვადასხვა მიმართებაში განსხვავებულია.

„ლექსიკური მნიშვნელობები წარმოადგენს საგნობრივ (დენოტატურ) და შეფასებით (კონოტაციურ) ენობრივ ცოდნას, რომლებზეც დაყრდნობით ენის მომხმარებლები კომუნიცირებენ და მოქმედებენ" (დუდენი, 1998, 585).

„სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა არის ენობრივ ფორმას, ნიშანს ან ჟესტს დაქვემდებარებული შინაარსი“ (კემპკი, 2000, 109).

„ცნება არის ადამიანის უნარი, საგნების შესახებ წარმოდგენები შეიქმნას“ (პაული, 2002, 146).

ლექსიკურ მნიშვნელობასა და ცნებას რთული სტრუქტურა აქვს. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის სტრუქტურა განისაზღვრება სიტყვის, როგორც ნიშნის ზოგადი თვისებებით — მისი სემანტიკით, სინტაქტიკით, პრაგმატიკით. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის სემანტიკური ასპექტი დაკავშირებულია მის შინაგან ფორმასთან, ანუ სიტყვის მორფემის შემადგენელ სემანტიკურ და სტრუქტურულ ნიშანთან, რომელიც წარმოადგენს ნომინაციის საფუძველს. სიტყვის სინტაქსური ასპექტი (მიმართება სიტყვებს შორის) განისაზღვრება სინტაგმატიკურად — მისი კავშირებით შესიტყვებებში და წინადადებებში სხვა ენობრივი ერთეულების მნიშვნელობებთან და პარადიგმატურად — მისი პოზიციით სინონიმური რიგის შიგნით. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის პრაგმატული ასპექტი მოიცავს ექსპრესიულ-ემოციურ შეფასებასა და მრავალფეროვან კონოტაციას.

ცნებისა და მისი შესაბამისი ზოგადი სახელის თანაფარდობის საფუძველზე ვლინდება ცნების (მნიშვნელობის ცნებითი ნაწილის, სიტყვის აზრის) რთული სტრუქტურა. კონცეპტუალური ანალიზის საფუძველზე, რომელიც ემყარება კონცეპტუალური ველის, მოცემული ცნებითი სფეროს ანალიზს, ცნების სტრუქტურაში ძირითად ცნებით კომპონენტებად გამოიყოფა:

1. სიგნიფიკატი (ლათ. signifikatum) — ენობრივი ნიშნის ცნებითი შინაარსი. იგი არის საგნის ან მოვლენის იმ ნიშანთა ერთობლიობა, რომლებიც არიან არსებითი მოცმული სიტყვით საგნებისა და მოვლენების სწორი დასახელებისათვის მოცემული ენის სისტემაში. სიგნიფიკატი ცნების ყველაზე სტრუქტურირებული ნაწილია და განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, მოცემული სიტყვის ადგილით ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემაში, ლექსიკურ-სემანტიკურ ველში, ოპოზიციის სისტემაში, სინონიმებში, ანტონიმებში, კონვერსიებში, პერიფრაზებში.

2. ინტენსიონალი — ცნების სწორი განსაზღვრა, რომელიც დაკავშირებულია საგნის ან მოვლენის „არსის“, „რაობის“ კატეგორიას-

თან. სიგნიფიკატი და ინტენსიონალი ახლოს არიან ერთმანეთთან, მაგრამ სიგნიფიკატის ნიშანთა ერთობლიობა და ინტენსიონალი შეიძლება მთლიანად არ დაემთხვეს ერთმანეთს, რადგან ნიშნებმა, რომლებიც გამოიყენება საგანთა და მოვლენათა სწორი დასახელებისათვის, შეიძლება ვერ ამოწუროს მათი რაობა. მაგალითად, სიტყვა „სოკო“ განისაზღვრება: 1. მცენარე, რომელიც არ წარმოქმნის ყვავილსა და თესლს, შედგება ღეროზე მოთავსებული ხორციანი ქუდისაგან (სიგნიფიკატი). 2. უმდაბლესი სპორული მცენარე, ქლოროფილის გარეშე, რომელიც არ წარმოქნის ყვავილსა და თესლს, შედგება სხვადასხვა ფორმის ხორციანი ტანისაგან (ინტენსიონალი).

სიგნიფიკატი და ინტენსიონალი ერთმანეთის მიმართ არიან განსაზღვრულ ისტორიულ, დიაქრონულ მიმართებაში. ნიშანი, რომელიც საფუძვლად უდევს სიგნიფიკატს, როგორც წესი, წარმოადგენს დასახელების შემთხვევით შედეგს. ინტენსიონალი დასაწყისში იქმნება სიგნიფიკატის საფუძველზე, მაგრამ თანდათანობით მოცემული სინქრონული პერიოდისთვის შემთხვევითი ნიშნები სცილდება და ისინი იცვლება ახლით. ინტენსიონალში ყოველთვის ძალიან ღრმად აისახება სიტყვის „მიზეზობრივი ისტორია“.

3. დენოტატი (ლათ. denotatum) — ყველა რეალურ, არსებულ საგანთა კლასი, რომელთა მიმართ სიტყვა სწორად არის გამოყენებული (დასახელებისათვის) მოცემული ენის სისტემაში. სიგნიფიკატს, ინტენსიონალსა და დენოტატს შორის არსებობს რთული და ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელი მიმართებები. დენოტაციაში ჩართვა დამოკიდებულია არსებულის რეალურობაზე.

4. კომპრეჰენსია („განფენილობა,“ „მოცვა“) — კლასიფიკაცია და მისი შედეგები, ანუ ყველა არაწინააღმდეგობრივად წარმოსადგენი საგანთა კლასი, რომელთა მიმართ მოცემული სიტყვა შეიძლება სწორად იყოს გამოყენებული (იმის მიუხედავად არსებობენ ეს საგნები სინამდვილეში თუ არა, ცნობილია თუ უცნობი მათი არსებობა). მაგალითად, სიტყვათა ისეთი ჯგუფის კლასიფიკაცია, როგორიცაა:

გერმანულში: „gehen“, „fahren“ — „stehen“ — უმოძრაოდ ყოფნა ხმელეთზე, მიწაზე;

„fliegen“ — „schweben“ — უმოძრაოდ ყოფნა, ლივლივი ჰაერში;

„schwimmen“ — ?

რუსულში: „идти“, „ехать“ — „стоять“,

„летать“ — „парить“,

„плыть“ — ?

ქართულში:

„წასვლა“, „გამგზავრება“ — „დგომა“.

„ფრენა“ — „ლივლივი“,

„ცურვა“ — „ტივტივი“

გვაძლევს იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ ენაში სტრუქტურულად უზრუნველყოფილია ადგილი (აღნიშნული ?), რომელიც არ არის შევსებული სიტყვით, თუმცა მისი წარმოდგენა არაწინააღმდეგობრივად შესაძლებელია (ლინგვ. ენც. ლექს., 1990:384).

მრავალი სამეცნიერო ტერმინი იქმნება ენაში, როგორც აღმნიშვნელი განსაზღვრული კლასიფიკაციის ფარგლებში არაწინააღმდეგობრივად წარმოსადგენი ბუნებისა და საზოგადოების შესაძლო მოვლენებისა, თუმცა ასეთი მოვლენები შეიძლება არ არსებობდეს და არ იყოს ცნობილი.

ცნების სტრუქტურა აქ აღწერილია ენაში მისი ყველაზე უფრო გამოვლენილი ცნების ტიპის მიხედვით — ზოგად სახელთან მიმართებაში. ცნების სხვა ტიპებს მაგ. კონცეფტს, რომელიც მიმართებაშია სიტყვისა და ენობრივი წარმონაქმნების სხვა ტიპებთან (შემასმენელთან, ნაწილაკთან, შორისდებულთან) აქვს რედუცირებული სემანტიკური სტრუქტურა, რომელიც ზოგჯერ არ არის დაკავშირებული პირდაპირ ცნებასთან. არსებობს ცნების სხვა ლოგიკური სისტემები (მოდელები). მაგ. კ.ი. ლუისის ოთხწევრიანი სტრუქტურა, გ. ფრეგეს ორწევრიანი სტრუქტურა და სხვა. ამ საკითხებს შეისწავლის ახალი მიმართულება ლოგიკაში და ენათმეცნიერებაში „ენის კონცეპტუალური ანალიზი“.

სიგნიფიკატი და ინტენსიონალი, დენოტატი და კომპრეჰენსია ერთიანდება და ცნების სტრუქტურაში ძირითად ცნებით კომპონენტებად გამოიყოფა სიგნიფიკატი და დენოტატი.

მართალია, ლექსიკური მნიშვნელობა და ცნება აზროვნების სხვადასხვა რიგის კატეგორიებია და გამიჯნულია ერთმანეთისგან, მაგრამ მათ შორის არსებობს მუდმივი ურთიერთზემოქმედება. ცნება არსებობს ენობრივ ფორმაში, სიტყვა არის ცნების არსებობის ფორ-

მა. ლექსიკური მნიშვნელობა არის მასალა ცნების ფორმირებისათვის. ცნება კი, რომელიც თავის მხრივ საფუძვლად უდევს ლექსიკურ მნიშვნელობას, ხასიათდება საზღვრების „არამკაფიურობით“ და „წაშლით“. ცნებას, ერთი მხრივ, აქვს მტკიცე, მკაფიო, განსაზღვრული ცნებითი ბირთვი, რომლის საშუალებითაც მიიღწევა ლექსიკური მნიშვნელობის სიმტკიცე და განსაზღვრულობა და ცნებას აქვს „არამკაფიო“, „განუსაზღვრელი“ პერიფერია. ცნების საზღვრების ასეთი „წაშლის“ შედეგად ლექსიკური მნიშვნელობა შეიძლება გაფართოვდეს და მოიცვას უფრო მეტი, რაც საშუალებას იძლევა გამოყენებული იყოს სიტყვა იმ საგნების აღნიშვნისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ სპეციფიკური აღნიშვნები მოცემულ კონტექსტში. ამავე დროს, ლექსიკური მნიშვნელობის არამკაფიურობასა და მოძრაობას აქვს თავისი საზღვრები, განსაზღვრული უზუალური ასოციაციებით, სიტყვის შინაგანი ფორმით, ლექსიკური პარადიგმატიკით და სხვა ფაქტორებით.

სემანტიკური თვალსაზრისით სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობაში გამოიყოფა ორი ასპექტი: სიგნიფიკატური და დენოტატური (ლინგვ. ენც. ლექს., 1990:262).

სიტყვის აგებულება ენაში არის ურთიერთობათა რთული კომპლექსი. სიტყვა, პირველ რიგში, გამოდის როგორც აზრის ნიშანი (სიგნიფიკატი) და, მეორეც, სიტყვა გამოდის როგორც საგნის ნიშანი (დენოტატი). დენოტატი, როგორც საგნის ნიშანი, ნებისმიერ კონტექსტში განსაზღვრულია, ის ვერ ჩაირთავს ნებისმიერ ნიშანს (საპირისპიროდ სიგნიფიკატის, აზრის ნიშნისა, რომელიც ინტენსიონალის მრავალ ნიშანს აერთიანებს). დენოტაციაში ჩართვა დამოკიდებულია არსებულის რეალურობაზე.

კონკრეტული ენობრივი მასალის კვლევის საფუძველზე აღვნიშნავ, რომ განკერძოებულ განსაზღვრებაში პოსტნომინალური ზედსართავი სახელი როგორც გერმანულ, ისე ქართულ ენაში წარმოდგენილია დენოტატური მნიშვნელობით, არ იწარმოება სემური[1] იერარქიული სტრუქტურა, არ გამოიყოფა კონოტაციური მნიშვნელობები და, შესაბამისად, გამოხატავს საგნის დამახასიათებელ ბუნებ-

---

[1] სემა — სიტყვის მნიშვნელობის უმცირესი კომპონენტი.

რივ, რეალურ თვისებებს, რომლებიც ძალიან ხშირად საგნის ან ადამიანის გარეგნული ფიზიკური მონაცემია, თუმცა, შედარებით იშვიათად, შეიძლება გადმოიცეს შინაგანი თვისება ან სხვა მონაცემი.

მაგალითად, გერმანულ ენაში:

Die drei Büsten von Cäsar, Cicero, Mark Aurel, ganz ***gelb*** und ***echt*** (Böll, 2003:5); Einige der Häuser ähnelten aneinandergenähten Stofflecken, ***eidottergelb*** oder ***blau*** (Federspiel, 2000:209); Vorn Heinz, ***groß*** und etwas ***verdrückt*** (Muschg, 2000:249); ..grünlich das Wasser, ***dick von Schmützigem Öl*** (Böll, 2003:81); Diese Mädchen, ***von Hause meist arm***, lebten alle bald von Gelegenheitsarbeit (Hesse, 2005:76); Das Bild von Togo, ***bunt*** und ***groß***, ***flach***, ***wie ein alter Stich***, ein prachtvoller Druck (Böll, 2003:52); Vor ihm die Dogge, irgendwie ***entsetzt*** und ***verwirrt*** (Frisch, 2000:24); Ein blasser, magerer Mann, ***nervös***, ***wie es den Eindruck machte***, bemerkte (Dürrenmatt, 2000:65).

ანალოგიურად ქართულ ენაში:

გამიგონია, რომ რაღაც სასმელი გქონია, ***თბილი***, ***ტკბილი*** და ***სამუდამოდ დასამახსოვრებელი*** (მორჩილაძე, 2008, 20); სწორედ მას შეხვედრია კაპიტანი სმოლეტი ყავახანაში, სადაც წესისამებრ ღვინოს სვამდნენ, ***მღვრიესა*** და ***გლეხურს*** (მორჩილაძე, 2008, 42); მხოლოდ გემები შემოვლენ და გაჩერდებიან, საომარი გემები, ***ოსმალური***, ***ინგლისური*** (მორჩილაძე, 2008, 54); რაც შეეხება კანდიდატ დავითულიანს, მეცნიერი კაცია, ***საკმაოდ განათლებული*** (ბურჭულაძე, 2012, 17); ცოლი ჰყოლია, ვგონებ, ***გერმანელი*** (ინანიშვილი, 2007, 10); აი, ასეთი სარჩული ჰქონდა, ***თვალისმომჭრელი*** (მორჩილაძე, 2008, 167); ღმერთმა მარჯვენა გიკურთხოს, შვილო, ***ჩიჩუების ერთგული*** (გაწერელია, 1985, 27); ამ კაცს, ***მაღალსა და ერთგვარად შესამჩნევსაც კი***, „სიტი პიაცაში“ კარგად იცნობდნენ (მორჩილაძე, 2008, 165); გაიჭრა გზა, ***სამანქანო*** და ***სახეტიალო*** (ბუღაძე, 2004, 3); ხატის წინ შემოწირულობებიც მრავლადაა, ***ახალიც*** და ***ძველიც*** (მორჩილაძე, 2008, 148); ჰალვა ჩემზეა, ***ნამდვილი***, ისტამბულიდან (მორჩილაძე, 2008, 108); ხელოვნური მხოლოდ კბილები ჰქონდა, ***არაბუნებრივად თეთრი და გეომეტრიული სიზუსტით ჩაკიწკიწებული*** (ბურჭულაძე, 2012, 32).

ატრიბუტულ შესიტყვებაში, გამონათქვამის ცალკეული ნაწილების რიტმული განაწილების მიზნით, ზოგი ადიექტიური განსაზღვრება თავსდება წინაველში (Vorfeld-ში), ზოგი ბოლოველში (Nachfeldš

ში). „წინაველში თავსდება ზედსართავი სახელები სიგნიფიკატური მნიშვნელობებით, ბოლოველში განთავსდება ზედსართავი სახელები დენოტატური მნიშვნელობებით“ (ღამბაშიძე, 2006:238-247). გერმა-ნულ ენაში:

**Ein** *schlechtes* **Foto, aber** *deutlich* **(Frisch, 2000:53).**
**„so daβ denn** *der junge Mann, froh, einen Anknüpfungspunkt zu haben* **dem Zugfuhrer eine Brasil anbot (Dürrenmatt, 2000:67).**
**..***ein sonderbares Haus***, so** *still* **und** *dunkel* **(Kaschnitz, 2004:10).**
**...***eine teure Gegend***, so** *nahe dem Kudamm* **(Schubert, 1967:161).**

**schlechtes** **Foto,** **deutlich**

**სიგნიფიკატური მნიშვნელობა** **დენოტატური მნიშვნელობა**

**der junge** **Mann,** **froh.**

**სიგნიფიკატური მნიშვნელობავნელობა** **დენოტატური მნიშვნელობა**

**ein sonderbares** **Haus,** **still und dunkel .**

**სიგნიფიკატური მნიშვნელობა** **დენოტატური მნიშვნელობა**

**teure** **Gegend,** **nahe**

**სიგნიფიკატური მნიშვნელობა** **დენოტატური მნიშვნელობა**

ანალოგიურად ქართულ ენაში:

ეს იყო ***ლამაზი***, ***ოსმალური დამბაჩები***, ***ერთი შეხედვით ძა-ლიან ძვირფასი*** (მორჩილაძე, 2008, 52).

მე ძალიან ***ლამაზი ძმა*** მყავს, ***ხუჭუჭთმიანი***, ***მაღალი***, ***ცოტა გა-მხდარი*** (კეკელიძე, 2008, 264).

წინ ერთი ***პატარა***, ***ჩაკურატებული კაცი*** იდგა, სულ მთლად ***გამელოტებული*** (მორჩილაძე, 2008, 104).

ჭკვიანზე ***ჭკვიანი კაცია*** და არ იმჩნევს, ***თავმდაბალია*** (კეკელი-ძე 2008, 330).




ატრიბუტულ შესიტყვებაში ზედსართავი სახელის სემანტიკური ასპექტები დაკავშირებულია მის შინაგან ფორმასთან, ანუ სიტყვის მორფემის შემადგენელ სემანტიკურ და სტრუქტურულ ნიშანთან, რომელიც წარმოადგენს ნომინაციის (სახელდების) საფუძველს. როგორც გერმანულ, ისე ქართულ ენაში, განკერძოებულ განსაზღვრებაში, პოსტნომინალური ზედსართავი სახელის სემანტიკური ასპექტებიდან გამომდინარე, შენარჩუნდება მისი შინაგანი ფორმა. შესაბამისად, ხორციელდება პოსტნომინალური ზედსართავი სახელის პირველადი ნომინაციის რეალიზება. პირველადი ნომინაცია განსაზღვრავს პოსტნომინალური ზედსართავი სახელის სემანტიკას. შენარჩუნდება მისი მნიშვნელობა და მატერიალური სახე. საპირისპიროდ არაგანკერძოებულ განსაზღვრებაში პრენომინალური ზედსართავი სახელისა, რომელშიც სიგნიფიკატური მნიშვნელობის აქტუალიზაციის საფუძველზე, ირღვევა მისი შინაგანი ფორმა. პირველადი ნომინაცია ვერ განსაზღვრავს პრენომინალური ზედსართავი სახელის სემანტიკას და ხორციელდება მეორადი ნომინაციის არაავტონომიური ტიპი. მნიშვნელობათა ახლებური გააზრება მეორადი ნომინაციის პროცესებში ხორციელდება ენის სამომხმარებლო, კომბინატორული ტექნიკის გამოყენებით მიკროკონტექსტ-ატრიბუტულ შესიტყვებაში ან მაკროკონტექსტ-წინადადებაში.

მაგალითად, გერმანულ ენაში, ზედსართავი სახელი „***dünn***“, არაგანკერძოებულ განსაზღვრებაში პრენომინალურ გამოყენებაში წარმოადგენს შემდეგი სემების ერთობლიობას:

1. nicht dick — თხელი

Jupp zog noch einmal an dem ***dünnen*** mit
Tabak gefüllten Papierröllchen (Böll, 2003, 19).

2. nicht dicht — მეჩხერი

..und die ***dünnen*** blonden Haare hingen in dem
jungen und doch sehr zerfurchten Gesicht (Böll, 2003, 72)

3. schwach — სუსტი

Er war mir lästig; die ganze Nacht hindurch hatte er mich mit
seiner ***dünnen*** Primanerstimme verrückt gemacht (Böll, 2003, 246)

4. durchsichtig — გამჭვირვალე

...die Sonne schien durch die ***dünnen*** *Vorhänge* hinein (Böll, 2003, 105)

5. mager — გამხდარი (Sommerfeldt., 1983, 121).

Die ***dünnen*** *Froschzehen* reckten sich im Salondunst (Strittmatter, Bd. II, 1979, 166)

პოსტნომინალურ გამოყენებაში მოცემული ზედსართავი სახელი (შესაბამისად სხვა ზედსართავი სახელებიც) წარმოდგენილია დენოტატური მნიშვნელობით და შესაბამისად პირველადი ნომინაციით.

Viele Bücher standen in der Vitrine, mit bunten
Umschlägen, ***dicke***, ***dünne*** (Kauer, 2000, 290).

ანალოგიურად, ქართულ ენაში, ზედსართავი სახელი „ჭრელი“, არაგანკერძოებულ განსაზღვრებაში პრენომინალურ გამოყენებაში, წარმოადგენს შემდეგი სემების ერთობლიობას:

1. სხვადასხვა ფერის, ფერადი, ნაირფეროვანი, სახიანი, ზოლიანი, დაწინწკლული, ჭროლა. ჭრელი წინდა, ჭრელი კატა, ჭროლა თვალები, ჭროლა თუთა.

2. მრავალფეროვანი, შერეული, ჭრელი საზოგადოება, ჭრელი პროგრამა.

3. ორპირი. ჭრელი გულის პატრონი (ქართული ენის განმ. ლექს. ტ. II, 1990, 1236); (ნეიმანი, 1978, 536).

როგორც მაგალითებიდანაც ჩანს, პრენომინალური ზედსართავი სახელები არაგანკერძოებულ განსაზღვრებებში ხასიათდებიან მაღალი სუბიექტურ-ემოციური დატვირთულობით.

მოცემული ზედსართავი სახელი განკერძოებულ განსაზღვრებაში, პოსტნომინალურ გამოყენებაში, წარმოდგენილია დენოტატური მნიშვნელობით და, შესაბამისად, პირველადი ნომინაციით.

...სულ შორიახლოს ათი-თორმეტი ძაღლი და კატა, სულ თითქოს ***ნარჩევობით ჭრელი,*** რაღაცას ზანტად გაბუღრავდებოდნენ ხოლმე (მორჩილაძე, 2008, 57).

ამ ზედსართავი სახელის განკერძოებულ განსაზღვრებაში გამოყენებისას არ გვექნება სინტაგმები: საზოგადოება, ჭრელი; პროგრამა, ჭრელი; გული, ჭრელი და ა. შ.

ასეთი ლოგიკურ-სემანტიკური ასპექტებიდან გამომდინარე, ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება, ორივე ენაში, ემსახურება ფაქტის ობიექტურ აღნიშვნას, დაფიქსირებას და ნაკლებად დახასიათებას. ამავე დროს, ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრების გარეგან სინტაქსური და შინაგან, ლოგიკურ-სემანტიკური ასპექტებიდან გამომდინარე კომუნიკაციურ ეფექტს შორის მივიღე ოპოზიცია. გარეგან, სინტაქსურ, ვიზუალურ დონეზე ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრების, როგორც განკერძოებული წევრის, სემანტიკური წონა და კომუნიკაციური ეფექტი არის ძალიან მაღალი, რამეთუ განკერძოება ზოგადად ემსახურება წევრის გამოყოფას, განცალკევებას, რათა განსაკუთრებით მიაპყროს მასზე მსმენელის ან მკითხველის ყურადღება, მაგრამ შინაგან, ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე (დენოტატური მნიშვნელობების აქტუალიზაცია) ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრების პრაგმატულ-კომუნიკაციური დატვირთულობა არის საგრძნობლად შეზღუდული, რაც აისახება კიდეც მხატვრულ ნაწარმოებებში ამ ფორმის რაოდენობრივ გამოყენებაში, რომელიც მნიშვნელოვნად მცირეა.

ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება გამოხატავს საგნის არამხოლოდ აქტიურ ან პასიურ ნიშანს ატრიბუტული მნიშვნელობით, არამედ აქვს პრედიკაცია. პრედიკაცია განკერძოებულ განსაზღვრებაში წარმოიშობა:

1) ამხსნელი ინტონაციით და პაუზებით წარმოქმნის დროს, რაც წერილობით აღინიშნება სასვენი ნიშნებით და რომელთა საშუალებითაც მიიღწევა ქვემდებარის ჯგუფის დანაწევრება.

2) დამატებითი ლოგიკური მახვილით წარმოთქმის დროს.

3) სიტყვათა ჩვეული წყობის შეცვლით ანუ ინვერსიით.

განკერძოებულ განსაზღვრებაში პრედიკაციის არსებობა დასტურდება იმ გარემოებითაც, რომ განკერძოებულ განსაზღვრებას შეიძლება დაერთოს დამოკიდებული წინადადება.

გერმანულ ენაში:

Zwei Prachtkerle, ***dick, stark und übermutig, die in den Gehölzen der Umgegend regelrechte Faustduelle veranstalteten***. (Th. Mann, 1963, 553).

Doch ein anderes Bild, ***so unvermittelt, daß er sekundenlang erstarrt neben ihr lag*** (Noll, 1967, 104).

ქართულ ენაში:

მაგრამ საქმე ხომ საკუთარ შვილს ეხებოდა, ერთადერთ ვაჟიშვილს, თორმეტი წლის ბიჭს, ***თვალები რომ მუდამ ახლის ნახვისა და შეცნობის სურვილით ჰქონდა სავსე*** (ჭეიშვილი, 1990, 5).

გერმანულ და ქართულ ენაში ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული და არაგანკერძოებული განსაზღვრების შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ზედსართავი სახელით გამოხატული არაგანკერძოებული განსაზღვრება ხასიათდება სიგნიფიკატური მნიშვნელობების აქტუალიზაციით, დიდი მოცულობის გადმოცემული ინფორმაციით, მეორადი ნომინაციის არაავტონომიური ტიპის რეალიზებით, მაღალი სუბიექტურ-ემოციური დატვირთულობით, ამის საპირისპიროდ, ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება ხასიათდება დენოტატური მნიშვნელობების აქტუალიზაციით, მცირე მოცულობის გადმოცემული ინფორმაციით, პირველადი ნომინაციის რეალიზებით, ობიექტური შეფასებით, პრედიკატულობით.

როგორც ენობრივი მასალის კვლევამ გვიჩვენა, ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრების სემანტიკური და პრაგმატულ-კომუნიკაციური ასპექტები გერმანულ და ქართულ ენებში ფაქტიურად იდენტურია. თავისებურებები იკვეთება განკერძოებული განსაზღვრების ტერმინოლოგიურ რეგულაციებში. ასე მაგალითად, ქართულ ენაში: „გათიშული განკერძოებული განსაზღვრება“, როდესაც განსაზღვრება უშუალოდ არ მოჰყვება სა-

ზღვრულ არსებით სახელს, არამედ მისგან დისტანცირებულია (კვაჭაძე, 1996, 306).

***გვანცა*** ტკიპივით მიეკრა ბიძია ლევანს, ***გულამომჯდარი და გულდათუთქული*** (კეკელიძე, 2008, 260).

ენობრივი მასალის კვლევამ მომცა შემდეგი ***დასკვნის*** გაკეთების შესაძლებლობა: სტატიაში ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება განხილულია ორ დონეზე: შინაგან, სემანტიკურ და პრაგმატულ-კომუნიკაციურ დონეზე, გერმანულ და ქართულ ენებში შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე, რამაც პასუხი გასცა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კითხვას, რატომ გამოიყენება ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება ძალიან მცირე რაოდენობით მხატვრულ ნაწარმოებებში, მაშინ, როდესაც ზედსართავი სახელით გამოხატული არაგანკერძოებული განსაზღვრება ძალიან დიდი რაოდენობით მოიპოვება მხატვრულ ტექსტებში. განკერძოებულ განსაზღვრებაში, პოსტნომინალური ზედსართავი სახელი, ორივე ენაში, წარმოდგენილია დენოტატური მნიშვნელობით, არ იწარმოება სემური იერარქიული სტრუქტურა, არ გამოიყოფა კონოტატური მნიშვნელობები და, შესაბამისად, გამოხატავს საგნის რეალურ, ბუნებრივ თვისებებს, რომლებიც ძალიან ხშირად საგნის ან ადამიანის გარეგნული ფიზიკური მონაცემია, თუმცა, შედარებით იშვიათად, შეიძლება გადმოიცეს შინაგანი თვისება ან სხვა მონაცემი. ატრიბუტულ შესიტყვებაში ზოგი ადიექტიური განსაზღვრება თავსდება წინაველში (Vorfeld-ში), ზოგი ბოლოველში (Nachfeld-ში), წინაველში თავსდება ზედსართავი სახელები სიგნიფიკატური მნიშვნელობებით, ბოლოველში განთავსდება ზედსართავი სახელები დენოტატური მნიშვნელობებით. ზედსართავი სახელის სემანტიკური ასპექტები დაკავშირებულია მის შინაგან ფორმასთან, ანუ სიტყვის მორფემის შემადგენელ სემანტიკურ და სტრუქტურულ ნიშანთან, რომელიც წარმოადგენს ნომინაციის საფუძველს. განკერძოებულ განსაზღვრებაში, პოსტნომინალური ზედსართავი სახელის სემანტიკური ასპექტებიდან გამომდინარე, შენარჩუნდება მისი შინაგანი ფორმა, შესაბამისად, ხორციელდება პოსტნომინალური ზედსართავი სახელის პირველადი ნომინაციის რეალიზება. პირველადი ნომინაცია განსაზღვრავს პოსტნომინალური ზედსართავი სახელის

სემანტიკას. შენარჩუნდება მისი მნიშვნელობა და მატერიალური სახე. ასეთი სემანტიკური სტრუქტურიდან გამომდინარე, ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება, ორივე ენაში, ემსახურება ფაქტის ობიექტურ აღნიშვნას, დაფიქსირებას და ნაკლებად დახასიათებას. ამავე დროს, როგორც გერმანულ, ისე ქართულ ენაში, ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრების გარეგან სინტაქსური და შინაგან ლოგიკურ-სემანტიკური ასპექტებიდან გამომდინარე კომუნიკაციურ დატვირთულობას შორის, მივიღე ოპოზიცია. გარეგან, სინტაქსურ, ვიზუალურ დონეზე, ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრების, როგორც განკერძოებული წევრის სემანტიკური წონა და კომუნიკაციური ეფექტი არის ძალიან მაღალი, მაგრამ შინაგან, ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე (დენოტატური მნიშვნელობების აქტუალიზაცია) მისი პრაგმატულ-კომუნიკაციური დატვირთულობა არის საგრძნობლად შეზღუდული, რაც აისახება კიდეც მხატვრულ ნაწარმოებებში ამ ფორმის რაოდენობრივ გამოყენებაში, რომელიც მნიშვნელოვნად მცირეა. ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული და არაგანკერძოებული განსაზღვრების შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ორივე ენაში, ზედსართავი სახელით გამოხატული არაგანკერძოებული განსაზღვრება ხასიათდება სიგნიფიკატური მნიშვნელობების აქტუალიზაციით, დიდი მოცულობის გადმოცემული ინფორმაციით, მეორადი ნომინაციის არაავტონომიური ტიპის რეალიზებით, მაღალი სუბიექტურ-ემოციური დატვირთულობით. ამის საპირისპიროდ ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრება ხასიათდება დენოტატური მნიშვნელობების აქტუალიზაციით, მცირე მოცულობის გადმოცემული ინფორმაციით, პირველადი ნომინაციის რეალიზებით, ობიექტური შეფასებით, პრედიკატულობით. ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრების სემანტიკური და პრაგმატულ-კომუნიკაციური ასპექტები გერმანულ და ქართულ ენებში, ფაქტიურად, იდენტურია. გარკვეული თავისებურებები იკვეთება ამ ფორმის ტერმინოლოგიურ რეგულაციებში. მაგ., ქართულ ენაში: „გათიშული განკერძოებული განსაზღვრება“.

**ბიოლი, 2003** – Böll, H. Mein trauriges Gesicht. Erzählungen. Raduga-Verlag, M., 2003.

**ბურჭულაძე, 2012** — ბურჭულაძე, მ. სიყვარული და არჩევნები. გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი, 2012.

**ბუღაძე, 2004** — ბუღაძე, ლ. ბოლო ზარი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2004.

**გაწერელია, 1985** — გაწერელია, ა. ნოველები და მოთხრობები. გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1985.

**დიურენმატი, 2000** – Dürrenmatt, F. Der Tunnel. Erzählungen von deutschsprachigen Schriftstellern. Menedsher-Verlag, M., 2000.

**დუდენი, 1998** – Duden. Grammatik, Bd. 4 Dudenverlag, Mannheim, 2007.

**ზომერფელდი, 1983** – Sommerfeldt, K-E., Schreiber, H. Wörterbuch zur Valenz und Distribution deutscher Adjektive. VEB Bibliographisches Institut, Leipzig, 1983.

**ინანიშვილი, 2007** — ინანიშვილი, რ. მოთხრობები. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2007.

**კაუერი, 2000** – Kauer, W. Der Mann mit dem Lexicon. Erzählungen von deutschsprachigen Schriftstellern. Menedsher-Verlag, M., 2000.

**კაშნიცი, 2004** – Kaschnitz, M-L. Erzählungen. Airis Press, M., 2004.

**კეკელიძე, 2008** — კეკელიძე, ნ. დიდი აღმართი. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2008.

**კემპკი, 2000** – Kempck, G. Wörterbuch Deutsch als Fremdsprache. “Walter de Gruyter Verlag”, Berlin, New York, 2000.

**კვაჭაძე, 1996** — კვაჭაძე, ლ. თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. გამომცემლობა „რუბიკონი“, თბილისი, 1996.

**ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1990** – Лингвистический энциклопедический словарь, под ред. В.Н. Ярцевой, М., 1990.

**მანი, 1963** – Mann, Th. Buddenbrooks. Verlag für fremdsprachige Literatur, M., 1963.

**მორჩილაძე, 2008** — მორჩილაძე, ა. მესაიდუმლის ქამარი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2008.

**მუშგი, 2000** – Muschg, A. Besuch in der Schweiz. Erzählungen von deutschsprachigen Schriftstellern. Menedsher-Verlag, M., 2000.

**ნეიმანი, 1978** — ნეიმანი, ა. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1978.

**ნოლი, 1967** – Noll, D. Die Abenteuer des Werner Holt (Roman einer Jugend). Aufbau-Verlag, Berlin und Weimar, 1967.

**პაული, 2002** – Paul, H. Deutsches Wörterbuch. Bedeutungsgeschichte und Aufbau unseres Wortschatzes. Max Niemeyer Verlag, Tübingen, 2002.

**ფედერშპილი, 2000** – Federspiel, J. Das gelobte Dorf. Erzählungen von deutschsprachigen Schriftstellern. Menedsher-Verlag, M., 2000.

**ფრიში, 2000** – Frisch, M. Skizze (Schinz). Erzählungen von deutschsprachigen Schriftstellern. Menedsher-Verlag, M., 2000.

**ქართული ენის განმ. ლექსიკონი, 1990** — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. II. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული ენციკლოპედია, თბილისი, 1990.

**ღამბაშიძე, 2006** — ღამბაშიძე, მ. განკერძოებული ზედსართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურა ნომინალურ სინტაგმაში. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ნაშრომთა კრებული „საენათმეცნიერო ძიებანი“, XXIV, თბილისი, 2006, გვ. 238-247.

**შტრიტმატერი, 1979** — Strittmatter, E. Der Wundertäter. Bd. II. Aufbau-Verlag, Berlin und Weimar, 1979.

**შუბერტი, 1967** – Schubert, D. Acht Unzen Träume. Verlag Neues Leben, Berlin, 1967.

**ჭეიშვილი, 1990** — ჭეიშვილი, გ. ნახტომი მზეში. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1990.

**ჰესე, 2005** – Hesse, H. Steppenwolf. Airis Press, M., 2005.

**MANANA GHAMBASHIDZE**

# Semantic and Pragmatic-Communicative Aspects of Adjectival Disjunct Modifiers in German and Georgian

Summary

The paper presents a contarstive semantic and pragmatic-communicative study of adjectival disjunct modifiers on material from German and Georgian. The observations have proved that unlike non-disjunct modifiers, disjunct modifiers are less frequently evidenced in fictional texts. This can be explained by the fact that in both languages postnomnal adjetival disjunct modifiers are the bearers of denotational meaning depicting the real world peculiarites of objects, conveying factual information about them, ; i.e. in the case of postnominal disjunct modifiers the inner form of the adjective is preserved, its primary meaning being activated. Moreover, both in German and Georgian at the syntactic level the semantic-communicative load of disjunct modifiers is quite high, however, at the inner logico-semantic level their prgamatic-communicative charge is considerebly limited. By contrast, in both languages the use of non-disjunct modifiers is characterized by the activation of the significative meaning, a high load of emotive-connotative charge. The above presented peculiarities of the two types of modifier condition frequencies of their usage in fiction.

მანანა ლამბაშიძე

# ზედსართაული სახელური ფრაზის გაფართოება, კატეგორიები და თანმიმდევრობათა რეგულატორები თანამედროვე გერმანულ ენაში

სახელური ფრაზა რთულ სემანტიკურ-სტრუქტურულ კონსტრუქციას წარმოადგენს, რომელიც განისაზღვრება „როგორც სახელისა და მასზე დამოკიდებული წევრებისაგან შემდგარი წინადადების ნაწილი" (ვარიგი, 2000, 926).

სახელურ ფრაზაში ზედსართავი სახელები, როგორც განსაზღვრებები, ყველაზე დიდი რაოდენობით რეალიზდებიან. ტოპოლოგიურად მნიშვნელოვანია სახელური ფრაზის გაფართოების შესაძლებლობები, რომლებიც, შესაბამისად, პირველ რიგში, ეხება ბირთვის წინ მდგომ ადიექტიურ განსაზღვრებას.

ზედსართავი სახელი ადიექტიურ ჯგუფში შეიძლება გაფართოვდეს აქტანტებით და გარემოებებით, რის შედეგადაც წარმოიშობა ადიექტიური ჯგუფები.

Ich sah einen winzigen Moment lang **den mir bekannten Harry** (Hesse 2005, 96).

...war ich in **einen schlecht erkennbaren schmalen Eingang** gezerrt (Böll 2003, 23).

...und Kohlenstaub, **dicker**, **fast öliger Kohlenstaub** (Böll 2003, 68).

კონსტრუქციის ეს ტიპი სტრუქტურულად გამჭვირვალეა, ის ზოგადად უპრობლემოდ აიგება ზედსართავი სახელის საერთო სინტაქსური ქცევიდან. ზედსართავ სახელს პრედიკატულ გამოყენებაში აქვს ვალენტობა, რომელიც სისტემატურად ატრიბუტულ პოზიციაზე მიემართება:

Die Häuser **sind** ganz **klein** → (Kaschnitz 2004, 34).
**→ Die ganz kleine Häuser**
Das Treppenhaus **war** ziemlich **dunkel** → (Kaschnitz 2004, 47).
**→ Das ziemlich dunkle Treppenhaus**.

ასეთი კონსტრუქციები იმის ილუსტრირებას წარმოადგენს, რომ აქტანტები და გარემოებები არტიკლსა და ბირთვთ არსებით სახელთან მიმართებით მხოლოდ ფორმალურად არიან მათგან დამოუკიდებელი, ამიტომ მათ ჩარჩოს გავლენა აქვთ.

მეორე გაფართოება შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე, პრინციპულად მრავალი ადიექტიური განსაზღვრებით. როგორი სტრუქტურა შეიძლება ჰქონდეს ასეთ ნომინალურ ჯგუფს, საკამათოა.

რამდენიმე ადიექტიური განსაზღვრების თავმოყრა არ არის დამოუკიდებელი იმისგან, რას წარმოადგენს პირველი:

und führte uns .. in **ein kleines rundes Zimmer** (Hesse 2005, 92).

Blut lief über Hermines **weiße zarte Haut** (Hesse 2005, 100).

სტრუქტურა




შესაძლებელია სტრუქტურის ბაზაზე:




რამდენიმე ზედსართავი სახელი, რომელიც ნომინალურ ჯგუფში თავსდება, შესაძლოა იყოს კოორდინირებული ან ისინი განსხვავებულ სიახლოვეს ამჟღავნებდნენ ფრაზის ბირთვის მიმართ. პ. აიზენბერგი განასხვავებს ამ ტიპის კონსტრუქციების ორ სახეს: „კოორდინირებულია ზედსართავი სახელები, თუ ორივე ზედსართავი სახელი ბირთვზეა მიმართული. ფორმალურად ეს ნიშნავს, რომ ზედსართავი სახელების თანმიმდევრობას გამონათქვამის გრამატიკულობისთვის, ისევე როგორც მისი სემანტიკისათვის მნიშვნელობა არ აქვს“ (აიზენბერგი 2006, 414). შემდეგი კრიტერიუმი იქნებოდა ასინდესიის

გვერდით კოორდინაციის – und კავშირით, არსებობის შესაძლებ-ლობა.

.. und über ihr schwang, ..**ein ewiges, göttliches Lachen** (Hesse 2005, 83).

ein göttliches, ewiges Lachen
ein ewiges und göttliches Lachen
ein göttliches und ewiges Lachen.

რამდენად გრამატიკული და სინონიმურია დანარჩენი კონსტრუქციები პირველის მიმართ, პ. აიზენბერგი ღიად ტოვებს.

არსებობს ადიექტიური რიგები, რომლებიც არ არიან კოორდინირებული.

Aus einer Wandnische nahm er .. **eine kleine drollige Flasche** (Hesse 2005, 92).

eine drollige kleine Flasche.
eine kleine und drollige Flasche.
eine drollige und kleine Flasche.

მეორე შესიტყვებაში ზედსართავ სახელთა თანმიმდევრობა პირველ შესიტყვებასთან შედარებით მარკირებულია, არ არსებობს სინონიმია და ის არ არსებობს მომდევნო ორ წინადადებაშიც.

ფორმალურად არამარკირებაზე შეიძლება მიეთითოს აქცენტით. პირველ შესიტყვებაში აქცენტი ორივე ზედსართავ სახელზეა შესაძლებელი. მეორე შესიტყვებაში პირველ ზედსართავ სახელზე აქცენტი უფრო მისაღებია.

პუნქტუაციის შესაძლებლობების მხრივაც იჩენს თავს განსხვავებები. პირველი შესიტყვება მისაღებია როგორც მძიმით, ისე მძიმის გარეშე.

eine kleine, drollige Flasche

მეორე შესიტყვება უფრო მისაღებია მძიმით, ვიდრე მის გარეშე.

eine drollige, kleine Flasche

ამავე დროს განსხვავებულობის სიგნალიზაცია შესაძლებელია მეორე ზედსართავი სახელის ძლიერი და სუსტი ფლექსიის საშუალებით. მაშინ კოორდინაცია იქნება:

mit kleiner, drolliger Flasche.

ხოლო: mit kleiner drolligen Flasche არ იქნება კოორდინირებული (არ გვაქვს მძიმე, მეორე ზედსართავი სახელი კი სუსტია).

რაც შეეხება მოცემული ზედსართავი სახელების კატეგორიებს, დუდენის გრამატიკაში ის შემდეგნაირად არის ილუსტრირებული. თანმიმდევრობაში მარცხნიდან მარჯვნივ დუდენი მიუთითებს ზედსართავ სახელთა ოთხ ჯგუფზე:

„1. რიცხვითი ზედსართავი სახელები (dritt, nächst, weiter, ander, zahlreich).

2. ზედსართავი სახელები, რომლებიც გამოხატავენ დროით ან სივრცით მდგომარეობას (hiesig, damalig, gestrig, obengenannt).

3. კვალიტატიური ზედსართავი სახელები და ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები (alt, gesund, schön, klein, sprechend, verloren).

4. ზედსართავი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ ნივთიერებათა სახელებს, წარმომავლობას და დარგს (metallisch, eisern, französisch, wissenschaftlich)“ (დუდენი 1998, 828).

ზედსართავი სახელი — არსებითი სახელის ეს ფაკულტატიური სატელიტი — არის მისი ახლო განმმარტავი წევრი, რადგან ყოველ არსებით სახელს შეუძლია ზედსართავი სახელის კლასის ელემენტებთან კომბინირება, რომლებიც მას განსაზღვრავენ ატრიბუტულად, აპოზიციურად და როგორც ადიუნქტი. ზედსართავ სახელებს მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ ნომინალური ფრაზების ფორმირებაში, განსაზღვრავენ რა მმართველ სახელს სხვადასხვა თვალსაზრისით. ისინი ახდენენ კვანტიფიცირებას, კვალიფიცირებას, სახელით დასახელებული სიდიდეების კლასიფიცირებას, რეფერირებას სხვა სიდიდეებზე და ა.შ.

ზედსართავი სახელის ფუნქციაა განსაზღვროს სხვა ერთეულები, უქვემდებარებს რა მათ სხვადასხვა თვისებას. ზედსართავი სახელის ეს საყოველთაო ფუნქცია შეიძლება დაზუსტდეს. უ. ენგელი განასხვავებს ზედსართავ სახელთა 5 სემანტიკურ სუბკლასს:

1) კვანტიფიკაციური ზედსართავი სახელები. ისინი ასახელებენ სიდიდეების რაოდენობას ან რიცხვს, აქვე შემოდიან რაოდენობითი რიცხვითი სახელები: viel(er), einig(er), wenig(er) და ა.შ.

2) რეფერენციალური ზედსართავი სახელები, რომლებიც ასახელებენ სიდიდეთა მდებარეობას ან თანმიმდევრობას სივრცეში ან დროში: dortig, damalig, obig, linksseitig, gestrig, folgend და ა.შ. ასევე რიგობითი რიცხვითი სახელები.

3) კვალიფიკაციური ზედსართავი სახელები, რომლებიც გადმოსცემენ სიდიდეთა თვისებას, მდგომარეობას: alt, jung, blond, frisch, zäh. აქვე შემოდის მიმღეობების უმრავლესობა და ნივთიერებათა აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები: hölzern, irden, seiden, steinern და ა.შ.

4) კლასიფიკაციური ზედსართავი სახელები. ისინი გადმოსცემენ არა თვისებებს, არამედ კლასობრივ კუთვნილებას განსაზღვრული თვისებების საფუძველზე: ärztlich, kommunal, parlamentarisch, päpstlich, staatlich და ა.შ.

5) წარმომავლობის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები: norwegisch, sibirisch, Hildburghausener, Stuttgarter (ენგელი, 1996, 560), (ენგელი, 2004, 336).

ზედსართავ სახელთა მნიშვნელობათა კლასები განსაკუთრებულ როლს იძენენ, როცა მოცემულია რამდენიმე ატრიბუტული ზედსართავი სახელის თანმიმდევრობა.

მაშინ ზედსართავი სახელები შემდეგი თანმიმდევრობით განლაგდება: კვანტიფიკაციური — სიტუაციური (რეფერენციალური) — კვალიფიკაციური — კლასიფიკაციური — წარმომავლობის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები.

**wenige damalige respektlose Frankfurter Studenten** (ენგელი, 1996, 560).

კ.-ე. ზომერფელდი გადმოსცემს სემანტიკური პრინციპის მიხედვით ზედსართავ სახელთა შემდეგ კლასიფიკაციას:

1) რაოდენობრივი ზედსართავი სახელები.

2) დროსა და სივრცეში მდგომარეობის გამომხატველი ზედსართავი სახელები.

3) კვალიტატური ზედსართავი სახელები.

4) რელაციური ზედსართავი სახელები.

კ.-ე. ზომერფელდის განმარტებით მე-4 ჯგუფის ზედსართავი სახელები ისე მჭიდროდ უკავშირდება თავის ძირითად სიტყვას, რომ ხშირად ისინი მასთან ერთად ერთ მთლიან ბირთვულ ჯგუფს ქმნიან.

1 3 4
**viele gute literarische Veranstaltungen.**

1 2 3
**manche damalige eherwürdige Pferdekutsche.**

(ციფრები აღნიშნავენ ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების ნომრებს) (ზომერფელდი... 1992, 196).

ზედსართავ სახელთა თანმიმდევრობის განხილვისას ხშირად „ბეჰაგელის კანონს" იშველიებენ, რომლის თანახმად „აზრობრივად მჭიდროდ ერთმანეთთან დაკავშირებული პოზიციურადაც მჭიდროდ, ერთმანეთის გვერდით განთავსდება" (ბეჰაგელი, 1932).

არსებითი სახელის ცნებასთან ნაკლებად დაკავშირებული ზედსართავი სახელი მისგან შორს მარცხნივ თავსდება, ხოლო არსებითი სახელის ცნებასთან მჭიდროდ დაკავშირებული ზედსართავი სახელი უშუალოდ მის სიახლოვეს. „რამდენად შეწყობადია ამა თუ იმ სუბკლასის ზედსართავი სახელი არსებით სახელთან, დამოკიდებულია ორივე მათგანის მნიშვნელობაზე და ეს შეწყობადობა მოქმედებს სწორედ ზედსართავ სახელთა თანმიმდევრობაზე" (აიზენბერგი, 2006, 416).

ამრიგად, თანმიმდევრობათა რეგულატორები დამოკიდებულია არამხოლოდ ზედსართავ სახელთა კლასებზე, არამედ აგრეთვე არსებით სახელზეც. დასაშვებია, რომ ზედსართავ სახელთა განსაზღვრული თანმიმდევრობა განსაზღვრულ არსებით სახელებთან არამარკირებული იყოს, სხვა არსებით სახელებთან მარკირებული (როგორც ეს ჩვენ მიერ განხილულ მაგალითებშია გადმოცემული).

პ. აიზენბერგი შეეცადა არსებითი სახელის ეს გავლენა ზედსართავი სახელის ქვეკლასებში ზედსართავ სახელთა კლასიფიკაციებით შეეზღუდა, ანუ ზედსართავ სახელთა ქვეკლასებს თავისი ტოპოლოგიური ზეგავლენა ბირთვ-არსებითი სახელისგან დამოუკიდებლად განეხორციელებინათ. თუკი დადგინდა, რომ სემანტიკურ-კატეგორიალურად რეგულირებადი ზედსართავ სახელთა თანმიმდევრობა არსებობს, რომელიც ბირთვ-არსებითი სახელისაგან დამოუკიდებლად უნივერსალურად ხორციელდება, მაშინ საჭირო გახდება თანმიმდევრობათა რეგულატორების შემუშავება ზედსართავ სახელთა სინტაქსური კლასიფიკაციის საფუძველზეც.

**დასკვნის** სახით შეიძლება ითქვას, რომ ტოპოლოგიურად მნიშვნელოვანი ზედსართაული სახელური ფრაზის გაფართოება შეიძლება განხორციელდეს აქტანტებით (წინდებულიანი დამატებები, ირიბი დამატებები) და გარემოებებით, რის შედეგადაც წარმოიშობა ადიექ-

ტიური ჯგუფები, ან რამდენიმე კოორდინაციული, ან სუბორდინაციული ადიექტიური განსაზღვრებით, რომელთა შორის განსხვავებულობანი ფიქსირდება კოორდინაციული მიმართებებისას პუნქტუაციის — მძიმის, ან und-კავშირის მეშვეობით, ხოლო სუბორდინაციული მიმართებებისას ასინდენსიით და პუნქტუაციის არარსებობით. რამდენად შეწყობადია ამა თუ იმ სუბკლასის ზედსართავი სახელი არსებით სახელთან, დამოკიდებულია ორივე მათგანის სემანტიკაზე და ეს შეწყობადობა მოქმედებს ზედსართავ სახელთა თანმიმდევრობაზე.

ლიტერატურა


**აიზენბერგი, 2006** — Eisenberg, P. Der Satz. Grundriss der deutschen Grammatik. Bd II, Stuttgart, Weimar, Verlag J.B. Metzler, 2006.

**ბეჰაგელი, 1932** — Behagel, O. Deutsche Syntax. Eine geschichtliche Darstellung. Bd. IV. Heidelberg, Verlag C. Winter 1932.

**ბიოლი, 2003** — Böll, H. Mein trauriges Gesicht. Erzählungen. Radugaverlag, Moskau, 2003.

**დუდენი, 1998** — Duden. Grammatik der deutschen Gegenwartsprache. Mannheim, Dudenverlag, 1998.

**ენგელი, 1996** — Engel, U. Deutsche Grammatik. Heidelberg: „Julius Gross Verlag“, 1996.

**ენგელი, 2004** — Engel, U. Deutsche Grammatik. München, Judicium Verlag GmbH, 2004

**ვარიგი, 2002** — Wahrig, G. Deutsche Wörterbuch. Gütersloh München, Wissen Media Verlag GmbH, 2002.

**ზომერფელდი..., 1992** — Sommerfeldt, K-E., Starke, G. Einführung in die Grammatik der deutschen Gegenwartssprache. Tübingen, 1992.

**კაშნიცი, 2004** — Kaschnitz, M.L. Erzählungen,Aris Press, Moskau, 2004.

**ჰესე, 2005** — Hesse, H. Der Steppenwolf. Aris Press, Moskau, 2005.

**MANANA GHAMBASHIDZE**

# Extension, Categories and Succession Regulators of Adjectival Phrases in Current German

Summary

The extension of topologically relevant adjectival phrases can be performed by means of actants (prepositional and indirect objects) and adverbial modifiers: the given process results in the formation of adjunct groups, or a number of coordinative or subordinative adjunctive modifiers. The differences between them are marked – in the case of subordination by means of a comma or the conjunction *und*, whereas in the case of coordination asyndetically. The collocability of adjectives and nouns depends upon the semantics of the lexical units in question and is reflected in the rules of adjective succession.

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲧᲐᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

# ᲙᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲘᲐᲚᲔᲥᲢᲘᲡ ᲖᲝᲒᲘ ᲛᲝᲠᲤᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲐ ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ 1812 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲘᲗ

კახეთის 1812 წლის აჯანყების მასალები საკმაოდ საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს ენათმეცნიერული თვალსაზრისით. ვხვდებით კახური მეტყველებისათვის დამახასიათებელ სხვადასხვა ენობრივ თავისებურებას, ამ მოხსენებაში შევჩერდებით რამდენიმე მორფოლოგიურ თავისებურებაზე. როგორც აღვნიშნეთ, საკვლევი მასალა XIX საუკუნის ტექსტია. მას აქვს სამწერლობო ქართულის გავლენა, რადგან ტექსტის ჩამწერები არიან სასულიერო პირები — გარკვეული განათლების მქონენი, ხოლო მთქმელები — წერა-კითხვის უცოდინარი გლეხები.

სტატიაში ჩვენ ძირითადად განვიხილავთ ზმნისწინებს, პირის ნიშანთან დაკავშირებულ საკითხებსა და თანდებულიან ფორმებს.

ქართული ენის კახურ დიალექტში ამჟამად ზმნისწინათა შემდეგი დიალექტური ნაირსახეობები გვხვდება: **მო//მა** (მაიტანა), **შე// შა** (შაიტანა), **გა// გე** (გეეკეთებინა), **და// დე** (დეეწერნა), **შემო// შამო** (შამაიტანა), **გამო// გამა** (გამაიტანა). 1812 წლის აჯანყების დოკუმენტებში ზმნისწინთა დიალექტური ვარიანტები ძალზე იშვიათია, უნდა ითქვას, რომ რამდენჯერმე ამგვარი მაწარმოებლები გამოყენებული:

„როდესაც რომ ხარმა ველარ **შაიძლო**, კაცი **შააბიან** ხარის მაგიერა“ (32, ბოდბისხევი).

ეს ფაქტი მიუთითებს ჩამწერების მიერ მთქმელთა გამოყენებული დიალექტური ფორმების სალიტერატუროთი ჩანაცვლების მცდელობას. როგორც ჩანს, ისინი თავიანთი ინიციატივით ცვლიან დიალექტურ ვარიანტებს, რადგან ეს არის გლეხთა ჩვენებები, არის დოკუმენტები და შესაბამისად საჭიროება მოითხოვდა, რომ ტექსტი გა-

მართული ყოფილიყო და ჩაწერილიყო სამწერლობო ქართულით. ჩამწერთა მხრიდან ეს მცდელობა ნამდვილად შეიმჩნევა, თუმცა ისინი დიალექტური ფორმების გამოყენებას მაინც ვერ უვლიან გვერდს.

საკვლევი მასალიდან მოვიყვანთ ზმნისწინთა ძველი ქართულისებური წარმოების ნიმუშებს:

ამის მიზეზით **აღივსო** ჩვენი საწყაული (19, ანაგა)

საწყაულზე **გარდამეტებული გარდმოსთხივა** (19, ანაგა)

კიდეც **განპატივა** ივანე ზაქარიჩი (19, ანაგა)

„უბედურებასა მისცა ნაჩალნიკმა თავისი თავი და ჩვენც შეცოდებაში **შთაგვითხია**“ (19, ანაგა)

ნაკლებად ვხვდებით ზმნისწინთა გამარტივებულ ფორმებს. ძველი ქართულისა და ახალი ქართული ენისათვის დამახასიათებელი ზმნისწინები თანაარსებობს იმჟამინდელ კახურში, უპირატესობა ძველი ქართულისებურ ფორმებს ენიჭებათ, თუმცა, თანდათანობით ძველი ფორმები გაქრა და საბოლოოდ ამჟამინდელ კახურში ზმნისწინთა გამარტივებულმა ფორმებმა ჩაანაცვლა ძველი ზმნისწინები.

მეორე სუბიექტური პირთან, მესამე პირდაპირ და ირიბ ობიექტურ პირებთან დღევანდელ კახურში დიალქეტური ნორმაა **„ჲ“** მაწარმოებლის გამოყენება ან ვხვდებით **„ჴ“** პრეფიქსს.

საინტერესოა ზმნაში პირის ნიშანთა გამოყენებაც. არის შემთხვევები, როდესაც უნდა იყოს ზმნაში ირიბი ობიექტური პირის ნიშანი წარმოდგენილი, მაგრამ არ ვხვდებით:

„ბაღაშვილს და ხუნაშვილს ცოლები წაართვეს. ერთი კვირა **ყვანდათ**, მას კვან გამოუშვეს“ (26, ბოდბე).

იგივე ზმნა დასტურდება პირის ნიშნითაც:

„პრავნიკს რახან უნდა **ჴყვანდეს** ყაზახები“ (7, თელავი).

„ქონა“ ზმნა გამოყენებული პირის ნიშნის გარეშე:

„ასეთი შეწუხება **ქონდა**, რომ კაცისაგან არ შეიძლებოდა“ (87, მაჩხაანი)

დღევანდელ კახურში კი ყოველთვის ვხვდებით პირის ნიშნით წარმოებულ ფორმას **ჴ-** პრეფიქსით ან დიალექტურ ფორმას **„ჲქონდა, ჲყვანდა“**.

-ჰ და -ს ფორმანტები გვხვდება პირდაპირ ობიექტთან:

„არა, არა **ჴგზავნიდა** სასამართლოში“ (7,თელავი)

„პურსაც **სყიდულობენ**" (14, თელავი)

ნიშანდობლივია, რომ საკვლევ მასალაში არ გვხვდება ჲ მაწარმოებლით გამოხატული პირი ზმნაში. ესეც შესაძლოა განპირობებული იყოს იმით, რომ ჩამწერები ცდილობენ არ გამოიყენონ დიალექტური ფორმები. მომდევნო პერიოდის ტექსტებში პირდაპირი ობიექტური პირის გადმოსაცემად გამოყენებული მაწარმოებელი მრავალფეროვანია. გვხვდება შემდეგი ფორმანტები:

ჲ: „დილით ადრე, სანამ გაშუქდება, **მოჲშლი**ს ძნას ცალ მხრიდან, რო მერე წვიმამ არ გააფუჭოს, და **გაჲშლი**ს კალოში"

**ს:** „ბოლოს მამამ **გადასწყვიტა**"

**ზ**: „ყოველდღიურად **ზდემდა** კვერცხ და მოჲქონდა სოვდაგართან"

**ჲჰ:** ის ძნის შემკვრელი აკეთებს ულოს, გაჲშლის იმ ულოს, ჩააწყობს იმ მომკილ ხელეურებს და **შეჲჰკრავს** ძნას და დააწყობს ეგრე ძნებს წვერზე.

**ჲს**: „ერთ თუნგიან ღვინოს **ჩაჲსდგავს** ხურჯინში"

**შ**: „—რა იქნა, სად წავიდა, ეს გასაწყვეტი ბავშებვი **შეშჭამდნენო**"

**ჰ:** „**დაჰპატიჟეს** ისევ სოვდაგარს"

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დიალექტური ნორმის მიხედვით ზმნაში მოსალოდნელია მესამე პირდაპირი ობიექტური პირის ნიშანი, მაგრამ არ გვხვდება. ასეთი შემთხვევები, ძირითადად, გარეკახურში შეინიშნება. მაგალითად:

„ის ძაღლებიც თან დაუდის, ნადირებს **ხოცამს**"

„**ხედამს**, სახში არაფერია"

ზმნებს **„ხოცამს" , „ხედამს"** უნდა ჰქონდეს პირდაპირი ობიექტური პირის ნიშანი ჲ, ესაა დიალექტური ნორმა, მაგრამ მოცემულ ზმნებთან არ გვხვდება.

საკვლევ მასალაში დასტურდება შემთხვევბი, როდესაც ერთპირიან ზმნაში ჭარბად არის გამოყენებული პირის ნიშანი:

იმათის საცოდაობით ერთობლივ სოფელი **ვსწუხდით**" (45, საგარეჯო)

„არზაში **სწერია** იყვნენ მიზეზები" (29, 15)

**„სწერია"** ზმნის დიალექტური ფორმაა **„ჲწერია"**.

საიტერესოა მესამე სუბიექტური პირის მაწარმოებლის გამოყენება. დღევანდელი ნორმის მიხედვით, მოსალოდნელი მესამე სუბიექტური პირის  მრავლობითობის მაწარმოებელი **-ნენ** ფორმანტის ნაცვლად გამოყენებულია **-ენ** სუფიქსი. სამეცნიერო ლიტერატურაში არის მსჯელობა -ენ//-ნენ მაწარმოებლების შესახებ. მითითებულია, რომ „ძველ ქართულში ... -ნენ დაბოლოება არ ყოფილა გამოყენებული" (ნორმები: გვ. 189, 1986) ძველი ქართულისთვის დამახასიათებელია **-ენ** დაბოლოება მესამე სუბიექტური მრავლობითი პირის აღსანიშნავად. ჩვენს საკვლევ ტექსტშიც სწორედ ასეთი ვითარება გვაქვს, ზმნებთან ძირითადად გვხვდება **-ენ** დაბოლოება:

„გაუშვებდენ სოფელში თარეშს სალდათები და ლეკურათ **მოითარეშებდენ**" (46, ვაქირი)

„ურემს **წაგვალებინებდენ** ქირას მოგცემთო" (52, ველისციხე)

**-ენ** სუბიექტური პირის მაწარმოებლის სიხშირე ძველი სალიტერატურო ქართული ენის გავლენით უნდა იყოს განპირობებული, თუმცა სასაუბრო მეტყველებაში ამას საკვლევი მასალაც ადასტურებს, გამოიყენება **-ნენ** ტიპის დაბოლოებაც, ორივე ტიპის წარმოება ერთდროულად თანაარსებობს. უპირატესობა პირველს ენიჭება. თანდათანობით **-ენ** დაბოლოებიანი ფორმები გაქრა და ამჟამინდელ კახურში **-ნენ** დაბოლოებიანი ფორმები დამკვიდრდა ახალი სალიტერატურო ქართული ენის გავლენით. მოვიყვანთ ილუსტრაციას საკვლევი მასალიდან:

„შიმშილით **ხოცდნენ**" (20, ანაგა)

„ვაზებს **სჭრიდნენ** და იმას **სწვავდნენ**" (32, ბოდბისხევი)

„დიდის ზომით **გვართმევდნენ** პურსა სოფლის მაღაზეინში" (48, ვაქირი)

„ხუთი აბაზი საესაულოს **ილებდნენ"** (76, მარტყოფი)

საინტერესოდ ვითარებას გვიჩვენებს თანდებულიანი ფორმები. საკვლევ მასალას ყველა უბანზე ძველი ქართული სალიტერატურო ენის გავლენა ემჩნევა, ეს ეხება თანდებულებსაც. ვხვდებით მიცემითი ბრუნვის თანდებულებს: **-ზედა // -ზედ // ზე** თანდებულებს.

„ფიცსა ერთგულობასა **ზედა**" (16, სიღნაღი)

„ამ **საქმეზედ** წარმოებდა სამართალი" (20, ანაგა)

„ასე ჯიბრით იმყოფებოდა **ჩვენზე**" (18, ანაგა)

**-შინა // -ში** თანდებულებს:

„დამიტევებია **მშვიდობასა შინა**" (16, სიღნაღი)

„სიღნაღის უეზდის **სუდში**" (20, ანაგა)

ნათესაობითი ბრუნვის თანდებულებიდან გვხვდება: **-თვის //-თვინ:** **„ჩვენთვის**" (12, თელავი), **„რისთვინმე"** (8, თელავი)

**-გან**: „ერთობ **მატნელთაგან** ნაცვლებისგან ოანეზას და მამუკას გარშაეული ხელს ვაწერთ" (15, თელავი)

**-ებრ**: „**სხვებრ**" (16, სიღნაღი)

მასალაში ძირითადად მოქმედებითი ბრუნვის თანდებულის დიალექტური ფრომები დასტურდება: -**დამ**:

„იქ ინახოს და **იქიდამ** გამოჩნდება ჩვენი ტყუილი" (11, თელავი)

აგრეთვე რამდენიმე შემთხვევა გამოვლინდა ძველი ქართულისებური წარმოებისა:

„დასაწყისმა ბუნთისამან მოუწია თიანეთითგან" (29,ბოდბე)

ვხვდებით ვითარებითი ბრუნვის **-მდე** თანდებულის შემდეგ დიალექტურ ნაირსახეობებს: **-მდინ //-მდის //მდისინ:**

„გვართმევდნენ ჩვენ დღეში ათ **ურმამდინ**" (21, ანაგა);

**„თუმნამდის**" (10, თელავი)

„რაც თქვენში აქამდისინ უსამართლოება იყო" (6, თელავი)

ამჟამინდელ კახურში გამოიყენება თანდებულების როგორც დიალექტური ფორმები, ასევე სალიტერატურო ქართულისთვის დამახასიათებელი წარმოება. დიალექტურ ფორმათაგან -**მდისინ** წარმოება დავიწყებას მიეცა.

ლიტერატურა


**გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961** — ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961

**დოკუმენტები კახეთის 1812 წლის აჯანყების ისტორიისთვის, 1999** — დოკუმენტები კახეთის 1812 წლის აჯანყების ისტორიისთვის, თბ., 1999

**თანამედროვე ქართული ენის ნორმები, 1986** — თანამედროვე ქართული ენის ნორმები, თბ., 1986.
**შანიძე 1942** — ა.შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ნაკვთი I, თბ., 1942.
**ჯორბენაძე 1989** — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

**KHATUNA QANDASHVILI**

## Some Morphological Peculiarities of the Kakhetian Dialect in the 1812 Kakheti Rebellion Documents

Summary

The 1812 Kakheti Rebellion Documents are of particular interest from the linguistic point of view. The paper discusses the following morphological peculiarities typical of the Kakhetian dialect of the period in question: the use of preverbs, the issues connected with the person markers, and the formation of postpositions. The study has revealed that in the document the preverb usage is similar to that of Old Georgian. The use of subjective and objective markers is also of interest; in the plural the third person subjective marker is formed with the help of the suffix *–en* which might be the influence of Old Georgian. In current Kakhetian dialect: person markers are employed in a number of different ways; as for postpositions, Old Georgian, dialectal as well as Standard Georgian forms are encountered.

ᲜᲘᲜᲝ ᲨᲐᲠᲐᲨᲔᲜᲘᲫᲔ

# ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲨᲘ
## (ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ)

უარყოფის სისტემა ქართულში განსხვავებული და თავისებურია, უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე სხვა ენებში. მისი გამოხატვის საშუალებები გამოყოფილია: ქართულ ენაში უარყოფას სამი ძირითადი ნაწილაკი გამოხატავს: ესენია: **არ/არა, ვერ/ვერა** და **ნუ.** ამათგან **არ/არა** მარტივ უარყოფას გამოხატავს (მას ზოგჯერ ნეიტრალურ ან კატეგორიულ უარყოფასაც უწოდებენ), **ვერ/ვერა** გამოხატავს შესაძლებლობის უარყოფას, ხოლო **ნუ** გამოიყენება თხოვნით ან აკრძალვით კონსტრუქციებში (ბ. ჯორბენაძე, 1984; ზ. ჭუმბურიძე, 1970). თუმცა ამ სისტემის მოქმედება ამით არ ამოიწურება: ამ სამ ძირითად ნაწილაკზე დაყრდნობით ენაში მრავლად გვხვდება სხვა ფორმებიც, რომლებიც სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსების დამატებითა და აქცენტირებით გამოხატავენ უარყოფას.

უარყოფის გამომხატველ ფორმათა სისტემას განავრცობს უარყოფის გამომხატველ ფორმებზე **-ც** და **-ღა** ნაწილაკების დართვა.

**-ც** ნაწილაკი პოლისემანტიკური ნაწილაკია და იგი რამდენიმე ფუნქციით გვხვდება: კითხვითი ნაცვალსახელისაგან აწარმოებს მიმართებით ნაცვალსახელებს: **ვინ > ვინც, რა > რაც, სად > სადაც, რომელი > რომელიც...** ახალ ქართულში სწორედ **-ც** ნაწილაკმა ჩაანაცვლა წევრ-კავშირებთან ჩვენებითი ნაცვალსახლები: **რომელი-იგი > რომელიც... -ც** ნაწილაკის ფუნქციებად აგრეთვე მიჩნეულია სიტყვის **მნიშვნელობის გაძლიერება** და **დამატებითობის** გამოხატვა. (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, 1988, გვ. 454).

ფაქტობრივად, სამივე შემთხვევაში ხდება **სემანტიკური კონკრეტიზაცია**. **-ც** ნაწილაკის აღნიშნული სემანტიკა ძველი ქართულის მასალაზეცაა შენიშნული: „-ცა საკმაოდ კანონზომიერად იხმარება ყოველთვის იმ სიტყვასთან, რომლის გამოყოფაც არის საჭირო

წინადადებაში“ (ე. ბაბუნაშვილი, 1957, გვ. 222). ძველ ქართულშივე იკვეთება ამ ნაწილაკის ერთ-ერთი ფუნქცია **დამატებითობა**, „და, კიდევ, აგრეთვე-ს აღნიშვნა“ (ე. ბაბუნაშვილი, იქვე). შეიძლება ითქვას, რომ **-ც** ნაწილაკის ძირითად ფუნქციად ქართულში **სემანტიკური კონკრეტიზაცია** ვლინდება, ხოლო **დამატებითობის** ფუნქცია კი მისგან განვითარებულად შეიძლება მივიჩნიოთ. მნიშვნელოვანია, რომ მისი მეშვეობით ენაში ახალი სისტემები იქმნება. უარყოფის გამომხატველ ელემენტებზე **-ც** ნაწილაკის დართვით ვიღებთ ფორმებს, რომლებიც უარყოფის გამოხატვასთან ერთად ავლენენ კონკრეტიზაციისა და დამატებითობის სემანტიკას. თავისთავად ამ ფორმებმა კი მოგვცა ახალი ქვესისტემა მაჯგუფებელი კავშირების სახით, რომელიც წინადადების წევრით ან თავად წინადადებით გამოხატული აზრის უარყოფას ახდენენ. ამასთანავე, ყველა ის მახასიათებელი სემანტიკა, რაც ამოსავალ ფორმას აქვს, უცვლელად გადაჰყვება ახალ ქვესისტემაში გადასულ და განსხვავებული სინტაქსური ფუნქციის მქონე ელემენტს. ამდენად, მაჯგუფებელი კავშირების იმავე სამწევრიან ქვესისტემას ვიღებთ, რაც დამახასიათებელია უარყოფის ამოსავალი სისტემისათვის და ძირითადი მნიშვნელობაც უცვლელად იკვეთება: **არც ... არც, ვერც ... ვერც, ნურც ... ნურც**: ***არც სასმელი მინდა და არც საჭმელი; ვერც მოვალ და ვერც დაგირეკავ; ნურც იყიდი და ნურც გაყიდი.***

უარყოფის ფორმებს ერთვის აგრეთვე **-ღა** ნაწილაკი: **არ-ღა > აღარ, ვერ-ღა > ვეღარ, ნუ-ღა > ნუღარ** (ფორმებში ხდება მეტათეზისი, ხოლო ნუ-სთან ანალოგიით ვითარდება **რ**). ამ ფორმებით იქმნება ქვესისტემა შემდეგი სემანტიკური ნიუანსით: მოქმედება, რომელიც აქამდე სრულდებოდა, სუბიქტური თუ ობიექტური მიზეზების გამო წყდება, ანუ იკვეთება უარყოფა შემდეგი მნიშვნელობის დართვით: **უკვე არ, მეტი არ. აღარ, ვეღარ, ნუღარ** ფორმებში.

ისევ მთავარია თავად უარყოფის კატეგორიზაცია — ნეიტრალური, შესაძლებლობისა თუ თხოვნა-აკრძალვის სემანტიკა, მაგრამ მას ემატება მოქმედების შეწყვეტის ნიუანსიც: **აღარ წერს** — ნიშნავს, რომ აქამდე წერდა, მაგრამ ახლა მოქმედება შეწყდა, ანუ უკვე არ, მეტს არ წერს; **ვეღარ მივდივარ** — ნიშნავს, რომ აქამდე ვაპირებდი წასვლას, ახლა კი უკვე არ შემიძლია წასვლა; **ნუღარ ყვირი** — ნიშ-

ნავს, რომ აქამდე, მართალია, ყვიროდი, მაგრამ ახლა უნდა მოხდეს მოქმედების შეწყვეტა.

**-ღა** ნაწილაკდართულ ფორმებზე **-ც** ნაწილაკის დართვით კვლავ ახალი ქვესისტემა ვითარდება. ეს ფორმები რთული სემანტიკისაა: ისინი შეიცავენ როგორც **უარყოფის კატეგორიზაციას**, ისე **მოქმედების შეწყვეტისა** და **კონკრეტიზაცია-დამატებითობის** სემანტიკასაც: **აღარც — ვეღარც — ნუღარც** რთული სემანტიკის მქონე ფორმები გვხვდება როგორც ცალკე, სახელთან ან ზმნასთან ერთად, ასევე მაჯგუფებელ კავშირებადაც, რომლებიც აერთებენ ორ წევრს ან წინადადებას და კონტექსტს ავსებენ ყველა ზემოხსნებული მნიშვნელობით: ***აღარც წყალი მინდა და აღარც საჭმელი*** — მინდოდა, მაგრამ უკვე არ მინდა წყალი, -ც ნაწილაკი აკონკრეტებს და დამატებით წარმოადგენს იმ აზრს, რომ თვით წყალი და საჭმელი არ უნდა; ***ვეღარც მე წავალ და ვეღარც შენ წაგიყვან*** — აქამდე შეიძლებოდა ორივეს წასვლა, მაგრამ ახლა უკვე არ შეიძლება კონკრეტულად ჩემი და ასევე შენი წასვლა; ***ნუღარც მოხვალ და ნუღარც დამელაპარაკები*** — რამდენადაც ნუ გამოიყენება ორივე — თხოვნის ან აკრძალვის კონსტრუქციაში, ამის გამო მხოლოდ ინტონაცია და კონტექსტი განსაზღვრავს, თხოვნითია ეს კონსტრუქცია, თუ აკრძალვითი. ნიშნავს: აქამდე, მართალია, მოდიოდი, მაგრამ უკვე არ უნდა მოხვიდე და ამასთანავე (დამატებითობა) არ უნდა დამელაპარაკო.

ამ ძირითადი სემანტიკური ნიუანსების გათვალისწინებით ენაში მოქმედებს სხვა ფორმებიც, რომელთა ფუნქციის, მნიშვნელობისა და სხვა მახასიათებლების თვალსაჩინოდ წარმოდგენის მიზნით ისინი განთავსებულია ცხრილში, რომელიც უარყოფის სისტემის მეტ-ნაკლებ სურათს იძლევა ქართულში:

### 1. უარყოფის გამომხატველი ენობრივი საშუალებები ქართულში:

| **გრამატიკული ფუნქცია** | **სემანტიკა** | **ნეიტრალური უარყოფა** | **შესაძლებლობის უარყოფა** | **მოქმედების უარყოფა: თხოვნა // აკრძალვა** |
|---|---|---|---|---|
| უარყოფის გამომხატველი ნაწილაკი | უარყოფა | **არ** | **ვერ** | **ნუ** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| უარყოფითი ნაწილაკი, მაჯგუფებელი კავშირი | უარყოფა **კონკრეტიზაცია-დამატებითობის** მითითებით (-ც ნაწილაკით) | **არც** | **ვერც** | **ნურც** (ანალოგიით გაჩენილი რ) |
| უარყოფითი ნაწილაკი | უარყოფა **მოქმედების შეწყვეტაზე** მიმათითებელი **~ღა** ნაწილაკით, მნიშვნელობით: **უკვე არ, მეტი არ** | **აღარ** | **ვეღარ** | **ნუღარ** |
| უარყოფითი ნაწილაკი, მაჯგუფებელი კავშირი | უარყოფა **კონკრეტიზაცია-დამატებითობისა (-ც) და მოქმედების შეწყვეტაზე (-ღა)** მითითებით | **აღარც** | **ვეღარც** | **ნუღარც** |
| უარყოფითი ნაცვალსახელი | უარყოფა **პიროვნებაზე** მითითებით | **არავინ** | **ვერავინ** | **ნურავინ** |
| უარყოფითი ნაცვალსახელი | უარყოფა, **პიროვნებაზე მითითება, მოქმედების შეწყვეტის** ნიშნით | **აღარავინ** | **ვეღარავინ** | **ნუღარავინ** |
| უარყოფითი ნაცვალსახელი | უარყოფა, **საგანზე** მითითებით | **არაფერი** | **ვერაფერი** | **ნურაფერი** |
| უარყოფითი ნაცვალსახელი | უარყოფა **საგანზე მითითებითა და მოქმედების შეწყვეტის** ნიშნით | **აღარაფერი** | **ვეღარაფერი** | **ნუღარაფერი** |
| უარყოფითი ნაცვალსახელი | უარყოფა **საგანზე მითითებით, მოქმედების შეწყვეტის ნიშნით და კონკრეტიზაცია-დამატებითობის** აღნიშვნით | **აღარაფერიც** | **ვეღარაფერიც** | **ნუღარაფერიც** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ზედსართავი სახელი | უარყოფა **საგნის მახასიათებელ ნიშანზე** მითითებით | **არანაირი** | **ვერანაირი** | **ნურანაირი** |
| ზედსართავი სახელი | უარყოფა **საგნის მახასიათებელ ნიშანზე მითითებითა და მოქმედების შეწყვეტის** ნიშნით | **აღარანაირი** | **ვაღარანაირი** | **ნუღარანაირი** |
| უარყოფითი ნაცვალსახელი | უარყოფა **გამორიცხვით** | **არცერთი** | **ვერცერთი** | **ნურცერთი** |
| უარყოფითი ნაცვალსახელი | უარყოფა **გამორიცხვითა და მოქმედების შეწყვეტის** ნიშნით | **აღარცერთი** | **ვეღარცერთი** | **ნუღარცერთი** |
| უარყოფითი ნაცვალსახელი | უარყოფა **სიტუაციის გამორიცხვით** | **არავითარი** | **ვერავითარი** | **ნურავითარი** |
| უარყოფითი ნაცვალსახელი | უარყოფა **სიტუაციის გამორიცხვითა და მოქმედების შეწყვეტის** ნიშნით | **აღარავითარი** | **ვეღარავითარი** | **ნუღარავითარი** |
| ადგილის ზმნიზედა | უარყოფა **ადგილზე** მითითებით | **არსად** | **ვერსად** | **ნურსად** |
| ადგილის ზმნიზედა | უარყოფა **ადგილზე მითითებითა და მოქმედების შეწყვეტის** ნიშნით | **აღარსად** | **ვეღარსად** | **ნუღარსად** |
| ადგილის ზმნიზედა | უარყოფა **ადგილზე მითითებით, მოქმედების შეწყვეტის ნიშნითა და კონკრეტიზაცია-დამატებითობის** აღნიშვნით | **აღარსადაც** | **ვეღარსადაც** | **ნუღარსადაც** |
| დროის ზმნიზედა | უარყოფა **დროზე** მითითებით | **არასდროს // არასოდეს** | **ვერასდროს // ვერასოდეს** | **ნურასდროს // ნურასოდეს** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დროის ზმნიზე-და | უარყოფა **დრო-ზე მითითებითა და მოქმედე-ბის შეწყვეტის** ნიშნით | **აღარასდროს // აღარასო-დეს** | **ვეღარას-დროს // ვეღარასო-დეს** | **ნუღარას-დროს // ნუ-ღარასოდეს** |

სისტემის ყველა ელემენტს აერთიანებს უარყოფის კატეგორიზაცია და ეს ნიშანი გადაჰყვება მას ყველა დამატებითი სემანტიკური შინაარსის შეძენის შემთხვევაშიც, იქნება ეს პიროვნებაზე, საგანზე, დროზე, სიტუაციაზე, კონკრეტიზაციასა თუ წყვეტაზე მითითება.

მეორე საკითხი, რაც სისტემის აღწერისას მნიშვნელობას იძენს, არის ამ ფორმათა მიმართება ზმნასთან, კერძოდ, ზმნის კილოსთან. უარყოფის ფორმათა გარკვეული განაწილება ხდება ენაში. **არ**, როგორც უარყოფის ნეიტრალური და ძირითადი ფორმა, გვხვდება ზმნის ყველა კილოსა და მწკრივის ფორმასთან. მართალია, მას აქვს გარკვეული სემანტიკური შეზღუდვები ან გამოყენების არეები, მაგრამ ეს ცალკე საკითხია, ფორმობრივად იგი იგუებს ყველა კილოს ფორმას.

**ვერ** გამოხატავს შესაძლებლობის შეზღუდვას, ამდენად იგი არასოდეს არ გამოიყენება ბრძანებითი კილოს ფორმასთან. ეს ერთგვარი აკრძალვაა, რაც განაპირობა, უპირველეს ყოვლისა, სემანტიკამ. სხვა კილოს ფორმებთან **ვერ** დაუბრკოლებლად გამოიყენება.

ქართულში, როგორც ცნობილია, აწმყოსა და მყოფადის ფორმები **ნუ** ნაწილაკთან ერთად გვაძლევს ბრძანებითი კილოს გაგებას. ამდენად, **ნუ** გვხვდება მხოლოდ ბრძანებითი კილოს მნიშვნელობით, ასევე იგი შეიძლება გამოხატავდეს თხოვნის ან ნატვრის შინაარსს. თუმცა ამ ფორმის გამოყენებას კიდევ ერთი შეზღუდვა აქვს — რამდენადაც იგი ბრძანებას, თხოვნას ან ნატვრას გამოხატავს, ამდენად სემანტიკური შეუსაბამობა ჩნდება წარსული დროის ფორმებთან. იგი არასოდეს არ გვხვდება წარსული დროის ზმნებთან (უწყვეტელი, წყვეტილი...). თუმცა აქ კიდევ ერთი საინტერესო დეტალია: ნუ ნაწილაკი I თურმეობითის ფორმასთან ერთად გამოყენებული შეიცავს **მუქარის**, **წყევლის** სემანტიკას: ***აბა ერთი ნუ გაუკეთებია! ნუ უცოცხლია! ნუ უჭამია!*** (ბ. ჯორბენაძე, 1984; ზ. ჭუმბურიძე, 1970).

2. **უარყოფის ძირითად ფორმათა განაწილება ზმნის კილოსა და დროის მიხედვით**:

| | |
|---|---|
| **არ** | გვხვდება ზმნის ყველა კილოსთან, ყველა მწკრივთან. |
| **ვერ** | გვხვდება მხოლოდ თხრობითი და კავშირებითი კილოს ფორმებთან..<br>არ გვხვდება ბრძანებითი კილოს ფორმებთან. |
| **ნუ** | გვხვდება ბრძანებითი კილოს ფორმებთან. ფორმალურად მასთან გამოიყენება აწმყოსა და მყოფადის ფორმები, მაგრამ ისინი იძენენ ბრძანებითი კილოს ფუნქციას. |

სემანტიკის გამო შეზღუდვები ვრცელდება ცალეკულ ზმნებზეც. ეს აშკარად მიუთითებს იმას, რომ სემანტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენაში კონსტრუქციების შექმნის თვალსაზრისით და ასევე დიდ გავლენას ახდენს კონსტრუქციათა შექმნისა თუ რეალიზების პროცესზე, რაც ცალკე შესწავლის საგანი უნდა გახდეს ქართული ენისათვის. ვერ ნაწილაკი თავისი ძირითადი მნიშვნელობის გამო არასოდეს არ გამოიყენება გარკვეული სემანტიკის ზმნებთან, კერძოდ: გრძნობა-აღქმის, მყოფობა-მქონებლობის, სტატიკურ ზმნებთან. ასევე არ ჩაენაცვლება **არ** ნაწილაკს ზოგიერთ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში, რადგან ეს ზმნები ვერ იგუებენ შესაძლებლობის სემანტიკას (ბ. ჯორბენაძე, 1984; ზ. ჭუმბურიძე, 1970).

3. **სემანტიკური შეუსაბამობა *ვერ* ნაწილაკისათვის**:

| **ვერ** არ გვხვდება შემდეგ ზმნებთან: | |
|---|---|
| **გრძნობა-აღქმის ზმნებთან:** | მშია, მწყურია, მტკივა, მცივა, მიყვარს, მძულს, მინდა, მესმის, ვიცი... ედიდება, ეჭმება, ემღერება... |
| **მყოფობა-მქონებლობის ზმნებთან:** | არის, არსებობს, იმყოფება, მდებარეობს, აქვს, ჰყავს... |
| **სტატიკურ ზმნებთან:** | სწერია, აბადია, გააჩნია, ავლია, ასხია, აყრია, აწერია, ახატია, ახურავს, აწყვია, ატყვია, არტყია, აცვია, აჩნია.. |
| **ფრაზეოლოგიურ შესი-** | არ აბოგინებს, არ აჭაჭანებს, არ და- |

| | |
|---|---|
| **ტყვებზში:** | გიდევს, არ დაეყვედრება, არ დაედგომება, არ ეჭაშნიკება, არ ეპიტნავება, აინუნშიაც არ აგდებს, არა უშავს რა... |

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ქართულში იწყება ამ სისტემის რღვევა და **ვერ** ნაწილაკი მკვიდრდება ზოგიერთ კონსტრუქციაში: *კარგად ვერ ვარ, ვერ მესმის...* ამგვარ კონსტრუქციებში **ვერ** ნაწილაკის გამოყენება მიანიშნებს სუბიექტის მიერ საკუთარი მდგომარეობის გაკონტროლების შესაძლებლობის არქონას.

გარდა იმისა, რომ ნაწილაკის შენაცვლების გამო იცვლება ზმნით გამოხატული მოქმედების უარყოფის კატეგორია, მნიშვნელობა ენიჭება ზმნის მწკრივსაც. ზმნის ფორმა, რომელიც იგუებს ორივე ნაწილაკს, გარკვეულად იცვლის სემანტიკას ნაწილაკის შენაცვლების შემთხვევაშიც და ვიღებთ კომპლექსურ, რთულ სემანტიკას, რომელსაც სხვა ენებში ვრცელი წინადადება დასჭირდება. ეს რთული სემანტიკა კი გარკვეულად ნაწილდება როგორც ზმნის ფორმაზე, ასევე ნაწილაკის შერჩევაზე.

## 4. სემანტიკური გადანაწილება

| **არ, ვერ ნაწილაკის სემანტიკური ნიუანსები ზმნის სხვადასხვა მწკრივის ფორმასთან** | |
|---|---|
| **არ + წყვეტილი =** განგებ, შეგნებულად არ შეასრულა მოქმედება | **არ დაწერა** — განგებ, გარკვეული მოსაზრების გამო შეგნებულად არ დაწერა. |
| **არ + I თურმეობითი =** შედეგი, წარსული მოქმედების მარტივი უარყოფა | **არ დაუწერია** — შედეგია ის, რომ არ არის დაწერილი. |
| **ვერ + წყვეტილი =** შესაძლებლობა არ ჰქონდა მოქმედების შესრულებისა | **ვერ დაწერა** — უნდოდა, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო დაწერის შესაძლებლობა არ ჰქონდა, ვერ შეძლო დაწერა. |

| | |
|---|---|
| **ვერ + I თურმეობითი =** შესაძლებლობის არქონის გამო მიღებული შედეგი | **ვერ დაუწერია** — შედეგია ის, რომ სურვილის მიუხედავად, შესაძლებლობის არქონის გამო მოქმედება არ შესრულდა. |

უარყოფის ენობრივი საშუალებების გამოყენებისას კიდევ ერთი საკითხია მნიშვნელოვანი: ეს უკავშირდება ორმაგი უარყოფის გამოყენებას. უკვე მიჩნეულია, რომ ორმაგი უარყოფა არა თუ დასაშვებია, არამედ გარკვეულ შემთხვევებში აუცილებელიცაა: კერძოდ, ზმნისა და უარყოფის გამომხატველი ზმნიზედების სხვა სიტყვებით გათიშვის შემთხვევაში გამოიყენება როგორც უარყოფის გამომხატველი ზმნიზედა, ისე ნაწილაკი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ზმნას (ლ. გეგუჩაძე, 2007; ა. არაბული, 2004). მაგალითად: ბუნდოვან ფრაზად ჩანს: ***არავითარი მნიშვნელობა აქვს*** — უმჯობესია ორმაგი უარყოფის გამოყენება: ***არავითარი მნიშვნელობა არ(ა) აქვს...*** მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის, რომ „რთულ კონსტრუქციაში შესაძლებელია მხოლოდ ერთი ჯგუფის უარყოფითი სიტყვებისა და ნაწილაკების გამოყენება“ (ზ. ჭუმბურიძე, 1970). ამ სისტემის დონეების მონაცემთა აღრევა ენაში სრულიად დაუშვებელია: **არასოდეს ვერ წავალ,* ან **ვერასოდეს არ გეტყვი* ენისათვის შეუსაბამო და უმოქმედო კონსტრუქციებია.

სისტემის მეტ-ნაკლები სისრულით აღწერისა და მისი შემადგენელი ელემენტების სემანტიკური ანალიზის შემდგომ მნიშვნელოვანია წარმოჩნდეს ამ სისტემის ადგილი მთელ ენობრივ სივრცეში.

ქართულ ენაში უარყოფის სისტემა თავისი სემანტიკური მახასიათებლებით მჭიდროდ უკავშირდება **მოდალობის** კატეგორიას. ის ფაქტი, რომ შესაძლებლობის მოდალობის გამოხატვა ქართულში უარყოფის სისტემის შემადგენელი ელემენტით ხდება, აშკარად ავლენს მათ შორის არსებულ კავშირს და თავისებურადაც წარმოაჩენს ამ სისტემას. ზოგადად, მიგებითი ნაწილაკები განიხილება მოდალობის კატეგორიის ერთ-ერთ გამომხატველ საშუალებად. ქართულ ენაში კი ამ სისტემას — დადასტურებისა და უარყოფის ფორმებს — აშკარად ენიჭება დამატებითი მოდალური ღირებულება, რადგან ამ

სისტემაში შემოდის კიდევ ერთი სემანტიკური ნიუანსი — დადასტურების ფორმებში თავაზიანობა (შდრ.: დიახ — თავაზიანობის გამომხატველი ფორმა და **ჰო, ხო, კი** — ნეიტრალური დადასტურების ფორმები), ხოლო უარყოფის ფორმებში კი — შესაძლებლობის გამომხატველი **ვერ** და მასზე დაფუძნებული მთელი სისტემა. ამდენად, მიგებითი ნაწილაკების ზოგადი სისტემა ქართულში ივსება დამატებითი მოდალური მნიშვნელობებითა და ელემენტებით.

საერთოდ, სხვადასხვა ენობრივ ელემენტთა სისტემის სემანტიკური თვალსაზრისით დამუშავება და შესწავლა, შემდგომ მათ შორის არსებულ კავშირთა გამოვლენა მნიშვნელოვანი ამოცანაა ლინგვისტიკისათვის. ენობრივ მონაცემთა ამგვარი ანალიზი ხელს შეუწყობს ენაში მოქმედი ისეთი მოვლენებისა და შესაბამისობების გამოვლენას, რაც აქამდე არ ყოფილა შესწავლის საგანი. გარდა ამისა, ამას პრაქტიკული მნიშვნელობაც ენიჭება. სემანტიკურ სისტემათა ანალიზი საფუძველი გახდება **ფუნქციური გრამატიკის** შედგენისა, რაც ენის შესწავლის პროცესში თანამედროვე მიდგომის შეუცვლელ ასპექტს წარმოადგენს. ენობრივ მონაცემთა ათვისებისას მათი დონეებად განაწილების საკითხს აუცილებლად უნდა უძღოდეს წინ სისტემის სრული აღწერა და მისი სემანტიკური ანალიზი. სემანტიკურ სისტემათა გამოკვეთა ასევე წინა საფეხურია **კონტრასტიული გრამატიკისათვის,** როცა კვლევა ეფუძნება სხვადასხვა ენობრივ სისტემათა ანალიზურ შედარებას.

ლიტერატურა

**ბ. ჯორბენაძე, 1984** — ბ. ჯორბენაძე, უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობებისთვის ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი VI, თბ.: 1984, გვ. 136 — 166.

**ზ. ჭუმბურიძე, 1970** — ზ. ჭუმბურიძე, უარყოფითი ნაწილაკები ქართულში და მათი ხმარების სტილური თავისებურებანი, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1970, № 2, გვ. 41 ‑ 16.

**ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, 1988** — ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ.: 1988.

**ე. ბაბუნაშვილი, 1957** — ე. ბაბუნაშვილი, ნაწილაკები ძველ ქართულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 67, 1957, გვ. 217 — 245.

**ლ. გეგუჩაძე, 2007** — ლ. გეგუჩაძე, ერთმაგი უარყოფის მცდარ ფორმათა შესახებ თანამედროვე ქართულში, კრაბული: ქარ-თული სალიტერატუო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, თბ. 2007, გვ.: 32 — 40.

**ა. არაბული, 2004** — ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ.: 2004.

**NINO SHARASHENIDZE**

## Negation System in Georgian
(general analysis)

Summary

In Georgian negation is expressed by means of three particles: *ar/ara,ver/vera* and *nu. ar/ara* convey simple negation (often termed as neutral or categorical); *ver/vera* show the negation of an ability; *nu* is evidenced in request or prohibition patterns. Based on these three particles there are numerous other negation patterns in Georgian emphasizing different semantic nuances. Essential elements of the Georgian negation system are the particles *c* and γa: the former is associated with semantic concretization, from which the meaning of addition develops. The forms with the particle *c* create a separate subsystem of additive conjunctions; used to negate either the message conveyed by a sentence member or the whole sentence. Negation forms also take the particle *γa* to convey the following nuances: an action in progress is interrupted because of certain subjective or objective reasons, in such cases the negation implies *ukve ar, meti ar (*meaning not any more, no more). By adding the particle *c* to the forms with *γa* another subsystem with the complex semantics is formed. As is known, the particles *ar, ver and nu* have specific distributions. Because of its semantic peculiarities the Georgian negation system is closely linked with the category of modality, this is particularly so in the case of expressing ability.

სუზი ცერცვაძე

# რეკლამის ტიპები ინგლისურენოვან სასტუმროს ონლაინრეკლამაში

რეკლამის ტიპების მრავალრიცხოვან კლასიფიკაციათა შორის ყურადღებას იპყრობს თამაზ შენგელიას ნაშრომში წარმოდგენილი კლასიფიკაცია (შენგელია, 2008). აღნიშნული კლასიფიკაცია განასხვავებს რეკლამის შემდეგ ძირითად ტიპებს:

**ინფორმაციული რეკლამა** არის რეკლამის ტიპი, რომელიც გვაწვდის ფაქტობრივ ინფორმაციას პროდუქტზე და/ან შეთავაზებულ მომსახურებაზე, დაწვრილებით აღწერს რეკლამირების ობიექტს და წარმოაჩენს მის მხოლოდ დადებით თვისებებს.

**ემოციური რეკლამა** არის რეკლამის ტიპი, რომელიც სხვადასხვა ხერხის გამოყენებით ძლიერ ზეგავლენას ახდენს მომხმარებელზე. ამ ტიპის რეკლამის შემთხვევაში რეკლამირების ობიექტი განლაგდება მომხმარებლისთვის მიმზიდველ გარემოში; გამოიყენება ემოციების გამომწვევი სხვადასხვა ხერხი. მაგ., ბუნება, ფერები, მოძრავი ილუსტრაციები, სიმბოლოები, შესაფერისი შრიფტი, რუკები, ბავშვები, ცხოველები და სხვ.

**იმიჯის რეკლამა** დაფუძნებულია ცნობილი, ავტორიტეტის მქონე პირების სახელების გამოყენებაზე. აღნიშნულ შემთხვევაში რეკლამირებას ახდენენ ყველასთვის ნაცნობი, პოპულარული მსახიობები, მომღერლები, ჟურნალისტები და სხვა პროფესიის წარმომადგენლები. იმიჯის რეკლამა საოცარ გავლენას ახდენს მომხმარებლებზე, იწვევს მათში დიდ ინტერესს, რომლის ხარისხიც დამოკიდებულია იმ კონკრეტულ პირზე, რომელიც ახდენს ობიექტის რეკლამირებას.

**შედარებითი რეკლამა** ეფუძნება მსგავსი პროდუქტების შედარებას.

**ქვეცნობიერი ტიპის რეკლამა.** აღნიშნული ტიპის რეკლამა შეფარული ხასიათისაა და ეყრდნობა ქვეცნობიერის ფროიდისეულ გაგებას.

წინამდებარე ნაშრომის ინტერესის სფეროს წარმოადგენს განიხილოს, თუ როგორ ხდება ზემოთ ჩამოთვლილი რეკლამის სახეობების რეალიზება სასტუმროს ინგლისურენოვან ონლაინრეკლამაში.

საკვლევ მასალად გამოყენებულ იქნა ინგლისურენოვან ვებგვერდზე, booking.com, განთავსებული სასტუმროს რეკლამები (200).

### 1. რეკლამის ინფორმაციული ტიპის რეალიზება სასტუმროს ონლაინრეკლამაში.

ემპირიული მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ აღნიშნული ტიპის რეკლამას ახასიათებს ტექსტის გამჭვირვალე სტრუქტურა.

ინფორმაციული ტიპის სასტუმროს რეკლამაში ხდება შეთავაზებული მომსახურებისა და პირობების დეტალური აღწერა, ფაქტობრივი ინფორმაციის მიწოდება სასტუმროს უპირატესობებზე. რეკლამაში დაწვრილებით არის აღწერილი სასტუმროს ოთახები, მათი განლაგება და ზომები, ხედები, რომლებიც ოთახების ფანჯრებიდან იშლება და ა.შ., განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასტუმროს ადგილმდებარეობის აღწერას.

რეკლამების სტრუქტურულმა ანალიზმა ცხადყო, რომ რეკლამის ტექსტი შედგება შემდეგი ძირითადი კომპონენტებისგან:

#### 1) საწყისი მონაკვეთი — ადგილმდებარეობის აღწერა

ონლაინრეკლამების აბსოლუტური უმრავლესობა იწყება ადგილმდებარეობის აღწერით. რეკლამის ტექსტის დასაწყისში დომინირებს სიტყვები „located“, „situated“, მდებარეობს, განლაგებულია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ხშირად რეკლამის ტექსტის საწყის მონაკვეთში ზმნა გამოტოვებულია და წინადადება იწყება მიმღეობით. როგორც ვხედავთ, მდებარეობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მომხმარებელთა დიდი უმრავლესობის მოწონებას იმსახურებს სასტუმრო, რომელიც მდებარეობს ამა თუ იმ ქალაქის ცენტრალურ რაიონში, ქალაქის ღირსშესანიშნაობებთან, მნიშვნელოვან ობიექტებ-

თან ან ტრანსპორტის სხვადასხვა საშუალებასთან ახლოს. რეკლამაში მნიშვნელოვანი ობიექტების ხსენებით ნათელი ხდება რაოდენ ხელსაყრელი და მოსახერხებელი მდებარეობა აქვს კონკრეტულ სასტუმროს, ამ ობიექტებთან სიახლოვე გულისხმობს ნაკლებ ხარჯს, დაზოგილ დროსა და ენერგიას.

ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მაგალითი სხვადასხვა სასტუმროს რეკლამის საწყისი მონაკვეთიდან:

**ა) The Emblem Hotel (booking.com, მოპოვებულია — 27.11. 2014)**

*„The Emblem Hotel is in a central location, 320 yards from Prague's Old Town Square…The Staromestska Metro and Tram Station is a 4-minute walk away."*

**ბ) ibis Amsterdam Centre (booking.com, მოპოვებულია — 27.11. 2014)**

*„Hotel ibis Amsterdam Centre is in the centre of the city of Amsterdam, right next to the Central Train Station and only 10 minutes away by foot from Dam Square."*

**გ) Country Hearth Inn (booking.com, მოპოვებულია — 28.11. 2014)**

*„Located in San Francisco, Country Hearth Inn San Francisco Hotel is close to Presidio Theatre, Palace of Fine Arts and Exploratorium."*

**2) ძირითადი მონაკვეთი — მომსახურების შეთავაზება და პირობების გაცნობა**

სასტუმროს ონლაინრეკლამის ტექსტის ძირითად ნაწილში დეტალურად არის აღწერილი სასტუმროს მიერ შეთავაზებული მომსახურება, პირობები და მათი უპირატესობები.

**ა) ინფორმაცია სასტუმროს ინტერიერზე**

**Ekici Hotel (booking.com, მოპოვებულია — 27.11.2014)**

*„All rooms in Ekici Hotel are modern and warmly decorated. They have luxurious private bathrooms with the baths, climate control and coffee and tea facilities."*

**ბ) ინფორმაცია სასტუმროს ექსტერიერზე**

**Best Western Albergo Cavalletto (booking.com, მოპოვებულია — 27.11.2014)**

*„Some rooms offer charming views of the gondolas in the Orseolo basin.“*

**გ) ინფორმაცია მომსახურებასა და აღჭურვილობაზე**

**ibis Amsterdam Centre (booking.com, მოპოვებულია — 16.11. 2014)**

*„Each air-conditioned room at ibis Amsterdam Centre comes with ibis Sweet Beds and a flat -screen TV. The private bathroom is fitted with a shower and toilet.*

*Breakfast is served every morning in the breakfast area. A wide variety of restaurants, bars and cafes can also be found in the direct area of the hotel.*“

**3) დასკვნითი მონაკვეთი — სხვა მნიშვნელოვანი ობიექტის/ების ხსენება, რომელთა სიახლოვესაც მდებარეობს სასტუმრო.**

რეკლამის ტექსტის დასასრულს ვებგვერდზე booking.com, ძირითადად ყურადღება გამახვილებულია მნიშვნელოვან ობიექტებზე, რომელთა სიახლოვესაც სასტუმროს შენობა მდებარეობს, აღნიშნული ობიექტების ხსენებით კიდევ ერთხელ ესმება ხაზი სასტუმროს ხელსაყრელ მდებარეობას.

**ა) ibis Amsterdam Centre (booking.com, მოპოვებულია — 16. 11.2014)**

*„Schiphol Airport is only 15 minutes by train, while the RAI congress centre is 20 minutes by tram. Amsterdam Arena is 15 minutes away by metro.*“

ვხედავთ, რომ რეკლამაში მკითხველზე ზემოქმედების მიღწევის მიზნით ყურადღება მახვილდება სარეკლამო ობიექტის ძირითად ასპექტებზე.

**სინტაქსი**

როგორც ვხედავთ, სასტუმროს რეკლამა ცდილობს მომხმარებლის ყურადღების მყისიერ მიპყრობას რეკლამირებულ ობიექტზე და მისი გონების კონცენტრირებას ახდენს მხოლოდ სასტუმროს დადე-

ბით მახასიათებლებზე. სწორედ ამიტომ, რეკლამის ენისათვის უცხოა რთულად აღსაქმელი წინადადებები, რომელთა წაკითხვას არავინ მოისურვებს. შესაბამისად, რეკლამის ენა ისეა ჩამოყალიბებული, რომ მას აქვს ძლიერი ზემოქმედებისა და მომხმარებლის სწრაფი დარწმუნების ეფექტი.

სასტუმროს ონლაინრეკლამის ტექსტში ძირითადად ჭარბობს SVOA, SVA + and + VA ტიპის მარტივი გავრცობილი წინადადებები, ერთგვაროვანი წევრებით. მოყვანილი ფაქტის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითები სხვადასხვა სასტუმროს რეკლამიდან:

**ა) Fairfield Inn by Marriott Times Square (booking.com, მოპოვებულია — 20.11.2014)**

„*The Fairfield Inn by Marriott Times Square offers decorative rooms with a 32-inch-flat-screen cable TV and an iPod docking station.*" (SVOA)

**ბ) Inntel Hotels Amsterdam Centre (booking.com, მოპოვებულია — 20.11.2014)**

„*Inntel Hotels Amsterdam Centre offers rooms with free Wi-Fi and satellite TV, just a 5-minute walk from Amsterdam Central Station.*" (SVOA)

**გ) Starhotels Business Palace (booking.com, mopovebulia — 20. 11.2014)**

„*The buffet breakfast starts early and is available in the Borromeo restaurant.*" (SVA + and + VA)

**2.** როგორც უკვე აღინიშნა, **ემოციური ტიპის რეკლამის** მიზანია სხვადასხვა ვერბალური და ვიზუალური საშუალებების გამოყენებით მომხმარებელს უბიძგოს სასტუმროს დაჯავშნისკენ. ადრესანტის შეტყობინება აუცილებლად უნდა გაიზიაროს ადრესატმა, რადგან სხვა შემთხვევაში კომუნიკაცია არ შედგება. ამიტომ სასტუმროს პირობების აღწერა ხდება არა მშრალი, არამედ დადებითი სემანტიკის მქონე ლექსიკური ერთეულებით. ლინგვისტური საშუალებებით ადამიანის ემოციებზე ზემოქმედების მოხდენა დამოკიდებულია: ემოციურად დატვირთული დადებითი სემანტიკის მქონე ლექსიკური ერთეულების, ძახილის წინადადებების, ექსპრესივებისა და დირექტივების გამოყენებაზე.

**ლექსიკა**

სასტუმროს ონლაინრეკლამის ლექსიკა გამოირჩევა მრავალფეროვანი ლექსიკური ერთეულების ხმარებით, რომელთა დადებითი მნიშვნელობები ადვილად იპყრობს მომხმარებლის ყურადღებას.

**ზედსართავები**

ზედსართავების გამოყენების სიმრავლე ხაზს უსვამს რეკლამირებული ობიექტის დადებით თვისებებს. გარდა ამისა, ამ ზედსართავების ხშირი გამოყენება აყალიბებს შთაბეჭდილებას, რომელიც არწმუნებს მომხმარებელს სასტუმროს მიერ შეთავაზებული მომსახურების მაღალ ღირებულებაში.

ვებგვერდზე არსებულ სასტუმროს რეკლამებში დიდი სიხშირით გამოიყენება შემდეგი ზედსართავები, რომელთაგან ზოგიერთი ნეიტრალურ ხასიათს ატარებს, თუმცა კონტექსტში იძენს დადებით სემანტიკას.

charming, beautiful, spacious, tropical, regional, good, modern, legendary, private, free, elegant, bright, classic, delicious, perfect, demanding, quiet, various, stunning, panoramic, great, gorgeous, popular, large, stylish, neutral, native, fresh, organic, attached, small, eternal, peaceful, luxurious, unforgettable, versatile, picturesque, sunny, everlasting, continental, personal, safe, standard, comfortable, warm, famous, distinct, excellent, special, near, secret, clean, efficient, cheap, trendy, wide.

ვებგვერდზე მოძიებულ რეკლამებში 15 ყველაზე ხშირად გამოყენებული ზედსართავია:

**Free, private, comfortable, spacious, modern, beautiful, panoramic, stylish, luxurious, famous, elegant, cheap, quiet, various, stunning.**

**ზმნები**

10 ყველაზე ხშირად გამოყენებული ზმნაა: **offer, feature, serve, provide, explore, overlook, visit, relax, enjoy, include.**

ძახილის წინადადების სტრუქტურის მქონე ექსპრესივებისა და დირექტივების მიზანია მოუწოდოს მომხმარებელს და უბიძგოს გარკვეული ქმედებისკენ, როგორც წესი, ასეთი მოწოდებები მომხმარებლისთვის ხელსაყრელ სიტუაციას სახავს. აღნიშნული ტიპის სამეტყველო აქტებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს დადებითი და აღმატებითი სემანტიკის მქონე ზედსართავები.

**ექსპრესივები**

- *'Unlock **secret** deals!'*
- *'Sign up to receive discounts of 20 % or more!'*
- *'Use filters to find the **best** results!'*
- *'**Clean** and **Efficient**'*
- *'**Great** Location'*
- *'**Excellent** Business Stay'*
- *'**Great** Place to Stay'*

**დირექტივები**

- *'Discover all the secrets of the **eternal** city'*
- *'Enjoy a freshly brewed espresso on one of the Rome's **popular** piazzas and admire the **everlasting** beauty of frescoes in the Sistine Chapel.'*
- *'Make sure you explore the **popular** Trastevere and its cafes and trattorias, sit down on the Spanish Steps or just relax and enjoy Rome's **picturesque** and **sunny** atmosphere.'*

როგორც ექსპრესივების, ასევე დირექტივების მიზანია მომხმარებლის დაინტერესება და შეთავაზებული მომსახურებით სარგებლობა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსების ადგილს. ინფორმაციის განთავსების სამი მნიშვნელოვანი განზომილება არსებობს: ვერტიკალური, ჰორიზონტალური და ცენტრალურ-პერიფერიული. ვერტიკალურ განზომილებაში წარმოდგენილია ინფორმაცია, რომელიც გვერდის საწყის მონაკვეთში ზოგადია და გვერდის დასასრულს უფრო სპეციფიკური ხდება. ჰორიზონტალურ განზომილებაში შედარებით ძველი ინფორმაცია მოცემულია მარცხნივ, ხოლო გვერდის მარჯვენა მხარეს წარმოდგენილია ახალი ინფორმაცია. რაც შეეხება ცენტრალურ-პერიფერიულ განზომილებას, ცენტრალურ ნაწილში, როგორც წესი, ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის განთავსება ხდება, პერიფერიულ ნაწილში კი შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანის (ჰოლსანოვა, 2006).

საინტერესოა, როგორ ახდენს გავლენას ვიზუალური საშუალებები მომხმარებელზე, მათგან შეიძლება გამოვყოთ რეკლამის სათაურისა და ტექსტის შრიფტის ტიპი, ფორმა და ზომა. ასევე, ვებ-გვერდის დიზაინი, ფერები, ხატები (რაშიც იგულისხმება სასტუმროს ინტერიერისა და ექსტერიერის ფოტოები), რუკები, პიქტოგრამები/სიმ-

ბოლოები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეკლამის ტექსტი არ არის გადატვირთული ჭარბი ინფორმაციით, იგი არ საჭიროებს მომხმარებლის გონების დაძაბვასა და ღრმა ანალიზს, არამედ გაანალიზების პროცესი მარტივად, თითქმის გაუცნობიერებლად ხდება გრაფიკული ნიშნების საშუალებით. ინფორმაციის მიწოდების ამ წყაროების განლაგება ხდება წინასწარ ყურადღებით შერჩეულ ადგილებზე. კერძოდ, სასტუმროს რეკლამები და სიახლეები მომსახურებაზე, როგორც წესი, განთავსებულია ვებგვერდის მარჯვენა კუთხეში, მარცხენა მხარეს კი სტუმრის სარეგისტრაციო ზონაა მოცემული, სადაც მითითებული მონაცემების შეყვანის შემდეგ ნებისმიერ მსურველს შეუძლია მოიძიოს ინფორმაცია სასურველ სასტუმროზე. შემოქმედებითი და ორიგინალური ხერხების გამოყენება აძლიერებს მკითხველის დაინტერესებას და არწმუნებს მას რეკლამირებული ობიექტის მაღალ ღირებულებაში. ვებგვერდზე გამოყენებული ძირითადი ვიზუალური საშუალებებია:

**ფერები** – როგორც ცნობილია, ადამიანები არჩევენ და ყიდულობენ საქონელს გრძნობებზე დაყრდნობით, შემდეგ კი გადაწყვეტილებას ამართლებენ ლოგიკით. მომხმარებლის ემოციებზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით კი გამოიყენება ვიზუალური საშუალებები, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ფერებს (მურეი, 2013).

კავშირი ფერებსა და გრძნობებს შორის საკმაოდ დიდია, ფერები განსაზღვრავენ შესაბამისი განწყობის შექმნას. სასტუმროთა რეკლამირებისას ფერებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ფერების მნიშვნელობა თავად სასტუმროს თუნდაც ადგილმდებარეობის აღწერის დროსაც კი თვალსაჩინოა. მნიშვნელობა ენიჭება როგორც ქვეყანას, რომელშიც სასტუმრო მდებარეობს, ასევე, კონკრეტული ქვეყნის ბუნებრივ და კლიმატურ მდგომარეობას. მაგალითად, თუ სასტუმრო მდებარეობს საბერძნეთში, ბუნების ისეთ საოცარ ქმნილებებთან ახლოს, როგორებიცაა ვულკანი და მთები, მაშინ სასტუმროს ინტერიერისა და ექსტერიერის ფერებიც გარემოს შესაბამისად შავ და წითელ ფერებშია წარმოდგენილი (იხ. ფოტო №1, ფოტო №2). მაშინ როდესაც, შვეიცარიული სასტუმროების უმეტესობა

წარმოდგენილია ალპების თეთრად დათოვლილი მთების ფონზე (იხ. ფოტო №3). ერთხელ უკვე შერჩეული ფერები კი დომინირებს მთელ სასტუმროში. როგორც ვხედავთ, ფერების როლი საკმაოდ დიდია სასტუმროს რეკლამირების საქმეში და აუცილებელი ფაქტორი იმისათვის, რომ სასტუმროს რეკლამირება მოხდეს წარმატებით. ასევე, ფერი წარმოადგენს კონკრეტულ სასტუმროს სიმბოლურად, ფერები ამ შემთხვევაში შეიძლება იდენტიფიკატორებადაც ჩავთვალოთ.

ფოტო №1



ფოტო №2



ფოტო №3



შესაბამისად, იმის მიხედვით თუ სასტუმრო რომელ ქვეყანაში მდებარეობს ან რომელი ქვეყნის სახეს წარმოაჩენს, რა თვისებებით ხასიათდება, როგორია მისი მდებარეობა, გასათვალისწინებელია შესატყვისი ფერები, რაც უშუალოდ იქნება დაკავშირებული სასტუმროს მდებარეობასა და მომსახურებასთან. რეკლამა ზოგადად შეიძლება შევადაროთ აზროვნების თამაშს, რომელშიც ადამიანები გა-

რკვეულ ფერებს წინასწარ გამომუშავებული განწყობით აფასებენ და, შესაბამისად, ამ ფერებს მათთვის მეხსიერებაში წარსულში დალექილ შესატყვის სიტუაციებთან აიგივებენ (ჩერი, 2015).

მაგალითად, შეუძლებელია სასიამოვნო განწყობის ჩამოყალიბების მიზნით წარმოვიდგინოთ ღრმა აუზი წმინდა და კამკამა ლურჯი ფერის ნაცვლად წითელ ფერში, რაც, რასაკვირველია, დადებით ასოციაცებს ვერ გამოიწვევს. საჭირო არ არის ჩავატაროთ კვლევა საზოგადოებაში იმის დასადგენად, რომ მსგავსი ტიპის აუზს სულ მცირე ბევრი მცურავი არ ეყოლება, ზღვის ან ოკეანის ფერის აუზთან შედარებით. ჩატარებული კვლევების თანახმად, სასტუმროს რეკლამის ვებგვერდზე შემოსულ პოტენციურ კლიენტს იმისათვის, რომ შეარჩიოს სასურველი სასტუმრო წამის მეოცედი სჭირდება, ეს დრო კი, თავის მხრივ, საკმარისია სასტუმროს ვიზუალური კუთხით დასათვალიერებლად. ასე რომ, ვებგვერდის დიზაინს და შესაფერის ფერთა შერჩევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ფერები აღვიძებს სასტუმროსადმი ინტერესს, ზრდის სტუმრის ნდობის ხარისხს და უბიძგებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისკენ, რომ ისარგებლოს შერჩეული სასტუმროს მომსახურებით. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ფერი/ები ვებგვერდზე, რადგან, როგორც დავინახეთ, ისინი ზეგავლენას ახდენენ ჩვენს გრძნობებსა და აღქმებზე. აგრეთვე მნიშვნელოვანია ვიცოდეთ კონკრეტული ფერი როგორი განწყობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, მიღებულია, რომ არსებობს პასიური და აქტიური ფერები: პასიური ფერებია: ლურჯი (ლურჯი ასევე აღიქმება როგორც მეორეხარისხოვანის ნიშანი), ცისფერი (სასიამოვნო), მწვანე (დამამშვიდებელი); აქტიური ფერებია: იასამნისფერი (სევდის მომგვრელი), ყვითელი (აღელვების გამომწვევი) და წითელი (აგრესიის გამომწვევი).

**შრიფტი** — ვებგვერდზე განთავსებული ყველა სასტუმროს რეკლამის ტექსტი შრიფტის განსაზღვრული ზომით არის წარმოდგენილი. როგორც წესი, სათაური შედარებით დიდი და განსხვავებული ფერით იბეჭდება, ვიდრე რეკლამის სრული ტექსტი, გასხვავებული ფერებითაა მოცემული ინსტრუქციები და შეთავაზებები;

**ილუსტრაციები** წარმოდგენილია სასტუმროს ექსტერიერისა და ინტერიერის უძრავ-მოძრავი ფოტოების სახით;

**რუკები —** რუკების საშუალებით მარტივდება სასტუმროს ადგილმდებარეობის განსაზღვრა და გარდა ამისა წარმოდგენა გვექმნება სასტუმროს სიახლოვეს მდებარე ტრანსპორტის საშუალებებსა თუ მნიშვნელოვან ობიექტებზე;

**პიქტოგრამები (სიმბოლოები) —** მათი საშუალებით ხდება სხვადასხვა ინფორმაციის უსხარტესი და უმარტივესი გზით გადმოცემა, რაც ადვილად გასაგებს ხდის მიწოდებულ ინფორმაციას.

### 3. იმიჯის რეკლამის რეალიზაცია სასტუმროს ონლაინრეკლამაში

როგორც უკვე აღინიშნა, იმიჯის რეკლამა დაფუძნებულია, ერთი მხრივ, ცნობილი პირების სახელების გამოყენებაზე და, მეორე მხრივ, სლოგანების საშუალებით ყურადღების მყისიერ მიპყრობაზე. იმიჯის რეკლამის საილუსტრაციოდ წარმოვადგენ შემდეგ მაგალითს. სასტუმროს, „Hotel Du Vin" რეკლამირებას უწევს პოპულარული ბრიტანელი ტელეწამყვანი პირს მორგანი, რომლის თქმით, „Hotel Du Vin" მისთვის გამორჩეული სასტუმროა, ლამაზი ოთახების, არაჩვეულებრივი ვისკის ბარის, მეგობრული პერსონალისა და განსაკუთრებული ღვინის გამო, რომლებსაც სასტუმრო სთავაზობს სტუმრებს. იგი ამბობს:

„*I think I travel far, far too much. I need somewhere I can truly unwind. A place that offers me what I need, when I need it. Be it with friends or for business I look forward to stunning food and a thankfully peaceful night sleep to recharge the batteries. Did I mention they do a great glass of wine too?*"

პირს მორგანი საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მის თვალსაზრისს ხალხი დააფასებს ან, სულ მცირე, მათში გამოიწვევს გარკვეულ ინტერესს.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ რეკლამის შედარებითი ტიპის რეალიზება არ ხდება ჩემ მიერ მოპოვებულ მასალაში, ვებგვერდზე booking.com.

**სლოგანი**

რაც შეეხება სლოგანს, სასტუმროს წარმატებულ საქმიანობას, მისი სახელის დამკვიდრებასა და იმიჯის პოპულარიზაციას მსოფლიო მასშტაბით განაპირობებს სწორად შერჩეული სლოგანი. ნებისმიერი წარმატებული და კარგად ცნობილი სასტუმროთა ქსელი ფლობს თავის საკუთარ სლოგანს. საკვლევ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ სლოგანი ახდენს საქონლის/ობიექტის იდენტიფიკაციას, უზრუნველყოფს პროდუქტის პოპულარიზაციას და დადებითი შთაბეჭდილების შექმნას. სასტუმროს სლოგანი, როგორც წესი, მარტივი, ადვილად გასაგები და დასამახსოვრებელია. წარმატებული სლოგანი ლაკონიურად, სხარტად, კრეატიულად და მაპროვოცირებლად მოქმედებს მკითხველზე. მაშასადამე, სასტუმროს სლოგანი უნდა იყოს:

- სხარტი
- მოკლე
- კრეატიული
- მაპროვოცირებელი

სლოგანში ხშირია ალიტერაციისა და პარალელური კონსტრუქციების გამოყენება. ასევე ვხვდებით მეორე პირის ნაცვალსახელის ხშირ გამოყენებას, რაც ქმნის ადრესანტსა და ადრესატს შორის პირისპირ საუბრის ილუზიას.

**ალიტერაცია**

- *'**H**omewood Suites. Make yourself at **h**ome.'*
- *'**E**verything **e**xcept **e**xcess'*
- *'At **H**ampton, We Love **H**aving You **H**ere'*

**პარალელური კონსტრუქცია**

- *'Twice the comfort, twice the value twice the hotel'*
- *'Lady's first. Where lady's at her best'*
- *'The best surprise is no surprise'*

აღნიშნული მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს სლოგანის ეფექტის მიღწევას, რაც მდგომარეობს ადამიანის მიერ სლოგანის სწრაფ დამახსოვრებაში. გარდა ამისა, სლოგანის ფრაზები გონებაში რჩება საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

**მეორე პირის ნაცვალსახელისა და კითხვითი წინადადებების ხშირი გამოყენება**

- *'We put a smile back on your face'*
- *'Who's taking care of you?'*
- *'The art of meeting your highest expectations.'*

მეორე პირის ნაცვალსახელებისა და კითხვების გამოყენება ყურადღების მიპყრობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, რადგანაც მათი მეშვეობით იქმნება შთაბეჭდილება, რომ კომუნიკანტებს შორის კონტაქტი უშუალო და პირდაპირია.

**ქვეცნობიერი ტიპის რეკლამის რეალიზაცია სასტუმროს ინტერნეტრეკლამაში.**

ქვეცნობიერი რეკლამა წარმოადგენს რეკლამის ისეთ ტიპს, რომელშიც ემოციური რეკლამის მსგავსად ვიზუალური და ვერბალური საშუალებებით პიროვნებაზე ხდება ზემოქმედება. ზიგმუნდ ფროიდის გონების ტოპოგრაფიული თეორიის მიხედვით ადამიანის გონება წარმოდგენილია სამი სხვადასხვა დონით: ქვეცნობიერი, არაცნობიერი და ცნობიერი. **ქვეცნობიერი** არის ფიქრის პრიმიტიული ფორმა, რომლის დროსაც ადამიანი მოქმედებს ძირითადი სურვილების დასაკმაყოფილებლად, საკუთარი ქცევის გაცნობიერების გარეშე ისე, რომ ადამიანი არ ითვალისწინებს ქცევის მიზეზს და შედეგს, მთავარია დაიკმაყოფილოს ის იმპულსები და გრძნობები რაც უჩნდება. ქვეცნობიერი მუდმივად მიმართულია სიამოვნების მიღებისკენ. ამ პროცესების ერთიანობას ფროიდი **პირველად პროცესს** უწოდებდა (ჩერი 2015).

განვიხილავ თუ როგორ ხდება აღნიშნული ტიპის რეკლამის რეალიზება სასტუმროს ონლაინრეკლამაში.

**ინფორმაცია სასტუმროების მიერ შეთავაზებულ მომსახურებაზე**

**1. Alpina Phuket Nalina Resort (booking.com, მოპოვებულია — 16.11.2014)**

*„This luxury hotel offers a coffee shop, café, a poolside bar and a bar/lounge. The staff can provide tour ticket, assistance wedding services and event catering."*

**Alpina Phuket Nalina Resort (booking.com, მოპოვებულია — 20. 11.2014)**

*„Additional amenities include a children's pool, spa services and a steam room.“*

**The Giacomo (booking.com, მოპოვებულია — 20.11.2014)**

*„During their stay, guests can enjoy a hot breakfast buffet. Buffalo Niagara International Airport is 25 miles away.“*

მოყვანილი მაგალითებიდან ვხედავთ, რომ თითოეული რეკლამის ტექსტი ხასიათდება მრავალფეროვანი ლექსიკური ერთეულების სიმრავლით, როგორებიცაა მაგალითად: **additional, international, hot,** აღნიშნული ზედსართავები ქმნიან კონკრეტული საგნების შესახებ დადებით ხატს ადამიანის ქვეცნობიერში. გარდა ზედსართავებისა, მრავლად ვხვდებით საინტერესო არსებითების გამოყენებას, რომლებსაც ყოველ რეკლამაში განსაკუთრებული დატვირთვა აქვთ მინიჭებული. ადამიანის ქვეცნობიერში დალექილი ცოდნიდან გამომდინარე შესაბამისი გავლენა მიიღწევა შემდეგი ფრაზებითა და სიტყვებით, **luxury hotel, wedding services, children's pool, spa services, Niagara** და ა.შ. მოცემული ფრაზებით იქმნება დადებითი ხატები და რეკლამირებული ობიექტის მიერ შეთავაზებული მომსახურება იძენს სასურველ ფორმას.

როგორც ვხედავთ, ინგლისურენოვან სასტუმროს ონლაინრეკლამაში რეალიზდება რეკლამის 4 ძირითადი ტიპი, რომლებიც ვერბალური და ვიზუალური საშუალებების მეშვეობით იპყრობს მკითხველის ყურადღებას, იწვევს მასში დიდ ინტერესს, დამაჯერებლად წარმოაჩენს შეთავაზებული პროდუქტისა თუ მომსახურების დადებით მახასიათებლებს და ბოლოს უბიძგებს მომხმარებელს შესაბამისი ქმედებისკენ.

ლიტერატურა

**კორტლენდი, არენსი 1989** — Courtland, Bovee L. & Arens, William, Contemporary Advertising, Boston: IRWIN Homewood.

**კრუზი, 1986** — Cruse, D. A., Lexical Semantics, Cambridge: Cambridge University Press.

**ლაფაჩი, 2007** — ლაფაჩი ა., ინტერნეტ-რეკლამა და ელექტრონული მარკეტინგი როგორც ფირმის ლიდერობის საფუძველი, მეურნეობრიობის ტრადიციები და საბაზრო ეკონომიკა, № 6, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, თბილისი.

**ლევინსონი, 1992** — Levinson, S.C. Pragmatics, Cambridge: Cambridge University Press.

**ლიჩი, 1966 —** Leech, G. N., English in Advertising, London: Longman.

**ლიჩი, 1974 —** Leech, G. N., Semantics, London: Penguin.

**მურეი, 2013** — Murray, P. N., How Emotions Influence What We Buy, **https://www.psychologytoday.com/blog/inside-the-consumer-mind/201302/how-emotions-influence-what-we-buy** მოპოვებულია, 10.03.2014.

**პერი, 2006** — Perry, S. Ogilvi on Advertising, JOMC 170 Book Report

**სელსი, გონსალესი 2002** — Sells, Peter and Sierra Gonzalez, The Language of Advertising, http://www.stanford.edu/class/linguist34/Unit-11/index.htm, მოპოვებულია, 05.05.2014

**ტეილორი, 1990** — Taylor, R., In Memoriam: J. C. R. Licklider, California: Systems Research Center.

**ფერაძე, 2010** — ფერაძე ი., რეკლამის ისტორია, მარკეტინგული კომუნიკაციები, №1, თბილისი.

**ფირცხელავა, 2010** — ფირცხელავა ნ., ინტერნეტ-მარკეტინგი, სამეცნიერო შრომების კრებული, №4, ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტი.

**შენგელია, 2008** — შენგელია, თ., ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, თბილისი: ახალი საქართველო.

**ჩერი, 2015** — Cherry, K. The Conscious and Unconscious Mind, **http://psychology.about.com/od/theoriesofpersonality/a/consciousuncon.htm** მოპოვებულია, 10.03.2014

**ჰელიდეი, ჰასანი, 1985** — Halliday, M.A.K. and Ruqaiya Hasan, Language, Context and Text: Aspects of Language in the Social — Semiotic Perspective, Oxford: Oxford University Press.

**ჰეჩი, 1992** — Hatch, E., Discourse and Language Education, Cambridge: Cambridge University Press.

**ჰოლსანოვა, 2006** — Holsanova, J., Kenneth Holmquist, Entry Points and Reading Paths on Newspaper Spreads: Comparing a Semiotic Analysis with Eye-tracking Measurements, http://vcj.sagepub.com/cgi/ content/abstract/5/1/65 მოპოვებულია, 05.12.2014

**SUZI TSERTSVADZE**

## Advertising Types in English On-line Hotel Advertisements

Summary

The paper discusses some peculiarities of the linguistic realization of 5 advertising types singled out in scholarship (informative, emotional, image, comparative, subconscious) on the material of English on-line hotel advertisements.

The empirical data embrace 200 samples of English on-line hotel advertisements from the web-site *booking.com.* The data have been analyzed from the standpoints of Discourse Analysis, Pragmatics and Lexical Semantics.

The observations have shown that in on-line hotel advertisements 4 out of 5 advertising types (all the types except the comparative one) are evidenced. The paper focuses on verbal as well as non-verbal means for conveying the above-mentioned advertising types. The samples of the given advertisement subgenre (i.e. hotel advertisements) are analyzed form a number of perspectives: discourse/textual, syntactic, lexico-semantic and pragmatic.

ᲠᲝᲘᲜ ᲩᲘᲥᲐᲫᲔ

# ᲰᲘᲞᲝᲢᲐᲥᲡᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲚᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲨᲘ

ცნობილი ქართველოლოგის შუშანა ფუტკარაძის ფასდაუდებელი შრომის შედეგად ხელთა გვაქვს მუჰაჯირების ანუ ჩვენებურების ქართულის უნიკალური ტექსტები, რითაც მან ფაქტობრივად „მოგვასმენინა“ თითქმის ორასი წლის წინანდელი ქართული, სადაც „დაცულია ქართული ენის არქაული ვითარება, შენარჩუნებულია ჩვენი ენის განვლილი საფეხურების ცოცხალი სურათი“ (ფუტკარაძე, 1993, 7). და რაოდენ საამაყოა, რომ მუჰაჯირებსა და მათ შთამომავლებს „დედის ენა ყუელთვინ ულაპარაკნიან, ენიდან არ მუუცილებიან და დღემდე აცოცხლებენ ქართულსა“, 27. ამიტომაცაა, რომ ჩვენებურების ქართული უაღრესად საინტერესო მასალას იძლევა სოციოლინგვისტიკისა და დიალექტოლოგიის ურთიერთმიმართების მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისით. სავსებით მართებულად მიუთითებენ, რომ „სოციალური ფაქტორები, რომლებიც მონაწილეობენ ენის რეალურ მოხმარებაში, წარმოადგენენ ენათმეცნიერული კვლევის მართლზომიერ თემას“ (კიკვიძე, ჩაჩანიძე, 2009, 15).

დროის ფაქტორი თუ ტერიტორიული დისტანცია კიდევ უფრო ზრდის ჩვენებურების ქართულის ენათმეცნიერული შესწავლის გადაუდებელ აუცილებლობას, ვინაიდან თანდათანობით დავიწყებას ეძლევა მშობლიური ენა, რასაც საკუთარი მიწა-წყლიდან „გადასოფლებული“ მუჰაჯირები გულმტკივლეულად განიცდიან: „ჩუენი ენა იკარქვის და ამაზე ფენა შეწუხვილი ვართ, გულის კაკალი ქვტკივა“. სწორედ ამიტომაა საშური ქართული ენის დიალექტების და, მათ შორის, განსაკუთრებით ტერიტორიულად დაშორებული და მშობლიურ ენას მოწყვეტილი დიალექტების ენობრივი დოკუმენტირება. ამასთანავე, „ეს გარემოება გვიკარნახებს, რომ ხალხური მეტყველების ნიმუშთა მონაცემებს მეტი ნდობა გამოვუცხადოთ ენათმეცნიე-

რული თვალსაზრისით და ისინი უფრო გაბედულად ჩავრთოთ ქართული პარატაქს-ჰიპოტაქსური მოდელების სინქრონული და დიაქრონული ვითარებისა და განვითარების ტენდენციების ძიებაში“. (ღლონტი, 1975, 62). თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის თვალსაზრისზე დაყრდნობით გიორგი გოგოლაშვილი ავითარებს მოსაზრებას, რომ ენა ერთიანი სისტემაა და შესაბამისად ნებისმიერი ენობრივი ფაქტი თუ მოვლენა ენობრივი სისტემის წევრია, ის არ შეიძლება სისტემის გარეთ იდგეს; ყველა მათგანს აქვს თავისი ადგილი და ფუნქცია სისტემაში (გოგოლაშვილი, 2011, 5). ამ მხრივ საინტერესო მასალას გვაძლევს მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების ნიმუშები, რომელთა ენობრივ მონაცემებზე დაკვირვებით ჩვენ წინაშე იშლება ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ქართული წინადადების სტრუქტურისა და აგებულების ჩამოყალიბების ევოლუციური პროცესი, რის ნათელსაყოფადაც სათანადო საილუსტრაციო მასალა მოვიძიეთ, უგამონაკლისოდ ამოვიწერეთ, დავამუშავეთ და გავაანალიზეთ ჩვენებურების ქართულის მტკიცედ განსაზღვრული მოცულობის ტექსტის მიხედვით, რითაც ერთხელ კიდევ დადასტურდა უტყუარი პოსტულატი, რომელიც შეგვახსენებს, რომ „ენობრივ ერთეულთა სიმრავლე  არის არა უბრალო სიმრავლე, არამედ — სისტემა“ (გოგოლაშვილი, 2011, 6).

გამოირკვა: ჩვენებურების ქართულში გვაქვს როგორც კავშირიანი, ისე უკავშირო ჰიპოტაქსური კონსტრუქცია, რომელთა გავრცელების არეალზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სიხშირით ჭარბობს კავშირიანი კონსტრუქცია; კერძოდ, კავშირიანია ქვეწყობილ წინადადებათა 70%, ხოლო უკავშიროა 30%. ამასთანავე, კავშირიანი ქვეწყობილი წინადადება საკმაოდ ღარიბია საკავშირებელი საშუალებებით, სადაც იშვიათად გვხვდება მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები. დამოკიდებული წინადადების მთავართან დასაკავშირებლად დომინანტობს **რომ/რომე**, რომელიც „ყველაზე პოლისემანტიკური კავშირია“ (აბესაძე, 1963, 13). მისი მონაცვლე ზოგჯერ არის **ქი**, შედარებით იშვიათად — **დიე;** მაქვემდებარებელ კავშირად გვხვდება აგრეთვე **თუ.** ამ კავშირთა გამოყენების სიხშირე ასეთია:

**რომ/რომე** — 70%. **ქი** — 20%. **თუ** — 8%. **სხვადასხვა** — 2%.

## ჰიპოტაქსური კონსტრუქციის კომპონენტთა განლაგება

საინტერესო სურათს იძლევა ჰიპოტაქსური კონსტრუქციის კომპონენტთა განლაგება; კერძოდ, კავშირიან კონსტრუქციაში შედარებით ხშირია დამოკიდებული წინადადების თავკიდური პოზიცია, ხოლო ასიდენტურ კონსტრუქციაში კომპონენტთა განლაგება იდენტურია.

სტატისტიკური მონაცემებით **კავშირიან კონსტრუქციაში** დამოკიდებული უსწრებს მთავარს — 62%, დამოკიდებული მოსდევს მთავარს — 36%, შერეული განლაგებისაა 2%. **უკავშირო კონსტრუქციაში** კი დამოკიდებულის პოზიცია 50-50% — იანია.

როგორც ჩანს, კომპონენტთა განლაგებას განაპირობებს სემანტიკური ფაქტორი და „ზეპირ მეტყველებაში რთული წინადადების ნაწილების განლაგება ხდება იმის მიხედვით, თუ რომელი არის უფრო მნიშვნელოვანი გადმოსაცემი აზრის აუცილებლობის მიხედვით" (კვანტალიანი, 1990, 70). ასე რომ, ჰიპოტაქსური კონსტრუქციის კომპონენტთა განლაგებისას „გასათვალისწინებელია წინადადების შინაარსიც, კერძოდ, რაზე ამახვილებს მთქმელი ყურადღებას: იმაზე, რაც გამოხატულია დამოკიდებული წინადადებით, თუ იმაზე, რაც მთავარ წინადადებაშია ნათქვამი" (ბურჭულაძე, 2014, 58).

ჩვენებურების ქართულში ჰიპოტაქსური კონსტრუქციის კომპონენტთა სტანდარტული განლაგება გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც მთავარ წინადადებაში მონაწილეობენ ე.წ. „მეტყველების წრისა" (უთხრა, მიუგო..) და „ცნობიერების წრის" (დაინახა, შეიტყო...) ზმნა-შემასმენლები. როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, ამ ჯგუფის ზმნათა მონაწილეობა წინადადებაში სპეციფიკურ სინტაქსურ კონსტრუქციას იძლევა, რაც ძველ ქართულშივე იყო ფართოდ გავრცელებული (ერთელიშვილი, 1962, 183).

## დამოკიდებული წინადადების სახეები

ჩვენებურების ქართულში კავშირიანი თუ უკავშირო კონსტრუქციის დამოკიდებული წინადადება შინაარსის მიხედვით მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ეს არცაა მოულოდნელი, ვინაიდან „დამოკიდებული წინადადების ყველა სახე ერთი ხნოვანებისა არ არის.

ზოგი მათგანი უფრო ადრე ჩამოყალიბდა, ზოგიც — უფრო გვიან" (კვაჭაძე, 2010, 382). ამასთანავე, შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენებურების ქართულის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში დომინანტობს **გარემოებითი** დამოკიდებული წინადადებები; ვფიქრობთ, ენაში ასახულ ამ ვითარებას განაპირობებს მუჰაჯირთა მძიმე სოციალური გარემო, მათი ყოფა და საფიქრალი. საფიქრალს და სადარდელს რა გამოულევს „მემლექეთის სულისდასიმწარით ნატრულთ": „ჩუენმა დედემა, ბაბამა, თეელმა გურჯისტანის ნატრულობაში დახუჭეს თუალები"; „ჩუენი სული, გული მაქ არი, მემლექეთში"; „ჩუენა გურჯი ვართ დიე, ეს ვიცით მარტო"; „ამა ჩუენა მინცხამ რომე გურჯიჯა არ იცის, იმა ქართუელ კაცათ არ ვთვლით"; „ჩუენი ენა იკარქვის და ამაზე ფენა შეწუხვილი ვართ, გულის კაკალი ქვტკივა"... ჩივიან ფუტკარიძეები, მაკარიძეები, დოლაბერიძეები, არსენიძეები, თავდგირიძეები, ცეცხლაძეები, გოგიტიძეები, შარაშიძეები, მესხაძეები...

სწორედ ეს სოციალური ფაქტორები განაპირობებენ სხვადასხვა სახის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების სიხშირეს. ამიტომ როგორც კავშირიანი, ისე უკავშირო ჰიპოტაქსური კონსტრუქციის საანალიზო მასალას წარმოვადგენთ დამოკიდებული წინადადების სახეების მიხედვით.

## კავშირიანი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია

### ა) დამოკიდებული უსწრებს მთავარს.

კავშირებად გამოყენებულია **რომ // რომე** — ხშირად, **ქი** — ზოგჯერ, **დიე** — იშვიათად. ასეთ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადება შინაარსის მიხედვით უმთავრესად **გარემოებითია,** რომელის სახეებიდან უმთავრესად გვხვდება **დროის, მიზეზისა და ადგილის გარემოებითი** დამოკიდებული. გავრცელელების ინტენსივობის მიხედვით კი: **დროისა** — ხშირად, **მიზეზისა** — ზოგჯერ, **ადგილისა** — იშვიათად.

**დროის გარემოებითი:**

**რომ:** ოთხ ძილს უკან რომ ადგება, ათ დღეზე, ათ დღეს უკან ასკ დუუსოფთ, 341. ოქულებში რომ წევდენ ჩუენი ბაღნები, თურქჩაზე გედეიქცა მათი ენა, 339. ოქულები რომ გეიხსნა, თურქჩა შა-

მოვიდა,337. გოროხი რომ იქნება, თაფან გავარუნიებთ, 334. იმ ყუდეს რომ გეიარ, გამოჩინდება, 342. სიმინდს რომ გაარჩევენ, დარჩება ჩენჩი, 304. დილაი რომ გახდა, თავარმა უთხრა მის კაცებსა, 175. ის რომ მოღალულა, ღარჭი ანუჭებული ყოლია, 173. სახლი რომ დეეწვა, ძროხა ჩუენ მოქვყიდა, 30. საბახნამაზის ლოცვას რომ დევიწყებთ ჯამეში, ბაღვი მეიყვაი და ჯამი კარ დატიეო, 29. სახლი რომ დაგვეწვა, ჯაჭვები გადარჩა, 27. აქედან რომ წაველი, შენი ბაბოი ახალი კდარი იყო, 24. გადმოდენას რომ დეიწყეფს, ამეიღეფ, 21. ჩუენი ეშები რომ წავლენ ამ დუნიდან, თორუნები, დარჩენილები გურჯიჯას აღარ ილაპარიკებენ, 341.

**რომე:** საღამოზე რომე ამევიარეთ, გურჯის ასკერებმა დაგვაყენა და გვკითხა, 338. სოფელი ასი წლის რომე გახდა, იყო ხუთას ოზდაათი ოჯაღი, 340. რომე გამოცხვება, კაი სული აქ, 301.

**ქი:** მარწყვი ქი დამწიფდება, ჴელ მიყოფ ში მარწყვსა, ჩავარდება ზირში, 200. თუარე ქი მიადგება, ქუები ცალ-ცალკე გამოჩნდება, 200. ისტამბულიდამ ქი მოხუალ, ერთი კვირე მათნა დადგე, 199. ყანაში ქი მოხენ კოტორ, ზარით მეიტან, 201. თავით ქი იკითხა, კაი გახდა, 199.

**მიზეზის გარემოებითი:**

**რომ**: მათი ლაპარიკი რომ არ მეამებიან, ჩუენ დავჭცონით იმათა, 173. რომ უთხრობდიან, ენაზე მოსულა ძაღლი, 29. ეს ასლანი რომ დაგვიტია იმ კაცმა, მეგემ ყველამფერი ჭამსო, 26. თოფი კაი რომ არ იყო, გევეჯი იქით, დავასე თოვლში, 336. ასე რომ დაჰტიო, დაბრუდდება, 201.

**რომე:** ჩემ ნესტანმა რომე თურქჩა დემელაპარიკა, იმას გუუკვირდა, 342. სარფის კარი რომე გეიხსნა, ჩემმა გულმაც გეიხსნა, 342.

**ქი:** შენ იმ გუარი ქი იყავ, კაპნიდამ არ მოხვიდოდი, 201. დადე ქი ახლავს, ისიც მეითხოვს, 335.

**ადგილის გარემოებითი:**

**რომ:** ღელიები რომ შეიყრება, ორას მეტრში სამძღვარია, 337. ბორჩხას რომ გაცილდები, კინის ხიდსა რომე გეიარ, ჩამოდის ბაგენის ღელე, 339. ფაფრიქა ქი არი, იქ არი ჭინკა ხევი, 299.

**ბ) დამოკიდებული მოსდევს მთავარს.**

ჩვენებურების ქართულის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში დამოკიდებული წინადადება,უმთავრესად **დამატებითი ან განსაზღვრებითია,** როდესაც მთავარ წინადადებაში მონაწილეობენ ე. წ. „მეტყველების წრისა“ (უთხრა, მიუგო...) და „ცნობიერების წრის“ (დაინახა, შეიტყო...) ზმნა-შემასმენლები.

**დამატებითი დამოკიდებული:**

**რომ:** ოსანამ მითხრა, რომ შენ ჯერ ვერ წამოხვალ მემლექეთშიო, 24. ერთ სურათში დევნახე, რომ ერთ დედეს თეთრი ყაბალახი აქ, 24. შევიტყვეთ, რომ ოსმანაი ჩამოსულაო, 24.

**რომე:** ვუთხარი, რომე მეთერთმეტე თვეში წევდეთ-მეთქი, 24. უთხრა მოსულმა სტუმარმა, რომე თქუენ ასე ყუელთვინ სუფრაზე დაჟდებით და ჯოხებ დეიჭირავთ, 25. ჰუქუნდარმა უთხრა, რომე ეს კაცინა მოძებნოსო, 26. ასულა ეს ჰუქუმდართან და უთქუამს, რომე მე მივაგენ ის კაციო, 26. ჰაიქურდარ უთქუამს, რომე ვაძლევ ჩემ გოგოსაო, 26. თიფლისიდან გაგვაგებიოთანა აქავრობაში, რომე ჩუენ თიფლისში ვართ, 24. წერილს უკან დეინახავ, რომე თქუენც გადახუალთ-გადმოხუალთო, 23.

**განსაზღვრებითი დამოკიდებული:**

განსაზღვრებითი დამოკიდებული, როგორც წესი, მთავარი წინადადების მომდევნოა და უმეტესწილად იყენებს **რომ/რომე** კავშირს; ამასთანავე, საკორელაციო სისტემა ძირითადად განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციას ახასიათებს:

**რომ:** სიტყუა ისეთინა თქუა, რომ ხუალ და ზეგ შენი სიტყუა შენ არ შამოქკრან, 199. ისე ფეჴის კუალი არი, თოვლში რომ რავარ ჩანს, 173.

**რომე:** იმფერი ვინცხა მეიყუანოს, რომე გამუადგეს, 26. დედეი იმხელა პაწაია, რომე დედეი დგას და დამჟდარ ოსმანას ძვილაი გატოლებია, 24. წინწინ ის დრო იყო, რომე ყანა-ბახჩის გახსნა ძალიან ჩათინი რაცხა ყოფილა, 26.

ზოგჯერ გვაქვს უკორელაციო კონსტრუქციაც:

კაცი იქნება, რომე ათ ქოფთას შეჭამს, 21. ადეთი არი, რომ ერთ-ორ მოსლაი არ მიცემენ, 335.

## უკავშირო ჰიპოტაქსური კონსტრუქცია

**უკავშირო ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში** განურჩევლად პოზიციისა, დამოკიდებული წინადადება შინაარსის მიხედვით ასეთ სურათს გვიჩვენებს: დამოკიდებული უმთავრესად სხვადასხვა სახის **გარემოებითია,** რომელთაგან უპირატესია **პირობითი,** შემდეგ მოდის **დროისა და ვითარების** გარემოებითი, შედარებით იშვიათია **მიზეზისა და მიზნის** გარემოებითი. სხვა სახის დამოკიდებულთაგან გვხვდება **განსაზღვრებითი** დამოკიდებული, იშვიათად კი — **დამატებითი** დამოკიდებული.

**ა) დამოკიდებული უსწრებს მთავარს.**

**გარემოებითი დამოკიდებული**

შენიშნულია, რომ დამოკიდებული წინადადების სინტაქსური ფუნქციის ცალსახა განსაზღვრა ზოგჯერ ჭირს, ვინაიდან ძირითად მნიშვნელობას „დაეფინება“ ხოლმე სხვა მნიშვნელობაც (ფეიქრიშვილი, 1996, 251), რაც განსაკუთრებით ხელშესახებია **პირობითი და დროის** გარემოებითი დამოკიდებული წინადადებების გამიჯვნისას:

სხუამ გდევდეს, რაფერ ვიცხოვრეფ, 22. ვინცხას ბაღვი არ ეყოლება, ტანინა მოტეხოს და მოხარშოს პაწაწაი, 29. შუიდი ჩესიტინა იქნეს, შექირინა ჩააყარო, 305. იქა მიხვიდოდე, შენი ყურით დუუყერებდე იმა ლაპარაკსა, კარქათ გეიგნებ, 229. ყაὩმალში თაზე ყველ ჩაჰყო, იქნება აზელილი, 180. ნაწუელ აადუღებ, იმაში ფირინჯინა ჩააყარო, იქნება სუფელჯი, 180. ჰადადვენ იქ არი, გახვიდე, დეინახავ, 174. გაღმისკენ გეიხედავ, ჭევაი გამოჩდება, 174. ზემოთკე წახუალ, ხუცეფარი გამოჩდება, 174. აბლი შეიარ, გამოჩდება ყარამანდები, 174. ზოგჯერ კაც თუალ წაკრავს, გაუქმურდება, 23. ბაღანავიყავ, ჩუენსა მოდიო, 178. ჭალაში თივა მობერდება, მაშინ მოაზოვებთ, 177.

**ბ) დამოკიდებული მოსდევს მთავარს.**

ასეთ კონსტრუქციაშიც სიხშირით გამოირჩევა **სხვადასხვა სახის გარემოებითი** დამოკიდებული წინადადება:

ესენი ისე მქონდა ბაღვებით აკრეფილი, ჩამიწერია ტვინში, 23. ცივ მთაზე ნუ დამდებთ, შემცივდებაო, 23. თამარ დედოფალმა შეშინდა, ასკერებინა გემიჯლიუროსო, 174. დათვმა გამომელხივა, დეე-

კანავნა ჩემი თავი, 336. მასობაში დაგვიძახეს, დეელაპარაკეთო, 24. ბერები აქ გაჭედებული — შალამფური, ბაღვი არ გადავარდესო, 197.

არც თუ იშვიათია „მეტყველების წრისა“ და „ცნობიერების წრის“ ზმნა-შემასმენლების შემცველი უკავშირო ჰიპოტაქსური კონსტრუქციები:

ბერმა უთხრა, დამიღამდაო, 175. არც ქითხენ, ჰიდავარი ხარო, 28. ჲანი შეიტყვეს, ვინ მეიპარა, ვინ გაყიდა, 30.

## სპეციფიკური სინტაქსური კონსტრუქციები

ჩვენებურების ქართულში იკვეთება ისეთი სპეციფიკური ჰიპოტაქსური კონსტრუქციები, როგორიცაა: ელიფსური კონსტრუქცია, **ქი** და **დიე** კავშირის პოზიცია, წინადადების რიტმულ-მელოდიკური სტრუქტურა და სხვ.

გამოვლინდა ისეთი ელიფსური კონსტრუქცია, სადაც მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელთან იგულისხმება მოქმედების კიდევ უფრო დამაზუსტებელ — დამაკონკრეტებელი სიტყვა, რითაც მიიღწევა „სიტყვის მაქსიმალური ეკონომიით აზრის მაქსიმალური სიზუსტით გადმოცემა“ (ღლონტი, 1975, 16). ესაა შეკვეცილი კონსტრუქციის ერთ-ერთი სახე, რომელიც ძირითადად სასაუბრო ქართულს ახასიათებს; ასეთ კონსტრუქციაში კვეცა ხდება კონტექსტით ადვილად საგულისხმებელი ზმნა-შემასმენლის გაუჩინარებით (კვანტალიანი,1990,23) და დამოკიდებული წინადადება, როგორც წესი, **რომ** კავშირიანი **დროის გარემოებითია:**

**რომ:** გახედა, რომ თაგვებმა დეიწყეს ფუთუნი მეგემ, 25. კაცმა მეიხედა, რომ ხალხი მორბიან რაცხა ბევრი, 26. ამეიყვანეს, რომ გერჩექის კაცი, 26. მოვიარეთ, რომ არ არიან, 27. იბრაჰიმმა დეინახა ბებერი, რომ მაშინ დაფიშინდა, 176.

როგორც ჩანს, აღნიშნულ კონსტრუქციაში მთავარი და დამოკიდებული წინადადებით გადმოცემულია მოქმედების ერთდროულობა, რაც ცხადი გახდება გაუჩინარებული ზმნა-შემასმელლის აღდგენით: გახედა თუ არა, დ ა ი ნ ა ხ ა რომ...; კაცმა მეიხედა თუ არა, დ ა ი ნ ა ხ ა, რომ...; მოვიდენ მლოცავები თუ არა, დ ა ი ნ ა ხ ე ს, რომ...

წინადადების სპეციფიკური კონსტრუქცია იქმნება ისეთ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში, რომელშიც მაქვემდებარებელი კავშირი **ქი** და ზოგჯერ **დიე** გადადის მთავარ წინადადებაში და ენკლიტიკურად ეკვრის მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელს, თუმცა ასეთ შემთხვევაში მთავარი წინადადება დამოკიდებულად არ იქცევა.

**ქი:** ვუთხარი **ქი,** იმასაც ვაწავლიო, 335. ბევრ იტყვიან **ქი,** სატალახე ზუელი დასახლება ყოფილა, 174. შეხედა **ქი,** ფერხულობენ, 174. გიცადეთ **ქი,** მოიდეს, 196.

**დიე:** გურჯი ვართ **დიე,** ეს ვიცით მარტო, 337. თურქჩე კაი დეილაპარაკოს **დიე,** გურჯაჯეს აღარ ვილაპარიკებთ, 301.

ცხადია, მაქვემდებარებელ კავშირთა ამგვარი ენკლიტიკური პოზიცია გამოწვეულია წინადადების ინტონაციურ-ექსპრესიული ფაქტორით. ასეთ კონსტრუქციაში **ქი** და **დიე** არა მხოლოდ მაქვემდებარებელი კავშირებია, არამედ ისინი დატვირთულია დადასტურებით-მტკიცებითი ნაწილაკის ფუნქციით, რითაც იქმნება წინადადების სპეციფიკური კონსტრუქცია და სათქმელს ენიჭება ექსპრესიული ელფერი.

ამრიგად, ჩვენებურების ქართულის საანალიზო მასალითაც დადასტურდა, რომ ჰიპოტაქსური კონსტრუქციის თავდაპირველი მოდელების პირველწყარო სწორედ ხალხური გაბმული მეტყველებაა, რომელიც საკმაოდ ღარიბია როგორც მაქვემდებარებელი კავშირებით, ისე კორელატებით. ამასთანავე, შემთხვევითი არაა, რომ დამოკიდებული წინადადების სახეობებიდან დომინანტობს გარემოებითი დამოკიდებული, რასაც განაპირობებს სოციალური ფაქტორი, რომლის „ანალოგები იძებნება ტერიტორიულად დაცილებულ დიალექტებშიც, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ყველა ეს მოვლენა საერთო ენობრივი ტენდენციის კონკრეტულ გამოვლენას წარმოადგენს“ (ჯორბენაძე, 1995, 291).

ლიტერატურა

**აბესაძე, 1963** — ნ. აბესაძე, **რომ** კავშირი ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია 96, 1963.

**ბურჭულაძე, 2014** — თ. ბურჭულაძე, ჰიპოტაქსის საკითხები ქართულში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2014.

**გოგოლაშვილი, 2011** — გ. გოგოლაშვილი, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011.

**ერთელიშვილი, 1962** — ფ. ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, I, ჰიპოტაქსის საკითხები, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1962.

**კვანტალიანი, 1990** — ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1990.

**კვაჭაძე, 2010** — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გამომცემლობა „ცოტნე“, თბილისი, 2010.

**კიზირია, 1969** — ა. კიზირია, რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1969.

**კიკვიძე, ჩაჩანიძე, 2009** — ზ. კიკვიძე, ი. ჩაჩანიძე, სოციოლინგვისტიკის შესავლის საკითხები, ნაკვეთი I, ქსუ გამომცემლობა, ქუთაისი, 2009.

**ფეიქრიშვილი, 1996** — ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი, გამომცემლობა „სტამბა“, ქუთაისი, 1996.

**ფუტკარაძე, 1993** — შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი, 1993.

**ღლონტი, 1975** — ალ. ღლონტი, ხალხური პროზის ენისა და სტილის საკითხები, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1975.

**ძიძიგური, 1973** — შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1973.

**ჯორბენაძე, 1995** — ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1995.

**ROIN CHIKADZE**

# Hypotactic Construction Models in the Speech of the Descendants of Georgian Muhajirs

Summary

The time and distance factors make the linguistic study of the speech of the descendents of Georgian muhajirs of particular relevance. In the given variety of Georgian both types of hypotactic construction (asyndetic and syndetic) are evidenced. The observations have shown that syndetic subordinate sentences employ few conjunctions and correlates: mostly (90%) the linguistic items *rom/roi,* sometimes replaced by *ki* and *die* , are used. Semantically the types of subordinate clauses are not versatile either, mainly adverbial clauses are encountered, and the given fact might be socially conditioned and presents an interesting issue for a joint sociological-dialectological study.

The study of the data has revealed specific models of hypotaxis: elliptical constructions, peculiar distribution of sentence components, specific usage of the conjunctions *kie,die,* rhythmico-melodical patterns of sentences. All these peculiarities are concrete instances of the general linguistic tendency.

ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ

ც. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, გ. ყ უ ფ ა რ ა ძ ე — სიტყვათა სემანტიკური დერივაცია თანამედროვე ფრანგულ და ინგლისურ ენებში.....3
მ. გ ი ო რ გ ა ძ ე, მ. რ უ ს ი ე შ ვ ი ლ ი — კალამბურის კიდევ ერთი სახეობის თაობაზე.....11
ნ. დ ა რ ა ს ე ლ ი ა — წყლის ხატები დიკენსის ნაწარმოებებში........18
ს. დ ა რ ა ს ე ლ ი ა, ს. შ ა რ ო ვ ი — ქართული ენის ვებკორპუსის შექმნის ძირითადი ეტაპები.....33
ი. დ ე მ ე ტ რ ა ძ ე — ზოგი რამ ცემინებასა და ხველასთან დაკავშირებული სამეტყველო ეტიკეტის შესახებ..................44
თ. კ უ რ დ ღ ე ლ ა შ ვ ი ლ ი — მიმართვის ფორმები და თავაზიანობის მარკერები ინგლისურის, როგორც უხცო ენის გაკვეთილზე საქართველოში.....51
თ. კ უ რ დ ღ ე ლ ა შ ვ ი ლ ი — თავაზიანობის სტრატეგიებისა და გრაისის მაქსიმების გამოყენება ინგლისურის, როგორც უცხო ენისა და ქართული ენის გაკვეთილზე საქართველოში (შეპირისპირებითი ანალიზი).....65
ნ. მ უ ნ ჯ ი შ ვ ი ლ ი — აღქმის კატეგორიების ლინგვისტური რეალიზაცია ვირჯინია ვულფის რომანში „ტალღები“.....................85
მ. ნ ა ჭ ყ ე პ ი ა — კვლევის ინტერდიცსიპლინარული მეთოდოლოგია და ქვეტექსტის ფენომენი თანამედროვე მოდერნისტულ ნარატივში.....97
ნ. ს ა ა კ ა ძ ე — ლექსიკურ ერთეულთა დამატებითი განსხვავებული ქვემოქართლური მნიშვნელობანი.....103
ნ. ს ა ა კ ა ძ ე — მესაქონლეობის ლექსიკის ზოგიერთი ტერმინის სემანტიკურ-ეტიმოლოგიური გააზრებისათვის ქვემოქართლურში.....109

მ. ს ა ღ ლ ი ა ნ ი — „მაერთმარცვლიანი“ რედუპლიკაცია სვანურში........................................................................116
მ. ფ ა ღ ა ვ ა, ნ. ც ე ც ხ ლ ა ძ ე — კლარჯული კილო. ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები........................................125
მ. ფ ა ღ ა ვ ა, ნ. ც ე ც ხ ლ ა ძ ე — ტაოური კილო. ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები..................................158
მ. ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე — ზედსართავი სახელით გამოხატული განკერძოებული განსაზღვრების სემანტიკური და პრაგმატულ-კომუნიკაციური ასპექტები გერმანულ და ქართულ ენებში.......190
მ. ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე — ზედსართაული სახელური ფრაზის გაფართოება, კატეგორიები და თანმიმდევრობათა რეგულატორები თანამედროვე გერმანულ ენაში.............................................206
ხ. ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი — კახური დიალექტის ზოგი მორფოლოგიური თავისებურება კახეთის 1812 წლის აჯანყების დოკუმენტების მიხედვით...........................................................................214
ნ. შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე — უარყოფის სისტემა ქართულში (ზოგადი ანალიზი)..........................................................................220
ს. ც ე რ ც ვ ა ძ ე — რეკლამის ტიპები ინგლისურენოვან სასტუმროს ონლაინრეკლამაში.................................................................231
რ. ჭ ი კ ა ძ ე — ჰიპოტაქსური კონსტრუქციის მოდელები ჩვენებურების ქართულში......................................................................248

CONTENT

Ts. Ak h v l e d i a n i, G. K u p a r a d z e — Semantic Word Derivation in Current French and English..........................................................10
M. G i o r g a d z e, M. R u s i e s h v i l i — Towards One More Type of Pun..........................................................................................17
N. D a r a s e l i a — Water Imagery in Ch. Dickens' Works........................32
S. D a r a s e l i a, S. S h a r o f f — The Main Steps of the Georgian Web-Corpus Construction....................................................................43
I. D e m e t r a d z e— Some Points on Sneezing and Coughing Speech Etiquette...........................................................................................50
T. K u r d g h e l a s h v i l i — Forms of Address and Politeness Markers at EFL Lessons in Georgia...............................................................64
T. K u r d g h e l a s h v i l i — The Usage of Politeness Strategies and Gricean Maxims in EFL and Georgian Lessons in Georgia (A Contrastive Analysis)..................................................................84
N. M u n j i s h v i l i — Linguistic Realization of Perceptual Categories in Virginia Woolf's Novel The Waves...............................................96
M. N a c h k e b i a — Interdisciplinary Methodology of Research and the Phenomen on of Sub-Text in the Present-Day Modernist Narrative........................................................................................102
N. S a a k a d z e — Additional, Differentiating Meanings of Kvemo Kartlian Lexical Units.....................................................................108
N. Saakadze — Towards the Semantic-Etymological Interpretation of Some Cattle-Herding Terms...................................................115
M. S a g h l i a n i — Reduplication with Linking Syllables in Svan...........124
M. P a g h a v a, N. T s e t s k h l a d z e — Basic Declension and Conjugation Paradigms of the Klarjian Sub-Dialect of Georgian.......................157
M. P a g h a v a, N. T s e t s k h l a d z e — Basic Declension and Conjugation Paradigms of the Tao Sub-Dialect of Georgian............................189
M. G h a m b a s h i d z e — Semantic and Pragmatic-Communicative Aspects of Adjectival Disjunct Modifiers in German and Georgian.......................................................................205

M. G h a m b a s h i d z e — Extension, Categories and Succession Regulators of Adjectival Phrases in Current German....................213
Kh. Q a n d a s h v i l i — Some Morphological Peculiarities of the Kakhetian Dialect in the 1812 Kakheti Rebellion Documents.........................................................................219
N. S h a r a s h e n i d z e — Negation System in Georgian (general analysis).............................................................................230
S. T s e r t s v a d z e — Advertising Types in English On-line Hotel Advertisements.....................................................................247
R. Ch i k a d z e — Hypotactic Construction Models in the Speech of the Descendants of Georgian Muhajirs..............................................258